



პალიტრა

N33 (218) 12/VIII.
ფასი 60 თ.

1.9

1168
2004

„პასუხი იქვე გეც
დავუბრუნე, მაგრამ...
პირისპირ ნათქვამს
სხვა სიბლბილე“

**რა მოხდა სკანდალური
ღამის ეთერის შემდეგ
– „ასეთ რამეს მაინც არ ველოდი...“**

„გაჩვილბაქვს ახლა აქვით
აქვს ბოდიში მოსახდელი...“

ქალი, რომელიც კოკოითვა „აგნილა“



ზურა შარია თავს
შეგოჭილად გრძნობს.
რით ჰგავს
ამერიკელ მამას



ნინო იოსელიანი:
„...მინდოდა ისეთი დიდი
მეოროდა, როგორც
თბილისში არსად არის“

პროსპერდების

უცნობი გუნდები

ტელევიზია

ტელევიზია

სამაგისტრო
ტელევიზია



ყველაზე გასართობი ჟურნალები

ვინიატურები

ლაზერუნდით საფეოკლოს ანუ „ერასი არ გინდათ, გვაქვს-თქვა“... 3

ერთი ქიტხვა 4

განსაკუთრებული შევთხევა

მაია ცაბოშვილი - დედით ქართველი, მამით ოსი, საქმიანობით - „აგენტი“ 6

კონფლიქტი

„ლევანი კარგა ხანს იქდა ბოგნებული და წავიდა აღფრთხვებული... მინისტრი კი ეთერით კმაყოფილი დარჩა“ 8

საპატარძლო

რაგვი აკვირდება ნინო ჭიჭილაშვილი მამაკაცებს 9

სანიშნო

„მინდა, მთელი ცხოვრება შენზე ვწერო ლექსები...“ 11

წარგატევა

„მისის გლოუზის“ კონკურსში გამარჯვებული ქართველი მოდელი ამერიკიდან უამრავი საჩუქრით ხელდაგმვინებული დაბრუნდა 12

კრიმინალი

• აგზაუნ თუ არა პასუხს პოლიციელები ადამიანის მკვლელობისთვის? 14

• 19 წლის ახალგაზრდის ხელით ჩადენილი სასტიკი დანაშაული 16

ანტიდუარკანანი

ინფორმაციულ-შემთხვევითი კოლაჟი გოგა დვალის უბის წიგნაკიდან 18

ახალი სახე

თინა ხილაშვილის „მამაკვირებს“ კოკუარობის პრეტენზია არა აქვს... 18

თემა

შემთხვევითი თანამგზავრი 20

გზაგასაყარზე

ლუბა ელიაშვილის საგაფხულო რეცეპტი 23

თავდა

ბივი სინარულიკე ვაგვიტა და ოყნებით სმის წინააღმდეგობა 25

გზაწინაღობა

„...გმაღლობ, რომ კარგი გაკვეთილი ჩამიტარა“ 27

ჯანმრთელობა

• დიაბეტური ტერფის სინდრომი 30

• ბრძოლა ნაწლავის ჩხირებთან 31


• „სიყვარულის ვაშლი“ 32

• მწვანე აუთიჯი 33

ტაქარი

რამდენ სახეობად შეიძლება დაიყოს ლოცვა? 34

„ლევანი კარგა ხანს იქდა ბოგნებული და წავიდა აღფრთხვებული... მინისტრი კი ეთერით კმაყოფილი დარჩა“



„ბენდუქიძემ ძალზე ცუდი ფორმით მიმართა მას და ყოველგვარი შესავლის გარეშე უთხრა - „ПО-ШЕЛ НА Х...“ ლევანმაც პასუხად იგივე დაუბრუნა: „САМ ПОШЕЛ НА Х...“ ასეთი რამ ქართული ტელეკომპანიების ისტორიას არ ახსოვს...“

8

ნინო იოსელიანი დეგზა უფრო ჭირვეული აღმოჩნდა

„მივხვდები, რომ ეს ქუჩა მომავალში თბილისის გული გახდება, მეიდან კი - კულტურული ცენტრი. ყველა ქვეყანაში არსებობს ჩაკეტილი ქუჩები, სადაც მხოლოდ ქვეითად მოსიარულეები დადიან. მე პარიზში ვცხოვრობდი და ასეთი ჩაკეტილი ქუჩების „გემო“ კარგად გავიგე.“



54

სად მინდინდობენ ბელესაგზარკეულო სტუმრები



„მამას არ უნდოდა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა. თვითონ გულგაგეხილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის ასაკში უკვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. ახლაც მიაჩნია, რომ პროფესია მხოლოდ ორი არსებობს - ექიმი და ვექილი...“

52

საპატარძლო - რაზე აკვირდება ნინო ჭიჭილაშვილი მამაკაცებს

„მზითვი? ამ მხრივ სახარბიელოდ არ მაქვს საქმე. ახლა ალბათ უნდა ჩამოვთვალო 20X20-ზე ვენახი, „ვოლგა“ გარაჟში და ა.შ. მაგრამ მზითვად წავიყვან ჩემს პაგარა პუდელს, რომელიც ძალზე მიყვარს და აუცილებლად ჩემთან უნდა იყოს. კიდევ, ჩემი მზითვი არის ჩემი...“



9

საზოგადოება

„...რომ ჩვენს ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც ისინი“ 35

სსოვრება

„ყოველთვის მიწოდება, არწივს ბავყოლოდი ცოლად და არწივზე ბავთსოვლი კიდეც...“ 37

ისტორიის ფურცლები

ოლიმპიური თამაშები - ლეგენდები თუ სინამდვილე 39

მსოფლიო თამაშები

ოლიმპიადა სამოთხლოში დაბრუნდა 40

რომანი

რუსულან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (ბაბრკელება) 42

ვარსკვლავი

ბაულ ბარსია ბერნალი და მისი სპანდალური კინოგმირები 46

ბოროლი

48

ავტო

50

როგორ ვიხვეწებთ

ქრისტიანე იმედაკეს საგაფხულო რომანების არ სჯერა 51

ავტო

სალ მესალინეოხენ ტელესამგარეულოს სტუმრები 52

გიზნელ WOMAN

ნინო იოსელიანი დეზა უფრო ჭირვეული აღმოჩნდა 54

ტელე

ერთგული მკითხველი 55

პირველი პაეჟანი

„მთელი საღამო კვლ თბილისში, მვიღანზე ვისეირნეთ...“ 56

სიგოლო

ხსოვნის კვლეთან მღგომ ჯარისკაცს მხოლოდ სუნთქვის უფლება აქვს 57

მუშაუმი

პირველი სატელეფონო ცნობარი, პირველი ასი აბონენტი და... ფიროსმანი 58

ჟორჯოკოვი

კვირის (16-22 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სქანვოკლი

61

იუმორი

62

ტელე

როგორი იუმორის ბრძოლა გაქვთ? 63

კალენდოსკოვი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

ბარეაანა: გიორგი ჟორჯოლიანის კოლაჟი
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოღის კვირაში ერთხელ, სუთუაბათობით
გაზეთი „კვირის კალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

**თემა - უმეტესობით
თანამგზავრი**



უამრავი ადამიანისთვის მგზავრობა დაუვიწყარი გამხდარა - იმ შემთხვევითი თანამგზავრის წყალობით, რომელმაც მისი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა. მგზავრობისას შესაძლოა, თაღლითს გადაეყაროთ, ან ქურდს, ან კიდეც - ლოველასს...

20

**„მისის გლოუვის“ კონკურსი
გამარჯვებული ჰართული პოეტი**

სხვა მონაწილეებისგან გამორჩეული - იქ ჩემ გარდა, პროფესიონალი მოდელი არაყინ იყო. ამიტომ თუ ვინმეს სწორი სიარული და მიხრა-მოხრა გაუჭირდებოდა, მაშინვე შეძახდნენ - „მისის ჯორჯია“, მიდი, დაეხმარეო.



12

**გაილი მინოუბი:
სენა თუ საქმრო?..**



ავსტრალიელი ვარსკვლავი დროებით წყვეტს საკონცერტო საქმიანობას, რათა პირად ცხოვრებას მიხედოს - ასეთი ინფორმაცია ჭაერცელდა ბრიტანულ მედიაში. პრესა იუწყებდა, რომ მთლერაღს სერიოზული კონფლიქტი მოუხდა საქმროსთან...

49

მცაცენტოს ისტორიკა

ამ სიგყვების შემდეგ, ერთხანს, არც ერთს ხმა აღარ ამოუღია. შემდეგ დუმილი მეგიმ დაარღვია.
- ვახო!.. - დაიწყო მან.
- ჰო, რა იყო? - ფიქრებიდან უცბად გამოერკვა ვახო.
- საქმე საქმეზე რომ მიდგეს, რაც ახლა მე მითხარი, სასამართლოზე გაიმეორებ?



42

დაუნრუნდი სამშობლოს ანუ „პრასი აჩ გინდაი, გვაქვს-ოქვს“...



უცნაური რამაა ქართული ენა: სიტყვას მხოლოდ წინსართიც რომ შეუცვალო, საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვას მიიღებ. მაგალითად, წინსართები „დე“ და „პრო“. „დე“ ცუდს ნიშნავს და საღანძღავი წინსართია. ხომ გვწყინს, რომ გვეუბნებიან, „შე დე-ბილო“ ან „შე დე-გენერატო“?! განსაკუთრებით გვიკლავს გულს „დე-ფიციტი“, რადგან ამას რომ იტყვიან ტელევიზორში, ე.ი. ცუდადაა პენსიებისა და ხელფასების საქმე...

სამაგიეროდ, არსებობს წინსართი „პრო“, რომელიც 180 გრადუსით ცვლის ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის სურათს: „პრო-გენერატული რეფორმების წყალობით, საქართველოს ბიუჯეტმა პრო-ფიციტი განიცადა“ – ე.ი. ბიუჯეტი გადაჭარბებით შეივსო.

ეს პროფიციტია თუ რაღაც ონრობა, რომ გავიგონე ტელევიზორში, ჯერ ვიფიქრე, გაფუჭდა-მეთქი და ხელოსანს დაგურეკე. მერე ლექსიკონები გადავქექე და ვერსად ვიპოვე. ან კი სად ვიპოვიდი, როცა მსგავსი რამ საქართველოში არასოდეს მომხდარა და არც მოხდებოდა, ჩვენს მერცხალა პრეზიდენტს უძღვები შეილი რომ არ დაებრუნებინა სამშობლოში ეკონომიკის მინისტრად, რომელმაც ყველაფრის გაყიდვას მიჰყო ხელი და ბიუჯეტმაც სული მოითქვა. მე კი სულელს მეგონა, რომ ბიუჯეტის შევსებისათვის ხალხის დასაქმება, ეკონომიკის წარმოება და მატერიალური დოვლათის შექმნა იყო საჭირო. თურმე მარტივად წყდება ყველაფერი: გაყიდე და გამდიდრდე: დღეს ხომ ფული ვაჭრობაში იშოვება...



მიკვირს პირდაპირ, რას სწავლობენ ასეთს უცხოეთში წასული ქართველები?! ჩვენი მოსამართლის არ იყოს, აქედან რომ მიდიან, ცალ-ცალი კალოში აცვიან, ჩამოდიან და, რეზინის ჩექმებში და ტყავის პალტოში არიან გამოწყობილები...

აი, რაშია ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის სისწორე: რომ დადის აღმა-დაღმა ჩვენი პრეზიდენტი და წასულ ქართველებს რომ ეხვეწება – ორმაგ მოქალაქეობას მოგცემთ, ოღონდ დაბრუნდით და თქვენი ცოდნა საქართველოს მოახმარეთო, – ეს სიტყვის მასალაა, თორემ, ვის რად უნდა მაგათი ცოდნა?! ცოდნა იმდენი გვაქვს, მაგაშიც რომ ბიუჯეტი არსებობდეს, სულ პროფიციტი გვექნებოდა. აქ ფულზე და სიმდიდრეზეა ლაპარაკი. აბა, რატომ ჩამოიყვანა რუსეთიდან მაინცდამაინც ბენ-ლუქიძე, რომელსაც მილიონები აქვს და არა ჩემი

მეზობელი ტალახაძე, რომელიც „კაფელშიკად“ წავიდა სამუშაოდ, მაგრამ ვერ იშოვა სამსახური და სამგზავრო ფულიც არა აქვს, რომ დაბრუნდეს... აქ ისეთ ქართველებზეა ლაპარაკი, მილიონები რომ დააგროვეს და მათი მილიონები დღეს ჰაერივით რომ სჭირდება ჩვენს ბიუჯეტს.

მოკლედ, კინოფილმი „შერეკილების“ ანალოგია ხდება: ჩვენ, საქართველო, ბრეგვაძეების ოჯახი ვართ, ვიცით, ვინ უნდა დავპატიჟოთ სტუმრად: ვინც მრგვლად მოხარშულ დედალს, დოქ ღვინოს, ხაჭაპურს და ჭვინტ ყველს მოიტანს. სამაგიეროდ, პრასი არ გვინდა, გვაქვს...

ასეა თუ ისე, საქართველოში სასწაული მოხდა: ბიუჯეტს 300 მილიონი ლარი მორჩა და ეს იმ დროს, როცა ჯორჯ ბუშს ამ წინასაარჩევნოდ 500-მილიარდიანი დეფიციტი ადევს ხმალივით კისერზე, ჩვენს მთავრობას კი იმის დარდი აწუხებს, სად წავიღოთ და რაში დავხარჯოთ ეს 300 მილიონი!..

ამის მოფიქრებაც ჩემზე იყოს: თუ ქართველების დაბრუნებაა, მაშინ ბოლომდე დაბრუნება იყოს. დავაბრუნოთ ის ქართველები, გერმანიაში რომ ქურდობენ და ადგილობრივი პოლიცია ისეთ გასაჭირში ჩააგდეს, სიგნალიზაციისა და დაცვის იმგვარი მექანიზმი ვერ შეუმუშავებია, რომელსაც ჩვენი გენიოსები დედას არ უტირებენ. ჩამოვიყვანოთ და მათი პროფესიონალიზმი სამშობლოს მოვახმაროთ... ის ქართველებიც ჩამოვიყვანოთ, პოლანდიაში რომ იხეტიავენ ვენებს მუქთა წამლით. არ სჯობია, აქ „გაიხზირონ“?.. დავაბრუნოთ სუყველა, აქ მოიპარონ, აქ გაიკეთონ და იმ 300 მილიონიდან, ორ კვირაში ბუნდლა აღარ დარჩება.

P.S. ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი ბოლო მოდელის „მერსედესში“ ზის, მეორე – „ზაპოროჟეცში“.

- როგორა ხარ?
- ცუდადაა ჩემი ოჯახის ბიუჯეტის საქმე, ავივსე ვალეებით.
- მერე მე ვერ მომბაძავ? ახალი ეკონომიკური რეფორმა ჩავატარე ოჯახში: ჯერ სახლი გავყვიდე, მერე ეზო, ბოლოს – ცოლი და ქალიშვილიც მივაყოლე და ა, მოვითქვი სული...

პროპოკატორი

„სხინვალის რეგიონის ქართველი მოსახლეობა ნანოლოზრიც დაუსვლია“

— საქართველოს ხელისუფლების ინფორმაციით, კოკოითი ქართველთა ეთნიკური ნმენდის ჩატარების საბაბს ეძებს. შეძლებს თუ არა ჩვენი მთაწრობა სამხრეთ ოსეთში ქართველი მოსახლეობის დაცვას?

პაატა ზაქარაიშვილი, ექსპერტი:

— სანამ ოსურ მხარეს ეყოლება უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები, მანამ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველების უსაფრთხოება სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება. რადგან რუსეთი საქართველოს კრიზისული მდგომარეობის შენარჩუნებითაა დაინტერესებული, პროვოკაციების მოწყობის მცდელობა ყოველთვის მოსალოდნელია. კოკოითის ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, რომ მას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. ერთადერთი, რაც მას შეუძლია, ეს კონფლიქტის გახანგრძლივებაა. ამას ჩვენ თანმიმდევრული და თავშეკავებული პოლიტიკით უნდა ვუპასუხოთ. რეგიონში გარკვეული რაოდენობის პოლიციისა და საჯარისო დანაყოფებია განლაგებული. ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე სწორედ მათ უნდა იზრუნონ. ხელისუფლებას ცხინვალელი ქართველებისთვის იარაღი არ დაურთებია, ამის გაკეთება არც იქნებოდა სწორი, მაგრამ ეს ადამიანები ბედის ანაბარა არ უნდა დავტოვოთ. უნდა მივალწვიოთ იმ მდგომარეობას, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტს გამოიციხავს. საქართველოს შესწევს იმის უნარი, რომ ცხინვალის პრობლემა ძალისმიერი გზით ერთ კვირაში მოავგაროს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მივიღებთ იმავე შედეგს, როგორც რუსეთმა ჩეჩნეთში მიიღო. ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ არ უნდა განავწყნოთ და არც ქართველების ეთნიკური წმენდის უფლება მივცეთ კოკოითს.

„დუმის სულაურ განსხაღებებს რუსეთშიც ალარ უსმენენ“

— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დუმის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ „ჯამბაზობა“ უწოდა. თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით მათ აგრესიულ ტონს?

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

— რუსული პოლიტიკური სპექტრი ვერ ეგუება იმ რეალობას, რომ საქართველოზე გავლენას კარგავს, ამიტომ აგრესიული ტონით სიტუაციის გამწვავებას ცდილობს. ჟირინოვსკისა და მისი მსგავსი პოლიტიკოსების განცხადებები მართლაც, ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ისინი ობიექტურად ვერასოდეს აფასებდნენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, რის გამოც მუდამ, რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებებთან დისონანსში ხვდებიან. რუსეთში კი, ყველაფერს პუტინი და კრემლი წყვეტს.

სანამ სააკაშვილისა და პუტინის ახალი შეხვედრა არ გაიმართება, ჩრდილოელი მეზობლები ინტრიგების ხლართვას თავს არ დაანებებენ. რეაქციულად განწყობილ ძალებს კრიზისის გაღრმავება სურთ, მაგრამ სააკაშვილი აშშ-ში ტყუილად არ ჩასულა. ამ ვიზიტის დროს, ბევრ საკითხთან დაკავშირებით მოხდა შეთანხმება, რაც უახლოეს მომავალში ქვეყნის სამინაო და საგარეო პოლიტიკაზე აისახება. დიდი პოლიტიკა სწორედ ამ დონეზე წყდება. დუმის უთავბოლო ბოდიას კი, რუსეთშიც აღარაგინ უსმენს. მათი სულელური განცხადებების ანალიზით არც ჩვენ უნდა შევიწუხოთ თავი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ აღებულ კურსს ჟირინოვსკები და ლუჟკოვები ვერ შეაჩერებენ, თუმცა, რუსეთის დუმას ამის სურვილი ნამდვილად აქვს.

„ეთანხმდის პარკის მფლობელი ჯარ უხნობია“



— თბილისის საკრებულომ მთაწმინდის პარკის სარეაბილიტაციოდ, მისი იჯარით გაცემის საკონკურსო პროგრამა შეიმუშავა. ოპონენტების მტკიცებით კი, ფუნქციონირის მეპატრონის ვინაობა უკვე გარკვეულია.

ზაზა გებაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე:

— მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონირის შრომითმა კოლექტივმა გარკვეული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება მანც მოახერხა, მთაწმინდის პარკის მდგომარეობა მანც კატასტროფულია. ეს ადგილი წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, დაკარგულია.

თბილისელებისთვის. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, მთაწმინდის პარკის რეაბილიტაციისა და გრძელვადიანი იჯარის საკონკურსო პროგრამის შესახებ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა მოგებას მიიღებს 49 წლის განმავლობაში ინვესტორი, ვინ რა თანხას ჩადებს პარკის იჯარით აღების პროცესში, არამედ ის, თუ რას მიიღებენ ამით თბილისელები. ერთი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს მთაწმინდის პარკის ინფრასტრუქტურის აღდგენა, გაიხსნას ახალი ატრაქციონები, გაჩნდეს ნარგავები, რომ თბილისელებმა ზაფხულის ცხელ დღეებში, ამ უმშვენიერეს ადგილს შეაფარონ თავი. აქვე მინდა ვთქვა, რომ ფუნქციონირის ახალი მეპატრონის ვინაობა დადგენილი ნამდვილად არ არის. იჯარით გადაცემის პროცესი იქნება სრულიად გამჭვირვალე. თითოეულ ინვესტორს, რომელიც ამ პროგრამით დაინტერესდება, გამარჯვების ისეთივე შანსი ექნება, როგორც სხვა დანარჩენს. ჩვენ მიერ წარმოდგენილ პროგრამას რამდენიმე სოლიდური ორგანიზაცია განიხილავს, თუმცა ჩვენ გვინდა, ამ პროცესში უფრო ფართო სპექტრი ჩაერთოს.

„არქონას რეჟიმის ტურისტები ვერ უზველიან“

— გაგრძელებული ინფორმაციით, აფხაზეთის ზღვისპირა ქალაქებში 200 ათასი დამსვენებელი ჩავიდა. რამდენად რეალურად გეგმვნიებათ ასეთი ციფრი?

მანსტანა მულაბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:

— 200 ათას დამსვენებელზე საუბარი გაზვიადებულად მიმაჩნია, მაგრამ არ გამოვიციხავ, რომ ეს ციფრი 100 ათასს შეადგენდეს. აფხაზები ცდილობენ, შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ამ ტერიტორიაზე სრული სიმშვიდეა. დამსვენებლებს შორის

ძირითადად, რუსები არიან. მათი ტელეარხებით გაგრის, ბიჭვინთისა და რიწის დასასვენებელი სახლების სერიოზული რეკლამირება ხდება. ეს არის მიზანმიმართული კამპანია, აფხაზეთში დამყარებული მოჩვენებითი სიმშვიდის საილუსტრაციოდ. თუმცა, თითოეული ტურისტი ადვილზე ჩასვლის შემდეგ დაინახავს, დამსვენებლების მისაღებად მზად არის თუ არა საქართველოს ეს უმშვენიერესი კუთხე, სადაც ტერორიზმისა და ნარკობიზნის უმსხვილესი კერაა შექმნილი. მე ვფიქრობ, ჩრდილოეთ ტურისტებს სააკაშვილის მუქარანარევი



ტონის შემდეგ, აფხაზეთში ჩასვლის სურვილი დაეკარგება. ასეც რომ არ მოხდეს, არძინას სეპარატისტულ რეჟიმს დამსვენებლების სიმრავლე ვერ გააძაბავს.

„უშიშროების აკადემიის არაფარში გვჭირდება“

— უშიშროების აკადემიის გაუქმების შემდეგ, სადა უნდა მომზადდეს ამ სპეციფიკური სამინისტროსთვის პროფესიონალი კადრები და რის საფუძველზე გაგრძელდა ინფორმაცია, თითქოს აკადემიის შენობის შესყიდვით რუსეთის სპეცსამსახურები არიან დაინტერესებული?

ბივი თარბაბაძე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:

— ჩემი აზრით, ზედმეტი რგოლისგან ყველა სტრუქტურა უნდა გათავისუფლდეს. უშიშროების სამინისტროს მიერ არა მხოლოდ აკადემიის, არამედ ბევრი სხვა დანამატის გაუქმება სწორედ ამის მაგალითია. უშიშროების სამინისტროს, ასეთი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი არ სჭირდება. რაც შეეხება პროფესიონალი კადრების მომზადებას — გარწმუნებთ, რომ უშიშროების კადრების უდიდესი ნაწილი არა უშიშროების აკადემიიდან, არამედ ჩვეულებრივი სასწავლებლებიდან მოდის. ეს შენობა შესაძლებელია, ქალაქის ბალანსზე გადავიდეს ან აუქციონზე გაიყიდოს, რადგან მისი შენახვა სტრუქტურას მძიმე ტვირთად აწევს. ამ თანხების გამოთავისუფლება ისევე უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებისთვის იქნება მოგებანი: მიიღებენ უფრო მაღალ ანაზღაურებას და სტრუქტურაც უფრო დაიხვეწება. აკადემიის სტუდენტებს კი, სახელმწიფო მიუძღვის ყურადღებას და მათ აქციების ჩატარება აღარ მოუწევთ. ვინ გახდება ამ შენობის მფლობელი, ჯერ ცნობილი არ არის. თუმცა, მისი შესყიდვით რუსეთის სპეცსამსახურების დაინტერესებას ნამდვილად ვერ დავადასტურებ. ჩემი აზრით, ამის მიღმა, მხოლოდ დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობა დგას...

„ჯარმთავალი ჰირი თანამდებობას ვერ მიიღებს“

— სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ შემუშავებული ახალი კანონპროექტის თანახმად, დარჩება თუ არა ძალაში ფინანსური ბეგარა და ჩაიდება თუ არა მასში ის მუხლი, რომლის მიხედვითაც იმ პირებს, რომელთაც სამხედრო სამსახური არ გაიარეს, საჯარო სამსახურში არ მიიღებენ?

ლევან ბაჩაშვილი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე:

— ახალი პროექტი ძველისგან არსებითად არ განსხვავდება. ცვლილება მხოლოდ რამდენიმე პუნქტს შეეხება. კანონპროექტის მიხედვით, უნდა მოხდეს გავრცელების 2-იდან 1 წლამდე შემცირება. შედაგათები მხოლოდ დედისერთებს ექნებათ. ცვლილებებია იმ მოქალაქეებისთვისაც, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ: ახალი კანონით, მათ სამხედრო მომზადების ექსთენიანი კურსის გავლა მოუწევთ — მიუხედავად იმისა, გადიან თუ არა სამხედრო კათედრაზე სწავლებას. ეს ცვლილება ეხება, როგორც ფასიანი, ასევე უფასო სასწავლებლების სტუდენტებს. რაც შეეხება ფინანსურ ბეგარას — ეს საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია. ამაზე მსჯელობას მხოლოდ მაშინ შეგძლებთ, როცა კანონპროექტი პარლამენტში დაიდება. ცალკეულ შემთხვევებში, გამოვიცხადებ არ არის, რომ ჯარისგან თავის დასაღწევად, გარკვეული თანხის გადახდა კანონით იყოს გათვალისწინებული. თუმცა, უკვე ერთმნიშვნელოვნადაა გადაწყვეტილი, რომ ის პირები, რომელთაც არ ექნებათ გავლილი სამხედრო სამსახური, მაღალ თანამდებობებს ვერ დაიკავებენ. ხელისუფლებამ თავდაცვის სფერო, კარგა ხანია, პრიორიტეტულად გამოაცხადა. საზოგადოებამ ეს უნდა იგრძნოს და გაითავისოს.



23 ივლისს მოსკოვის „ინტერ-ფაქსის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა კოკოთმა განაცხადა: არასამთავრობო ორგანიზაციის — „იბერ-ირონის“ ხელმძღვანელი, ოსი ქალბატონი მაია ცაბოშვილი საქართველოს უშიშროების აგენტი ყოფილა და ოსებს, გადმობირების მიზნით, თანამდებობებსა და ფულს სთავაზობს... დღეს ქალბატონი მაია ჩვენი რესპონდენტია და თვალცრემლიანი გვესაუბრება ყველა იმ ტკივილზე, რომელიც მას ქართველებმაც და ოსებმაც მიაყენეს.

მაია ცაბოშვილი დედით ქართველი, მამით ოსი, საქმიანობით — „აგენტი“...

ნათია ქვიცია

— დავიბადე თბილისში. დედა წარმოშობით დუშეთიდან არის, მამა კი ლენინგორში (ახლანდელი ახალგორი. — ავტ.) დაიბადა. იმაზე, რომ ოსი ვიყავი, არც მიფიქრია ოდესმე, ყოველთვის ქართული აზროვნება მქონდა. 1989 წლიდან კი აღმოჩნდა, რომ ყველა სხვა ეროვნების ადამიანი ქართველებისთვის არასასურველი იყო. ამ ფაქტმა ჩემში დიდი პროტესტი გამოიწვია და მანამდე, თუ ოსური ენა და კულტურა არ ვიცოდი, ამის შემდეგ ორივე კარგად შევისწავლე. მაშინ გადავწყვიტე, რომ თუ უარს ვიტყვოდი ჩემს წარმომავლობასა და ეროვნებაზე, ეს ძალიან ცუდი იქნებოდა მთელი ჩემი ოჯახისთვის. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ისიც ოსია და ცაბოშვილი მისი გვარია. ჩემი ქალიშვილობის გვარი კი ჩიგოევია. ჩემს სულს ძალიან დიდი კვალი დააჩნია ერთმა შემთხვევამ. 90-იან წლებში ასეთი ფაქტი მოხდა: ქართული-ოსური კონფლიქტის დროს, შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ აკვანში მწოლიარე ქართველი ბავშვი იმსხვერპლა. იმ დროს ჩემი შვილები ცურვაზე დამყავდა. მშობლები გარეთ ვიყავით გამოსული და გაკვეთილის დამთავრებას ველოდით. საუბარში ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც ჩემი ბიჭი — ლაშა ძალიან უყვარდა, თქვა — ყველა ოსის ბავშვი აკვანშივე უნდა ჩაკლა, რომ მათმა ჯიშმა არ გაიხაროსო. მას ალბათ ვერც წარმოედგინა; რომ შეიძლებოდა, მეც და ჩემი შვილებიც ოსები ვყოფილიყავით. ამ ქალს ვუთხ-

არი: შენ ახლა, ფაქტობრივად, შვილი მომიკალი-მეთქი. ძალიან დაბნა, — როგორ მოგიკალიო? — გოცებულმა მკითხა. — ლაშა ოსია; არ ვიცი, როგორ შეგიძლია, ახლა ჩემი შვილი მოკლა და საღამოს შენს საღამოს „ნანა“ უმღერო-მეთქი... კარგად მახსოვს მისი შემფოთებული თვალები. ახლა ამაზე მშვიდად ვლაპარაკობ, მაგრამ მაშინ ეს ჩემთვის დიდი ტკივილი იყო. მერე ერთ-ერთმა მშობელმა (მამაკაცმა) იქ მყოფებს ასე მიმართა: ხალხო, რა მოგვდის? ნუთუ ჩვენ ის ერი ვართ, ვინც „ვეფხი და მოყმე“ დაწერა? საიდან გვაქვს ამდენი სიძულვილი?! ის პერიოდი ოსებისთვის აქ საცხოვრებლად მართლაც, ძალიან რთული იყო. ამიტომ კარგად მესმის იმ ხალხის, რომლებმაც ეროვნება შეიცვალეს ან საერთოდ დატოვეს თბილისი. მე ამის გაკეთება არ შემეძლო. პირიქით მოვიქეცი — ოსური ვისწავლე და ეს გავაკეთე ერთადერთი მიზნით: ყველასთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ მე ჩემი ღირსება მაქვს, პირველ ყოვლისა, ვარ ადამიანი — მაია ცაბოშვილი და მერე ვარ საქართველოს მოქალაქე, ოსი, მართლმადიდებელი და ა.შ.

— ამ დროს თქვენ რას გრძობდით ქართველების მიმართ?

— არასოდეს ვუბრუნებ ვინმეს ცუდ ქმედებას, რომლითაც ის ჩემ მიმართ გან-

ჩემი მეუღლე აბსოლუტურად აპოლიტიკურია და არაფერში ერევა. ჩემ შესახებ ინფორმაციას გლეჯიშორის საშუალებით იგებს ხოლმე...

იმსჯვალე. ყოველთვის იმის მომხრე ვარ, რომ ადამიანებმა უფრო მეტი სიბო და სიყვარული გასცენ, რათა მეტი მიიღონ. ყოველთვის ვცდილობ, ადამიანის იმ მოტივაციას ჩავწვდე, თუ რამ აიძულა, კონკრეტულ ცუდ ქმედებამდე მისულიყო. არ შეიძლებოდა, რომ ქართველები შემეშლებოდა, რადგან ჩემი ნახევარი ხომ ქართულია!.. ძნელია იცხოვრო იმ ხალხთან, რომელიც გბუღს. ასე რომ ყოფილიყო, აქ არ გავჩერდებოდი და სხვების მსგავსად დავტოვებდი საქართველოს.

— ახლა ცოტა რამ თქვენი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებასა და მის მიზანზე გვიამბეთ...

— ორგანიზაციას ჰქვია „იბერ-ირონი“: იბერია — საქართველო, ხოლო ირონი — ოსეთია. ორივე ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. მაშინ ვფიქრობდი, თუ როგორ დავხმარებოდი ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს. იმ პერიოდში არასამთავრობო სექტორები ჯერ ასეთი პოპულარული არ იყო. მივხვდი, რომ ბევრად მეტი საქმის გაკეთებას შევძლებდი, თუ არასამთავრობო ორგანიზაციას დავაფუძნებდი. 1999 წელს, მე და ჩემმა მეგობრებმა ამ საქმეს საფუძველი ჩავეყარეთ. ჩვენი მთავარი მიზანია, შეძლებისდაგვარად მოვაგვაროთ ოსურ-ქართული კონფლიქტი.

— როგორც ვიცით, ერთი თვის წინ ცხინვალის პოლიციამ დაგაკავათ...

— დიახ. ცხინვალში მეც და ჩემი თანამოაზრეებიც ძალიან ხშირად ჩავდიოდით. აქამდე იქ ჩასვლის პრობლემა არ მქონია, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ყოველთვის ღიად და საჯაროდ ვამბობ, თუ რას ვფიქრობ და რას ვაკეთებ. 15 ივლისს, როდესაც მე და ჩემი მეგობრები — დავით დარჩიაშვილი („სო-



როსის“ ფონდის აღმასრულებელი დირექტორი) და მამუკა ყუფარაძე (სტუდია „რეს“ რეჟისორი) ჩავედით ცხინვალში, თუმცა მანამდე, ისევე, როგორც ყველა ჩასვლისას, ჩვენი განზრახვის შესახებ ინფორმაცია ცხინვალის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მივაწოდეთ. მოგეხსენებათ, რომ იქ საკმაოდ მძიმე სიტუაციაა და ადგილობრივი მოსახლეობა ბევრ რაღაცას ცოტა სხვანაირად უყურებს, მათ თავიანთი სიმართლე აქვთ, მათი არგუმენტებიც აუცილებლად მოსასმენი და ზოგიც ალბათ, გასაზიარებელია. ცხინვალში ბოლო ჩასვლისას სწორედ იმას ვისახავდი მიზნად, რომ მათი სათქმელი აქაური საზოგადოებისთვის მომეწოდებინა. 15 ივლისსაც ამიტომ ჩავედით იქ მე და ჩემი მეგობრები. მაგრამ მოგეხსენებათ, შიშს დიდი თვალეები აქვს. მათ ჩათვალეს, რომ ჩვენ შეიძლება, სულ სხვა ინტერესები გვქონოდა და მართლმადიდებლური ეკლესიის ეზოში, როცა ადგილობრივ ქალბატონებს ვესაუბრებოდით, ავეცივანეს. განყოფილებაში მიგვიყვანეს და 6 საათის განმავლობაში ჩვენი დაკითხვა მიმდინარეობდა. ძალიან დიდი ფიზიკური ზეწოლა განახორციელეს ჩემს მეგობრებზე, ხოლო ჩემთან ურთიერთობისას მაინც ეყით კავკასიური კულტურა და რადგან ქალი ვარ, ხელი არ მანდეს, მხოლოდ მორალური შეურაცხყოფა მომაყენეს... ასე რომ, მხოლოდ ქართველებმა კი არა, ოსებმაც ძალიან მატყინეს გული. თუმცა, მათ მიმართაც არ გამჩენია სიძულვილის გრძობა, პირიქით – სურვილი გამიჩნდა, ჩავძიებოდი იმ მიზეზებს, რომლებმაც მათი მხრიდან ჩვენ მიმართ ასეთი ქმედება გამოიწვია. მათი ტკივილიც ხომ ბოლომდე გააზრებული არ არის აქეთა მხარისთვის?! ერთ-ერთი მათგანი – უფროსი ლეიტენანტი ჩემ მიმართ განსაკუთრებით აგრესიული იყო. მეუბნებოდა, რომ ქართველები საშინელი ხალხია, მაგრამ მე უფრო საშინელი ვარ, რადგან მათთან ვთანამშრომლობ. მანვე მითხრა, რომ თურმე, უშიშროების აგენტი ვყოფილვარ. ამის შემდეგ ვკითხე – ქართველების მიმართ ასეთი სიძულვილი რატომ გაქვს-მეთქი?! იცით,რა მიპასუხა?... – ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ქართველებმა მამა მომიკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ოსი იყო. ვუთხარი – ახლა მე და ჩემი მეგობრები სწორედ ამიტომ ჩამოვედით, რომ ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ შენმა შვილმა წლების მერე ზუსტად იგივე არ თქვას-მეთქი... მოკლედ, მათ ჩემს წინააღმდეგ არანაირი დოკუმენტი არ ჰქონდათ, ჩემი ვინაობაც გარკვევს და გაგვათავისუფლეს. სხვათა შორის, ბოლოს მითხრეს – როცა გენებოთ, მაშინ ჩამობრძანდითო.

— **კოკოითის განცხადებაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

– (იციანის) ვფიქრობ, არ შეიძლება, რომ კოკოითის ამ განცხადებას სერიოზულად მივუდგეთ. მხოლოდ მაღლობას მოვასხენებ მას ჩემი „რეკლამირებისთვის“. ეს ინფორმაცია პირველად ჩემი მეგობრისგან მოვისმინე, რომელმაც მითხრა, რომ თურმე ოსებს ქართული მხარიდან გარკვეული შეთავაზებები ჰქონიათ და ისინი ნინო ბურჯანაძის, ვლადიმერ გუცავეისა და ჩემი მეშვეობით მიაწოდეს დე ფაქტო ხელისუფლებას. თავიდან მეგონა, რომ ამ ინფორმაციის მოსმენისას ჩემს მეგობარს ჩემი სახელი და გვარი მოესმა, მაგრამ მოგვიანებით იგივე ტექსტი საკუთარი ყურითაც მოვისმინე. კოკოითს ალბათ ამის თქმის მიზეზები ჰქონდა და ძალიან მინტერესებს, რა ფაქტებს დაეყრდნო. ისიც უთქვამს – როცა საჭირო იქნება, მზად ვართ, ამ ადამიანების მამხილებელი დოკუმენტები წარვადგინოთო. ძალიან მინდა კოკოითს ასეთი კითხვა დაუსვა: ამ განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, მე მათ ხელში ვიყავი, თუ ერთი დოკუმენტი მაინც ჰქონდათ ჩემს წინააღმდეგ, რატომ გამათავისუფლეს?..

— **როგორც ვიცო, უახლოეს დღეებში ისევ აპირებთ ცხინვალში წასვლას. რაიმე კონკრეტული მიზანი გაქვთ?**

– ახლა შემოთავაზება მათი მხრიდან იყო, მაგრამ ნება მომეცით, რომ ამ საკითხზე დავწვრილებით არ ვისაუბრო, რადგან მათი მხრიდან არის მოთხოვნა, რომ ეს ვიზიტი გასაიდუმლოებული იყოს.

— **მეუღლე თქვენს ამ საქმიანობაში არ ერევა?**



ქ-ნი მაიას ქალიშვილი – ქეთი

ქ-ნი მაიას უმცროსი შვილი – ლაშა




– ჩემი მეუღლე აბსოლუტურად აპოლიტიკურია და არაფერში ერევა. ჩემ შესახებ ინფორმაციას ტელევიზორის საშუალებით იგებს ხოლმე... თუმცა, ძალზე ღირსეული მეუღლე და კარგი ადამიანია.

— **როგორ ფიქრობთ, — კონფლიქტი ბოლოს და ბოლოს, მოგვარდება?**

– ახლა საშუალება გვაქვს, პარალელი გავავლოთ ახლანდელ და 90-იან წლების მდგომარეობას შორის. თუ საქართველოში არსებულ ეთნოკონფლიქტებზე ვისაუბრებთ და გათვალისწინებული არ იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი – რუსეთი, – ვერაასოდეს გავცემთ პასუხს კითხვას, თუ რატომ ხდება ასე. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთს კავკასიაში თავისი კონკრეტული ინტერესები აქვს. საქართველო მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. როცა რუსეთის გავლენის შესუსტების საფრთხე იქმნება, ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს არ დაუშვას. ეს იყო აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზი და ახლაც ასეა. სწორედ ახლა არის რუსეთი ყველაზე დაკნინებული და ახლა კარგავს ის გავლენის სფეროს კავკასიაში. ამიტომ ის დღეს ყველაზე აგრესიული და უფრო ჭკვიანიცაა... თქვენთან მოსვლამდე ერთ ჩემს მეგობარს შევხვდი, რომელსაც ვკითხე გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, თითქოს ჩვენები და ქისტები ქართველების მხარეს ბრძოლას აპირებენ. რა თქმა უნდა, ეს სიცრუეა. რუსები ცდილობენ, რომ კავკასიელი ხალხები ერთმანეთს დაუპირისპირონ. სამწუხაროდ, მსგავს მარტივ ანკესზე ქართველები ხშირად წამოგვებულვართ... ჩვენ, ადამიანებმა საკუთარი თავი უნდა დავარწმუნოთ, რომ არ შეიძლება ვიღაცის ხელში ბრმა იარაღად ვიქცეთ, რადგან ომის დროს ძალიან ძნელია მტყუნამართლის გარჩევა; ოსეთის კონფლიქტი აუცილებლად უსისხლოდ და უახლოეს მომავალში უნდა მოგვარდეს.



ტელეკომპანია „მზის“ პირდაპირ სატელევიზიო ეთერში ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მოულოდნელად, უცნაურ სიტყვა წარმოთქვა. მისმა ოპონენტმა, პარლამენტარმა ლევან გაჩეჩილაძემ აღშფოთება ვერ დაფარა და სიტყვა შეუბრუნა. გადაცემის წამყვანები — ნინო ჟიჟილაშვილი და ირაკლი იმნაიშვილი ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ...



„ლევანი კარგა ხანს იჯდა გაოგნებული და წაჰიდა აღუფრთხილებელი... მინისტრი კი ეთერით კაჟოფილი დარჩა“

მარი ჭაჭარიძე

საინტერესოა, რომ წინააღმდეგ, ტელეჟურნალისტი ნინო ჟიჟილაშვილს რუბრიკისთვის — „საპატარძლო“ (იხ. მე-9 გვ.) — ინტერვიუს ჩასაწერად შევხვდი. სხვა კითხვებთან ერთად, მისი გადაცემების სტუმრებზეც დაუფიქრებელი კითხვა და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„— როგორ უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, ერთ-ერთი საუკეთესო რესპონდენტი იყო კახა ბენდუქიძე (იგულისხმება 1 თვის წინანდელი გამოსვლა. — ავტ.), რადგან მან მოაწყო საკმაოდ კარგი შოუ. იმ დღეს ჩვენი გადაცემა მეორედ გადადიოდა ეთერში და მისმა უცნაურმა ქცევამ გადაცემის რეიტინგი ასწია. მან მიუღებელი რაღაცები თქვა და ჩვენც გაოცებული დაგეტოვა, მაგრამ მაინც საუკეთესო რესპონდენტად დარჩა. — გადაცემის ბოლოს, ზომ არ მოგიბოდიშათ? — არა, არც გამოუთქვამს ამის სურვილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამოწინავედ მოვიწვევდით ჩვენს ეთერში კიდევ ერთხელ“. მოიწვიეს კიდევ და... კვლავ ინციდენტი. იმის გასარკვევად, თუ როგორ დასრულდა იგი, უკვე კადრს მიღმა, კვლავ **ნიტო ჟიჟილაშვილს** დაუკავშირდით.

— ბატონმა კახამ თქვენთან პირდაპირ ეთერში კვლავ „გამოიჩინა“ თავი...

— სწორედ რომ ასეა. საუბარი ეხებოდა „თბილავიამშენის“ გაყიდვას. ვინაიდან პარლამენტის სხდომაზე ბატონი კახას პროექტს ლევან გაჩეჩილაძე ყველაზე მეტად შეეწინააღმდეგა, გადაწყვიტეთ, ლევანი სტუდიაში მოგვეწვია, ბატონი კახა კი, მისი კაბინეტიდან, პირდაპირი ჩართვით

გაგვეშვა ეთერში. როდესაც ლევანმა ჩამოთვალა თავისი არგუმენტები და აღნიშნა — მინისტრი საზოგადოებას ატყუებს, რადგან ობიექტის გაყიდვა გაუმჭვირვალედ ხდება, — ბენდუქიძემ ძალზე ცუდი ფორმით მიმართა მას და ყოველგვარი შესავლის გარეშე უთხრა — „**ПОШЕЛ НА Х...**“ ლევანმა პასუხად იგივე დაუბრუნა: „**САМ ПОШЕЛ НА Х...**“ ასეთი რამ ქართული ტელეკომპანიების ისტორიას არ ახსოვს. ასეთი სიტყვებით ერთმანეთისთვის პირდაპირ ეთერში არავის მიუმართავს. პრინციპში, ჩვენ მზად ვიყავით, საკმაოდ „მიძიმე“ ეთერისთვის, რადგან კახას ბუნება კარგად ვიცით. მაგრამ ასეთ რამეს მაინც არ ველოდით. არ გვეგონა, თუ ასეთი შოუ გამოვიდოდა... ასეთი რამ მაყურებელს არასდროს ავიწყდება. ირაკლი იმნაიშვილმა იკისრა დაძაბულობის განმუხტვების როლი, მაგრამ...

— მაგრამ მინისტრი არ დაშოშმინდა, ხომ?

— ვფიქრობ, კახა ბენდუქიძეს ჰქონდა ძალზე დიდი სურვილი, რომ თავის სიმართლეში დაერწმუნებინა როგორც მაყურებელი, ასევე ოპონენტი, მაგრამ მას წინ გაუსწრო ემოციამ...

— რა მოხდა პირდაპირ ეთერის შემდეგ?

— არ ვიცი, რადგან ლევანი წავიდა, კახა კი, ჩვენგან შორს იყო. თუმცა, ეთერის შემდეგ, ლევანი კარგა ხანს იჯდა გაოგნებული და შემდეგ, წავიდა აღუფრთხილებელი. ჩვენი კორესპონდენტისგან კი, რომელიც მინისტრის კაბინეტში იმყოფებოდა, შევიტყვეთ, რომ ბატონი კახა ძალზე კმაყოფილი დარჩა პირდაპირი ეთერით...

გვაინტერესებდა, თუ რა კომენტარს გაუკეთებდნენ მომხდარს თავად „დეულანტები“.

ლევან გაჩეჩილაძე:

— ეს არ განსაზღვრავს მხოლოდ ამ ობიექტის გამო წარმოქმნილი დაპირისპირება. ეს განსაზღვრავს პროცესი იმ პროცესის მიმართ, რომელიც მიმდინარეობს ქართულ ეკონომიკაში. პრივატიზაციის ისეთი ფორმა, როგორსაც კახა ბენდუქიძე აწარმოებს, ჩემთვის მიუღებელია. ეს განსაზღვრავს საზოგადოებისთვის თვალის ახვევა და მეტი არაფერი. ადამიანს საკუთარი თავი „კიტრი“ ეგონოს და სხვა არაფერი?... ასეთი არაფერი გამიგია. კახა თვლის, რომ არც ერთი ნორმალური ადამიანი საქართველოში არ ცხოვრობს, აქ ყველა — საშინელი და ეგოისტი, თვითონ კი, ზეადამიანია... სინამდვილეში, ის განსაზღვრავს ქართული გვარის მქონე რუსი. უფრო მეტიც, ქართული გვარის მატარებელი კონსოპოლიტია. ჩემი პროტესტი არ განსაზღვრავს კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს განსაზღვრავს იმ ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც ის აწარმოებს. ჩვენ კი, არ დავუშვებთ, რომ მან თავისებურად გააკეთოს ყველაფერი, რადგან ეს არის საქართველო და არა რუსეთი.

— ფიქრობთ, რომ თქვენს პრინციპს გაიტანთ?

— ახლა მე გავუზავნი წერილს და მოვთხოვ ყველა იმ საბუთს, რომელსაც მალავენ. ამას დრო სჭირდება, მაგრამ სექტემბერში ნათელს მოვფენ ყოველივე იმას, რაც ეკონომიკის სამინისტროში ხდება, კონკრეტულად „თბილავიამშენთან“ და სხვა ობიექტებთან დაკავშირებით.

— რას იტყვით მისი „ლაშაზი“ სიტყვების შესახებ, რომელიც „მზის“ პირდაპირ ეთერში გითხრათ?

— კახა არის რუსეთში გაზრდილი ადამიანი და ჩვეულებრივი, რუსული ჟარ-

გონი ისროლა პირდაპირ ეთერში. გაზეთების და ჟურნალების საშუალებით ხომ არ დაუწყო სამაგიეროს გადახდას?! შემხვედრება და ორიოდ „ტკბილ“ სიტყვას ვუტყვი... პასუხი იქვე მეც დაუბრუნე, პირდაპირ ეთერში. მაგრამ პირისპირ ნათქვამს სხვა ხიბლი აქვს. საერთოდ, ძალზე მაინტერესებს, ვინ არის კასა ბენდუქიძე, საიდან მოდის ან საქართველოსთვის რას წარმოადგენს და რომ გავარკვევ, შეხვედრისას ჩემს აზრსაც იქვე აუხსნი ორი სიტყვით...

ბატონ მინისტრთან დაკავშირება ვერ მოხერხდა — თბილისში ჩამოსულ თურქ ბიზნესმენებთან ერთად გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე იმყოფებოდა და მის ნაცვლად, კომენტარი ეკონომიკის სამინისტროს პრესსმსახურის უფროსს, **ეკა ბაბადაძეს** ვთხოვეთ.

— სატელევიზიო ჩართვის დროს, ბატონი კასას კაბინეტში იმყოფებოდით?

— რა თქმა უნდა. ეს ჩემი მოვალეობაა.

— ბატონ კასას, ეთერის შემდეგ, ბატონ ლევანთან დაკავშირება და ბოდიშის მოხდა ხომ არ უცდია?

— რატომ უნდა მოუხადოს მინისტრმა ბოდიში?... ლევან გაჩეჩილაძეს ახლა აქეთ აქვს ბოდიში მოსახდელი, რადგან მინისტრს შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც პირდაპირ ეთერში უთხრა — გვატყუებთო. მინისტრს ბუნებრივი რეაქცია ჰქონდა...

— და რამდენადაც ვიცით, პირდაპირი ეთერით კმაყოფილიც დარჩა...

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა, რადგან მან შეძლო, სრულად გამოეხატა თავისი პოზიცია და დაემტკიცებინა, რომ რასაც აკეთებს, აბსოლუტურად გამართლებულია.

— ე.ი. არ ფიქრობთ, რომ ასეთი გამოხდომის შემდეგ, მინისტრის რეიტინგს ზიანი მიადგება?

— არა, რატომ?... როგორც ჩვეულებრივ ადამიანს და მაყურებელს, მიმაჩნია, რომ მინისტრმა თავისი სათქმელი ბოლომდე თქვა და მის მიერ გატარებული კურსის სამართლიანობის დამტკიცებაც შეძლო. ეს ჩემი აზრი გახლავთ, რადგან მე ნამდვილად ვერ ვთხოვ ბატონ კასას, გააკეთოს კომენტარი იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც პირდაპირ ეთერში მოხდა. თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“, სადაც მინისტრი ამჟამად, ეკონომიკურ ფორუმზე იმყოფება და თავად ჰკითხოთ. თუმცა, არ გირჩევდით, რადგან შესაძლოა, საკითხი გაამწკავოთ და შესაბამისი პასუხი მიიღოთ.

ამ დეპუტატების, ვარსკვლავებისა და მოდელების გადამკვიდრს, კოლეგები უყურადღებოდ დამრჩა. არადა, უამრავი ჟურნალისტიკა გასათხოვარ-დასაქორწინებელი და დროა, მათაც მივხედოთ. დღეს ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტს, ნინო ჟიჟილაშვილს წარმოგიდგინებ „საპატარძლოს“ ამპლუაში. უფუტუბებს თუ არა გაუთხოვრობა ხასიათს, რატომ არ ამხელს პირადი ცხოვრების დეტალებს და რატომ მიაჩნია შალვა ნათელაშვილი ერთ-ერთ საუკეთესო რესპონდენტად — ყოველივე ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.



ნაზა ბაბადაძე ნინო ჟიჟილაშვილი მამყვანებს

მარი ჩაშარიძე

— გაგვაცანი შენი ოჯახი.
— ვცხოვრობ ძალზე დიდ ოჯახში. დედა, მამა, დეიდა, დეიდის მეუღლე, დეიდაშვილი, რომელიც 12 წლის გახლავთ და კიდევ ერთი გაუთხოვარი დეიდა.
— რამდენი წლის ხარ?
— 32-ის.
— დაგვისასათუ შენი თავი...
— საერთოდ, ძალზე კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ. ამიტომ თავის ქებას ვერ მოვყვები. ვარ ძალზე მკაცრი, ხანდახან ბრაზიანი. არ მიყვარს ადამიანებთან უცებ განმარტება. მყავს ძალზე ბევრი მეგობარი, მაგრამ მათთან ურთიერთობაშიც ყოველთვის მაქვს ზღვარი. არავის ვახელებ ჩემს შინაგან სამყაროში. ამის გამო ყველას მიმაჩნია, რომ ვარ ჩაკეტილი ადამიანი. თუ ვინმე შევიყვარე, მისთვის მაქსიმალურად ვინარჯები, თუმცა, ეს იშვიათად ხდება. ცოტა ზარმაციც ვარ და ძალზე მიყვარს ძილი. ოჯახში ყოველთვის მსაყვედურობენ ამის გამო. საქმიან ადამიანებს 7-

8 საათი ძილი ჰყოფნით და მე მშურს ისეთი ადამიანების, ვისაც შეუძლია, რომ დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში აღიღონ ენერჯია და კვლავ ხალისიანად აკეთონ საქმე. მირჩვენია, შუალაქმდე ვიძუშაო, ვიღრე დილით ადრე ავღვი.

— ხშირად იბუტები?

— არა, ბუტია არ ვარ. რომ გავბრაზდები, სულ ცოტა ხანს თუ მასსოვს, რომ ნაწყენი ვარ, მერე მავიწყდება. შესაძლოა, ისიც კი დამავიწყდეს, თუ რატომ ვიყავი გაბრაზებული. გულში ბოლმას თუ დაიტოვებ, ისევ შენთვის არის ცული. ვერ ვიტან უპასუხისმგებლობას. საკუთარი თავის მიმართაც მომთხოვნი ვარ და სხვებისგანაც იმავს მოვითხოვ. ყვირილი არ მწევია, სათქმელს მშვიდად ვამბობ. საკუთარ თავსა და ემოციებს ყოველთვის ვაკონტროლებ. არც პრეტენზიული ვარ. ვცდილობ, ჩემი კარიზებით გარშემო მყოფები არ შევაწუხო.

ერთი ტაბლეტი ხახოილი
თქვენს ტკივილს
სწრაფად და უკვალოდ გააქრობს!
ხახოილი - დაემგვიდობათ ტკივილს! **GMP**
პი-მ-პი



სიტყვა „აკაცები“ ძალზე ბევრ კრიტიკრიუმს აერთიანებს. მომწონს ადამიანები, ამ სიტყვის სრული გაგებით...

— ხშირად ტირი?

— არა, მტირალა არ ვარ. სენტემენტალიზმი ჩემგან შორს არის. ძველად ვლერი ცრემლს. გადაწყვეტილების მიღების დროს, ინტუიციას უფრო ვენდობი ხოლმე. იშვიათად ვმოქმედებ გულის კარნახით. ამიტომ არ მიწევს ტირილი...

— ამბობენ, რომ თუ ქალი 30 წელს გადასცილდა და ისევ გაუთხოვარა, საშინლად უფუჭდება ხასიათი, ხდება ჯუჯულუნა და „სტერვა“...

— არა, არა, ხასიათი არ შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში, არავის უთქვამს, რომ ცუდი გავხდი... ჯუჯულუნა არც წინაც მჩვეოდა და არც — ახლა. არც „სტერვა“ ვარ, პირიქით — ძალზე თბილი და კონტაქტური ვარ.

— ახლა შენი მზითვე ჩამოთვალე.

— მზითვე? ამ მხრივ სახარბიელოდ არ მაქვს საქმე. ახლა ალბათ უნდა ჩამოთვალო 20X20-ზე ვენახი, „ვოლგა“ გარაჟში და ა.შ. მაგრამ მზითვად წავიყვან ჩემს პატარა პუდელს, რომელიც ძალზე მიყვარს და აუცილებლად ჩემთან უნდა იყოს. კიდევ, ჩემი მზითვე არის ჩემი დიდი ოჯახი, მაგრამ არც ერთ წვევს თან არ წავიყვან. უბრალოდ, მათთან ძალზე ხშირი კონტაქტი მექნება...

— იქნებ, ბავშვობის დროინდელი გატაცებები გაისხნო? ხშირად იყავი შეყვარებული?

— საერთოდ, პირადი ცხოვრების ინტიმურ მხარეებზე საუბარი არ მიყვარს. ამიტომ ასეთ ამბებს ჩემთვის დავიჭოვებ.

— ნუთუ არავის გასხენება არ გინდა?...

— წარსულში არასოდეს ვიქექები. ნამდვილად არ მივტირი წარსულს. ვთვლი, რომ იღბლიანი ადამიანი ვარ, მიმართლებს და ამიტომ წარსულზე ფიქრისთვის ვერ ვიცილი. ჩემ გარშემო უამრავი ნიჭიერი

ადამიანია, რომელიც უმოშვევარია და თავისი ნიჭის რეალიზებას ვერ ახდენს. მე კი ამის საშუალება მაქვს. ვმუშაობდი ტელეკომპანია „ბერიაში“ საინფორმაციო სასახურის უფროსად, შემდეგ — „პირველ არხზე“ ჟურნალისტად, ახლა კი, ტელეკომპანია „მზის“, „დამის მხერაში“ ვარ, რაც ჩემთვის ძალზე სასიამოვნო და საამაყოა. მუდამ მოძრაობაში ვარ, ვმუშაობ და ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს. ამიტომ დიდი ხანი უფრო მიზიდავს, ვიდრე წარსულზე ფიქრი.

— ოჯახში არ გასაყვედურობენ იმის გამო, გაუთხოვარი რომ ხარ?

— არა, ამის გამო არასოდეს მსაყვედურობენ. მეც მაინცდამაინც მოწადინებული არ ვარ, თორემ, ადენი ხნის განმავლობაში ალბათ მოვანერხებდი ოცნების პრინციის მოძებნას. საერთოდ, აქტიური ქალი არ ვარ და კაცებს არასოდეს ვაბამ.

— შეყვარებულობისას იცვლები ხოლმე?

— შესაძლოა, მეტი სტიმილი რომ მექონდეს, უფრო აქტიური გავხდებ. ასეთ დროს, ადამიანმა იქნებ, „იფორინოს“ კიდევ. მაგრამ ძირითადად მაინც არ ვიცვლები.

— ახლა ისიც გვითხარო, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— სიტყვა „აკაცები“ ძალზე ბევრ კრიტიკრიუმს აერთიანებს. მომწონს ადამიანები, ამ სიტყვის სრული გაგებით. მამაკაცი უნდა იყოს ხალისიანი, იუმორის გრძობითი. მე ზედმეტად მშვიდი ვარ, ამიტომ ცოცხალი ადამიანები მომწონს. ორ ადამიანს შორის უნდა მოხდეს ხასიათების თანხვედრა. მატერიალურ მხარეს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ძალზე პრეტენზიული არ ვარ, ამიტომ მცირედიც მაკმაყოფილებს. ყველა ადამიანს, მათ შორის, მამაკაცებსაც ყოველთვის ვაკვირდები თითებზე. ზოგიერთ ადამიანს აქვს „ჯოუტი“ თითები, ზოგიერთს — „მშვიდი“ ან „კაპასი“. ხშირად შემხვედრიან ადამიანები, რომელთაც „ნერვიული“ ხელები აქვთ, ან ლამაზი, მაგრამ ნერვების მოშმელები. თითებზე დაკვირვებით ზუსტად შემიძლია ადამიანის ხასიათის ამოცნობა. ჯერჯერობით არასოდეს შევმცდარვარ. მამაკაცი არ უნდა იყოს მატყუარა. ყოველთვის ალალი, სუფთა ურთიერთობის მომხრე ვარ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არ უნდა იყოს ლოთი და ნარკომანი. თუმცა, ასეთი ადამიანები ჩემ გარშემო არც არიან.

— მხიარულება გიყვარს?

— მიყვარს მეგობრების წრეში ყოფნა და მოღვინა. არ მიზიდავს „სეგესკი“ „სასტაყები“ და მათთან ერთად სადმე წასვლა, მაგრამ ძალზე ახლობელ ადამიანებთან შემოიღია უზომოდ ვიშხიარული, რადგან მათთან გაცდობით თავისუფლად ვვრძობ თავს.

— გამორჩეულად საყვარელი რე-

სონდენტები თუ გყავს?

— არსებობს ორი კატეგორიის რესპონდენტი — საინტერესო და ნაკლებად საინტერესო. ძალზე კარგი რესპონდენტია შალვა ნათელაშვილი. დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც რესპონდენტი არ გიბრაზდება, არ გიბლევს და აგრესიას არ გამოხატავს. მართალია, ბატონი შალვას გაჩერება პირდაპირი ეთერის დროს და მისი მოთოკვა ძალზე ძნელია, მაგრამ ყოველთვის საინტერესოდ საუბრობს და არ არსებობს კითხვა, რომელზეც იგი არ გიპასუხებს. ზოგი ისეთი გაბრაზებული გარბის რედაქციიდან, არც გვემშვიდობება. უკანმოუხედავად გარბიან, ფეხი უბრუნდებათ, ეცემიან, უკან არც იხედებიან. მაგრამ ეს მხოლოდ მათი პრობლემაა. ზოგიერთი, მაკაიჯის გაკეთებისას ჯუჯულუნებს, ზოგიერთი კი მეტად სასაცილოდ ითხოვს — აქ ტონი დამადეთ, იქ პუდრი დამიმატეთ, საფუძვლიანი მაკაიჯი გამიკეთეთ. ერთ რესპონდენტ მამაკაცს სველი ხელსახოცი მივწოდეთ, რომ გადაცემის ბოლოს მაკაიჯი მოემორებინა, მაგრამ მადლობა გადაგვიხდა და გვითხრა: — შინ სპეციალური, მაკაიჯის მოსაცილებები „მალაჩკო“ მაქვს და მე თვითონ მოვწვეს-რიგდები.

— გაუთხოვარი დეიდა რჩევებს არ გაძლევს ხოლმე?

— დეიდაჩემი ექიმია, რეანიმატოლოგი, მუშაობს და ჩემსათვის ვერ იცლის პირადი ცხოვრებისთვის. ჩვენ ამ თემაზე არასოდეს ვსაუბრობთ და არ მეუბნება ხოლმე: — ზომ ხედავ, მე რა დამემართა? დროზე გათხოვიდი, შინაბერად არ დარჩეო.

— საოჯახო საქმე თუ გეხერხება?

— ეს კითხვა ჩემთვის, როგორც „საპატარძლოსთვის“, მეტისმეტად ჩამჭრელია. ოჯახში უამრავი ქალი ტრიალებს, ამიტომ არასოდეს მიწვედა საქმის კეთება. მე და სამზარეულოს ძალზე „მძიმე“ ურთიერთობა გვაქვს. მე და მამა ზაფხულობით მართლ რომ დავრჩენილვართ, „სოუსიც“ გამიკეთება, მაგრამ ეს საამაყო სულაც არ არის. ერთხელ მჭადის გამოცნობა ცვადე და ისეთი მასინჯი მჭადები გამომივიდა, რომ სირცხვილით ვერსად გამოაჩენდი. შემდეგ დეიდაჩემმა მასწავლა, როგორ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ არ ვიცი, გამომივა თუ არა, რადგან პრაქტიკულად აღარ განმიხორციელებია, მხოლოდ თეორიულად ვიცი. როდესაც დამჭირდება, ყველაფერს ვისწავლი და გავაკეთებ.

აი, ასეთი „არაპროფესიონალი“ მეოჯახე, მაგრამ პროფესიონალი ჟურნალისტი „საპატარძლო“ გყავს. მოგეწონათ? მაშინ დაგვირეკეთ ან დაგვიმისიჯეთ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. ნინოს გათხოვების დრო ნამდვილად მოუვიდა, მჭადის გამოცნობას კი უჭველად ისწავლის.



შვილთან ერთად

ლევა ჭანკოტაძე

— ქალაქ პაიმ-სპრინტში, რომელიც კალიფორნიის შტატში მდებარეობს, ულამაზესი კონკურსი ჩატარდა. ჯერ ნიუ-იორკში ჩავფრინდით, შემდეგ 6 საათი ვიფრინეთ ლოს-ანჯელესამდე. იქიდან კი პატარა თვითმფრინავით გადავფრინდით პაიმ-სპრინტში. ეს არის უდაბნო, სადაც ძირითადად ხელოვნური ოაზისებია. 10 დღე პაიმ-სპრინტში ვიყავი, 10 დღე კი — ნიუ-იორკში. „მისის გლოუბის“ თბილისის ფილიალის დირექტორმა იცის, ნიუ-იორკის სიყვარულით რომ ვარ დაავადებული და საჩუქარი გამიკეთა — ბილეთი იმ რეისზე ამიღო, რომელიც 10 დღის შემდეგ მოფრინავდა თბილისში. ასე რომ, არაჩვეულებრივი დასვენება გამომივიდა.

— კონკურსის შესახებ უფრო კონკრეტულად მიაამბე.

— კონკურსს ჰქვია „მისის გლოუბი“. „მისის“ გათხოვილ ქალს ნიშნავს, ამიტომ კონკურსის მონაწილეთა უმეტესობას შვილები ჰყავდა. „მისის გლოუბის“ პრეზიდენტი გახლავთ ტრეისი კემბელი. მისი ინიციატივით დღეში ორჯერ მიმდინარეობდა ლექციები ქალის ცხოვრების, მისი პრობლემების შესახებ. გვეუბნებოდნენ, როგორ უნდა მოვქცეულიყავით კონკრეტულ სიტუაციებში. ის პრობლემები, რომლებიც ასე გვაწუხებს ქართველ ქალებს, არც ამერიკელი ქალებისთვის ყოფილა უცხო.

— რამდენად პრესტიჟულია ეს კონკურსი?

— ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ მოწვეული ჟურის წევრები, ფოტოგრაფები და ქორეოგრაფები. სულ 50 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩამოვიდა ლევა — 2003 წლის „მისის

ნათია მბძბაძე ახლახან დაბრუნდა სილამაზის კონკურსიდან, რომელიც აშშ-ში გაიმართა. მან წლის საუკეთესო მონაწილის პრიზი აიღო. ამასთანავე, ის ყველაზე გაბედული და თამამი სულის მქონე მონაწილედ დაასახელეს. კონკურსიდან ნათია საუკეთესო შთაბეჭდილებებით დაბრუნდა.

„მისის გლოუბის“ კონკურსში გამარჯვებული ქართველი მოდელი ამერიკიდან უამრავი საჩუქრით ხელაგვიანებული დაბრუნდა

გლოუბის“ გამარჯვებული. ულამაზესი ქალბატონია. ძალიან დამეგობრდით. არაჩვეულებრივი ადამიანია. პაიმ-სპრინტში ორი კონკურსი ტარდებოდა — „მისის გლოუბი“, რომელშიც მე ვმონაწილეობდი და „მისის ამერიკა“. იქ გამარჯვებული გაიხად 2005 წლის „მისის გლოუბის“ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. ყოველდღე არაჩვეულებრივი სანახაობები იმართებოდა. ასე მგონია, სამოთხეში ვიყავი.

— შენს ჩაცმულობაზე ვინ იზრუნა? ალბათ, რამდენიმე კაბის შექმნა მოგიხდა, ხომ?

— წინასწარ ვიცოდი, რაც დამჭირდებოდა. ამიტომ ტანსაცმელი თბილისში თამუნა ინგოროყვასთან შევიკერე. თითოეულ საღამოზე ვიცოდით, როგორი კაბა უნდა ჩავიცვავ. მაკა ასათიანმა საღამოს კაბა შემიკერა. ეს კაბა მეცვა და ღია ცის ქვეშ ვიმდერე მამუკა ჩარკვიანის სიმღერა — „ირინოლა“. ყველა მოვხიბლეთ. მომდევნო დღე მთლიანად ცეკვას დაეთმო, რის შემდეგაც გაიმართა დაჯილდოება. მე მივიღე პრიზი — „საუკეთესო მოცეკვავე“. ეს ჩემთვის ძალზე ძოლოდნელი გახლდათ. რომ გამოაცხადეს — „მისის საქართველო“ — სიხარულისა და სიამაყისგან კინადამ ვიტირე, საერთოდ, ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მე ვიყავი რესპუბლიკიდან „ჯორჯია“, რადგან იქ იყო „მისის ჯორჯიის შტატი“ და სულ ერთმანეთში ერეოდით... ერთი საღამო სპორტულ თამაშებს დაეთმო, ბოულინგის კლუბში წავგიყვანეს, ჩვენი სპორტულობა რომ შეემოწმებინათ. ყველაზე მეტი ქულა დაგავროვე და გავიმარჯვე. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ დამასახელეს „წლის საუკეთესო კონკურსანტად“. ეს ძა-

ლიან დიდი ჯილდოა და შესაბამისად, განსაკუთრებით საპატიოც.

— კონკურსის შემდეგ, საქმიანი წინადადებებით თუ მოგმართეს? კონტრაქტი ხომ არ გაგიფორმებია რომელიმე სააგენტოსთან?

— კონკურსზე ჩამოსულები იყვნენ ამერიკის დანტისტა ასოციაციის წევრები. მათ უნდა აერჩიათ გოგონები, რომლებსაც „გაუკეთებდნენ“ ე.წ. „პოლიველურ ღიმილს“. მე ორმა სტომატოლოგმა ამირჩია. ერთი ფლორიდაში მეპატიჟებოდა, მეორე — კალიფორნიაში. მაგრამ ამ წინადადებით ვერ ვისარგებლე, რადგან ლამაზი ღიმილის „გაკეთებას“ ორი კვირა სჭირდებოდა, მე კი 10 დღის შემდეგ, თბილისში უნდა წამოვსულიყავი, თორემ, ახლა ლამაზი კბილები მექნებოდა და ყველას გაავოცებდი. ჩემით დაინტერესდა სააგენტო „მიშელ-პომიე“, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილი სააგენტოა, ნიუ-იორკში კი ახლა ხსნის ფილიალს. თანამშრომლობა შემომთავაზეს. დამირეკავენ და მიმიწვევენ. მაგრამ მე იქ საცხოვრებლად წასვლა და ყველაფრის ნულიდან დაწყება არ მინდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ კონკრეტულად მეტყვიან, რომელ ჩვენებებში უნდა მივიღო მონაწილეობა.

— როგორ გაატარე 10 დღე ნიუ-იორკში?

— ნიუ-იორკში ჩემი მეგობარი ნინო ჩქარეული ვნახე, რომელმაც სამოდელი



თუ ვინმეს სწორი სიარული და მისრა-მოსრა გაუჭირდებოდა, მაშინვე მებძბდნენ — „მისის ჯორჯია“, მიდი, დაეხმარეო

ბიზნესი მიატოვა და ახლა მთელ დროს სწავლას უთმობს. იქ ცხოვრობს მამაჩემიც. ის აერობორტში დამხვდა და მობილური ტელეფონი მომცა, რათა იქაური ნომერი მქონოდა და ჩემთან დაკავშირება უპრობლემოდ მოეხერხებინა. ყოველ 15 წუთში მირეკავდა. გოცებულები იყვნენ კონკურსის მონაწილეები – ამდენს ვინ გირეკავსო? ჩემი წარმატების შესახებაც პირველმა მამაჩემმა შეიტყო. მომცეს პრიზი – „ყველაზე პატრიოტი, თამამი სულის მქონე და გულადი მონაწილე“. ასაკით ყველაზე პატარა ვიყავი. თან, სხვა მონაწილეებისგან გამოვიჩინე – იქ ჩემ გარდა, პროფესიონალი მოდელი არავინ იყო. ამიტომ თუ ვინმეს სწორი სიარული და მიხრა-მოხრა გაუჭირდებოდა, მაშინვე მეძახდნენ – „მისის ჯორჯია“, მიდი, დაეხმარეო.

— **თბილისში ალბათ, ბევრი გულშემატივარი გაყვდა...**

— აერობორტში ჩემი ახლობლები დამხვდნენ. ძალიან ბედნიერები იყვნენ, ისინიც და მეც. უამრავი საჩუქარი და სუვენირი ჩამოვიტანე. ერთმა სინგაპურელმა გოგომ თავისი კაბა მაჩუქა: ვუთხარი – მომწონს-მეთქი. კაბა გაურეცხავს და მეორე დღეს მომიტანა!.. ბევრი მეგობარი შევიძინე. ორი დღეა, ჩემი „მიელი“ არ

შემიმოწმებია, დარწმუნებული ვარ, ბევრი წერილი მომივიღოდა.

— **კონკურსის ორგანიზატორებს შარშანდელი ქართველი მონაწილე — თიკა ფაცაცია თუ ახსოვთ?**

— თიკაზე იქაურები შეყვარებული არიან. ყველა მეკითხებოდა – თინას თუ იცნობ? ძალიან ლამაზი და ყველაზე კარგიაო!.. ტელევიზიით სულ აჩვენებდნენ შარშანდელი კონკურსის კადრებს, თიკა ფაცაციას სიმღერის („თქვი, რას აპირებ“) თანხლებით. გამიხარდება და ბედნიერი ვიქნები, თუ მომავალ წელს, აქედან ჩასულ კონკურსანტს ჰკითხავენ – ნათია მაქაცარიას თუ იცნობო?..

— **რას შეცვლის ეს გამარჯვება შენს ცხოვრებაში?**

— სილამაზის კონკურსით ცხოვრების შეცვლა არ შეიძლება. უბრალოდ, მეტი გამოცდილება შევიძინე. ბუნებით მოგზაური ვარ და ამიტომ, ამერიკაში მორიგმა წასვლამ დიდი სიამოვნება მომანიჭა. სულ მოვირიბე ნიუ-იორკის ნაცნობი ადვ-

ილები: წინათ, იქ ერთი წელი ვცხოვრობდი და შესაბამისად, გასახსენებელიც ბევრი მქონდა.

— **ქმარ-შვილი ხომ არ გახლდა თან?**

— არა. ბავშვი დედაჩემთან იყო. ქმარს კი, უკვე 9 თვეა, რაც გავეყარე, მაგრამ ამაზე საუბარი არ მსურს... ნიუ-იორკიდან რომ ჩამოვედი, მეორე დღეს, და გამითხოვდა. ახლა თურქეთში არიან, საქორწინო მოგზაურობაში. იქიდან რომ ჩამოვლენ, უნგრეთში წავლენ, სადაც ერთი წელი იცხოვრებენ...



მომცეს პრიზი – „ყველაზე პატრიოტი, თამამი სულის მქონე და გულადი მონაწილე“

სოკო

პრობლემად ხომ არ გვეჩვენებს . . .

ზაფხულის მზე ძალას იკრებს და ჩვენც აუზებსა და გართობისკენ გვიწევს გული. მაგრამ ზაფხულის დადგომასთან ერთად თავს იჩენს, ერთი შეხედვით, პატარა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული პრობლემა – სოკოვანი დაავადება. ამ დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია ტემპერატურისა და ტენიანობის მომატება, ჭარბი ოფლიანობა, არაღამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობები და სხვა. ამასთან, ზამთრის შემდგომ პერიოდში ორგანიზმის იმუნური (დამცავი) სისტემა იხედავს დასუსტებულია და შესაძლებელია „მიძინებულმა“ სოკომ გაიღვიძოს და გააქტიურდეს. ამის შედეგად კი ზიანდება არა ერთი ორგანო. მათ შორის ფრჩხილები, ფეხის ტერფები, ზოგადად კანი და რაც მეტად მნიშვნელოვანია, სოკო ადვილად აღწევს სასქესო ორგანოების ლორწოვანში და იწვევს ვაგინალურ კანდიდოზს.

ლოკალიზაციის მიხედვით სოკოვანი დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: ვულვოვაგინიტის შემთხვევაში – გამონადენი, ქავილი, წვა; ტერფის სოკოვანი დაავადების დროს – ფეხის თითებზე კანის დაზიანება, ქავილი, ხუნი; ფრჩხილების მიკოზების დროს – ფრჩხილის ზედაპირის დაზიანება, აქერცვლა, ფერის შეცვლა, მტკრევალობა და სხვა.

ყოველივე ამან კი შეიძლება გააფუჭოს თქვენი ამაღლებული განწყობილება, ვერც პრიალა და ლამაზი ფრჩხილებით იამაყოთ, ვერც საცურაო აუზს ესტუმროთ და გაირუჯოთ, ვეღარც საფვარულ ადამიანთან ერთად გაატაროთ სასიამოვნოდ დრო.

ნუ შეშინდებით! სოკოვანი დაავადების პრობლემის მოგვარებაში პრეპარატი „მიკოვლუ“ (ფლუკონაზოლი) დაგეხმარებათ. ახალი თაობის სისტემური მოქმედების პრეპარატი „მიკოვლუ“ სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადების კლინიკურ გამოვლინებებზე. „მიკოვლუს“ მხოლოდ ერთი კაფსულა (150მგ) კვირაში ერთხელ (ოთხი კვირის მანძილზე) უზრუნველყოფს სოკოვანი დაავადებისაგან განკურნებას.

ახალ სწოხად ის ძიონ, ხოსა სოკოსთან ბიძიონ

ყველანა ახვილი და შეჯახიანი!



აგებენ თუ არა პასუხს პოლიციელები ალაქიანის მკვლელობისთვის?

2003 წლის მარტის განაჩენით, უზენაესმა სასამართლომ ამირაშვილი და ჟიჟიაშვილი დამნაშავეებად ცნო და სასჯელის ზომად ამირაშვილს 15 წლით, ხოლო ჟიჟიაშვილს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. აღნიშნული განაჩენი საკასაციო პალატამ გააუქმა. ამჯერად, მოსამართლეებმა საქმე დამატებით გამოსადიებლად კვლავ გენპროკურატურას დაუბრუნეს. სწორედ ამ ხნიდან, ამირაშვილსა და ჟიჟიაშვილთან ერთად, საბრალდებო სკამზე მესამე პოლიციელი, მათი ყოფილი კოლეგა, ჭაბუკა დალაქიშვილიც აღმოჩნდა. დამატებითი ძიებისას, პროკურატურამ მიიჩნია, რომ მომხდარი მკვლელობისთვის დალაქიშვილმაც ისევე უნდა აგოს პასუხი, როგორც დასახელებულმა ორმა.

ალბერტ ამირაშვილი 1994 წლიდან მსახურობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, ხოლო 2001 წლის მარტში დაინიშნა მცხეთის შს სამმართველოს მე-3 ქვეგანყოფილების კრიმინალური პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს ჯგუფის ინსპექტორად და უფროსი ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. მეორე ბრალდებული – გრიგოლ ჟიჟიაშვილი 1984 წლიდან მუშაობდა შს ორგანოებში, 2001 წლის მარტში კი, ისიც ზემოთ ხსენებულ სამმართველოში, ოღონდ – მე-3 ქვეგანყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე დაინიშნა და პოლიციის

მცხეთის რაიონის, მუხრანის ქვეგანყოფილების პოლიციელე-ბი — ალბერტ ამირაშვილი და გრიგოლ ჟიჟიაშვილი მეოთხე წელია, რაც მართლმსაჯულებისგან განაჩენს ელიან. ისინი უკვე მეორედ წარდგნენ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წინაშე. მიზეზი კი, 2001 წლის 20 აგვისტოს, მუხრანისკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე მომხდარი ინციდენტი გახდა, რომელსაც სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა. გენერალური პროკურატურის ბრალდების თანახმად, ზემოთ ხსენებულმა პოლიციელებმა უსაფუძვლოდ გაუხსნეს ცეცხლი ავტომანქანას, რომელშიც ან გარდაცვლილი იჯდა და იქვე ჩაცხრილეს.

კაპიტნის წოდება მიენიჭა. ამჟამად წოდების გახლდათ ჭაბუკა დალაქიშვილი, რომელმაც 1995 წლიდან დაიწყო სამართალდამცავ სტრუქტურაში სამსახური, 2000 წლის ნოემბრიდან კი, მცხეთის შს სამმართველოს მე-3 ქვეგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორის თანამდებობაზე განაგრძო მუშაობა.

პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალდებაში არც ერთი მათგანი არ ცნობს თავს დამნაშავედ. აცხადებენ, რომ ავტომანქანის მიმართულებით მათ არ უსვრიათ. თუმცა, ფაქტია – მანქანა დაიცხრილა და მკვლელობაც მოხდა. საინტერესოა, ვისი ტყვეა მოხვდა უდანაშაულო მოქალაქეს – ალექსანდრე ჯაბანიძეს?

საბრალდებო დასკვნის თანახმად,

2001 წლის 20 აგვისტოს მოვლენები ასე განვითარდა: საღამოს, დაახლოებით ცხრის ნახევარზე, მცხეთის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი კარლო მღვწავი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა მუხრანის ქვეგანყოფილების უფროსს – მიგრი-აულს და ოპერატიული ინფორმაცია მიაწოდა მას; შეატყობინა, რომ სოფელ ქსოვრისიდან სოფელ მუხრანის მიმართულებით საეჭვო ავტომანქანა „ვაზ 2107“ მოძრაობდა. კრიმინალური პოლიციის უფროსის თქმით, მანქანაში ორი უცნობი მამაკაცისა და ქალის გარდა, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაში წარსულში მხილებული, მუხრანელი იოსებ ზარიაშვილი იჯდა. მღვწავის ინფორმაციით, არ იყო გამორიცხული, რომ მას ამჯერადაც ჰქონოდა თან ნარკოტიკები და ამასთანავე, წამლის ზემოქმედების ქვეშ ყოფილიყო. ამიტომაც დაავალა მიგრი-აულს ამ ინფორმაციის გადამოწმება. მუხრანის ქვეგანყოფილების უფროსი დაუყოვნებლივ შეუდგა დავალების შესრულებას. სწორედ ამ მიზნით შექმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც ხუთი პოლიციელი შედიოდა: ამირაშვილი, ჟიჟიაშვილი, დალაქიშვილი, კუსრაშვილი და ნიბლიაშვილი. უფროსის განკარგულებით, ჯგუფის წევრები ქვეგანყოფილებაზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღით – „აკა-უსის“ სისტემის ავტომატებით, ტაბელური პისტოლეტებით, თითო მჭიდითა და საბრძოლო ვაზნებით შეიარაღდნენ. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, დავალების მიღებიდან 10 წუთში, დაიკავეს პოზიციები ქსოვრისსა და მუხრანს შორის გამავალ საავტომობილო გზაზე.



დაახლოებით 10 წუთში, ტრასაზე საუკულო ავტომანქანაც გამოჩნდა. მას თავად იოსებ ზარიაშვილი მართავდა. მის გვერდით იჯდა ალექსანდრე ჯაბანიძე, უკან კი – კახაბერ ჭელიძე და ნათია გერმანოზაშვილი. ზარიაშვილი პოლიციელების ნიშანს – გაჩერებულიყო, არ დაემორჩილა და გზა განაგრძო. უფრო მეტიც, მან სიჩქარეს მოუმატა. პროკურატურის ინფორმაციით, ამირაშვილმა, დალაქიშვილმა და ჟიჟიაშვილმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ცეცხლი გაუხსნეს ავტომანქანას. ჯვრით ისროდნენ. ჩამისხვრა მანქანის უკანა საქარე მინა, ტყვიები მოხვდა მარჯვენა კარსაც. წინა სავარძელზე მჯდომი ჯაბანიძე დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანილსთანავე გარდაიცვალა.

ექსპერტების თქმით, ჯაბანიძემ თავში, ფეხსა და მხრის არეში მიიღო დაზიანებები, რომლებიც სიცოცხლისთვის საშიშ კატეგორიას მიეკუთვნება. დაიჭრა ჭელიძეც, თუმცა – მსუბუქად. მან უკანა საქარე მინის ნამსხვრევებით მიიღო ზურგზე ნაჭდევი და ჭრილობები.

ბრალდების მიხედვით, პოლიციელებმა უხეშად დაარღვიეს კანონი, რომლის თანახმადაც, პოლიციელს მხოლოდ მაშინ აქვს იარაღის გამოყენების უფლება, როცა ეჭვმიტანილი გაქცევას ეცდება,

აღსაკვეთია მძიმე დანაშაული, საჭიროა მოქალაქის ან საკუთარი თავის დაცვა ისეთი საფრთხისგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და სხვა ამგვარი. თუმცა, ამავე კანონის მიხედვით, მიზანმიმართულ სროლას აუცილებლად უნდა უძღოდეს წინ სიტყვიერი და ჰაერში სროლით გაფრთხილება. ასევე აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დამაზიანება. პროკურატურა კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოთ ხსენებულ პოლიციელთა მიერ გამოყენებული ავტომატების სამოქმედო არე დაახლოებით 1350 მეტრია, შემთხვევის ადგილიდან 500 მეტრში კი, სოფელი მუხრანი მდებარეობს – ე.ი. არსებობდა რეალური საშიშროება იმისა, რომ გასროლილი ტყვიები რომელიმე მოსახლეს მოხვედროდა. გარდა ამისა, მანქანაში, ეჭვმიტანილი ზარიაშვილის გარდა, სამი უდანაშაულო ადამიანი იჯდა. თუმცა, პროკურატურას მიაჩნია, რომ არც ზარიაშვილის დაკავების საფუძველი არსებობდა რეალურად, რადგან პოლიციას მის შესახებ მხოლოდ დაუზუსტებელი ინფორმაცია ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ პოლიციელებმა გადაამეტეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას.

მართალია, მათ არ სურდათ ვინმეს მოკვლა, მაგრამ აცნობიერებდნენ მოსალოდნელ შედეგს, რასაც ძალზე გულგრილად მოეკიდნენ და ამით, დაუშვეს მკვლელობის შესაძლებლობა, შეუქმნეს საფრთხე სხვათა სიცოცხლეს და ჩაიდინეს ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობა, ასევე განზრახ დაზიანეს ავტომანქანა. რაც შეეხება დანარჩენ ორ პოლიციელს – კუსრაშვილსა და ნიბლიაშვილს, პროკურატურამ მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა იმ მოტივით, რომ მათ მიერ ჩადენილი რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება ძიებით არ დადასტურდა.

ალეხანდრე ამირაშვილმა არც პროკურატურის და არც სასამართლოს წინაშე დანაშაული არ აღიარა. განსასჯელის სახით დაკითხვისას მან განაცხადა:

„2001 წლის 20 აგვისტოს, ოპერატიულ ჯგუფში ვმორიგეობდი, ვასრულებდი სამსახურებრივ მოვალეობას. საღამოს, ქვეყანაში იმდენი უფროსმა მე და პოლიციის სხვა თანამშრომლები თავის კაბინეტში გავევიხმო და გაგვაცნო ოპერატიული ინფორმაცია. მისი თქმით, შემოვიდა ცნობა, რომ მუხრანის მიმართულებით მოძრავ „ვაზ 2107“-ში იჯდა ორი პირი, რომლებიც ავტომატური

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!



ს ტ ი ვ ე ნ ე ი ე ბ ი!



19 სექტემბრიდან ყოველ კვირა დღეს გელეკომპანია „მგებე“, „ეგალონი“ – ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ქურნალი „რეიგინგი“, შეავსეთ „ცოლნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით ხორციელდება.



შეხვედრამდე „მგებე“



ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულები და თან გადაჰქონდათ ნარკოტიკული საშუალება. ჩვენ ამ მანქანისთვის გზა უნდა გადაგვეკეტა, მანქანაში მყოფი პირები კი დაგვეკავებინა. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი არ დაგვემორჩილებოდა, საბურავების მიმართულებით უნდა გვესროლა. ასეთი იყო დავალება.

მიგრიაულის ხელმძღვანელობით დავალების შესასრულებლად ორი ავტომანქანით გავედით. მოვაწყვეთ პიკეტი. დაახლოებით 20 წუთში, ახალგორის მხრიდან მომავალი, სუფო თეთრი „ვაზ 2107“ შევნიშნეთ. როცა მოგვიახლოვდა, გზაზე გადავედით და მძღოლს ვანიშნეთ, გაჩერებულიყო. მძღოლი რომ არ დაემორჩილა ჩვენს მოთხოვნას, გამაფრთხილებელი გასროლის მიზნით, ავტომატი საბრძოლო მდგომარეობაში მოვიყვანე და სწორედ ამ დროს „ვაზ 2107“-დან სროლის ხმები მომესმა. ამას ჩემ ვეგრდით მყოფი პოლიციელების მხრიდან საპასუხო გასროლები მოჰყვა. მეც გავისროლე ორჯერ, თუმცა ჰაერში. ხოლო ყიჟაშვილი და დალაქიშვილი საითკენ ისროდნენ, არ ვიცი.

მანქანამ დაახლოებით 150-200 მეტრი რომ გაიარა, გაჩერდა. საჭის მხრიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვიდა, ორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ შემდეგ, ისევ ავტომანქანისკენ მიბრუნდა, იქადა რალაც შეფუთული ამოიღო და სიმინდის ნათესებისკენ გაიქცა. მას მიგრიაული დაედევნა, მე კი „ვაზ 2107“-თან მივედი. მანქანიდან ქალი და მამაკაცი უკვე გადმოსულიყვნენ, მესამე – როგორც მოგვანებთ შევითყვე – ჯაბანიძე, წინა საკარძელზე გონწასული იჯდა, დაჭრილი იყო. მანქანიდან გადმოსული მამაკაცი ივინებოდა ჩვენი მისამართით, მოვარდა და პერანგიც კი ჩამომახია. ის ყიჟაშვილმა და ნიბლიაშვილმა შეაჩერეს. დაჭრილი საავადმყოფოში წავიყვანეთ.“

პროკურატურა აღნიშნავს, რომ პირველი დაკითხვისას, ამირაშვილმა საერთოდ უარყო მიგრიაულის მხრიდან ბრძანების გაცემის ფაქტი – მძღოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სროლის წარმოების შესახებ. ბრალდების მხარის თქმით, მაშინ ამირაშვილმა განაცხადა, რომ „ვაზ 2107“-ს დამიზნებით ესროლა, ოღონდ – საბურავების მიმართულებით. ამიტომაც პროკურატურა არ იზიარებს განსასჯელის ჩვენებას და თვლის, რომ ის ყოველივეს, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით იგონებს და ამასთანავე, ხელს აფარებს თანამრომლებს.

სასამართლოში ყიჟაშვილმაც და დალაქიშვილმაც უარყვეს ბრალდება. ორივე მათგანი ირწმუნება, რომ მხოლოდ ჰაერში ისროდნენ. ამასთანავე, არც ერთი არ აფიქსირებს დანარჩენი თანამრომლების მიერ ნაწარმოები სროლების მიმართულებას. ამბობენ, რომ სხვებისთვის იმ მომენტში ყურადღება არ მიუქცევიათ.

აბსაბპი ჩალიძი, დაზარალებული:

„აღნიშნული „ვაზ 2107“ მე მეკუთვნოდა. აწ გარდაცვლილი ალექსანდრე ჯაბანიძე კი ჩემი თანამრომელი განხლდათ. სწორედ იმ საღამოს მთხოვა – შენი მანქანით იქნებ, მე და ჩემი ბინის ხელოსანი სოფელ ჩარდახში (მცხეთის რაიონი) ჩავიყვანო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ბინაში მივაკითხე, ნუცუბიდის პლატოზე. ხელოსანი ჩავიყვანეთ. უკან როცა ვბრუნდებოდით, ჩარდახის გადასახვევთან ჯაბანიძის მეგობარი – იოსებ ზარიაშვილი შეგვხვდა. გვთხოვა – მუხრანში ჩამიყვანეთო. მას შემდეგ, თბილისი-გორის გზატკეცილზე ახალგაზრდა ქალი შევნიშნეთ, ტრანსპორტს ელოდებოდა. ისიც ჩავისვით მანქანაში და გზა განვაგრძეთ. მუხრანში რომ ჩავედით, ახლა ზარიაშვილმა მომთხოვა სოფელ ქსოვრისში წაყვანა. ვუთხარი, გზა არ ვიცი-მეთქი და საჭე მას დავუთმე. გზაზე პოლიციელების პიკეტი დავგვხვდა... ზარიაშვილი არ გაჩერდა და პოლიციელებმა ავტომატიდან პირდაპირი დამიზნებით გავვისხნეს ცეცხლი. ტყვიები რომ ამეცილებინა, უკანა საკარძელზე გავწეტი, თან ზარიაშვილს დავუყვირე – გააჩერე მანქანა-მეთქი. მართლაც, გაჩერდა. იკითხა: მოვარტყვს? შემდეგ გადახტა და გაიქცა...“

ზარიაშვილმა კითხვას – თუ რატომ გაიქცა შემთხვევის ადგილიდან? – ასე უპასუხა: „მანქანა არ გავაჩერე, რადგან ერთი თვის წინ, ნარკოტიკების მოხმარებისთვის დამაჯარიმეს; ვიცოდი, რომ ამის შემდეგ, პოლიცია შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და ჩემთვის ნარკოტიკების „ჩაღებას“ შეეცდებოდა; სწორედ ამის შემეშინდა იმ საღამოსაც, თორემ, ნარკოტიკი თან ნამდვილად არ მქონდა“.

განსასჯელების ადვოკატები პროკურატურის მხრიდან დაშვებულ პროცესულ დარღვევებზე საუბრობენ და სასამართლოსგან თავიანთ დაცვის ქვეშ მყოფების გამართლებას მოითხოვენ.

19 წლის ახალგაზრდის ხელით ჩადენილი სასტიკი დანაშაული

მკვლელობის გარდა, მას 79 წლის ქალის გაუპატიურების მცდელობაში დასდეს ბრალი

ეს შემზარავი დანაშაული ახმეტის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. 79 წლის მოხუცის — ნინო ჩ-ს გვამი რამდენიმე საათი ხის ძელზე ეკიდა. ცხედარი თანასოფლელებმა დღის 3 საათისთვის, სწორედ ამ მდგომარეობაში იპოვეს. დასისხლიანებულ გვამს თურმე, კარგა ხანს ვერაფერს გაეკარა. მხოლოდ შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა დააფიქსირეს, რომ ქალი ყელგამოჭრილი იყო. გარდაცვლილს სხეულზე სხვა დაზიანებებიც აღენიშნებოდა...

ამბობენ, რომ მოსახლეობამ უკვე მაშინ იცოდა დანაშაულის ვინაობა. პოლიციასაც სწორედ მათ უთხრეს ეჭვმიტანილის თაობაზე, თუმცა მას – იმავე სოფლის მკვიდრს, 19 წლის თეიმურაზ ლ-ს – გაქცევა და მიმალვა უკვე მოესწრო. პოლიციამ იგი შემთხვევიდან ერთ კვირაში, მეზობელ სოფელში დააკავა. თეიმურაზმა ჩადენილი დანაშაული აღიარა...

მკვლელობა 2004 წლის ძველით ახალი წლის დამეს მოხდა. დღისით თეიმურაზმა, რომელიც ბებიისა და პაპის სახლში ცხოვრობდა, შინ ღვინო დალია. დამის 12 საათი რომ მოახლოვდა, ისევ მოუნდა დალევა, სასმელი კი აღარ ჰქონდა. „...მაშინ მეზობელ ქალს – ნინო ჩ-ს მივაკითხე სახლში. მარტო ცხოვრობდა. ჯერ დავიძახე, მაგრამ არავინ რომ არ გამოემხმარა, სახლში შევედი. ნინო ჩ. უკვე იწვა. ვთხოვე, არაფი მინდა, ნისიად მომეცი-მეთქი. უარი მითხრა. ძალიან გავბრაზდი და ვუთხარი – ძალით წავიღებ-მეთქი. ამაზე წივილ-

კივილი ატეხა, საწოლიდან წამოდგა და წყველა დამიწყო...“ – თქვა სასამართლოს წინაშე წარმდგარმა განსასჯელმა.

ამის შემდეგ, როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, თეიმურაზმა უმწეო მოხუცის გაუპატიურება განიზრახა, წააქცია ქალი საწოლზე, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო. ამით გაღიზიანებულმა, მოხუცის მოკვლა განიზრახა. ჯიბიდან ორღესური დანა ამოიღო და ქალს ზედიზედ ორჯერ, ყელში ჩაარტყა. ნინო ჩ. ადგილზევე გარდაიცვალა. მოკლული მან სახლიდან გარეთ, თრევით გაიტანა, სარწყავი არხის გვირაბისკენ წაიღო, ხელზე მავთული შეაბა და იქვე ხის ძელზე ჩამოკიდა. შემდეგ, სახლში შებრუნდა, დასისხლიანებულ გადასაფარებელსა და დანას დაავლო ხელი და გაიქცა. როგორც ამბობენ, ჯერ ტყეს შეაფარა თავი, მერე კი, მეზობელ სოფელში მცხოვრებ ნათესავთან მივიდა...

გაუპატიურების ნაწილში ბრალდება თეიმურაზ ღ-მ სასამართლოში კატეგორიულად უარყო: „...მოხუცის გაუპატიურება არ მიცდია. როცა ყვირილი დაიწყო, შემეშინდა, მეზობლებს არ გაეგონათ და ამიტომაც ჯიბიდან, დასაშინებლად, დანა ამოვიღე. დანა ხელში ავათამაშე, რა დროსაც ნინო ჩ. წინ წამოიწია და ზედ წამოვეო მას. მისი ცხედარი ეზოს გარეთ მართლაც, ჩამოვკიდე, რათა გვამი ძალღებს და ღორებს არ დაეზიანებინათ“.

პროკურატურამ განსასჯელის ჩვენება სარწმუნოდ არ მიიჩნია, გაუპატიურების მცდელობის ფაქტი დადგენილად ჩათვალა და ამის საფუძველად ის დაასახელა, რომ აწ გარდაცვლილი იმ დაზიანებებს, რომლებიც მას სხეულზე აღენიშნებოდა, სხვა შემთხვევაში ვერ მიიღებდა. თუმცა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მხოლოდ ყელის არეში მიყენებული ორი ჭრილობა და სხეულის სხვადასხვა ადგილას დაფიქსირებული ნაჭდეგებია ნახსენები, რომლებიც გარდაცვლილის თრევისა და ძელზე ჩამოკიდების შედეგად შეიძლებოდა ყოფილიყო. პროკურატურამ არც ბრალდებულის ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული გამოკვლევა ჩათვალა საჭიროდ. როგორც სახელმწიფო ბრალმძებელმა აღნიშნა, ამის

საფუძველი არ არსებობდა, რადგან თეიმურაზ ღ. ფსიქიატრიულში აღრიცხვაზე არ ყოფილა და არც რომელიმე კლინიკაში უმკურნალა. მსგავსი შუამდგომლობით არც ბრალდებულის ადვოკატს მიუმართავს გამოძიებისთვის. დაზარალებულის მხარე კი აცხადებს, რომ თეიმურაზ ღ-ს აშკარად აღენიშნება ფსიქიკური და პათოლოგიური გადახრები. დაზარალებულის თქმით, ამ საკითხში პროკურატურის არგუმენტი მყარი არ არის.

პროკურატურის ბრალდება გაუპატიურების მცდელობის ნაწილში დაუსაბუთებლად მიიჩნია სასამართლო კოლეგამ. განაჩენში აღნიშნულია, რომ გამოძიებას ამ მხრივ, საკმარისი მტკიცებულება არ გააჩნია. შესაბამისად, 19-137-ე მუხლით სასამართლომ თეიმურაზ ღ. გაამართლა, ჩადენილ განზრახ მკვლელობაში კი დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად, 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ; უცოლშვილოა, დაპატიმრებამდე არსად სწავლობდა და არც მუშაობდა.

განაჩენით უკმაყოფილო დარჩა დაზარალებულის მხარე. მოკლულის ნათესავები ამბობენ, რომ ჩადენილი სისასტიკისთვის თეიმურაზ ღ. სასჯელის უმკაცრეს ზომას იმსახურებდა.

ბურაბ ც., მოკლულის დისშვილი:

„ეს ბიჭი დეიდაჩემის თვალწინ გაიზარდა. ახლოს ცხოვრობდნენ ერთმანეთთან. არაერთხელ დაუჩივლია დეიდას ჩემთან – თეიმურაზი მაწუხებს, შინ მივარდება და მოკვლით მეტუქრებაო. დარწმუნებული ვარ, იმ დამეს მის გაუპატიურებას მართლაც, ეცადა, რადგან ადრეც ჰქონია მსგავს შემთხვევებს ადგილი. მხოლოდ დეიდაჩემი არ ჰყავდა ამოჩემებული, უმწეო ამიანებს ერჩოდა, მაგალითად – პატარა ბავშვებს. რამდენჯერმე ფაქტზე დაიჭირეს, როცა მცირეწლოვან ბიჭებს ატყუებდა და მათთან გაუკუღმართებული წესით სექსუალური კავშირის დამყარებას ცდილობდა. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში მშობლებმა პოლიციას არ მიმართეს, შვილების მომავალს გაუფრთხილდნენ – სახელი შევბღალავათო. თეიმურაზს ასეთი საქციელისთვის ცემით უსწორდებოდნენ. სხვათა შორის, არც ჩემი ხელი

დაჰკლებია. გაუნათლებელი ბიჭია, მაგრამ ამასთანავე, საოცრად ეშმაკი და მოქნილი. ბავშვობიდან ჰქონდა მანიაკური, საღისეური გადახრები – ხეებზე ძვრებოდა, რათა ჩიტის ბუდეები ეპოვა, მერე კი ბარტყებს თავებს აწყვეტდა, ცოცხლად ატყავებდა ლეკვებს და ა.შ. რამდენჯერმე გავაფრთხილე კიდეც დეიდამისი – შვილს ყურადღება მიაქცეი, დატერორებული ჰყავს მეზობლები-მეთქი, – მაგრამ ამაოდ. მისი საქციელი დღითი დღე უფრო საშინელი და ამაზრზენი ხდებოდა...“

სამწუხაროდ, პროკურატურა ძალზე ზერელედ მოეკიდა ამ საქმეს. გამოძიების მასალებში სრულყოფილად არაა აღწერილი ყველა ის ფაქტი, რომელსაც შემთხვევის დამეს ჰქონდა ადგილი. სინამდვილეში, სანამ დეიდაჩემს შეუვარდებოდა სახლში, მეზობლად მცხოვრებ ქალს მიაკითხა. იმ ქალს შინ ოცამდე ძაღლი ჰყავს მოშინაურებული. თეიმურაზი ჯერ თურმე, ძაღლებს დაერია; როცა მათ ყფა ატეხეს, რამდენიმე, დანით დაჭრა კიდეც, შემდეგ კი, იარაღის ტრიალით სახლში შევარდა. შემთხვეულ ქალს როგორღაც მოუხერხებია მისგან დასხლტომა და გაქცეულა. პირდაპირ თეიმურაზის ბებიასთან მივარდნილა, ატირებული. უთქვამს მისთვის – შენი შვილიშვილი ჩემს სახლშია, ყვირის და დანას ატრიალებს ხელშიო. იმის ნაცვლად, რომ შვილიშვილთან მისულები და დაეწვწარებინა, ბებიას უპასუხია – ნუ გეშინია, ძოვრალია ალბათ, შინ დაბრუნდი, უკვე წასული იქნებაო. საწყალი ქალი მართლაც, მიბრუნებულა თავის სახლში. არც თეიმურაზი და აღარც ძაღლები არ დახვედრია. იმ დროს მათი ყფა და გნასი დეიდაჩემის სახლიდან ისმოდა თურმე...“

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ პროკურატურამ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გააყალბა. სადღაც დაიკარგა პირველი დასკვნა, რომელშიც ჩემი თვალთ ვაჭიკითხე, გარდაცვლილის სხეულზე დაფიქსირებული უამრავი დაზიანების შესახებ. დასკვნაში ისიც იყო აღნიშნული, რომ ნინო ჩ. გაუპატიურებული გახლდათ.

განაჩენს აუცილებლად გავასაჩივრებ და უმწეო დეიდაჩემის წამების და ღირსების შეურაცხყოფისთვის დამნაშავეს უმკაცრესად დასჯას მოვითხოვ“.

ინფორმაციულ-შეხვედრითი კონკრეტი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრძან:

1. ასკილი ინგლისის ეროვნული ყვავილია.
2. მსტისლავ როსტროპოვიჩი ბაქოშია დაბადებული.
3. სადამ ჰუსეინზე შედგენილი საქმე 36 ტონას იწონის.
4. „ფორმულა 1“-ის პილოტების უნიფორმა ცეცხლგამძლეა.
5. მსოფლიოში პირველი საოპერო თეატრი 1637 წელს, ვენეციაში გაიხსნა.
6. პლატონ ზულოვი ეკატერინე მეორის უკანასკნელი საყვარელი იყო.
7. ფრენკ სინატრას, მაფიოზურ დაჯგუფებებთან მეგობრობას აბრალებდნენ.
8. „სატურიკ - ეტო უსტაეში რამანტიკი“ - ამტკიცებს მიხაილ ზადორნოვი.
9. რიკოტის გვირაბით დღეში დაახლოებით 2 ათასი ავტომობილი სარგებლობს.



10. ბორის წიფურას, ლენინის, სტალინის და ჰიტლერის როლები აქვს ნათამაშები.
11. სილამაზის პირველი კონკურსი 1856 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა.
12. 1981 წელს, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცრებს წვერის მოშვება აეკრძალათ.

13. მდინარე ხუანხეს, წყალდიდობებისა და კატასტროფების გამო, ჩინელმა ხალხმა „ჩინეთის სიმწარე“ უწოდა.
14. სიმღერა „შავლეკო“ თამარ მეფის დროინდელ, შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში თავგამოჩენილ დიდ მხედართმთავარ შალვა ახალციხელს მიეძღვნა.
15. ტბა წუნდას, ხალხი თამარის სარკეს ეძახდა. გადმოცემის თანახმად, თამარ მეფე ამ ანკარა ტბაში იყურებოდა და თმას ივარცხნიდა.
16. საკუთარ ნაწარმოებს - „მართლობის ას წელს“ - გაბრიელ გარსია მარკესი ყველა განათლებული ადამიანის სამავდლო წიგნად მიიჩნევდა.
17. რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი, რეჟისორი ლუკინო ვისკონტი და გალაკტიონ ტაბიძე ერთსა და იმავე დღეს - 17 მარტს გარდაიცვალნენ.
18. თუ რესტორანში ყოფნისას, სუფრიდან ადგომამ მოგიწიათ და არ გსურთ, თქვენი არყოფნის დროს ოფიციალტმა თეფში გამოგიცვალოთ, მასზე გადაჯვარედინებული დანა-ჩანგალი უნდა მოათავსოთ. თუ დანა-ჩანგალს გვერდიგვერდ დადებთ, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ჭამა დამთავრებული გაქვთ.

ახალი სახე



ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თინა ხიდაშელი 6-თვიანი პროგრამით აშშ-ში მიემგზავრება. რამდენიმე დღის წინ, მან მედიას თავისი შემცველი ანა დოლიძე ნარუდგინა, რომელიც სულ ორიოდე თვეა, რაც ხიდაშელის მოადგილედ მუშაობს. 24 წლის ანა დოლიძემ საშუალო განათლება აშშ-ში დაასრულა. დანარჩენს თავად გვიაზნობს.

თინა ხიდაშელის „ვაშაშვილკა“ ჰოჯუნკოზის ზრდასწრაფი ახს ახს...

ლევა ჭანკოტაძე

- 51-ე სკოლაში ვსწავლობდი. გაცვლით პროგრამაში მივიღე მონაწილეობა, გაემიარავე და აშშ-ში წავიდი. გაცვლითი დავრჩი, როცა ერთ პატარა სოფელში - ვერმონტში - გამამწესეს, სადაც სულ 5000 ადამიანი ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, უმაღლესი დონის სკოლა ჰქონდათ. სათხილამურო კურორტით განთქმული ეს სოფელი მაღალშემოსავლიანი იყო. სკოლას თვით სოფელი აფინანსებდა. შეძლებული სოფლები დიდ თანხებს გაიღებდნენ საიბისოდ, რომ მათ შეილებს კარგი განათლება მიეღოთ, ამიტომ სკოლაში საუკეთესო პედაგოგები ასწავლიდნენ. მე ერთ-ერთი პედაგოგის ოჯახში ვცხოვრობდი. იმ ოჯახთან ურთიერთობა ახლაც მაქვს. მიმაჩნია, რომ ვერმონტმა ბევრი რამ მომცა. ბრწყინვალედ ვისწავლე ინგლისური ენა, რაც მომავალში ბევრჯერ გამომადგა. თბილისში რომ დავბრუნდი, უნივერსიტეტში ოურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. აქტიური ცხოვრება სტუდენტობის პირველსავე დღეებიდან დაიწყო. არც ერთი ღონისძიება არ გამომიტოვებია. რადგან ინგლისური კარგად ვიცოდი, გაცვლით პროგრამებში თავისუფლად ვმონაწილეობდი. ფასიან ჯგუფში მოვხვდი და სწავლის საფასური თავად უნდა გადაემხადა. ამიტომ პარალელურად, ოფისმენეჯერად და თარჯიმნად ვმუშაობდი, მეორადი მოხმარების ტანსაცმლის კომპანიამ. თავიდან ჩემს მშობლებს პროტესტის გრძობა გაუჩნდათ:

ნადრეკად დაიწყო დამოუკიდებლად ცხოვრებაო, მაგრამ შევეუწუნე - სხვა გზა არც ჰქონდათ: სწავლის საფასური ხომ უნდა დამეფარა?! მერე სტუდენტები ჰოლანდიაში წავიდეთ, იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩასატარებლად. სტუდენტური შეჯიბრი ტარდებოდა ჰავის მუდმივ საარბიტრაჟო სასამართლოში, რომელიც მთელ მსოფლიოში უძველესი სასამართლოა. ქართველებმა კარგი შედეგები ვაჩვენეთ. ჩვენი გუნდი მესამე ადგილზე გავიდა. პირადად მე კი, საუკეთესო გამოცდის პრიზი მომანიჭეს. შემომთავაზეს, მათთან გამეგლო სტაჟირება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მართლაც, წავიდი ჰოლანდიაში და 4-თვიანი სტაჟირება გავიარე. ეს ჩემთვის დიდი პრაქტიკა იყო, რადგან ჰაავა მსოფლიოს „სამართლებრივი დელაქალაქია“.

— არასამთავრობო ორგანიზაციებთან შენი ურთიერთობა როდის დაიწყო?

- ჰაავიდან ჩამოსვლის შემდეგ დავიწყე მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციაში - „გადავარჩინოთ ბავშვები“. ეს არის დიდი ფონდი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებზე გასცემს გრანტებს. დიდ პროექტზე ვმუშაობდი, რამაც საშუალება მომცა, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია გამეცნო. გრანტს ვაძლევდით 39 ორგანიზაციას, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას მისდევდა. მე ამ პროექტის კოორდინატორი ვასწავლიდი. პროექტის ერთი წელი გავრძელდა. შემდეგ მაგის-



„ჩვენი გუნდი მესამე ადგილზე გავიდა. პირადად მე კი, საუკეთესო გამოცდის პრიზი მომანიჭეს“

ტრატურაში ჩავაბარე, რომელიც ჰოლანდიაში დავამთავრე. თბილისში ივნისში დავბრუნდი. მაშინვე მივიღე შემოთავაზება თინასგან და დავთანხმდი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში სტუ-

დენტობის წლებშიც მიმუშავია, დენილებ- ისთვის ოურიდოლი დახმარების პროგრამას ვანორციელებდით. საათობით ვიჯექი და ლტოლვილებს უფასო ოურიდოლ კონსულტაციას ვუწვევდი. თინაც მაშინ გავიცანი. მისი საქმიანობა ყოველთვის მომწონდა. ოურისტისთვის მთავარია, ჰქონდეს ვიწრო სპეციალიზაცია, ასოციაციის ხელმძღვანელი კი ყველაფერში უნდა ერკვეოდეს. თინას ხშირად, „გაყინული“ ხელფასების გამო ურეკავენ, ქუჩაშიც აჩერებენ და ეკითხებიან: პენსია იგვიანებს, რა ვქნათ? თუ ვინმეს დაიჭერენ ან სამსახურიდან გაათავისუფლებენ, მაშინაც მას სთხოვენ რჩევას. ასე რომ, სულ მობილიზებულია და



...სტუდენტური მეჯობრი ტარდებოდა ჰააგის მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლოში, რომელიც მთელ მსოფლიოში უძველესი სასამართლოა. ქართველებმა კარგი შედეგები ვაჩვენეთ

ცილილობს, ყველა კითხვაზე ჰქონდეს პასუხი. ეს იოლი არ არის და ასეთი შედეგი მხოლოდ დიდი შრომით მიიღწევა. ასე რომ, ახალგაზრდისთვის, რომელსაც შორსგამიზნული გეგმები აქვს, ასოციაციის ხელმძღვანელობა უდიდესი გამოცდილების მომტანი იქნება, ამიტომაც უყოყმანოდ მივლით თინას შემოთავაზებას.

— თინა რა პროგრამით მიემგზავრება ამერიკაში?

— იელის უნივერსიტეტში სასწავლებლად მიდის. იქ მოხვედრა ნებისმიერი ადამიანისთვის, მათ შორის, შეძლებული ამერიკელებისთვისაც, ძალზე ძნელია. თინამ კონტრაქტი გააფორმა. 6 თვის განმავლობაში, იელის უნივერსიტეტში სამეცნიერო საბუშაო ექნება; შრომის ანაზღაურებასაც მიიღებს. ამ პერიოდში მის ფუნქციებს ასოციაციაში მე შევასრულებ. იმედი მაქვს, რომ საქმეს თავს გავართმევ. მკაცრი არ ვარ, მაგრამ სამაგიეროდ, ძალზე პრინციპული გახლავართ. ორგანიზატორული ნიჭიც მაქვს.

— ამერიკიდან თინა ხიდაშელის ჩამოსვლის შემდეგ როგორ მოიქცევით?

— თინას გეგმებს გააჩნია. ჩემი გეგმები მასზე იქნება დამოკიდებული. ვეცდები, მისი არყოფნის დროს, ისეთივე დემოკრატიული ვიყო თანამშრომლებთან, რო-

გორიც თინაა. მედიის საშუალებებთანაც გახსნილი ვიქნები, მათთვის ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით; სხვა საკითხია, იქნება თუ არა მედიის მხრიდან ჩემზე მოთხოვნა! თუცა, იმაზე პრეტენზია, რომ თინა ხიდაშელივით პოპულარული გავხდებ, ნამდვილად არ მაქვს...

— ალბათ, ბევრი შრომა მოგიწევს...

— წლების მანძილზე, განმივითარდა ჩვევა, რომ დრო არ დავკარგო. ამის გამო ვეღარ ვერთობი. მაშინვე ვაკოფიქრებ ხოლმე — ახლა ვლობა, რაიმე წავიკითხო-შეთქი. ამიტომ სულ კვითხულობ და ვცდილობ, ყოველდღე რაღაც ახალი შევიძინო.

— შენს პირად ცხოვრებაზეც გვითხარი ორიოდ სიტყვა.

— ჩემი ერთადერთი შეყვარებული შარშან, ჩემი მეუღლე გახდა. პოლანდიაში წასვლამდე გავთხოვდი — ცოლად გავყვები ლამა მალრაძეს. ისიც ოურისტია, ჯგუფელები ვიყავით, რაც ხანდახან პრობლემებსაც იწვევს, რადგან თუ საქმეზე ლაპარაკი დავიწყეთ, ვეღარ ვჩერდებით...

— შვილი არ გყავთ?

— არა და ჯერ არც ვგეგმავთ. პასუხისმგებლობას ვერ ვიღებთ. მშობლები გვეუბნებიან — ჩვენ გაგიზრდითო. მაგრამ გვინდა, ბავშვის აღზრდას დამოუკიდებლად გავართვათ თავი.

— ალბათ, საკუთარი ქვრივ გაქვთ, არა?

— 5 დღე ჩემს სახლში ვიმყოფებით, შაბათ-კვირას კი — ლაშას მშობლებთან ვატარებთ, რადგან ის დედისერთაა. ეს ორი ბინა ქალაქის სხვადასხვა ბოლოში მდებარეობს, ამიტომ სულ აქეთ-იქით სირბილი გვიწევს. მე ბებიის გარდა, თბილისში არავინ მყავს; მამა გარდაემცვალა, დედა კი, ჩემს უმცროს დასთან ერთად, ამერიკაშია. ჩემი და ჩოგბურთის მწვრთნელი გახლავთ, იქ მუშაობს და იმედი გვაქვს, მალე ისეთი შემოსავალი ექნება, რომ ოჯახის ტვირთისგან გამათავისუფლებს. ის ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ ძალიან ბევრი მოსწავლე ჰყავს.

— საოჯახო საქმეებს თავს როგორ ართმევთ?


— თეორიულად, სამზარეულოში ტრიალი ძალიან მიყვარს, მაგრამ როგორც ჩემი მეგობრები ამბობენ, სამზარეულოსთან ჩემი დამოკიდებულება მხოლოდ ამ „ტრიალით“ შემოიფარგლება. დრო არ მაქვს, შინ გვიან ვბრუნდები. საკმეღს ხან დედამთილი ამზადებს, ხან — ბებიჩემი. თუ შინ ვარ, საინფორმაციო გადაცემებს ვუსმენ. ეს არის ჩემი დასვენება. რაც ჩამოვდი, გასართობად არსად ვყოფილვარ. ზაფხულის სიცხესაც ვერსად ვავექცევი, უნდა ვიმუშაო.

ინფორმაციულ-მედიისეკონომიკური

ეორა დვალის უბის წიგნაკდან:



19. ბანანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხილია მსოფლიოში. მას საერთაშორისო ვაჭრობისთვის უმნიშვნელოვანესი სასოფლო პროდუქციის სახეობებს შორის, მეხუთე ადგილი უკავია და მხოლოდ მარცვლეულს, შაქარს, ყავასა და კაკოს ჩამორჩება.



20. 1497 წელს, ინგლისის ქალაქ ბრისტოლში დაბრუნდა ჯონ კაბოტის ექსპედიცია. მის სიტყვებზე დაყრდნობით, ინგლისში გადაწყვიტეს, რომ მან „დიდი ხანის სამეფო“ — ჩინეთი აღმოაჩინა. მეფემ გულუხვად დააჯილდოვა ზღვაოსანი: 10 გირვანქა სტერლინგი აჩუქა და ყოველწლიურად 20 გირვანქა სტერლინგი პენსია დაუნიშნა. სინამდვილეში კი, კაბოტს მომავალი კანადის ნაპირთან ჩაუშვია ლუხა.

21. ძველი ბერძენების რწმენით, იმისათვის, რომ გაეგო, თუ სად იმყოფებოდა სამყაროს ცენტრი, ზევსმა ქვეყნიერების ორი ბოლოდან გაუშვა ორი არწივი, რომლებიც ერთმანეთისკენ ერთნაირი სისწრაფით მიფრინავდნენ. ისინი ქალაქ დელფოსის თავზე შეხვდნენ ერთმანეთს, რის გამოც ეს ქალაქი სამყაროს ცენტრად მიიჩნეოდა.

22. ყირიმის ომში, სევასტოპოლის ალვის დროს, აღმირალ ნახიშოვის დაკრძალვის დღეებში, მოკავშირეთა ჯარებს უდიდესი საზღვაო სარდლის მიმართ პატივისცემის ნიშნად, რუსეთის პოზიციები არ დაუბოძავეთ.

23. 1991 წელს, ატლანტელმა დონალდ შირმა 2.420.000 დოლარი გადაიხადა აშშ-ის 1776 წლის 4 ივლისის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში. მსგავსი ვებმძლარი სულ ოცდაათხია, ხოლო ეს თანხა — ყველაზე დიდი, რაც კი ოდესმე, ნაბჭვდ ქალაქში გადაუხდიათ.

24. „კოლგეიტის“ ფირმას ერთმა პიროვნებამ გარკვეული თანხის საფასურად შესთავაზა იდეა, რომლის განხორციელებაც კიბლის პასტის გასაღებას გააორმაგებდა. იდეა შემდგომში მდგომარეობდა: ტუბის ნახვრეტის ფართობი ორჯერ უნდა გაეზარდათ. ფირმის ხელმძღვანელობამ ეს გარიგება მიიღო და რეალიზაცია გაორმაგდა.

25. ტაისონისა და ჰოლიფილდის მატჩის შემდეგ, ამერიკის მალაზიებში გამოჩნდა შოკოლადის ყურები, რომელიც 3 დოლარი და 50 ცენტი ღირდა.



ლელა ჭანკოტაძე

სათუნა, 29 წლის:

— ბორჯომიდან თბილისში მოვდიოდი. ის პერიოდი იყო, როცა დენი ხშირად ითიშებოდა და მატარებლები საათობით, ზოგჯერ მთელი დღითაც ამა თუ იმ სადგურში ჩერდებოდა. თანაც, ვაგონებში საშინელი სიბინძურე იყო. თითქმის დაღუწილი სკამები და ჩამტვრეული ფანჯრები საშინელ სურათს ქმნიდა. მიუხედავად ამისა, სტუდენტები მაინც მატარებლით ვმგზავრობდით. იმ დღესაც, შედარებით სუფთა ადგილი შევარჩიე და სკამზე მოკალათდი. ჩემ წინ მოხუცები დასხდნენ, ჩემ გვერდით კი — დამა. 26-28 წლისები იქნებოდნენ. მატარებელმა ერთხანს ნორმალურად იარა. მერე გაჩერდა. გავიდა ნახევარი საათი, 2, 3 საათი, მაგრამ აღარ და აღარ დაიდრა. ამასობაში, სიბნელეც ჩამოწვა. აქა-იქ სანთლები აანთეს. შიშმა ამოტანა. ვიფიქრე — სანამ ძალიან დაბნელებდა, მატარებლიდან ჩავალ და სამანქანო გზას მოვძებნი-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე. მერე მგზავრებმა ხის ტოტების მტვრევა დაიწყეს და ბაქანზე ცეცხლი დაანთეს. საკმაოდ ციოდა. ხალხი ვაგონებიდან ჩადიოდა და ცეცხლთან გათბობას ცდილობდა. მე არ ვინძრეოდი. არც და-მმა აპირებდა ბაქანზე ჩასვლას. მერე ვილაკამ არაფი გამოაჩინა. გათოშილმა მგზავრებმა სმა დაიწყეს. ძალიან შევმინდი. როგორც იქნა, გვერდით მჯდომი გოგონა გამოძვლაპარაკა: ნუ გეშინია, ჩემი ძმა დაგვიცავსო. მისი ძმა კი წარბშეუხრეულად იჯდა... ამასობაში რამდენიმე ახალგაზრდამ ხმას აუწია. მალე ლანძღვა-გინებაც მომესმა, ბოლოს კი — ქალების კივილი: მიეშველეთ, ერთმანეთს კლავენო!.. ისეთი

უამრავი თანამგზავრით

უამრავი ადამიანისთვის მგზავრობა დაუფინყარი გამხდარა — იმ შემთხვევითი თანამგზავრის წყალობით, რომელმაც მისი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა. მგზავრობისას შესაძლოა, თაღლითს გადაეყარო, ან ქურდს, ან კიდევ — ლოველას. მაგრამ შეიძლება, თქვენი თანამგზავრი სიყვარულის მაძიებელი აღმოჩნდეს... ზოგჯერ დაუფერებლად გვეჩვენება, მაგრამ ადამიანი შემთხვევით თანამგზავრს მეორედაც შეიძლება გადაეყაროს — სამყარო ხომ, რომ იტყვიან, ძალზე პატარაა...

ჩხუბი ატყდა, ალბათ, ერთმანეთი დასისხლიანეს. ჩემ გვერდით მჯდომი ყმაწვილი არც ამჯერად განძრეულა... დილის 4 საათზე, მატარებელი დაიდრა. ძნელია იმის აღწერა, რაც ვაგონში ხდებოდა. ზოგი ივინებოდა, ზოგს ეძინა და ხერინავდა. მხოლოდ ჩვენ სამი ვისხელით გაუნძრევლად. სასწაული ის იყო, რომ ჩვენს სკამს არავინ ეკარებოდა... თბილისში დილის 9 საათზე ჩამოვედით. როგორც კი მატარებელი ბაქანზე შევიდა, წამოვხტი და გასასვლელისკენ გავემართე. ჩემი თანამგზავრების გამო საშინლად გაღიზიანებული ვიყავი: მთელი გზა ისე გამოვიარეთ, რომ არც გამოძლაპარაკებინ, ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ჩემთვის... შინ მისულმა გადავწყვიტე, უცნაური და-მის შესახებ აღარ მეფიქრა...

გავიდა დაახლოებით 10 წელი. შარშან, მე და ჩემი მეგობარი მატარებლით ურეკში წავედით. კუბეში ახალგაზრდა წვეილი რომ დავინახე, ძალიან გამიხარდა, ვიფიქრე, კარტს ვითამაშებთ, გავერთობით და გზა შეუძრევლად გაილეკა-მეთქი. მაგრამ თურმე, წინ საშინელი სიურპრიზი მელიოდა. გოგონამ გამიცინა და მითხრა: არ გახსოვართ მე და ჩემი ძმა? — ჩვენ ხომ წლების წინ, ბორჯომიდან თბილისამდე ერთად ვიმგზავრეთო!.. მოულოდნელობისგან კინაღამ ენა ჩამივარდა. მზად ვიყავი, ვაგონიდან გადავმხტარიყავი, ოღონდ, ისინი არ დამმგზავრებოდნენ. აღშფოთება არც დამიძალავს. მერე გულში გავიფიქრე: მთელი გზა ვილაპარაკებ და ამ სიტყვაბუნწ და-მმას ჭკუიდან გადავიყვან-მეთქი. ჩემი მეგობარიც მეჩურჩულებოდა: ნახე, რა სიმპათიური კაცია, რომელიმე შეგებათო... ერთი სიტყვით, მათი გამასხარავება გადავწყვიტე და მართლაც, ძალიან მომხიბვლელ მამაკაცს კითხვები დავაყარე. მისგან პასუხი ვერ მივიღე. მშვიდი და ურეაქციო სახით შემომყურებდა. რომ აღარ მოვეშვი, მისმა დამ მანიშნა: დერეფანში გავიდეთო. გავყვი და ნამდვილი

საშინელებაც მოვისმინე: ჩემი ძმა ყრუმუნჯიაო, — მითხრა. ამის გამო ისე რცხვენია, ცდილობს, ურეაქციოდ იჯდეს, ვინმემ რომ არ შეატყოს, ლაპარაკი რომ არ შეუძლიაო... საშინელ დღეში ჩავვარდი. ასეთ რამეს ვერც წარმოვიდგენდი. იმ ბიჭს სიმონი ჰქვია. გული დამწყდა მის გამო. მუნჯური საუბარი რომ მცოდნოდა, ალბათ, მილიონ ბოდიშს მოვუხდიდი.

ირაკლი, 37 წლის:

— უშუშეკარი ვიყავი და ამის გამო, სულ ნირწამხდარი დავდიოდი. ერთხელ, თბილისში ნიგოზი ჩამოვიტანე, გადამყიდველებს ჩავაბარე, 200 ლარი ჩავიკუჭე ჯიბეში და უკან გავბრუნდი, იმ იმედით, რომ ცოლ-შვილს ამ ფულით პურის ფქვილი და ცხელი წვინანი მაინც 2-3 თვე არ მოაკლდებოდა... სენაკის „მარშრუტკაში“ ჩავჯექი. გვერდით 40-ოდე წლის მამაკაცი მომიჯდა. შემატყო უგუნებობა. გონებაში ვანგარიშობდი, რამდენი მაკარონის, კარტოფილისა და ცხიმის საყიდლად მეყოფოდა ფული... გამომე-ლაპარაკა. თავიდან უხალისოდ გავეცი პასუხი. მერე კი, თავისი ენერგიული საუბრით მეც ამიყოლია და მალე ხასიათიც გამოიკეთა. ეტყობა, შემატყო, უშუშეკარი რომ ვიყავი და მითხრა: ხალხს ვასაქმებ, თბილისში შრომის სასახლეში ვჩალიჩობ; ჩამოდი, თუ იქ არ ვიქნები, ზურა ლებანიძე (გვარ-სახელი შეცვლილია. — ავტ.) იკითხე და თან გადაგყვებიან, ჩემი სახელით რომ მიხვალო. მერე მკითხა — რისი გაკეთება შეგიძლიათ? — და დამპირდა — მშენებლობაზე „ბრარაბად“ მოგაწვობ, თვეში 500 ლარს გადაგიხდიან, ოჯახს ვეზზე დააყენებო. სიხარულისგან კინაღამ გადავირიე. თავისი მობილურის და სახლის ტელეფონის ნომერიც მომცა. ერთი სიტყვით, მომავალი ნათელ ფერებში დამიხატა. მზად ვიყავი, მისთვის მილიონჯერ მეთქვა მადლობა... სწორედ ამ დროს, „მარშრუტკა“ გაჩერდა. მძღოლმა გვითხრა:

15 წუთი დავისვენით, თუ რამე გინდათ, გაითვალისწინეთ, რომ სენაკამდე აღარ გავჩერდებითო... მოგვხსენებთ, რიკოთის უღელტეხილზე მგზავრებისთვის უამრავი სასადილოა გახსნილი. ზოგან მწვადი იწვება, ზოგან ხაჭაპური ცხვება. ვიფიქრე — კაცმა სამსახური მიშოვა, ცივი ლუდიც აღარ დავალეგინო-მეთქი?.. — და იქვე ფაცხაში მივიპატიფემწვადით და ლუდით გავუმასპინძლდი. სიმწრით შეგროველ 200 ლარს 20 მოვაკელი. ალაღია ამ კაცზე-მეთქი, — ვფიქრობდი გუნებაში... ჩემი შემთხვევითი თანამგზავრი სამტრედიამი ჩავიდა. მე კი სიამოვნებისგან თვალღვრულად და დავადევნე კიდევ: ბედნიერ ფეხზე იარე-მეთქი! — თან ჯიბეში ხელი ჩავიცურე, კიდევ ერთხელ რომ შეგვხვბოდი ფულს და სიამოვნება გამეხანგრძლივებინა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო? — ჯიბეში ფული და ხუთასლარიანი სამსახურის გარანტია — ფურცელზე დაწერილი ტელეფონის ნომრები მქოლო... მოულოდნელობისგან ადგილზე გავქვავდი: ჯიბეში, ამ ფურცლის გარდა, ვეღარაფერი აღმოვაჩინე!.. მერე ხმაძალა ამოვიოხრე. ჩემი სიმწრის ამბავი მგზავრებსაც გავაგებინე. ყველა შეწუხდა. მითხრეს: ეტყობა, ჯიბეში იყო, ფული მოგპარა და გაიქცაო... სახლში მისული, ტელეფონს ვეცი და იმ ნომრებზე დავრეკე. ზურა ლეხანიძეს არც კი იცნობდნენ. აი, ასე დამაქცია შემთხვევითმა თანამგზავრმა.

ნუნუ, 32 წლის:

— 3 წლის წინ მე და ჩემმა მეგობარმა ზღვაზე წასვლა გადავწყვიტეთ. 300 ლარი შევაგროვეთ და მატარებლის კუბეში მოვკალათდით. თან ჩემი 10 წლის გოგონაც გვყავდა, რომელმაც მამინევი დაიბინა. მაგრამ სანამ დაიბინებდა, ბებიის ნაჩუქარი ორი 10-ლარიანი პიჟამას ჯიბეში ჩაიღო: აქაოდა, თქვენ დამიხარჯავ-

თო... ჩვენ დაძინებას არ ვაპირებდით, რადგან ჩვენს კუბეში ორი ახალგაზრდა ბიჭი აღმოჩნდა. ისინი ისე „გვეპრანჭებოდნენ“, რომ ჩვენი ვარაუდით, მთელი ღამე მუსიაფში უნდა გაგვეტარებინა. მართლაც, ერთმანეთი გავიცანით. საოცრად თავაზიანები აღმოჩნდნენ. მე და ჩემი დაქალი მოგვხიბლეს. მერე სუფრა გავშალეთ. რამდენიმე ჭიქა კონიაიც დავლიეთ და ბოლოს, ერთმანეთს ისე გაუშინაურდით, რომ გადავწყვიტეთ, ბინა ერთ სახლში გვექირავა, რათა ზაფხულის 10 დღე ერთად გაგვეტარებინა... ძილი რომ მოგვეკრა, ბიჭებმა შემოგვთავაზეს, ყველაფერი საწოლის ქვეშ სათავსში ჩაგველაგებინა, რათა ყველას ტკბილად დაგვეძინა და იმის შიში არ გექონოდა, რომ გამცილებლები რამეს მოგვპარავდნენ. დილით რომ გავიღვიძეთ, აღარც ბიჭები დაგვხვდნენ და აღარც ჩვენი ჩანთები. წაყვიდნენ და ჩვენი 300 ლარიც თან გაიყოლეს. ცხადია, არც მობილური ტელეფონები დავგვიტოვეს.

— ფული სად გედოთ?

— ჩანთაში იდო, რომელიც იმ საწოლის სათავსში ჩავდეთ, რომელზეც ერთ-ერთმა ბიჭმა დაიძინა. ერთი სიტყვით, ჩემი შეილის 20 ლარის ამბრა დავრჩით. ცხადია, ტირილი დავიწყეთ. მთელმა ვაგონმა გაიგო, რაც დავგემართა. ისეთი შეურაცხყოფილი ვიყავი, რომ სიცოცხლე აღარ მინდოდა. გვერდითი კუბედან ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. ჩვენი გასაჭირის ამბავი მოისმინა და ვკითხვა: ჩემთან წამოდით; დღეს იბანავეთ, დაისვენეთ, ხვალ კი, ბილეთებს გიყიდით და თბილისში გავამგზავრებთო. მისი დახმარება მივიღეთ. მეტი გზა არც გვექონდა. ის კაცი დიდ სახლში ცხოვრობდა და ოთახებს აქირავებდა. ერთ სუფთა ოთახში შეგვიშვა და გაგვაფრთხილა: ნულარავის ენდობით, იქნებ, თბილისამდე საკუთარი თავები მაინც ჩაიტანოთო...

იცით, რამდენი ვიტირეთ?.. მერე ის კაცი ისევ მოგვადგა. ჩემი სახელი არ გაინტერესებთო? — გვეკითხა. — იმ ბიჭებს ლამის პასპორტის ნომრებიც ჩააწერიანთ, მე კი სახელსაც არ მეკითხებთო?! საშინლად დაბნეულები ვიყავით. მსგავს მდგომარეობაში შეუძლებელიცაა, რომ წონასწორობა არ დაკარგო. იმ კაცს ვახო ერქვა. მორე დღეს, მატარებელში ჩავსვამ და დაპირებისამებრ, თბილისში გამოგვიშვა... მართალია, ძალიან უხეში კაცი იყო, მაგრამ რომ ჩამოვედით, მასზე ვლოცულობდით, ისეთი პატივი გვცა... გვეკონა, დრო გავიღოდა, წყენა დავგავიწყდებოდა და ზაფხულის უსიამოვნება უკვალოდ გაქრებოდა... შარშან ისევ წავედით ზღვაზე. ამჯერად ისეთი მობილიზებული ვიყავით, რომ თავს იოლად აღარავის მოვატყუებინებდით. ერთ დილას, სანაპიროზე მწეს რომ ვეფიცხვბოდით, ჩემმა შეილმა ხელით ვიდაცაზე მანიშნა. ბავშვის გოცებულ და შემინებულ სახეს რომ შევხედე, მივხვდი, სწორედ იმ ბიჭებს დაინახავდა, წინა წელს რომ გავგეტყუდეს. მართლაც, სანაპიროზე მძარცველები აღმოვაჩინე. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება ის იყო, რომ მათთან ერთად ვახოც იყო!.. თავიდან ძალიან დავიბენი და ვერაფრით ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ისევ შეილმა გამომარკვია: ალბათ, ასე ატყუებენ ხალხს, „შეკრულები“ არიან და მგზავრებს მარცვავენო...

— არ სცადეთ მათთან მისვლა?

— ძალიან შემეშინდა. ვერც კი ვავინძერი. გამბედაობა მაშინ მოვიკრიბე, როცა წასვლა დააპირეს, მივირბინე და წინ დავუდექი. ვერ მიცნეს. გამიცინეს. გამეხუმრნენ და ბოლოს მკითხეს: ერთმანეთს ხომ არ ვიცნობთო?... ამ დროს, ჩემმა შეილმაც მოიბინა, გვერდით დამიდგა და ვახოს მიანერდა. სამივეს ელდა ეცა. მე მთელი ხმით ყვირილი დავიწყე. ერთმა ჩამწურჩულა: ხვალვე ყველაფერს მოგიტანთ, ოღონდ, არ იყვირო. რა გამაჩუმებდა?... მთელი სანაპირო შევყარე. ამით რა გამოვიდა?... გაიქცნენ და თვალს მიეფარნენ. ალბათ, ჩვენს მსგავსად, სხვა მგზავრებსაც ასე მარცვავდნენ. ვახომაც სახლში იმიტომ მიგვიყვანა, რომ პოლიციაში არ გვეჩივლა. მაგრამ თურმე, ის სახლი მისი სულაც არ ყოფილა — თვითონაც დამსვენებელი ყოფილა. ოთახში, რომელშიც ღამე გავკათევი, 10 ლარი გადაუხდია... მას შემდეგ ვცდილობ, მგზავრობისას არავის გაუშინაურდე. შემთხვევით თანამგზავრს აღარ ვენდობი.

გიორგი, 74 წლის:

— ზაფხულის მცხუნვარე საღამო იყო, სოხუმში ცოლოურებში წასვლა და ზღვაზე დასვენება რომ გადავწყვიტე. მაშინაც, როგორც ახლა, ბილეთებს მთე-



ლი კვირით ადრე ვუკვეთდით ხოლმე. მაგრამ ვაგზლის უფროსს ნაცნობ-მეგობრებისთვის ყოველთვის ჰქონდა გადანახული რამდენიმე ბილეთი. მეც მას მივადექი. მატარებელი ნახევარ საათში გადიოდა. ერთი თავისუფალი კუპე მაქვსო, — მითხრა მიხაილოვიჩმა. მაშინვე ვიფიქრე — ჯობს, კუპეში მარტო ვიყო, მეფურად ვიმგზავრო-მეთქი, — და ოთხივე ბილეთი შევიძინე. მეგონა, ჩემს მყუდროებას არაფერი დაარღვევდა. მართლაც, გორამდე ნებიერად ვიმგზავრე. გორში კი, კარზე ვაგონის გამცილებელმა დამიკაკუნა და შემაპარა: ახალგაზრდა ქალს ხომ ვერ შეიკედლებდით? ცოლოა, მთელი ღამე დერეფანში რომ გაათიოსო... ჯერ კატეგორიული უარი ვუთხარი. მერე კი გულმა არ მომიტმინა, კარი გავაღე იმ მიზნით, რომ უბილეთო ქალი შემეთვალაიერებინა. გამხდარმა მღალმა გოგომ, შევლივით დამფრთხალი რომ ჩანდა, უკმაყოფილოდ შემომხედდა. ისეთი უმანკო სახე ჰქონდა, ისეთი ნაზი და უმწეო ჩანდა, რომ წუთით მის მიმართ სიბრაღულის გრძნობა გამიჩნდა. ჩემოდანზე იჯდა და კალთაში სულ პატარა ბავშვი ეწვა. ბევრი აღარ მიფიქრია. — თუ თქვენ ხართ უბილეთო მგზავრი, შემობრძანდით-მეთქი, — ვუთხარი. მერე ერთმანეთი გავიცანით, დიდხანს ვისაუბრეთ და გულიანად ვიცინეთ კიდევ. თამილა ერქვა. 25 წლის იყო. თბილისში პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. მასზე 30 წლით უფროსი ვიყავი, რას ვიფიქრებდი, რომ წლების მიუხედავად, სიფრიფანა გოგო მაინც შეძლებდა ჩემი გულის დაპყრობას?!. ის ღამე საუბარში გავათენეთ. თამილამ თავისი ცხოვრების ინტიმური დეტალების შესახებაც კი მიაბო. მითხრა: ბავშვი ერთი მეზღვაურისგან გავაჩინე, რომელსაც ჩემი არსებობა აღარც კი ახსოვსო.

— ერთი სიტყვით, დამეგობრდით, ხომ?

— დიას. თამილასთან საუბარი ისე მესიამოვნა, რომ მასთან ნამდვილ გმირად ვიგრძენი თავი: შევატყვე, ჩემით აღფრთოვანდა. ამან სურვილი გამიჩინა, მისთვის მთელი ჩემი ღირსებები დამენახებინა. ის ღამე ჩემთვის საბედისწერო აღმოჩნდა... ბავშვს ტკბილად ეძინა. თამილამ მხოლოდ ერთხელ აჭამა ძუძუ. მონუსხული შევეყურებდი დედა-შვილს. საოცრად ლამაზები იყვნენ. მერე მან მატარებლის მაგიდაზე თავი ჩამოღო და რამდენიმე წუთში ფშვინვა

ამოუშვა. მეც წამოვწექი. უკვე თენდებოდა და კუპეში გრილი სიო შემოდიოდა. სიზმარშიც თამილა ვნახე. თავისი პატარა ბავშვით ხელში, დახმარებას მოხოვდა. მეუბნებოდა — უპატრონო ვარ, უსახლკარო და დაუცველი, შემიფარეო... არც კი ვიცე, რამდენ ხანს მეძინა. ალბათ, ერთი საათი ან ორი. მერე ბავშვის ტირილმა გამაღვიძა. თვალი რომ გავახილე და თამილა ვერ დავინახე, მაშინვე წამოვხტი. პატარა ავიყვანე და დამშვდებდა დაუწვევ. ვიფიქრე, დედამისი ტუალეტში გავიდა-მეთქი, მაგრამ 10-15 წუთი რომ გავიდა და არ გამოჩნდა, კუპეს კარი გამოვადე და ატირებული ბავშვით ხელში დერეფანში გავედი. გამცილებელსაც ვთხოვე, ქალისთვის დაეძახა. გაოცებულმა შემომხედა: ის ქალი ოჩაჩირეში ჩავიდაო, — მითხრა.

— როგორ? გაიპარა?

— დიას. გამცილებლისთვის უთქვამს — ბავშვისთვის წყალს ავიღებო, — მაგრამ ჩემოდანი რაღად უნდოდა, თუ წყლისთვის ჩადიოდა?.. ერთი სიტყვით, ბავშვი დატოვა და გაიპარა. წარმოვიდგენიათ, რა დღეში ჩავვარდებოდი?.. აი, ასე დავრჩი 10 თვის ბავშვით ხელში სოხუმის ბაქანზე. რა უნდა მექნა?.. ჯერ სადგურის მილიციას მივაკითხე, მათი რჩევით კი, სოხუმის მილიციის სამმართველოში მივედი. თამილას ძებნა მაშინვე დაიწყეს. ცხადია, ვერ მიაგნეს. იქნებ, თამილა არც ერქვა?.. ასე დაბნეული და ნირწამხდარი მივედი ცოლისმმასთან.

— ბავშვი სად წაიყვანეთ?

— მილიციამ დაიტოვა. მე კი ისევ დასვენება და მგზავრობით გაფუჭებული გუნება-განწყობილების გამოკეთება ვცადე. თუმცა, არაფერი გამომივიდა: სულ თამილა მედგა თვალწინ. კიდევ კარგი, რომ გაიქცა, თორემ, მის მიმართ ისეთი გრძნობა მქონდა, ალბათ, ცოლ-შვილს მივატოვებდი და სიბერეს მას მივუძღვნიდი... სოხ-

უმში 2 კვირა დავრჩი. ბავშვის სანახავად მივდიოდი, ცოლის ნათესავები მასთან საჭმელს და ტანსაცმელს მატანდნენ. რადგან მისი სახელიც არ ვიცოდით, ჩემი თხოვნით, თამილა დავარქვეთ. თბილისში დაბრუნებულს, ბევრჯერ გამიტყედა ძილი პატარა თამილას გამო. მესიზმრებოდა, თითქოს შიოლა და გვერდით არავინ ჰყავდა. ბოლოს, სიზმარში ვნახე, ზღაპრი იხრჩობოდა, მე კი ნაპირთან ვიდექი და არ ვენმარებოდი... გამოღვიძებულმა ცოლ-შვილს ვუთხარი: იმ ბავშვის გამო სიბერე გამიმწარდა, ძილი და მოსვენება აღარ მაქვს-მეთქი... ცოლმა მაშინვე თქვა — ვიშვილოთ; გავზრდით და გავათხოვებთ, ჭერს და ლუკმაპურს ნუ დავამაღლითო. შვილებსაც არ უთქვამთ ამაზე უარი. ამ ამბავს ჩემი 5 წლის შვილიშვილიც აღტაცებული შეხვდა. მაგრამ შეილად აყვანის პროცესი ისეთი რთული აღმოჩნდა, რომ წლებების მანძილზე, საკემ წინ არ წაიწია. თამილა სოხუმიდან ჩუმად გამოგვატანეს. 4 წელი ჩვენს ოჯახში უკანონოდ ცხოვრობდა. რადგან დედამისისგან გაშვილებაზე თანხმობა არ იყო, ბავშვთა სახლი უარს გვეუბნებოდა... ბოლოს, ყველა იმედი რომ გადაგვეწურა, სოხუმიდან დავვირეკა მარია ალექსეევნამ, თამილას ძიამ და გვანარა: შევიძლიათ ბავშვი დაიტოვოთ, დედამისისგან თანხმობა მივიღოთ.

— დედა როგორ მოძებნეს?

— არავისაც არ მოუძებნია. ყალბი თანხმობა გაკეთდა, რომელშიც დიდი ფული გადავიხადეთ. მასხოვს, სოხუმიდან ბავშვი ჩემმა ცოლისძმამ რომ ჩამოიყვანა, როგორი ბედნიერი ვიყავი. ის უკვე 2 წლის ხდებოდა. ჩემს ცოლს ჩაეხუტა და მუშტების რტყმა დაუწყო. თურმე, სულ ეუბნებოდნენ — დედაშენი მოვაო, — და ბავშვმა პროტესტი ამგვარად გამოხატა — ჩემს ცოლს უთხრა: აქამდე რატომ არ მოხვედი?.. მას

შემდეგ, 19 წელი გავიდა. თამილა ახლა 21 წლის ხდება. მესამე კურსის სტუდენტია. უნიჭიერესი გოგონაა, დედამისივით ლამაზია და ვერასდროს წარმოიდგენს, როგორ დაუტოვა მისმა ბიოლოგიურმა დედამ კუპეში სრულიად უცნობ მაშაკაცს. მე კი ოცნებად გადაქექვა, გავიგო, რა ბედი ეწია ჩემს შემთხვევით თანამგზავრს, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა...



ტელეკომპანია „იბერიის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი და გადაცემა „დიალოგის“ წამყვანი, პროფესიით ფსიქოლოგი ლუბა ელიაშვილი უმუშევარი დარჩა. მას შემდეგ, რაც „ომეგას“ სათავე ოფისში, რომლის შენობაში ტელეკომპანია „იბერია“ ფუნქციონირებს, სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა, საინფორმაციო გადაცემა „დიალოგმა“ მაუწყებლობა შეწყვიტა. სამსახურის გარეშე დარჩენილი ქალბატონი თავს იმით იმშვიდებს, რომ წელს მაინც დაისვენებს კარგად. სექტემბრიდან კი იგი შეიძლება ფსიქოლოგად, ლექტორად ან ისევ ფურნალისტად მოგვევლინოს და სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მას „პირველი არხის“ ეთერში ვიხილავთ. მანამდე კი, კულინარიული საქმიანობითაა დაკავებული და საზაფხულო წვნიანის რეცეპტს შემოგვთავაზებს.



ლუბა ელიაშვილის საზაფხულო რეცეპტი

ლიბა ქაჩია

— რატომ აირჩიეთ ფსიქოლოგმა ჟურნალისტური მოღვაწეობა?

— იმ პერიოდში, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლა დავამთავრე, ამ პროფესიის ადამიანებისათვის საშუალო ძნელად იმოვებოდა. ჩემი მეგობარი რადიოში მუშაობდა და მან შემომთავაზა რუსულ რედაქციაში უშტატო კორესპონდენტად მუშაობა. ერთხელაც, მარკ რიუკინის (ტელეპროგრამა „კესტნიკის“ წამყვანი. — ავტ.) გადაცემისთვის რეპორტაჟი გავაკეთე და სწორედ მაშინ გამოჩნდა ფსიქოლოგის შტატი — დამაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში 10 წელი ვმუშაობდი ჩემი პროფესიით, მაგრამ შემდეგ, ისევ ტელევიზიას დავუბრუნდი.

— როგორ აღმოჩნდით ტელეკომპანია „იბერიაში“?

— „იბერიაში“, როცა ის ახალი გახსნილი იყო, ჩემი მეგობარი და კოლეგა ნინო ჩაჩუა („ქეისის საათის“ წამყვანი. — ავტ.) მივიღა და მის ხელმძღვანელს საინფორმაციო გადაცემისათვის ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. მას შემდეგ, „იბერიას“ არ მოვცილებივარ — მანამ, სანამ ხელისუფლებამ თავისი ხრიკებით არ დამატოვებინა ტელევიზია.

— სახელმწიფო ტელევიზიიდან კერძო სტრუქტურაში გადასვლის მიზეზი, მეტი თავისუფლების ძიება ხომ არ იყო?

— შეიძლება, ასეც ითქვას. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მასმედიის კონტროლი „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულმა ფრთამ აიღო ხელში, იმ ფრთამ, რომელიც ახლა ხელისუფლებ-

ის სათავეშია. ისინი, ვინც ზეწოლას ახდენდნენ მაშინდელ მედიაზე, დღეს რატომღაც ძალიან დიდ პოსტებს იკავებენ ხელისუფლებაში. 1998-99 წწ. ტელეკომპანია „იბერიაშიც“ დაიწყო იმავე ადამიანების მხრიდან სერიოზული ჩარევები.

— როგორც ვიცო, სახელმწიფო „ომეგა ჯგუფს“ 12 მილიონ ლარის დამალვაში ადანაშაულებდა...

— ხელისუფლებამ, რომელიც ამბობს, რომ ის დემოკრატიულობის მატარებელია, შეზღუდა კერძო ბიზნესი, კერძო სამეწარმეო საქმიანობა. 19 თებერვალს მან თავს უფლება მისცა, აბსოლუტურად ყაჩაღურად შეჭრილიყო ტერიტორიაზე, რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენს, ყოველგვარი კანონის იგნორირებით. ჩხრეკის ნებართვაში რამდენიმე ობიექტი და მათ შორის, ტელეკომპანია „იბერია“ არ იყო მითითებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქაურობა ბევრჯერ განხრიკეს. საერთოდ, ამ ხელისუფლებამ ბევრი ადგილი განხრიკა, ადამიანებიც დააბატონა, მაგრამ იქ არავინ დაუსახლება. „იბერიიდან“ კი მგონი, საერთოდ არ აპირებენ წასვლას...

— რა არის ამის მიზეზი? რატომ მაინცდამაინც „ომეგას“ ოფისები?...

— იმიტომ, რომ ის შეძლებული და ძალიან კარგად აწყობილი ბიზნესი იყო.

— არა მგონია, რომ მიზეზი მართლაც ეს ყოფილიყო...

— არა, მიზეზი ისიც იყო, რომ იგი დაფუძნებულია აჭარაში, დამფუძნებლები კი — „ალორძინების“ წევრები იყვნენ. აქ სუფთა პოლიტიკურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი. „იბერია“ იყო დამოუკიდებელი, ლეგალური ბიზნესი. ჩვენ თავს

ზედმეტი ხარჯის უფლებას არ ვაძლევდით, ვინაიდან, ამდენ თანხას ვერავინ მოგვეცემდა. გადასახადის დაფარვას ნახევარი საათით თუ ღაგავიანებით, გადამცემს გვითიშავდნენ ხოლმე. სხვებს კი, როგორც აღმოჩნდა, 2-3 თვის დავალიანებები ჰქონიათ. ახლა „კავკასიას“ მიაღწენ. მას (თუ არ ცვლები) 12.000 ლარს სთხოვენ. ეს თანხა კი გადახდისა, მაგრამ შენობაში შეჭრილი ადამიანები ამბობენ, რომ დავალება აქვთ მიღებული და იქაურობას ვერ დატოვებენ.

— ადგება თუ არა „იბერიის“ საინფორმაციო სამსახური უახლოეს მომავალში?

— ველოდები, რომ ქვეყანაში შეიქმნება ისეთი პირობები, როცა ჟურნალისტიკა იარსებებს დემოკრატიულ სივრცეში. თუ ეს დრო დადგება, მაშინ „იბერიაში“ ან სულაც სხვა ტელეკომპანიაში ჩემს ადგილს ვიპოვი. ეს ადგილი კი, ახლანდელ ქართულ მედიასივრცეში ნამდვილად არ არის. მაქვს ილუზია, რომ აბსოლუტურად თავისუფალი ვიყავი, მაგრამ მაინც მქონდა სხვებისაგან განსხვავებული ჩარჩო. დღეს კი, იგი ყველას ერთნაირი აქვს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მწყობრი ნაბიჯით ტოტალიტარული სახელმწიფოსკენ მივდივართ.

— „დიალოგში“ ხშირად იყენებდით სატირით საცხე გამანადგურებელ ფრაზებს. დღევანდელი გადასახედიდან ხომ არ ფიქრობთ, რომ ზედმეტი მოგდიოდათ?

— ზედმეტი კი არა, ხშირად ლმობიერების გამო მსაყვედურობდნენ. ერთადერთი, ვისთანაც ურთიერთობა გავვიმწვავა, ეს იყო ხელისუფლება. როცა მოყოლილ ამბავს კი არ ვეყრდნობოდით,



გასიკომ მაინც ჩამოიგბანა აუდიოკასეტა, სადაც კარგად ისმის, თუ როგორ ჩხუბობს არძინბა

არამედ საკუთარ ტყავზე ვიგრძენით თუ რა ხდება ქვეყანაში, მაშინ მძაფრი სატირული რეაქცია გვქონდა – ვიდუოაქცენტები, ვიდუოხუმრობები, რომლებიც მწვავედ მოხვდა გულზე ჩვენს ხელისუფლებას და ესეც იყო „იბერიის“ საინფორმაციოს დახურვის ერთ-ერთი მიზეზი.

— ვარდებით განწყობილ კუბოზე რას იტყვით, რომელიც სახელმწიფო კანცელარიასთან მიახვეწეს?

— მას შემდეგ, რაც ტელეკომპანიაში „ჯარი“ შემოიჭრა, ჩვენი კოლეგების რეაქცია არ იყო ისეთი მძაფრი, როგორც უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ მოაწყვეს ეს აქცია კოლეგებმა გაზეთებიდან – „ტრიბუნა“ და „ჯორჯიან თაიმსი“. კუბოს ეწერა: „თავისუფალი მასმედია“. ეს იყო იმის სიმბოლო, რომ საქართველოში თავისუფალი მასმედია დასამარდა.

— ამბობდნენ, რომ ხალხს, თქვენს მხარდასაჭერად ფულს ურგებდით...

— როცა გამარჯვების პარკში აქციას ვმართავდით, ბორის კაკუბავამ მართლაც, მოიყვანა ვილაცები. აქ მგონი, პროვოკაციას ჰქონდა ადგილი და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, თბილისის ზღვიდან ჩამოიყვანა ხალხი ჩვენთან შეთანხმების გარეშე, საკუთარი ინიციატივით და რაც მთავარია, ისინი ჩვენ გვერდით არ მდგარან – მალევე წავიდნენ.

— დამისახელით თქვენი ყველაზე დასამახსოვრებელი — ვთქვათ, აგრესიულობით — რესპონდენტი.

— ყველაზე აგრესიული იყო ვლადისლავ არძინბა, რომელთანაც სოხუმში ჩავედით მე და ვასიკო მალლაფერიძე. იგი საძვერ წამოხტა სკამიდან – ინტერვიუ დასრულებულიაო, მაგრამ

ჩაწერას ვაგრძელებდით. სამწუხაროდ, ის კასეტა, რომელზეც მისი წამოხტომები კარგად ჩანდა, იქ დაგვატოვებინეს და მხოლოდ დამონტაჟებული მასალა გამოგვატანეს. თუმცა, ვასიკომ მაინც ჩამოიტანა აუდიოკასეტა, სადაც კარგად ისმის, თუ როგორ ჩხუბობს არძინბა – ჩვენ ასე არ შევთანხმებულვართო... აგრესიად იმასაც თუ მივიჩნევთ, რომ მიკროფონებს იძრობდნენ და სტუდიიდან გარბოდნენ – ასეთები იყვნენ: ვია მისაშვილი, კობა ბექაური და ა.შ. მათ შორისაა დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ჩემ გამო არ გაქცეულა სტუდიიდან – მან იქ დაინახა მერიის თანამშრომელი მანანა ნიკოლეიშვილი, რომელთანაც საუბარი არ ისურვა, მიკროფონი მოისროლა და წავიდა. სხვათა შორის, იმ დღესაც დაიხურა „დილოგის“ სტუდია: მისი გასვლისთანავე ჩემმა უფროსმა დამიბარა და მითხრა, რომ შევებულემაში უნდა წავსულიყავი.

— **ტელეკომპანია „იბერიიდან“ წამოსვლის შემდეგ სხვა არსებობდა თუ შემოთავაზებები არ გქონიათ?**

— შემოთავაზებები მქონდა. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დამირეკა ბატონმა X-მა (მის სახელს შეგნებულად არ დავასახელებ, — რადგან გართულებული ურთიერთობა მაქვს ხელისუფლებასთან), მაგრამ თავი შევიკავე. გარდა ამისა, „პირველი არხიდან“ დამირეკა ახლობელმა და მკითხა: მივიღებდი თუ არა სერიოზულ წინადადებას? ამჯერადაც თავი შევიკავე, რადგან პირველ სექტემბერამდე სიტუაციებში უნდა გავერკვე.

— გამოგეხმაურნენ თუ არა კერძო ტელეკომპანიებიდან?

— ახლა არა. შემოთავაზებები კერძო სტრუქტურებიდან მქონდა მაშინ, როცა „იბერიაში“ ვმუშავებდი. შეი-

ძლება, მალე საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთ სამსახურს ჩაუდგე სათავეში.

— ეი. ახლა დროს ფიქრსა და დასვენებაში ატარებთ...

— დიახ. ახლახან ანტალიაში ვიყავი. მალე რაჭაში წავალ, სადაც მამამთილი გველოდება. ძალიან მინდა წონაში არ მოვიმატო, მაგრამ არ ვიცი, რამდენად შექნება ამის შესაძლებლობა რაჭაში...

— თქვენი ოჯახის წევრები თქვენს უმუშევრობას როგორ შეხვდნენ?

— ელენეს, რომელიც ჯერ 4 წლისაა, უხარია, რადგან პატარაა და დედასთან ყოფნა უყვარს. გიორგიმ კი იცის, რომ ადამიანისთვის აუცილებელია თვითრეალიზაციის საშუალება. მას ისევე, როგორც ჩემს მეუღლეს (ადვოკატი შალვა შავგულიძე. — ავტ.) ჩემი წარმატებები ახარებს. მართალია, შალვა წუხდებოდა, როცა შინ დაბრუნებულს ცოლი არ ხვდებოდა და ხშირად — არც გამზადებული საჭმელი, მაგრამ მაინც ერჩივნა, რომ ჩემი საქმიანობით ყოფილიყავი დაკავებული.

— კარგი მზარეული ხართ?

— კი, მეხერხება. რაღაც ორიგინალურის მოფიქრება მიყვარს. ძალიან გემრიელი ხორცის „პეროგი“ და ხაჭაპური გამომიდის.

— თქვენი ორიგინალური კერძის რეცეპტს ვერ გამომხელთ?

— კიბრი დავჭრათ წვრილად, დავამატოთ კამა, მწვანე ხახვი; ამ ყველაფერს დავასხათ აღულებულ წყალში გახსნილი მაწონი, ჩავამატოთ მარილი და შავი პილპილი გემოვნებით. შეიძლება დავამატოთ განეხილი მოხარული კვერცხი, მაგრამ აუცილებელი არაა, რადგან მის გარეშე უფრო მსუბუქია.

— რა ჰქვია თქვენს კერძს?

— საზაფხულო „სუპი“ ანუ მაწვნიელია. ძალიან გემრიელი და სასიამოვნო საჭმელია...



...იმ დღესაც დაიხურა „დილოგის“ სტუდია: მისი გასვლისთანავე ჩემმა უფროსმა დამიბარა და მითხრა, რომ შევებულემაში უნდა წავსულიყავი

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული გივი სისხარულიძე
— მწერალი, კინომსახიობი და მოცეკვავე — შესანიშნავი
თამადაც არის. მისი აზრით, მთავარი ის კი არ არის,
რამდენს დაღვება შეგიძლია — მთავარია, ხალხის გამხ-
იარულება შეგეძლოს...



გივი სისხარულიძე

ვზებითა და თყვინთა სმის წინააღმდეგობა

ქვა მინდა

ბატონ გივის შინ მუშაობის პროცესში ვესტუმრეთ. მას დრამატურგ რეზო კლდიაშვილთან ერთად სცენარზე დაუშთავრებია მუშაობა. სცენარზე, რომლის მიხედვითაც, ამერიკელები ფილმს გადაიღებენ. ჰოლივუდელ პროდიუსერს თურმე, ბატონი გივის მოთხრობები წაუკითხავს, დაინტერესებულა და მისი ვაჟის საშუალებით, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, უთხოვია ამ მოთხრობების მიხედვით სცენარი დაეწერა. გადაღება სამ ქვეყანაში — საქართველოში, რუსეთსა და ამერიკაშია ნაგარაუდები. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი, ჩვენი შეხვედრის თემას — თამადას დაგუბრუნდეთ.

— ბატონო გივი, როგორი უნდა იყოს თამადა?

— თამადა პირველ რიგში, უნდა იყოს უაღრესად განათლებული ადამიანი, იცოდეს ქართული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურა და, რაც მთავარია, უნდა შეეძლოს თავისი ცოდნის გამოვლენა სადღეგრძელოში. შეიძლება ყველაფერი ძალიან კარგად იცოდეს, მაგრამ სადღეგრძელოს ვერ მთარგო. ამრიგად, მთავარია, სადღეგრძელოზე მორგება. ამის გარდა, სასურველია, რომ თამადა კარგად მღეროდეს, ცეკვავდეს და იუმორით სავსე ადამიანი იყოს.

— სუფრას რომელი სადღეგრძელოთი იწყებთ ხოლმე?

ძალიან მიყვარს ბებიებისა და ბაბუების სადღეგრძელოს თქმა... ყოველთვის დედ-მამის სადღეგრძელოზე ადრე ვამბობ, იმიტომ რომ...



— ვინც წინასწარ იტყვის, სუფრას როგორ იწყებს, ის კრეტინია და არა თამადა!.. სანამ სადღეგრძელოს თქმას არ დავაპირებ, მანამდე არ ვიცი, რას ვიტყვი. იმ მომენტში რაც მომივა თავში, იმას ვიტყვი.

— რამდენკაციან სუფრაზე გითამადათ?

— 20 კაცი დაწყებული, 700 კაციც დამთავრებული. მაგრამ თამადა კარგია 30, მაქსიმუმ — 50-კაციან სუფრაზე.

— ჭირის სუფრაზე თუ გითამადათ?

— არა. მე მხოლოდ ღვინის სუფრის თამადა შემიძლია. ჭირის სუფრა ჩემი საქმე არ არის, მაგისტვის სხვა ხალხი არსებობს. თუმცა, ჭირის სუფრაზეც მითამადა — სულ სამჯერ. სხვანაირად მოქცევის უფლება არ მქონდა: გარდაცვლილები, ჩემი უახლოესი მეგობრები იყვნენ და მე, მათთან ერთად, ჩემი სხულის რაღაც ნაწილიც დავმარზე...

— რა შეფასებას მისცემდით დღევანდელ ქართულ სუფრას და თამადას?

— დღეს ყველა ქართველს კარგ თამადად მიაჩნია თავი, მაგრამ ეს ასე არ არის. თამადა მარაზმამდე მიყვანილი. არ შეიძლება, 1901 წელს ნასწავლი სადღეგრძელოებით სუფრის გაძლიერება. თამადამ ყოველდღე ერთი და იგივე სადღეგრძელო არ უნდა თქვას. რაც შეეხება, სუფრის ბოლოს, როგორც წესი, იწყება ერთმანეთისადმი



სიყვარულის ახსნა, ჰომოსექსუალისტებივით ტუჩებში კოცნა და მთვრალი, ოფლიანი სახეებით ჩახუტება. აქედან მორალი: ქართულმა სუფრამ დეგრადაცია განიცადა. ვინმემ შორიდან რომ გვიყუროს, ალბათ გიყუები ვეგონებით.

— თქვენი აზრით, რით განსხვავდება ერთმანეთისგან დღევანდელი და ადრინდელი თამადა?

— ადრე ცნობილი თამადაები იყვნენ: სიმონიკა სხირტლაძე, პეტა ბოკერია და ზაალ კახიანი. ზაალ კახიანი მშვენიერი მოსაუბრე და უსაზღვროდ განათლებული კაცი გახლდათ, საოცრად კარგად უპრავდა ფორტეპიანოზე, მღეროდა და ცეკვავდა. გამოდის, რომ ის „შოუმენიც“ იყო...

— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თამადაში ფულის აღება?

— კაცი რომ თამადაში ფულს აიღებს, სრულ ჭკუაზე ნამდვილად არ უნდა იყოს. მაგრამ თუ მდიდარი კაცის სუფრის თამადა ხარ და ამ კაცს უდიდესი სიამოვნება მიანიჭებ მისი შვილის ბედნიერების დღეს, შეიძლება, ამ ადამიანმა რაღაც პერიოდის შემდეგ, ძვირფასი საჩუქარი მოგართვას. ამ დროს, ჩემი აზრით, პრანჭიაობა სრულიად ზედმეტი იქნება: მან ხომ შენ ვაჭრულად, თამადას დროს არ გადმოგცა საჩუქარი?!

— თქვენთვის თუ მოურთმევით მადლობის ნიშნად რაიმე?

— დიას, როგორ არა?! ყოფილა ძალიან ბევრჯერ. რა უჩუქებიათ, ეგ აღარ მახსოვს, მაგრამ ყოველთვის კარგ საჩუქარს მიძღვნიდნენ. სხვათა შორის, ასეთ შემთხვევაში მეც აუცილებლად მიჩუქებია რაიმე.

— მაინც, ვისთან გითამადათ?


— თუ ვინმე მაგარი ოჯახი არსებობს დღეს საქართველოში, მათ სუფრაზე ყოველთვის ვარ თამადა. მე გაჭირვებულ ხალხშიც ხშირად ვთამადაობ. ბევრჯერ დავხმარებივარ ჩემს მეგობრებს, რომელთაც დღეს უჭირთ. მათი შვილების ქორწილის ნახევარი თანხაც არაერთხელ გადამიხდია. ჩემთვის იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, როცა მეგობარს მხარში ამოუდგები?! უნდა შეგეძლოს, ადამიანის ბედნიერებისთვის გაიღო რამე.

— საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვთ?

— ძალიან მიყვარს ბებიებისა და ბაბუების სადღეგრძელოს თქმა, როცა ცოცხლები არიან. ყოველთვის დედ-მამის სადღეგრძელოზე ადრე ვამბობ მას, იმიტომ, რომ მე ვიცი, რა არის ბებია და ბაბუა და როგორი გულით უყვართ მათ თავიანთი შვილიშვილები.

— საქართველოს ფარგლებს გარეთ თუ გითამადათ?

— ხშირად მიწვევენ ერევანში, ბაქოში, მოსკოვსა და ისრაელში. ამას წინათ, ქურთების ქორწილში ვითამადე, გერმანიაში. ჩემმა უბნელმა ქურთმა, რომელიც იქ მილიონერია, დამპატიჟა შვილის ქორწილში და მთხოვა, მეთამადა, მეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. უნდა აღვნიშნო, რომ სუფრა არაერთხელ წამიყვანია სომხურად, რუსულად და ივრითზეც.



მე მეტოქე არ მყავს. შეიძლება, ეს ვინმემ ტრაბახად ჩამითვალოს, მაგრამ ტრაბახი საფუძვლიანია

— სიმფრალეში ხასიათი გეცვლება?

— არასოდეს. თამადამ კარგ ხასიათზე უნდა დაიწყო სუფრის გაძლივლა და კარგ ხასიათზევე დაამთავროს.

— საყვარელი სასმისი?

— ყანწი არ მიყვარს, რადგანაც ის ბარბაროსობას მოგონებს. მიყვარს თლილი, მაღალფენიანი მინის და არა ბროლის სასმისი. ჩემი აზრით, სასმისი და სუფრა ერთმანეთს უნდა შეესატყვისებოდეს. თუ ბედნიერების სუფრას, მით უმეტეს, სასმისიც ძალიან ლამაზი უნდა იყოს.

— საყვარელი სასმელი?

— მიყვარს კონიაკი და ვეროპულ ყაიდაზე დამზადებული ღვინო.

— მაინც რამდენის დალევა შეგიძლიათ?

— მე ღვინის მსმელი კაცი არ ვარ, მაგრამ ორი ბოთლი კონიაკის დალევა თავისუფლად შემიძლია. მიუხედავად ამისა, მთელი სუფრის განმავლობაში

ბოთლ ან ბოთლ-ნახევარ ღვინოს ვსვამ. ამ დროს, ჩემი მუცლის სიამოვნებაზე კი არ ვფიქრობ, არამედ იმ ადამიანების პატივისცემასა და მათთვის სიამოვნების მინიჭებაზე, რომლებიც სუფრასთან არიან. ჩემი აზრით, თამადა ის არის, ვინც ძალიან ცოტას დალევეს და დიდ სიხარულს მოგანიჭებს და არა ის, ვინც გაილეშება, ჭკუას დაკარგავს და იდიოტის სახით აქეთ-იქით იბანცალებს.

— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ

ვაზებში სადღეგრძელოების დალევა?

— ეს იდიოტობის ყველაზე დიდი გამოვლინებაა. სხვათა შორის, მეც დამილევია ასე, მაგრამ ვაღიარებ, რომ ეს არის კრეტინობა. მე ისეთ სუფრაზეც ვყოფილვარ, სადაც თამადამ ოცნებები გამოიტანა და „ვახტანგურებს“ ოცნებით სვამდნენ.

— დღესდღეობით, ვინ არის კარგი თამადა?

— ერთადერთი თამადა, ვინც ამ ბოლო წლებში მომწონებია, ეს ვახლავთ პროფესორი ზვიად კოეზირიძე. მაგრამ, საქართველოში ყველაზე მაგარი თამადა — რა თქმა უნდა, ჩემ შემდეგ — ომარ ქავთარაძეა. ამიტომ, ჩემს დაბადების დღეზე ყოველთვის მას ვნიშნავ სუფრის წინამძღოლად.

— დაბოლოს, ვის მიიჩნევთ თქვენს ღირსეულ მეტოქედ?

— მე მეტოქე არ მყავს. შეიძლება, ეს ვინმემ ტრაბახად ჩამითვალოს, მაგრამ ტრაბახი საფუძვლიანია.



სასურველია, რომ თამადა კარგად მღეროდეს, ცეკვავდეს და იუმორით საჯეს ადამიანი იყოს



ქურთების ქორწილში ვითამადე, გერმანიაში. ჩემმა უბნელმა ქურთმა, რომელიც იქ მილიონერია, დამპატიჟა შვილის ქორწილში...

ქალს ძალზე ბევრი რამ შეუძლია — ეს გახლავთ მკითხველთა უმრავლესობის აზრი. ბუნებრივია, რომ ჩვენ მიერ ნაკარნახევ თემას მამაკაცები უფრო აქტიურად გამოეხმაურნენ და მათ თავს გადახდენილი უამრავი საინტერესო ამბავი გაგვიზიარეს. მაგრამ სანამ შემოსულ მესიჯებთან გან ყველაზე საინტერესოს გაგაცნობდეთ, ერთი ისტორიული ფაქტი მინდა შეგახსენოთ, რომელიც XVI საუკუნის საქართველოში მოხდა.

მარი ჯაფარიძე



რა შეუძლია ქალს

„...გმადლობ, რომ კარგი გაკეთილი ჩამიტარე“

ამ დროს, ოდიშის მთავარი, ლევან დადიანი გახლდათ, რომელმაც პირველი ცოლი, აფხაზეთის მთავრის ასული, თაძუნია ლალატის გამო მამას უკან მიჰკვარა, თვითონ კი საკუთარ ბიცოლაზე, ნესტან-დარეჯანზე იქორწინა. თაძუნიასგან მას დარჩა ორი ვაჟი, რომელთაც (როგორც ისტორიკოსი არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს) „სიყრმიდანვე ეტყობოდათ, რომ იქნებოდნენ ნამდვილი მემკვიდრე დედის სათნოებისა და მამის ახოვანების“. მაგრამ ლევანმა შვილები მოწამლა. ეს სისასტიკე თავისი ახალი ცოლის, დარეჯანის გავლენით ჩაიდინა. დარეჯანი ლევანს ხშირად ჩააგონებდა: დარწმუნებული არ უნდა იყო იმაში, რომ პირველი, ორგული ცოლის ნაშობი ბავშვები შენი კანონიერი შვილები არიანო...

ისტორიული ფაქტი ჩვენი პირველი რესპონდენტის მესიჯმა გამახსენა. თუმცა, მადლობა ღმერთს, საქმე არავის დალუპვამდე არ მისულა. ამას კი მესიჯის ავტორი თავის გონიერებას უნდა უმადლოდეს.

„ქალმა საკუთარ შვილზე უარი მათქმევინა...“

„38 წლის კაცი ვარ, მაგრამ რომ მნახოთ, იტყვიან, რომ ღრმად მოხუცი ვარ. სულ მთლად გავჭალარავდი, წელში მოვიხარე და ჯანმრთელობაც შემერყა. ეს ყველაფერი კი, ქალის დამსახურებაა. როდესაც ცოლი გარდამეცვალა, 27

წლის ვიყავი და 3 წლის ვაჟი დამრჩა. უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე. ამის გამო ცოლის ნათესავებთან ძალზე ცუდი ურთიერთობა მქონდა. მათ, ფაქტობრივად, ნინოს (მეუღლის) ნათესაობაზეც ხელი აიღეს, ხოლო მშობლები ოჯახშიც კი არ უშვებდნენ: ჩემი სიმამრი საკმაოდ დიდი ფულის პატრონი იყო და იუკადრისეს ჩემნაირი კაცის დანათესავება. ნინოს უზომოდ გუყვარდი, ამიტომ არჩევანი არასოდეს უნანია და 5 წელი ძალზე ბედნიერად ვცხოვრობდით. ის მეორე შვილზე მშობიარობისას დაიღუპა. მასთან ერთად დაიღუპა ბავშვიც. დაკრძალვამდე 2 დღით ადრე, გვიან ღამით, მამამისი მოვიდა. არც დამლაპარაკებია, არც რაიმე უკითხავს, თანმსლებ მამაკაცებს მითითება მისცა, რომ მიცვალებული ოთახიდან გაეცვენებინათ. ხმა არ ამოვიღია. ნინო მამის სახლში გადაასვენეს, მე და ბავშვი კი, შინ დავრჩით. ჩემს მწუხარებას მხოლოდ მეზობლები და ნინოსა და ჩემი მეგობრები იზიარებდნენ. იმ დროს კი, როდესაც ნინოს მამა მოვიდა, მხოლოდ მე, ლაღუკა (შვილი) და ორი მეზობლის ქალი ვიყავით შინ. რა თქმა უნდა, არ მომცეს უფლება, მიცვალებულს გავყოლოდი. დაკრძალვამდე ვერ მივიღოდი, ამიტომ ბავშვი ხელში ავიყვანე და პროცესიას შორიანლო გავყევი. როდესაც ყველა გაიკრიფა, სასაფლაოზე გვიან ღამემდე დავრჩით მე და ლაღო, შემდეგ შინ დავბრუნდით. ბავშვი ჩემი ცხოვრების იმედად იქცა. მის გარდა, არავინ მყავდა. ნინოს მშობლებს

არც მოუკითხავთ მისთვის, მაგრამ მაინც სულ მეშინოდა, რომ ლაღო ჩემთვის არ წაერთმიათ. გადიოდა წლები, მე ვეზუაობდი, ლაღო იზრდებოდა. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით. შემდეგ გავიცანი ერთი ქალი, რომელმაც თავგზა ამიბნია და უზომოდ შემიყვარდა. ამ დროს, ლაღო უკვე სკოლაში დადიოდა. ნუნუ და ჩემი შვილი თავიდანვე ვერ იტანდნენ ერთმანეთს. თავდაპირველად საყვარლები ვიყავით. ის ჩემთან მოდიოდა ხოლმე და ხანდახან რამდენიმე დღითაც რჩებოდა. ვატყობდი, რომ ბავშვი მის მიმართ აგრესიული იყო. ვცდილობდი, ისინი ერთურთისთვის არ შემეხვედრებინა, ამიტომ, ნუნუ შინ აღარ მომყავდა ხოლმე. ამის გამო, სულ უკმაყოფილება გვექონდა ერთმანეთში. შემდეგ ღავიწყე ბავშვის დატუქსვა. ხანდახან მიცემია კიდევ, იმის გამო, რომ ნუნუს არ უჯერებდა და ცუდად ექცეოდა. ამ ქალმა შვილის მიმართ სიყვარული რაღაცნაირად გამიხელა. მზად ვიყავი, მისი ნებისმიერი სურვილი შემესრულებინა, ოღონდაც ჩემ გვერდით ყოფილიყო. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ვთხოვე, ცოლად გამომყოლოდა; მან კი პირობა წამომიყენა — თუ ლაღო ჩვენთან არ იცხოვრებს, იმ შემთხვევაში დავქორწინდებითო. — გამოსავალიც თვითონ მოიძებნა — შენც ხომ უპატრონო ბავშვთა სახლში ხარ გაზრდილი, რა უჭირს, ლაღოსაც თუ იქ მივიყვანოთ, სანახავად კი ძალზე ხშირად წახვალო?! ასე იყო თუ ისე, სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. თავდაპირველად ბავშ-

ეს კვირაში ერთხელ ვნახულობდი, შემდეგ — თვეში ერთხელ... თუმცა, ლაღოს სულაც არ ჰქონდა ჩემთან შეხვედრის სურვილი. რომ ველაპარაკებოდი, ხმას არ იღებდა, ზევით, ცაში იყურებოდა და ფეხებს აქანავებდა... ბოლოს, საერთოდ შევწყვიტე მასთან ურთიერთობა. ნუნუმ მთლიანად გამაზვია თავის ბაღში და მარიონეტით მათამაშებდა. გასწეობაც კი არ მინდა იმ წლების... ჩემი გონება, აზრი, გული, არსება ამ ქალით იყო დაკავებული. თვალეში შევყურებდი და მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რაც ესამოვნებოდა. დღე და ღამე თავაუღებელი ვმუშაობდი, რომ მისთვის ჩექმა, „შუბა“, ოქროს სამკაული და ძვირფასი კაბები მეყიდა. მე კი დავჩაჩანაკდი, ქუსლმორყეული ფეხსაცმლითა და გახუნებული შარვლით სიარული არ მესირცხვილებოდა. ნუნუ ხომ კარგად იყო! — ჩემთვის მთავარი ეს გახლდათ. მეგობრები შემომეცალნენ და სულ მარტო დავრჩი... ერთხელ, ქუჩაში მოხუცი ქალი შემხვდა. მოწყალება მთხოვა. ჯიბეში რაც ხურდა მქონდა, სულ მივეცი. ამ ქალმა კი თვალი გამიშტერა და მითხრა — შენ მოჯადოებული ხარ, რობოტით ასრულებ სხვის ბრძანებებს, თვალეში ისეთი ცარიელი გაქვს, ამას ყველა მიხვდებაო... თითქოს ამ ქალის სიტყვებმა გამომაფხიზლა. გადავწყვიტე, მკითხავთან მივსულიყავი. ბევრი სიარულის შემდეგ, ერთ მოლას მივაღე და ჯადო მომიხსნა. ამის შემდეგ, ბავშვი მოვიკითხე, შევპირდი, ერთ კვირაში შინ წავიყვან-მეთქი. ნუნუს ეს ამბავი არ მოეწონა, ვიჩხუბეთ და ერთმანეთს ფიზიკურად შევეხეთ. დიდი ხნის კოვზი მომიქნა და კბილები ჩამიმტვრია. გავმწარდი და ისე დავალი-ლავე, რომ საავადმყოფოში მოხვდა. მე კი პოლიციამ დამაკავა... ვიდრე ყველაფერი გაირკვეოდა, ერთი თვე გავიდა. ლაღოს მხოლოდ ამის შემდეგ მივაკითხე და აღმოჩნდა, რომ 4 დღის წინ გაქცეულიყო და ეძებდნენ. 11 წლის ბიჭი უკვე თავმოყვარე ადამიანია და როგორც ჩანს, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი... ძალზე ბევრი ვეძებეთ. 2 თვის შემდეგ, პოლიციის დახმარებით, კახეთის ერთ-ერთ სოფელში მივაგენით. თურმე, ღამეს კულტურის სახლის კიბეზე ათევდა, დღისით კი, კეთილი ხალხი აპურებდა. რომ ვნახე, გულში ჩავიკარი და ხმაშალა ვიტირე... ახლა ჩემი შვილი უკვე 14 წლისაა. კვლავ ერთად ვცხოვრობთ. მან დაიწყო ის გულსიტკვილი, რომელიც მე მივაყენე, მაგრამ მე ვერ ვივიწყებ. აი, რა შეუძლია ქალს. ჩემს სანუკვარ

და სათაყვანებელ შვილზეც კი უარი მათქმევინა. სახალხოდ ვინანიებ ჩემს საქციელს“.

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ შეგახსენებთ, რომ ქალებს უამრავი ისეთი საიდუმლო აქვთ, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ გაუმხელენ მამაკაცებს, მაგალითად: თქვენმა მშვენიერმა ქალბატონმა უთოობისას, ოდნავ დაგიწვათ შარვალი; ის უკვე ხმარობს ნაოჭების საწინააღმდეგო კრემს; თქვენთვის მომზადებულ ეროკვერცხში ჭიანჭველა შეჰყვა; თავის ფისოს თქვენზე მეტად ანებივრებს; ტელესერიალის ცქერისას, თვალეზე ცრემლები მოადგა; უვარგისი საზამთრო უყიდა და თქვენ მოსვლამდე, ნავის ყუთში გადაუძახა... ნურც იმის გარკვევას ეცდებით, თუ სად წაიღო თქვენი ხელფასის ნახევარზე მეტი, რომელიც ჯინსის ყიდვის შემდეგ დარჩა... ზოგჯერ კი თურმე, საყვარელმა ქალმა შესაძლოა, კანონიერი ქმარიც კი დაგიძალოთ...

„...ასეთი ცუდილი მაჭამა ქალმა“

„ქალმა ისეთი რამ გამიკეთა, რომ გამხელაც კი მრცხვენია. გვიან ღამით მანქანით შინ ვბრუნდებოდი. წერეთლის გამზირზე ქალი შევინხე, რომელიც ტაქსის აჩერებდა. მის წინ დავამუხრუჭე. არც უფიქრია, რომ ჩემი მანქანა ტაქსი არ იყო, მოკალათდა უკანა სავარძელზე და — სოლოლაკში წავიდეთო, — მითხრა. დავიძარით. სარკეში ვუყურებდი, შუბლშეკრული, უაზროდ როგორ აცეცებდა თვალეებს აქეთ-იქით — თითქოს რაღაც აწუნებდა. გამოველაპარაკე, დახმარება შევთავაზე... უსიტყვოდ გააქნა თავი, უარის ნიშნად. შემდეგ ყავაზე დავაპატიჟე და დამცინავი ღიმილი გამოეხატა სახეზე. მივხვდი, ტაქსის მძღოლისგან იუკადრისა დაპატიჟება. როდესაც აუხსენი, რომ ჩემი „მერსედესი“ ტაქსი კი არა, ჩემი საკუთრება იყო, ჯერ შემფოთდა, შემდეგ საუბარში ამყვა და ყავაზე მიპატიჟებაც მიიღო. მითხრა, გაუთხოვარი ვარო... მოკლედ, იმ დღიდან დავიწყეთ შესხვედრები, ერთი თვის შემდეგ კი ეს ქალი ჩემი გახდა. ისეთი ხალისით მოდიოდა ჩემთან შესხვედრებზე, რომ მიკვირდა, მაგრამ ბინის ტელეფონის ნომერს არ მძღვედა. ჩემთან ყოფნისას ყოველთვის კარგი განწყობა ჰქონდა. უცოლო მამაკაცი ვარ, მარტო ვცხოვრობ, ამიტომ ჩემთან შინ მოდიოდა ზოლმე. სხვა ქალებსგან განსხვავებით, არასოდეს ტოვებდა

„შემთხვევით“ თავის პირად ნივთებს, არ მძღვედა უფლებას, სახლამდე მიმეცილებინა და არც ეკვიანობდა. მოკლედ, ისეთი სანატრული ქალი გახლდათ, მეგონა, ჩემი გამოგონილია-მეთქი. არ ჰქონდა პრეტენზიები და არც ღამით რჩებოდა ჩემთან. უზომოდ შემეყვარდა ეს თვინიერი ქალი. დავისვენე იმ ინტრიგებისა და წუწუნისგან, რითიც სხვა ქალებმა დამძალეს. ერთ მშვენიერ დღეს, გადავწყვიტე, ხელი მეთხოვა. საუკეთესო, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ვიყიდე, პაემანი დაუწინა და საჩუქარი მივართვი. აღფრთოვანებულმა მაკოცა. რომ ვუთხარი, ცოლად გამომეყვი-მეთქი, სახე რაღაცნაირად შეეცვალა. ამოიხსრა და მითხრა: მე უკვე მყავს ქმარი და ორი მოზრდილი შვილიცო... ისე მეწყინა, თვალზე ცრემლი მომდგა. შემდეგ გაგვრახდი. მაგრამ გული მალევე მომიბრუნდა. ჩვენ ისევ ვხვდებით ერთმანეთს. ვეხვეწები, მატოვე ქმარი და ცოლად გამომეყვი-მეთქი, მაგრამ უარზეა... აი, ასეთი ცუდილი მაჭამა ქალმა, თანაც ქმარს რომ ვუხსენებ, ისეთი აგრესიული ხდება, მეშინია... თქვენი აზრით, ეს რას უნდა ნიშნავდეს? გიზო“.

...იმერეთის მეფე ალექსანდრე III 1660 წელს გარდაიცვალა. მას მეორე ცოლად ჰყავდა დედოფალი დარეჯანი, თეიმურაზ კახთ-ბატონის ასული. მასთან საერთო შვილი არ ჰყოლია. თავდაპირველად, ალექსანდრემ თეიმურაზ პირველის შვილიშვილი, ლუარსაბ დავითის ძე იშვილა და ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა. მაგრამ ლუარსაბი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. ამის შემდეგ, ალექსანდრემ გადაწყვიტა, ისევ თავისი შვილი — პირველ ცოლთან ნაშობი ბაგრატო გაემეფებინა. დარეჯანმა გერს, როცა ის იმერეთის მეფედ ეკურთხა, ცოლად შერთო თავისი ძმისწული — დავითის ასული ქეთევანი, მაგრამ ძალაუფლება თვითონ ჩაიგდო ხელთ, ბაგრატს არაფერს ეკითხებოდა და ფაქტობრივად, თავად მეფობდა. მაგრამ ესეც არ აკმაყოფილებდა და ჯერ საკუთარ გერს შესთავაზა, მასზე დაქორწინებულიყო და როდესაც აღშვოთებული ბაგრატისგან უარი მიიღო, შვიპყრო იგი და თვალეები დასთხრა. დარეჯანმა ქმრად შერთო ვახტანგ ბაგრატონი, რომელსაც ჭუჭუნისა შვილს ეძახდნენ და ის აკურთხებინა იმერეთის მეფედ... აი, ასე იძიებდნენ შურს წინათ ქალები, როდესაც საკუთარ ამბიციებს ვერ იკმაყოფილებდნენ. როგორ იქცევან ასეთ შემთხვევაში დღეს? — ამის შესახებ 27 წლის მამუკა გვიამბობს.

„ქალს ეშმაკზე მეტი შეუძლია...“

„თბილისელი, საკმაოდ კარგი გარეგნობის ბიჭი ვარ. ძალზე პატარა ვიყავი, როდესაც მამა დამელუპა. მე და დედა ერთად ვცდილობდით, ცხოვრებას გავმკლავებოდით. მოუხედავად იმისა, რომ არავინ მყავდა ისეთი, ვინც ხელს შემავლებელა და ცხოვრების მოწყობაში დაემხმარებოდა, ჩემით შეგძელი საკმაოდ კარგი სამსახურის შოვნა და უცხოურ ფირმაში მენეჯერად მოვეწყვე. ჩემი შეფი ქართველი კაცი იყო და ყოველთვის ცდილობდა, ხელი შეეწყო ჩემთვის. ჩვენთან ერთი გოგონა მუშაობდა. თავიდანვე სიმპათიით განეწყო ჩემ მიმართ, გამოხედვითა თუ საქციელით ყოველთვის მიმანიშნებდა, რომ მოეწონდი. გარეგნობით კარგი გოგო იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ წინათ, საყვარელი ჰყავდა. ამის გამო თავს ვარიდებდი, მასთან სერიოზული ურთიერთობა არ მინდოდა, რადგან ცოლად არ მოვიყვანდი, ისე კი, მეგობარი გოგონა მყავდა და სოფო სულაც არაფერში მჭირდებოდა. ჩემგან რომ ვერ იგრძნო საპასუხო გრძობა, დაიწყო აქტიურობა, ხან შინ მიბარებდა, ხან საჩუქრებს მიძღვნიდა. მე ვწუხდი, მაგრამ რა უნდა მექნა?! გასაქანს არ მძღვებდა. მერე ვფიქრე – ჯანდაბას, ერთი-ორჯერ ჩავიწვენი ლოგინში და თავს დამანებებს-მეთქი. ავდექი და ასეც მოვიქეცი. ვეღარ დავადწიე მის კლანჭებს თავი. ბოლოს, ჩემი მეუღლეობაც მიინდობა. უარი რომ ვუთხარი, სიბრაზისგან გამწვანდა... ამის შემდეგ, მტრებად ვიქეცი. მე, რა თქმა უნდა, არაფერს ვაკეთებდი ისეთს, რომ მისთვის მეზო, მაგრამ სამაგიეროდ, თვითონ არ აკლებდა ცდას, რომ ათასი წინააღმდეგობა შეექმნა ჩემთვის. მამა ჰყოლია კრიმინალი და ვფიქრობ, სწორედ მან მოიპარა ჩემი ახალთახალი „ბე-ემ-ვე“; ჩვენს შეფს ჩაუწვა ლოგინში და იმდენი ქნა, რომ დამაქვეითეს, ჩემს ადგილზე კი, სოფო დანიშნეს. ეს ძალზე შეურაცხყოფელი იყო ჩემთვის, ამიტომ სულ მივატოვე სამსახური და უმუშევარი დავრჩი... ცხოვრება თავზე მენგრეოდა და ერთი სულელი ქალის ამბიციას ვეწირებოდი, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა. ახლა კვლავ დავიბრუნე ჩემი მდგომარეობა, სხვა სფეროში ვმუშაობ და ცოლის მოყვანასაც ვაპირებ. ქალს იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე ეშმაკს. ამიტომ, სადაც სატანა ვერაფერს ახერხებს, იქ ქალს აგზავნი. ეს იყო სულ, რისი თქმაც მინდოდა. კიდევ მინდა, სოფოს

თქვენი საშუალებით შევეხმიანო: სოფო, ფონს ვერ გახვალ ასეთი ცხოვრებით. გმადლობ, რომ ერთი კარგი ცხოვრებისეული გაკვეთილი ჩამიტარე. მამუკა“.

ახლა კი ტრადიციისამებრ, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

„ვინც მე იმას მაპოვნინებს, ჩემი გული ალალ მისი“

„ქალს ძალზე ბევრი შეუძლია. მე შემეფარა ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი ქალი, მაგრამ ის ისეთი ლამაზია... უიმისოდ სიცოცხლე ვერც წარმომიდგენია. ლელა, ჩვენ სულ ერთად ვიქნებით. მიყვარხარ. გელა“.

„ჩემმა დაქალმა ჩემს შეყვარებულთან რომანი გააბა. სულ დაივიწყა ჩემი არსებობა და ლამაზი საღამოების დამახსოვრებას შეუღდა“.

„მიყვარს ადამიანი, რომელიც ჩემს მშობლებს არ მოსწონთ, მაგრამ მაინც უნდა გავყვე ცოლად. თანაც, სულ მალე-მა-კა“.

„მე იმდენი ვიჩალიჩე, რომ საგო ჩემკენ მოვებრუნე და მერე „დავახვევინე“ – მშრალზე დავტოვე. აბა! ხომ მაგარი ვარ? სალომე – პრონოვი“.

„უკვე სამი თვეა, ჩემს ფანჯრებს ძალზე ლამაზი ბიჭი აკვირდება. მეც დაჟინებით ვუყურებ ხოლმე და ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს ჩემი შეყვარებულია. მე კი, მისი სახელიც არ ვიცი. ცოტა ხნის წინ გავარკვიე, რომ მას საშუა ჰქვია, ჩემი უბნელის დეიდაშვილია და 22 წლისაა. ყოველ საღამოს ვდგავარ ფანჯარასთან და ველი მის გამოჩენას. მე ის უკვე ძალიან მიყვარს. რა ვქნა? გაცნობა მინდოდა, მაგრამ არ გამაცნეს. ნინი“.

„ქალს სულ იოლად შეუძლია მეცხრე ცაზე აიყვანოს კაცი, იქიდან კი დაუნანებლად მოისროლოს ძირს. შეუძლია კაცი დააჩოქოს, ააცრემლოს, ფეხზე წამოაყენოს და კაცად აქციოს“.

„ერთი ბიჭი მომწონდა, მაგრამ ძალიან სერიოზული ტიპი იყო და მე, 18 წლის ბავშვს, 29 წლის თანამდებობის პირი ყურადღებასაც არ მაქცევდა. დავიწყე ფარულად მესიჯების გაგზავნა. ბოლოს, შემთხვევით გაიგო, რომ მე ვიყავი და დაიწყო ჩვენი შეხვედრები. რომ არა მესიჯები, ვერასოდეს გაიგებდა, რომ მიყვარდა და ეს ლამაზი ოჯახი არ შეიქმნებოდა. დღეს ძალზე ბედნიერი ვარ“.

„ვარ 29 წლის. 17 წლის ვიყავი, როდესაც უსიყვარულოდ გავთხოვდი. მეგონა, დროთა განმავლობაში შევიყვარებ-

დი ჩემს მეუღლეს, მაგრამ მასთან ცხოვრება უფრო და უფრო მიჭირდა. ბოლოს, მის მიმართ ზიზღის გრძობა გამიჩნდა, მაგრამ იმის გამო, რომ ბავშვებს მამა ჰყოლიდათ, დღემდე ვითმენ. 2 წლის წინ გავიცანი ერთი მამაკაცი, რომელიც უზომოდ შემეფარდა. ის კი ჩემს ქმარზე უარესი აღმოჩნდა. რამდენჯერაც გამიჭირდა, იმდენჯერ ზურგი მაქცია. მაინც ყველაფერს ვპატიობდი და მისი სიტყვის უზომოდ მჯეროდა. მაგრამ ახლა, როდესაც ავად გავხდი, ერთხელაც არ დაურეკავს და არ უკითხავს, როგორ ვგრძნობ თავს. არადა, სიყვარულს მეფიცებოდა, – ვიდრე შენთან ვარ, სხვა ქალს არ გავეკარებო, – მეუბნებოდა. ამ სიტყვების შემდეგ, ჩემს ახლობელს დაუწყო დენა. მე კი მის გამო ყველაფრისთვის მზად ვიყავი, ჩემ-ჩემად ფულს ვაგროვებდი და მისთვის საჩუქრებს ვყიდულობდი. მას კი ჩემთვის ერთი ყვავილიც არ გაუმეტებია არასდროს. მაინც, მისი სიყვარულის გარდა, არაფერი მინდოდა. მან კი სამაგიერო ასე გადამიხადა. ნუთუ, ყველა კაცი ერთნაირია?“

„ბორჯომში ერთი სუჭუჭუჭთმიანი გოგო ისვენებდა, ერეკლეს ქუჩაზე. მე მხოლოდ მისი სახელი ვიცი. მას ანი ჰქვია. უზომოდ შემეფარდა. 7 ივლისს აქედან გაემეზავრა და მას მერე, მოსვენება დავკარგე. სულ მასზე ვფიქრობ. ანი, იცი ვინ ვარ? მთელი დღეები მაგნიტოფონი რომ ჰქონდა მაღალ ხმაზე ჩართული, ის... თუ ამ მესიჯს წაიკითხავ, გამომეხმაურე, რა!.. აი, რა შეუძლია ქალს. როგორც იმ სიმღერაშია, ხომ იცით – ვინც მე იმას მაპოვნინებს, ჩემი გული ალალ მისი“.

„დღეგრემის თანამშრომელი, 20 წლის ირაკლი შემეფარდა. დღემდე ვაიგო, მქნებუბა და მასთან შეხვედრა ამიკრძალა. ირაკლის ჩემთან ლაპარაკი უნდა, მაგრამ დედა წინააღმდეგია. რა ვქნა?“

„მე თვითონ გოგო ვარ, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ რაც ქალს ყველაზე კარგად შეუძლია, ეს მამაკაცის ცხოვრების თავდაყირა დაყენებაა. მარიაში“.

„ფემინისტი არ ვარ, მაგრამ ქალები უფრო მობილიზებულები ვართ, უფრო ძლიერებიც... ვერიკო, 20 წლის“.

დღეს „გზაჯინილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად ვთავაზობთ – მავნე ჩვევა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ვვიახმეთ, რა პრობლემებს გიქმნით თქვენი მავნე ჩვევა. ვემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

დიაბეტური ტერფის სინდრომი

რუმბოკას უძღვება ექიმი თამარ მამანაშვილი

ქვედა კიდურის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაზიანების დროს, პაციენტს აღენიშნება ხანგამოშვებითი კოჭლობის სინდრომი. შაქრიანი დიაბეტის დროს კი, ავადმყოფთა დიდ ნაწილს სიარულისას ტკივილი საერთოდ არ აწუხებს (როგორც ჩანს, მგრძნობელობის დაქვეითების გამო). ზოგიერთ ავადმყოფს აღენიშნება სხვადასხვა სიძლიერის მუდმივი ტკივილი, რომელიც სიარულს არ უკავშირდება. დიაბეტური მიკროანგიოპათიის დროული გამოვლენა საკმაოდ რთულია. გარკვეულ დაზიანებას ამ შემთხვევაში გვიწევს შემდეგი ნიშნები:

1. თმისა და ფრჩხილების ზრდის ინტენსივობის შემცირება დაზიანებულ კიდურზე.
2. ცილის გაჩენა შარდში, რაც თირკმლის სისხლძარღვების დაზიანებაზე მეტყველებს.
3. თვალის ბადურას სისხლძარღვთა დაზიანება.

დიდი და მცირე ნიშნები

შაქრიანი დიაბეტის დროს, პირობითად გამოყოფენ ტერფის დაზიანების „დიდ“ და „მცირე“ ნიშნებს: „მცირე“ ნიშნებს ეკუთვნის:

- ჰიპერკერატოზი (კოჭრების გაძლიერებული წარმოქმნა).
- ფრჩხილების გასქელება და ფორმის შეცვლა.
- ფრჩხილებისა და კანის სოკოვანი დაზიანება (განსაკუთრებით, თითებში არეგებში).

შაქრიანი დიაბეტი ყველაზე გავრცელებული ენდოკრინული დაავადებაა. იგი ამავდროულად, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიას წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით ეხება მე-2 ტიპის შაქრიან დიაბეტს. ეს დაავადება 3-ჯერ ზრდის საერთო სიკვდილიანობის რისკს, 2-ჯერ — გულის იშემიური დაავადების რისკს, 3-ჯერ — არტერიული ჰიპერტონიის რისკს, 20-ჯერ — ფეხების განგრენის განვითარების რისკს (კიდურის ამპუტაციათა საერთო რიცხვის 50%-იც ასეთ ავადმყოფებზე მოდის). ყველა ამ პათოლოგიის საფუძველს დიაბეტური ანგიოპათია (სისხლძარღვთა დაზიანება) წარმოადგენს.

● ტერფების დაბუჟება და მგრძნობელობის სხვა სახის დარღვევები.

● ფეხების ტკივილი.
თუმცა, ფეხების ტკივილი სხვა დაავადების სიმპტომიც შეიძლება იყოს და ყოველთვის დიაბეტის გართულებას არ წარმოადგენს.

„დიდ“ ნიშნებს განეკუთვნება:

- შეუხორცებელი ჭრილობები და წყლულები ფეხებზე.
- სახსრების დაზიანების განსაკუთრებული ფორმა — დიაბეტური ოსტეოართროპათია.
- ინფექციური პროცესები: აბსცესი და ფლეგმონა (კანქვეშა დაჩირქებები), ოსტეომიელიტი (ძვლის დაჩირქება) და სხვა.
- განგრენა.

შაქრიანი დიაბეტის დროს ფეხების დაზიანების რისკის შესამცირებლად შემუშავებულია სპეციალური წესები:

1. ფეხზე უმნიშვნელო ანთებაც კი დიაბეტის დროს შეიძლება, „დიდ“ პრობლემაში გადაიზარდოს. ამიტომ, მცირე ანთებითი პროცესის შემთხვევაშიც, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.
2. ყოველდღიურად დაიბანეთ ფეხები და ფრთხილად შეიმშრალეთ. არ დაგავიწყდეთ, თითებს შორის არეების შემშრალეაც. შხაპის მიღების ან ცურვის შემდეგაც, ფეხები კარგად გაიმშრალეთ.
3. ყოველდღიურად დაითვალიერეთ ფეხები, რათა დროულად აღმოაჩინოთ ნაკაწრი, ჭრილობა, დაჟეჟილობა და სხვა დაზიანება. ფეხის ძირები სარკით დაითვალიერეთ.
4. ფეხებისთვის არ არის კარგი არც ძალზე დაბალი და არც ძალზე მაღალი ტემპერატურა. წყალი ჯერ ხელით შეამოწმეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ძალზე ცხელი არ არის.

თუ ლამაზობით ფეხები გეყინება, თბილი წინდები ამოიცვით. ნუ გამოიყენებთ სათბურას ან სხვა ცხელ საგანს!

5. ყოველდღიურად დაათვალიერეთ ფეხსაცმელი, რომ მათში არ იყოს ჩავარდნილი უცხო საგანი, არ იყოს დახეული საფენი — ამან შესაძლოა, ნაწოლის ან წყლულის განვითარება გამოიწვიოს.

6. ყოველდღიურად იცვალეთ წინდები. ისინი აუცილებლად თქვენს ზომისა უნდა იყოს. ნუ ჩაიცვამთ დაკემსილ წინდებს და ისეთებს, რომელთაც მოჭერილი რეზინი აქვთ.

7. ნუ იყიდით ფეხსაცმელს, რომელიც გიჭერთ. ტერფის მნიშვნელოვანი დეფორმაციისას, სპეციალური ორთოპედიული ფეხსაცმლის შეკერვა დაგჭირდებათ. ნუ ჩაიცვამთ ფეხსაცმელს შიშველ ფეხზე. არასოდეს იყიდოთ სანდლები, რომლის თასმებიც თითებს შორის გადის. არასოდეს იაროთ ფეხშიშველმა, განსაკუთრებით — ცხელ ზედაპირზე.

8. ტრავმის დროს იოდი, პერმანგანატი, სპირტი და ბრილიანტის მწკანე უკუნაჩვენებია. ჭრილობა დაიმუშავეთ წყალბადის ზეჟანგით (3%-იანი ხსნარით) ან სპეციალური საშუალებებით (დოქსილინი, ფურაცლინი) და დაიდეთ სტერილური ნახვევი.

9. არასოდეს გამოიყენოთ კოჭრის დამარბილებელი ქიმიური ნივთიერებები და პრეპარატები. ნუ მოიჭრით კოჭრს ბასრი ინსტრუმენტით (ორღესულით, სკალპელით და სხვა). ამ მიზნით გამოიყენეთ პემზა და მსგავსი საშუალებები.

10. ფრჩხილები სწორად მოიჭერით, ნუ მოუმრგვალებთ კუთხეებს — ისინი შეგიძლიათ მოიქლიბოთ.

11. ნუ მოსწვეთ სივარეტს. ამით ამპუტაციის რისკი 2,5-ჯერ მატულობს.

12. ფეხის კანის სიმშრალის დროს, შეიზილეთ მასში ცხმიანი (მაგალითად, ქაცვის ზეთის შემცველი) საცხი, მაგრამ არა თითებს შორის.



ბრძოლა ნაწლავის ჩხირებთან

რაც უფრო ცხელია ზაფხული, მით უფრო ხშირია საკვებით მონამვლა და ნაწლავური ინფექციები ბავშვებში. როგორ უნდა მოიქცეს უფროსი, თუკი „ცივილიზაციისგან მოშორებით“ — სოფელში, მთაში, აგარაკზე პატარას საჭმლის მონელება დაერღვა?

კვებითი მონამვლის ნიშნები

- პირღებინება და გულისრევა
- ტუცლის ტკივილი
- ტემპერატურის მატება
- დიარეა (კუჭის აშლა).

დაავადებას იწვევს იმ მიკრობთა ტოქსინები (შხამები), რომლებიც ცხელ ამინდში სწრაფად მრავლდება, ხარისხიან და ახალ პროდუქტშიც კი: ნამცხვრის კრემში, სალათის სანელებელში (მაიონეზი, არაყანი და სხვა), რძემჭავა პროდუქტებში, კერძში, რომელიც ნადრეკად მომზადდა და სუფრასთან მიტანის წინ შეაცხვლეს...

გამომწვევი ყველაზე ხშირად, საღმონელებია (არსებობს მათი ათასზე მეტი სახეობა), აგრეთვე — სტაფილოკოკები და ზონეს დიზენტერიული ჩხირი.

სასწრაფო ზომები

● ერთადერთი სწორი ტაქტიკა კვებითი მოწამლისას, ბავშვისთვის სასწრაფოდ კუჭის ამორეცხვაა: უნდა ამოიღოს ყველაფერი, რაც ჭამა. პატარამ უნდა სვას, რაც შეიძლება მეტი წყალი, უმჯობესია — სოლიანი (1 ს/კ სოდა 1 ლ წყალზე). ყოველი მიღებული ულუფის შემდეგ, გაუღიზიანეთ ენის ძირი.

● კვებითი მოწამლისას, ღებინების საწინააღმდეგო საშუალებების მიღება არ შეიძლება: დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები და მათი ტოქსინები ორგანიზმში რჩება და ამ შემთხვევაში, მდგომარეობა უარესდება. ასეთი პრეპარატების გამოყენება მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, რაც კუჭ-ნაწლავი კარგად გაიწმინდება შხამებისგან და გაუთავებული ღებინების გამო, ორგანიზმს დეჰიდრატაცია ემუქრება.

● მას შემდეგ, რაც ღებინება მოიხსნება, საჭიროა სითხის დანაკარგის შევსება. თუ თან არ გექნებათ რეჰიდრონის ან მისი მსგავსი პაკეტი, შეგიძლიათ, ხსნარი თავად დაამზადოთ: 1 ლ წყალში გახსნით 1 ჩ/კ მარილი, 1/2 ჩ/კ სოდა და 1 ს/კ შაქარი (წყლის ნაცვლად შეგიძლიათ მისცეთ ჩირის კომპოტი, ბოსტნეულის ნახარში). ბავშვი ვერ შეძლებს ერთბაშად ბევრი სითხის დალევას, მაგრამ თანდათანობით, ფლუპ-ფლუპად, შესვენებებით დააღვინეთ.

ნაწლავური ინფექციები

სამედიცინო თვალსაზრისით, ეს დაავადებებია და არა მოწამვლა, მაგრამ სიმპტომები ორივეს ერთნაირი აქვს. ნაწლავურ ინფექციას ყველაზე ხშირად იწვევს ნაწლავის ჩხირი, კამპილობაქტერია, სალმონელა, დიზენტერიის ჩხირი... ნაწლავის ჩხირით გამოწვეული ინფექციები განსაკუთრებით გავრცელებულია სოფლებში, ისეთ რეგიონებში, სადაც არ არის კანალიზაცია, სასლთან ახლოს ცხოვრობს საქონელი და არ არის დაცული ჰიგიენის ელემენტარული წესები. ქლაქელეს, რომლებსაც ხშირად არ უწევთ ინფექციის გამომწვევებთან შეხვედრა, მათი სულ მცირე რაოდენობაც კი იოლად აავადებს. გამომწვევები ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს საკვებით; პროდუქტებსა და ჭურჭელზე ისინი ბუზებს გადააქვს; განსაკუთრებით საშიშია გაურეცხავი კენკრა და ბოსტნეული, მით უმეტეს, თუ ნიადაგი ნაკლები იქნა გამდიდრებული...

როდის ვუხმით ექიმს

ბავშვი სასწრაფოდ უნდა წაიყვანოთ ექიმთან თუ:

- ღებინება არ წყდება;
- სახეზეა გაუწყლოების აშკარა ნიშნები: ხელის მოჭერის შემდეგ, კანი მამინევი არ სწორდება, რადგან დაქვეითებულია მისი ელასტიკურობა; ბავშვი მივარდნილია, თვალები ჩავარდნილი აქვს, ტუჩები და პირი უშრება;
- თვალბინებში გაორება აქვს;
- ცნობიერება დარღვეულია.

ნაღებინარი მასის ნაწილი ექიმისთვის საჩვენებლად შეინახეთ. ექიმთან მისვლამდე ან მის მოლოდინში განაგრძეთ ბავშვისთვის სითხის მიცემა.

გახსოვდეთ: რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით მალე ხდება ორგანიზმის გაუწყლოება.

როცა ყველაფერმა ჩაიარა

ბევრი მშობელი დიარეის ასეთი შეტევის შემდეგ, 2-3 დღის განმავლობაში ბავშვს მხოლოდ ორცნობილას აჭმევს, ჩაისთან ერთად. ხანგრძლივად საკვების შეწყვეტა აუცილებელი არ არის. შეიძლება გამოტოვოთ ერთი კვება, თავი შეიკავოთ ცხიმოვანი კერძებისგან, მაგრამ ნაწლავური მოშლილობის მიუხედავად, ბავშვმა უნდა მიიღოს აუცილებელი საკვები ნივთიერებები. თუ ჭამა არ სურს, მოუშაღეთ საყვარელი კერძი...

თვლება, რომ მოცვისა და ბრინჯის ნახარში, მაგარი ჩაი, ვაშლის პურე და მუხის ქერქის ნაყენი „კუჭში კრავს“. ეს



პროდუქტები დიარეის ინტენსივობაზე თითქმის არ მოქმედებს, მაგრამ მართლაც, აუქობესებს ნაწლავის მუშაობას: ბრინჯისა და მოცვის ნახარში კარგად შეიწოვება და ავსებს სითხის დანაკარგს, ვაშლის პურეში შემავალი პექტინი კი აიოლებს მსხვილი ნაწლავის დაცლას. ასე რომ, ეს პროდუქტები მისაღებია ბავშვისთვის, ნაწლავური ინფექციის დროს.


დღეს მოდარა ნაწლავის მიკროფლორის აღდგენა სხვადასხვა ბიოპრეპარატით. ისინი კარგია იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იღებდნენ ანტიბიოტიკებს, მაგრამ დიარეის შესაჩერებლად აუცილებელი არ არის — ნაწლავის მცირე მოშლილობის შემდეგ, მისი მიკროფლორა დაუხმარებლადც სწრაფად აღდგება.

როგორ ავიცილოთ თავიდან ეს უსიამოვნებები

- სიცხეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიგიენის დაცვა;
 - შეაჩვიეთ ბავშვები, ხშირად იბანონ ხელები, შეახსნეთ, რომ არ შეჭამონ გაურეცხავი ხილი, კენკრა, ბოსტნეული;
 - ნუ შეინახავთ საჭმლის ნარჩენებს დიდი ხნით მაცივარში;
 - ბანაობა სასურველია, მხოლოდ გამდინარე წყალსაცავებში; არსად და არასადროს ჩაყლაპოთ ჩაყვინთვისას წყალი.
- თუ ამ ყველაფერს გაითვალისწინებთ, თქვენც და თქვენს პატარასაც ზაფხული მშვიდი გექნებათ და უსიამოვნებებსაც თავიდან აიცილებთ.

„სიყვარულის ვაზლი“

ასე უწოდეს ფრანგებმა ამერიკულ ეგზოტიკურ ბოსტნეულს პამიდორს ალბათ მისი მშვენიერი, ალისფერი, სასიამოვნო შესახედაობის გამო. ან ალბათ მისი ოდნავ მარილიანი გემოს გამო, რომელიც ძალიან ჰგავს ძლიერი ვნებისას მოკვნიტილი ტუჩიდან გამოსული სისხლის გემოს.



ფრანგებმა მაშინ არაფერი იცოდნენ ლიკოპენის შესახებ და იმაზეც, რომ პამიდორი ეხმარება მამაკაცებს, ხანგრძლივად დატკბნენ სიცოცხლით. მაგრამ ამ ბოსტნეულში მათ ნახეს რაღაც ისეთი, რაც ვნებას უკავშირდებოდა. დღეს ამის ახსნა უკვე მეცნიერულად შეგვიძლია.

პამიდორში შემავალი ნივთიერება — ლიკოპენი, რომელიც კაროტინოიდების ჯგუფს მიეკუთვნება, დიდი რაოდენობით გროვდება პროსტატაში და ეხმარება მას სხვადასხვა უსიამოვნებასთან გამკლავებაში.

ლიკოპენის მნიშვნელოვანი მარაგია აგრეთვე საზამთროში. ეს ნივთიერება ხელს უშლის ქოლესტერინის დაგროვებას არტერიების კედლებში და ამით ადამიანს ხანგრძლივად უნარჩუნებს ახალგაზრდობას. გარდა ამისა, ბეტა-კაროტინის მსგავსად, იგი იცავს ორგანიზმს სიმსივნისაგან. პამიდორის ნაყოფი, პიურე და წვენი ძალზე სასარგებლოა დაბალი მჟავიანობით მიმდინარე კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს. ტომატი დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზეც. ცოცხალი, დაჭყლეტილი პამიდორის ნიღაბს იყენებენ ფოროვანი და მოშვებული კანისათვის. ტომატი ჩართულია სამკურნალო დიეტებში დიაბეტის დროს.

მეცნიერები გვპირდებიან, რომ სულ მალე შეგვეძლება, გავსინჯოთ პამიდორის ახალი ჯიში, რომელიც სავარაუდოა, თავიდან აგვაცილებს სიმსივნურ

დაავადებებს — მასში 2-3,5-ჯერ მეტი ლიკოპენია, ვიდრე ჩვეულებრივ ჯიშებში. ლიკოპენით მდიდარი პამიდორის მისაღებად გენეტიკოს-სელექციონერებმა საფუერის გენი ჩანერგეს მცენარის მემკვიდრული მასალის სტრუქტურაში. ეს გენი ასტიმულირებს ლიკოპენის შექმნაში მონაწილე ფერმენტთა გამომუშავებას.

საინტერესოა, რომ ამ რაოდენობით ლიკოპენის წამლის სახით მიღებას არა აქვს ანალოგიური სამკურნალო ეფექტი.

ჩვეულებრივ პამიდორი წითელი, მოყვითალო, ნარინჯისფერი ან მწვანე შეიძლება იყოს, მრგვალი ან ოვალური ფორმის, დიდი ან მომცრო (ალუბლისოდნა) ზომის. მათგან მრავალჯვარი გემრიელი კერძის მომზადება შეიძლება. მცირე ზომის ბოსტნეული სალათებშია კარგი, დიდი — კერძებში. მოგრძო ფორმის ჯიში („ქალის თითები“) იტალიური სამზარეულოს საყვარელი სახეობაა.

პამიდორის ასათვისებლად ცხიმები საჭიროა, ამიტომ იგი არაჟანთან ან მცენარეულ ცხიმებთან ერთად უნდა მიირთვათ.

პამიდორი იმ ბოსტნეულთა რიგს განეკუთვნება, რომელიც კარგად იტანს თერმულ დამუშავებას და ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს. ეცადეთ, ეს ბოსტნეული ყველა სახით გამოიყენოთ: სალათებში, კერძებში, ბუტერბროდებში, წვენისა და საკაზმის სახით.

რაბომა ცოცხლობან ქალები მამაანაცვებ დიდხანს?

ათეროსკლეროზის განვითარება თურმე, არა მარტო ადამიანის ასაკზე, არამედ სქესზეც ყოფილა დამოკიდებული.

საკითხი კანადის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის — „რობერტსის“ მეცნიერებმა შეისწავლეს. პროფესორ დევიდ სპენსერის ხელმძღვანელობით მოქმედი ჯგუფი 5 წლის მანძილზე, 1686 ადამიანის

მაგალითზე იკვლევდა კისრის არტერიებში ათეროსკლეროზის ე.წ. ბალთების დაზიანებას. ასაკოვან ქალებს არტერიების შევიწროების უფრო ხშირი შემთხვევა აღენიშნებოდათ, მამაკაცებს კი — ამ ბალთების მეტი რაოდენობა. კვლევის პერიოდში, პაციენტებს შორის 45 ინსულტი და 94 მიოკარდის ინფარქტი დაფიქსირდა, 41 ადამიანი გარ-

დაიცვალა. სისხლის მიმოქცევის ამგვარ მწვავე დარღვევათა ალბათობა, პირდაპირ კავშირში ყოფილა ქოლესტერინული ბალთების რაოდენობასთან, მაგრამ არ იყო დამოკიდებული უშუალოდ არტერიების შევიწროებასთან. კანადელ მეცნიერთა აზრით, სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ქალები მამაკაცებზე მეტხანს ცოცხლობენ.

კინოსტუდიის ქალაქი ჩემში	მსახიობი ... პოუკა	თეატრული ინსტიტუტის სრული შემადგენლობა	ბევრი, მრავალრიცხოვანი	თბილისის ძველი უბანი	დავითნი შედის				
ქოსი	კედლი	ესე	ნახი	ქსე	ნიქსი				
მოსაცდელი ოთახი სასტუმროში	კინორეჟისორი ჯონ ...	შემღვდელი კვების რეჟიმი	ხელის ერთ-ერთი თითი	ნაბიჯი დალიქტი	კონკურსის შემფასებელი ჯგუფი	სახის ნაწილი	ძალიან ... ქარავანი მიდის	... პანიონო	ვის



მორენა მერკვილაე

ლოცვა არის გულისა და გონების აღვლენა ღვთისადმი, მოკრძალებული საუბარი კაცისა ღმერთთან: „ლოცვაში ჩვენ შევთხოვთ ღმერთს ყოველივეს, რაც გვჭირდება, შევწირავთ მადლობას მოწყალეობისათვის და ვადიდებთ მას უზენაესობისათვის“, – განმარტავს წმინდა იოანე ოქროპირი. ე.ი. ჩვენ მიერ აღვლენილი ლოცვა შესაძლოა იყოს: **დიდების-მეტყველებითი** (როდესაც ლოცვის დროს ვადიდებთ ღმერთს ანუ როდესაც განვადიდებთ უფლის მიუწვდომელ დიდებას და საუკუნო დიდებულებას); **თხოვნითი** (როდესაც ღვთისგან ვითხოვთ შეწევნას. ვთხოვთ, შეგვინდოს ჩვენი ცოდვები, ავკაცილოს ყოველგვარი განსაცდელი და გადმოღვაროს ჩვენზე თავისი წმინდა მადლი). **სამადლობელი** (როდესაც ღმერთს მადლობას ვწირავთ გაღებული წყალობის გამო, ე.ი. მადლობას მივუძღვნით მისი კეთილმოქმედებებისთვის). უფლის გარდა, ლოცვით მივმართავთ აგრეთვე ყოველწმინდა ღვთისმშობელს, წმინდა ანგელოზებსა და წმინდანებს, რადგან მათ ჩვენთვის ღვთის წინაშე შუამდგომლობა და მეოხება შეუძლიათ. ეს რაც შეეხება იმას, თუ რამდენი სახის ლოცვა შეიძლება აღვაკვლინოთ და ვის მივმართოთ ლოცვით. მაგრამ ეკლესიური სწავლებით, ქრისტიანის ლოცვითი კავშირი ღმერთთან და მის წმინდანებთან, რამდენიმე სახეობად შეიძლება დაიყოს: საეკლესიო ლოცვა, კანონიკური ლოცვა, შემოქმედებითი ლოცვა და გონიერი ლოცვა.

საეკლესიო ლოცვად ითვლება საყოველთაო ღვთისმსახურებაში მონაწილეობა, რადგან ამ დროს მლოცველები სულიწმიდის მადლს მოიხვეჭენ, რომლის

რამდენ სახეობად შეიძლება დაიყოს ლოცვა?

ძალითაც ადამიანის ცხოვრება იკურთხება: „საყოველთაო ღვთისმსახურებაში მონაწილეობა, არა მხოლოდ სულიწმიდის მადლს გარდამოუვლენს მლოცველებს, არამედ სულიერად აერთიანებს ერთი, განუყოფელი სულიერი მიზნით – იქცნენ ქრისტეს ერთ ეკლესიად, ღმრთებრივი სიყვარულით შეკრულ ოჯახად, რომლის თავი თვით ზეციური მამა-უფალი ღმერთია“ („ანბანი მართლმადიდებლობისა“).

კანონიკურ ლოცვად ითვლება ლოცვითი კანონები, რომელსაც ეკლესია „ლოცვანის“ სახით გვაძლევს. მართლმადიდებლური „ლოცვანი“ არის წმინდა მამათა – იმ ადამიანთა მიერ შედგენილი ლოცვების კრებული, რომლებმაც მთელი თავიანთი ცხოვრება უფლის სამსახურს მიუძღვნეს და იმდენად განიწმინდეს სული, სულიერების ისეთ საფეხურზე ავიდნენ, რომ უფალმა მადლის ჭურჭლად გამოარჩია ისინი და მათი ბაგეებით თვით სულიწმიდა მეტყველებდა; ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ წმინდა მამები, თვით სულიწმიდის კარნახით ადგენდნენ ლოცვის ტექსტებს, რომლებიც შემდეგ ეკლესიამ ლოცვითი კანონებად დაგვიდგინა. „ლოცვანში“ შეტანილია მცირე (დილისა და საღამოს ლოცვები; ზიარების წინ და ზიარების შემდგომ წარმოსთქმელი ლოცვები) და სრული (რომლებშიც დილისა და საღამოს ლოცვების გარდა, შეტანილია „პარაკლისები“ და „დაუჯდომელი ლოცვები“, ასევე ცალკეული ლოცვები დღესასწაულებისა და წმინდანებისადმი). „ლოცვანის“ გარდა, მართლმორწმუნე ქრისტიანმა უნდა იქონიოს „ფსალმუნების“ კანონიკური ტექსტები – ძველ ქართულ ენაზე.

შემოქმედებითი ლოცვა. კანონიკური ლოცვის გარდა, შესაძლოა, ალგავლინოთ შემოქმედებითი ლოცვა – ანუ ჩვენი სიტყვებით მივმართოთ უფალს ან მის წმინდანებს, ვუამბოთ მათ ჩვენი განსაცდელის შესახებ და შემწეობა ვთხოვოთ. როდესაც შემოქმედებით ლოცვას აღვაკვლით, აუცილებლად უნდა დავასრულოთ სიტყვებით: „იყოს არა ჩემი, არამედ შენი უფალი“ ან „ვითარცა თვით უწყი, მაცხოვრე მე, ღმერთო“.

გონიერი ლოცვა. „გონიერი ლოცვა ესაა სულის განუყოფელი, გამუდმებული კავშირი ღმერთთან, როდესაც გული და გონება მთლიანად უფალთან ურთიერთობითაა მოცული. ის მოკლე, ლოცვითი მოწოდებებით აღესრულება“ („ანბანი მარ-

თლმადიდებლობისა“). გონიერ ლოცვით აგან ერთ-ერთი არის „იესოს ლოცვა“. კარგია, თუკი ადამიანი შეძლებისდაგვარად განუწყვეტლივ იმეორებს გულში „იესოს ლოცვას“ – ქუჩაში, სამსახურში, საქმის კეთების დროს და სხვა.

როგორ უნდა ვილოცოთ ანუ რა არის აუცილებელი ლოცვის აღვლენის დროს?

როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, უნდა ვილოცოთ ყურადღებითა და მოწიწების გრძნობით. ლოცვის მიზანი, სინანული უნდა იყოს და მხოლოდ იმაზე ზრუნვა, რომ ეს სამი თვისება – ყურადღება, მოწიწების გრძნობა და სინანული – მუდამ თან ახლდეს ჩვენს ლოცვას. ამასთანავე, არ უნდა შემოვიფარგლოთ ლოცვის სიტყვების მექანიკური გამეორებით: უნდა გვახსოვდეს, რომ უმთავრესია – ღვთის წინაშე შეგნებულ დგომა, ლოცვა შიშით, რწმენით და სიყვარულით.

„ჩვენი გულისყური მთლიანად უფალს უნდა მივუბყროთ და მოვუხმოთ ყველგან მყოფ უფალს“ – გვმოდრავს წმინდა მღვდელმთავარი თეოფანე დაყუდებული, რადგან მხოლოდ ასეთ ლოცვას შეისმენს უფალი და წყალობასაც გარდამოგვივლენს.

შეიძლება თუ არა ლოცვა ცოდვად გავქცეს?

წმინდა მამათა განმარტებით, ლოცვა ცოდვად გვექცევა იმ შემთხვევაში, თუკი ვლოცულობთ იმაზე, რასაც უფალი კრძალავს. მაგალითად, ლოცვის დროს ღმერთს შევთხოვთ, სამაგიერო მიუზღოს მას, ვინც გვაწყენინა ან ვევედრებით, მოგვცეს ძალა, რომ შური ვიძიოთ მასზე. ასევე თუკი ვითხოვთ გამდიდრებას, ვინმეს სიკვდილს და სხვა. ლოცვა ცოდვად გვექცევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ლოცვებს ვკითხულობთ ნაუცხადევად და უყურადღებოდ. შეიძლება ადამიანმა ყველაფერი წაიკითხოს, რაც ლოცვებში წერია, მაგრამ მექანიკურად, გაფანტული გონებით, რაც ადამიანს ცოდვად ეთვლება და ღვთისგან წყალობის ნაცვლად, სასჯელს დაიმსახურებს.

რა მოვიმოქმედოთ, როდესაც ლოცვის დროს აზრი გავფანტება?

„რამდენჯერაც აზრი გაგეფანტება, იმდენჯერ დაუბრუნდი იმ ადგილის კითხვას, იკითხე მანამ, სანამ გაგებით და გააზრებით არ წაიკითხავ“ – გვმოდვრავენ ეკლესიის წმინდა მამები.

„ახალგაზრდა ინვალიდები ხელმისაწვდომი განათლებისთვის“ — ასე ეწოდება პროექტს, რომელიც უკვე მესამე წელია, ეუთოს ეგიდით სორციელდება. მისი მიზანია, მომზადდეს ინვალიდ-აქტივისტთა ჯგუფები, რომლებიც ჩაუტარებენ სემინარებს თავიანთ თანამემამულეებს — არა ინვალიდებს — ინვალიდობის რაობის შესახებ. დღემდე მასში ჩაბმული იყო აზერბაიჯანი, უზბეკეთი, სომხეთი და რუსეთი. ქართველი და აფხაზი ინვალიდები კი პროექტში წელს ჩაერთვნენ. ცოტა ხნის წინ მოსკოვში მოწყობილ სემინარებში, რომელსაც ეუთო (ამ შემთხვევაში, ბელგიის ხელისუფლების სახით) აფინანსებდა, ქართველ ინვალიდთა ექვსკაციანი ჯგუფი მონაწილეობდა. პროექტის შესახებ ფრცვლი ინფორმაციის მისაღებად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო კოალიციის — „დამოუკიდებელი ცნობებისთვის“ — აღმასრულებელ დირექტორს აკობა ნაღმირაძის შევხვდით.

„...რომ ჩვენს ისეთივე ადამიანები ვართ, როგორიც ისინი“



ნათია თენიეშვილი

— ეს არის საერთაშორისო ქსელური პროექტი, რომელშიც ჩვენი მთავარი პარტნიორია რუსეთის ინვალიდთა-არასამთავრობო ორგანიზაცია „პერსპექტივა“ და ამერიკული ორგანიზაცია „ინვალიდების მსოფლიო ინსტიტუტი“. პროექტი მიზნად ისახავს, რომ ახალგაზრდა ინვალიდებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს განათლების მიღება, როგორც სასკოლო, ასევე საუნივერსიტეტო დაწესებულებებში და მომზადდეს ინვალიდ აქტივისტთა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ივლიან სკოლებში და მეზუთედან მეთერთმეტე კლასამდე მოსწავლეებს ჩაუტარებენ გაკვეთილებს ინვალიდობის გაგებაზე. ამრიგად, თავად ინვალიდები აუხსნიან ბავშვებს თავიანთ მდგომარეობას. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ინვალიდი არ არის ავადმყოფი და არ შეიძლება მისი მდგომარეობის გაიგივება უმწობასთან. ამ სწავლების შედეგად, ბავშვები შეიტყობენ იმას, რომ საქართველოში ირლვევა ადამიანთა სამოქალაქო უფლებები, მაგალითად, არსებული არქიტექტურული

გარემოს პირობები, სადაც ხდება ამ ადამიანთა „არქიტექტურული დისკრიმინაცია“. მათი მდგომარეობა არაა გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების გზებისა და საჯარო დაწესებულებების მშენებლობა-მოწყობისას.

— რა პროგრამით მოხდა იმ ინვალიდთა შერჩევა, რომლებიც ამ პროექტში მონაწილეობენ?

— როდესაც ვარჩევდით გუნდის წევრების კანდიდატურებს, დაახლოებით 30-მდე განცხადება შემოვიდა სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდა ინვალიდისგან. მათ ჩაუტარდათ ფსიქოლოგიური ტრენინგები. პროგრამას, რითიც ეს 6 ადამიანი შეირჩა, „ლიდერობის“ პროგრამა ეწოდება. კანდიდატურების შერჩევისას ასევე ვხელმძღვანელობდით პრინციპით, რომ გუნდში სხვადასხვა კატეგორიის ინვალიდები უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი. ამ ჯგუფში 18-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ჩაირიცხნენ. ისინი ერთი კვირის განმავლო-

...ჩაუტარდათ ფსიქოლოგიური ტრენინგები. პროგრამას, რითიც ეს 6 ადამიანი შეირჩა, „ლიდერობის“ პროგრამა ეწოდება

ბაში იმყოფებოდნენ მოსკოვში, საიდანაც ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ. ამ ახალგაზრდებს უკვე შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება. მიუხედავად ყველა იმ პირობისა, საზოგადოების დამოკიდებულებისა და იმ დისკრიმინაციული კანონმდებლობისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სადღეისოდ არსებობს, ეს ადამიანები მაინც აღწვევენ იმას, რომ გარდასხონ დაბრკოლებები და იმრომონ საიმისოდ, რათა მომავალში, მათ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს სხვებთან გათანაბრებული ცხოვრებისეული შესაძლებლობები შეექმნათ.

— ე.ი. ეს ახალგაზრდები მზად არიან იმ სემინარებისთვის, რომლებიც სექტემბერში უნდა ჩატარდეს?

— ვფიქრობ, კი. სხვათა შორის, ისინი სემინარებს ჩაუტარებენ არა მარტო მოსწავლეებს, არამედ მასწავლებლებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. ეს პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე ე.წ. 3 სოციალური კლიპისა და დოკუმენტური ფილმის გადაღებას, რომელიც ნოემბერში საერთაშორისო კინოფესტივალზე იქნება წარმოდგენილი. პროექტის სულის ჩამდგმელთაგან საგანგებოდ მინდა გამოვყო პირველ რიგში ბრუს კურტისი — ამერიკელი ინვალიდი, „ინვალიდთა მსოფლიო ინსტიტუტის“ წარმომადგენელი, რომლის დაჟინებული თხოვნით მოხდა ქართული და აფხაზური მხარეების ერთობლივი ჩაბმა ამ პროექტში. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე, ეუთოს მისიის ადამიანურ ღირებულებათა ოფისის ხელმძღვანელმა მარკ ბერენტმა, რომელსაც ამ სფეროში საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენ



მათთან ერთად გვქონდა შეხვედრები სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავასთან და ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრ ლადო ჭიპაშვილთან, რადგან შეზღუდულ შესაძლებლობათა ადამიანებისა და საზოგადოებაში მათი ორგანული ინტეგრირების პრობლემა სახელმწიფო დონეზე უნდა დადგეს.

ინვალიდ-აქტივისტთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი **ლიკა რევიშვილი** 19 წლისაა, სწავლობს ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე.

— **ლიკა, როგორ მოხვდი ამ პროექტში?**

— რამდენიმე თვის წინ, ტელევიზორში ცხადდებოდა, რომ ესაჭიროებოდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ადამიანები. მე და ჩემი მეგობარი ერთად მივედით და შევავსეთ ანკეტები. ერთი თვის შემდეგ დაგვიბარეს. 30-მდე ადამიანს ჩავვითარეს ფსიქოლოგიური ტრენინგი, რომელშიც მე გავიმარჯვე, ხოლო ჩემი მეგობარი ვერ მოხვდა, რის გამოც გული ძალიან დასწყდა.

— **თუ ხარ მზად ბავშვებთან ურთიერთობისთვის?**

— იცით, რა, ჯერჯერობით არ მქონია ბავშვებთან უშუალო შეხება. ჩემი თანაკურსელები ძალიან კარგად და თბილად მიდებენ და მათთან არანაირ შეზღუდვას არ ვგრძობ. სწორედ ამის წყალობით დავრწმუნდი, რომ თურმე შესაძლებელია, ერთად ისწავლონ ჩვეუ-

ლებრივმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა... სექტემბრიდან უკვე ბავშვებთანაც შეხვედრები და მოვუყვები, თუ რა გამოვიარე, რას წარმოვადგენდი აქამდე და ახლა რას მივალწვი.

— **მოგიყვით, რას წარმოადგენდი აქამდე?**

— 11 წლის განმავლობაში, სახლში ვიჯექი. მე-5 კლასში ვიყავი, როცა გამაცნეს კლასი, რომელშიც ვირიცხებოდი და როდესაც 30-35 ბავშვი ერთად ენახე, ამან რაღაცნაირად დამთრგუნა. მათ მიმიღეს, ოღონდ — არა ისე, როგორც ველოდი: ვგრძნობდი, რომ რაღაც ბარიერი იყო ჩვენ შორის. ამან ძალზე დამაკომპლექსა და შინ ჩავიკეტე, საკუთარი ნათესავების ნახვაც კი არ მინდოდა, ყველას ვემალებოდი და არსად აღარ დავდიოდი. შემდეგ, ჩემი ფსიქოლოგისა და მშობლების დიდი ძალისხმევით, დავამთავრე სკოლა, ჩავაბარე ინსტიტუტში და დღეს სტუდენტი ვარ.

— **როგორი იყო შენი სტუდენტობის პირველი დღე?**

— პირველად, როდესაც წავიდი ინსტიტუტში და საბუთები შევიტანე, ეს იყო ჩემთვის წარმოდგენილი რამ. ისე ვენერვიულობდი, თითქოს მისაღებ გამოცდაზე გავდიოდი. იქ რომ დავინახე იმდენი ჩემი თანატოლი, რომლებიც მიყურებდნენ ისევე, როგორც სხვა დანარჩენებს, უფრო თავისუფალი და გახსნილი გავხდი... სტუდენტობის პირველივე დღეც ძალიან თბილი იყო და ასე გრძელდება დღემდე. არ ველოდი, ამდენ კარგ ადამიანს თუ შევხვდებოდი.

— **რატომ აირჩიე ეს პროფესია?**

— იურისტობა იყო ყოველთვის ჩემი ოცნება, მინდოდა, ვყოფილიყავი კარგი იურისტი და დამეცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებები. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. რამდენიმე წლის წინ რომ დავდიოდი ქუჩაში და ვმზავრობდი საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ხალხი მიყურებდა და ამბობდა — უი, საწყალი, საცოდავი... იცით, ამაზე როგორ მეშლებოდა ნერვები?... მინდოდა, რომ ვყოფილიყავი ჩვეულებრივი ადამიანი, მერე რა, რომ ფიზიკური ნაკლი მქონდა!!

ინვალისტი არ არის ავადმყოფი და არ შეიძლება მისი მდგომარეობის გაიგივება უმწიფობასთან



— **ვინც ვერ მოხვდა ამ ჯგუფში, ისინი რას იზამენ?**

— მომავალში, კიდევ ჩატარდება ახალი ტრენინგები და ჩამოყალიბდება ახალი ჯგუფები.

ჯგუფის კიდევ ერთი წევრი — სოსო კალანდარიშვილიც 19 წლისაა და ისევე, როგორც ლიკა, ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს, ოღონდ — ინფორმატიკის ფაკულტეტზე. მას პირველად მოუხდა ოჯახიდან დამოუკიდებლად წასვლა, როცა ერთი კვირის განმავლობაში მოსკოვში სემინარებზე იმყოფებოდა.

— მე-5 კლასში ვიყავი, როცა ავტოავარიამი მოვყვია და ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. სკოლაში მხოლოდ მე-10 და მე-11 კლასებში არ მივლია და ამ პერიოდში, მასწავლებლები მოდიოდნენ ჩემთან შინ. ასე დავამთავრე სკოლა და ჩავაბარე ინსტიტუტში.

— **სტუდენტებთან ურთიერთობა ხომ არ გაგიჭირდა?**

— თავიდან ცოტა რთული იყო, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაზეც ვფიქრობდი, იყო ის, რომ მე იქ ცოლნის მისაღებად მივდიოდი. ჩემი მიზანი სწორედ ეს იყო, რაც ძალიან დამეხმარა სიძნელეების დაძლევაში. რა თქმა უნდა, ჯგუფელებთანაც მაქვს კარგი ურთიერთობა და ნამდვილად არ მიჭირს. მეგობარიც ბევრი მყავს...

— **მზად ხარ იმ სემინარებ-სთვის, რომელიც სექტემბერში სკოლებში ჩატარდება?**

— ჩვენ ამისთვის ყველანაირად ვემზადებით. არა მგონია, გავვიჭირდეს. ბავშვებს ვრცლად მოვუყვებით იმაზე, თუ რა გამოვიარეთ, რატომ აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეობაში და ნათლად დავანახებთ, რომ ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც ისინი...



თურმე შესაძლებელია, ერთად ისწავლონ ჩვეულებრივმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა...

ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე და ხშირად, არცთუ ისე სასიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებს. მაგრამ როგორი გასაჭირიც უნდა დაგვატყდეს თავს, ფარ-ხმალი არასოდეს არ უნდა დაგვაროთ, ცხოვრებაზე ხელი არ უნდა ჩავექნოთ და ღმერთიც არ გაგვწირავს. ამის საუკეთესო მაგალითია რამბო ძორბორბი — 50 წელს გადაცილებული სიმპათიური მამაკაცი, რომელიც 14 წლის ასაკიდან ინვალიდის სავარძელსაა მიჯაჭვული, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბედნიერი მეუღლე და მამაა. ბატონი რამაზი მოსკოვში სიყვარულმა ჩაიყვანა. საყვარელ ქალზე დაქორწინდა და 7 წლის თანაცხოვრების შემდეგ, 3 შესანიშნავი ტყუპის მამა გახდა. ის დღესაც მოსკოვში ცხოვრობს, თბილისში სულ რამდენიმე დღით, დედის გარდაცვალების გამო იყო ჩამოსული და მიუხედავად მწუსარებისა, ინტერვიუზე მაინც დამთანხმდა.



„უთქოთიქ ჰინროქ, ჯინოქ ჰქუოქორი თოქოქ რქ ჯინოქუ ჰქთნოქორი ჰორქს...“

მარი ჯაჭარიძე

— 1964 წელს დამებრთა ზურგის ტვინის ანთება. მაშინ 14 წლის ვიყავი. აცრის დროს დაშვებული სამედიცინო შეცდომის გამო, მთელი სხეულის პარალიზება მოხდა. ამან მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ძნელია, ორი სიტყვით იმის აღწერა, თუ როგორი განცდა გეუფლება, როდესაც უკვე მოზრდილი ბიჭი ლოგინს მიეჯაჭვები... მიუხედავად ჩემი მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, 1968 წელს ექსტერნად დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა. მე დავიბადე და გავიზარდე მთაწმინდის უბანში. ეს კიდევ ცალკე სასაუბრო თემაა, რადგან ჩემი მეზობლები იყვნენ სერგო ფარაჯანოვი და ილო ღვედარიანი (ნოდარ ღუმბაძის პერსონაჟის — ლიმონას პროტოტიპი. — ავტ.), რომლებიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ ჩემზე და ცხოვრების სურვილს არ მაკარგვინებდნენ... სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. მაშინ ინვალიდის სავარძელი არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, მე არ მქონდა, ამ-

იტომ შინ, საწოლში ვმეცადინებოდი. მეგობრებიც და პედაგოგებიც მხარში მედგნენ და არ გამჭირვებია უნივერსიტეტის დამთავრება. შემდგომი რამდენიმე წელი ჩემი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას მოვასმარე, მაგრამ როგორც ხედავთ — უშედეგოდ... შემდეგ დისერტაციაზე მუშაობას მივყავი ხელი, თან, 1984 წელს მიმიღეს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, რომელიც მასხარაძის ქუჩაზე მდებარეობდა — ჯერ ლაბორანტის თანამდებობაზე, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად დამაწინაურეს, მოგვიანებით კი — მეცნიერ თანამშრომლად. ამ დროს უკვე მქონდა ეტლი და ისე გადავადგილდებოდი. ეს კი ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავდა. ავადმყოფობის გამო საზოგადოებას არ მოვწყვეტივარ. მოვახერხე საკანდიდატო დისერტაციის დაცვა, სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის განხრით. ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ მიშა ჯიბუტი, რომელიც მუდამ გაცილებული იყო, ჩემში სიცოცხლის წყურვილსა და ცხოვრების ჟინს რომ ხედავდა... დიდი სურვილი მქონდა, სამეცნიერო მუშაობა გამეგრძელებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს

დაიშალა საბჭოთა კავშირი, ჩვენს ქვეყანაში არეულობა დაიწყო და უმუშევარი ღაღარღი. გადავწყვიტე, მოსკოვში წავსულიყავი...

— იქ რაიმე სამუშაო გქონდათ შეგულებული?


— არა, ჩემი წასვლის მიზანი მხოლოდ სამსახურის შოვნა არ გახლდათ. რამდენიმე ხნით ადრე, გავიცანი თბილისში ჩამოსული მოსკოველი გოგონა ოლია. სულ მცირე ხანი ვიცნობდი, მაგრამ მისი შეყვარება მოვასწარი. მოსკოვში ჩემი ჩასვლის მიზეზი, სიყვარული გახლდათ. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ცოლად მომეყვანა ოლია. მართლაც, 1993 წელს დავქორწინდით. ერთ წელიწადში დავაარსე ფირმა, რომელიც სამედიცინო ინვენტარის რეალიზაციას აწარმოებდა. დავამყარე კავშირი უცხოეთთან, საიდანაც ეს ინვენტარი შემომატქეს. გასაღება რუსეთში, საქართველოსა და რამდენიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ხდება. მაქვს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა რუსეთის ინვალიდთა რამდენიმე ასოციაციასთან და ჩემი ფირმა გარკვეულწილად ემხარება გაჭირვებულ, ინვალიდ ადამიანებს. ვიცი, რომ ასეთი ადამიანებისთვის გაწეული ქველმოქმედება ძალზე მნიშვნელოვანია. ვერ გეტყვით, რომ წარმატებას უცებ მივალწვი, მაგრამ დიდი ძალისხმევით შედეგად მაინც მოვახერხე, საკუთარი თავი მეპოვა.

— იღბლიანი ადამიანი ხართ...

— შესაძლოა, მართლაც ასეა. უფალი არ მწირავს. მიუხედავად ერთი მოვლენილი სატანჯველისა, სიკეთე უხვად მიბოძა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2000 წლის 14 იანვარს სამი ტყუპი შემიძინა, დარწმუნდებით, რომ ღმერთის რჩეული ვარ. შესაძლოა, რაღაცას მიანიშნებს ის, რომ ჩემი შვილები სწორედ ძველით ახალი წლის პირველ დღეს დაიბადნენ, მაგრამ



შემომთავაზეს: ვინაიდან ოჯახში ასეთი მდგომარეობაა (რამაზის ფიზიკურ მდგომარეობას ვგულისხმობ), ორ ნაყოფს მოგამორებთ და ერთს დაგიტოვებთო. სასტიკი უარი განვაყვანე...



არავითარი ექიმის ჩარევა და ხელოვნური განაყოფიერება არ დაგვჭირვდება

ფაქტია, რომ სამივე ბავშვი ჯანმრთელია და თავს მშვენივრად გრძნობს. ორი გოგონაა და ერთი ბიჭი. ახლა უკვე 4 წლისანი არიან და ჩემს ცხოვრებას მეტ ხიბლს სძენენ.

— ბავშვების ჩასახვა ბუნებრივად მოხდა?

— დიახ, ჩვეულებრივი, ბუნებრივი გზით. არავითარი ექიმის ჩარევა და ხელოვნური განაყოფიერება არ დაგვჭირვდება. როდესაც გვითხრეს, რომ ერთის ნაცვლად, სამი შვილი გვეყოლებოდა, მაშინვე ვერც გავაცნობიერე, უნდა გამხარებოდა თუ არა. რეაქცია თითქმის არ მქონია. შემდეგ, თანდათან ვაცნობიერებდი, რომ ძალზე დიდი ბედნიერება მსგავსი წილად. ნინო და ოლია ქერა ბავშვები არიან, გიორგი კი შავტუხაა და უფრო მე მგავს. მათი დაბადება ჩემს მეორედ დაბადებას ნიშნავდა. ეს უდიდესი ღვთის წყალობაა.

— ვიდრე თქვენს მუულებს გავსაუბრებდი, იქნებ, ორიოდ სიტყვა თქვენ გვითხრათ მის შესახებ?

— ჩემი მუულები პროფესიით იურისტი განსწავლეს. წინათ უზუნაეს სასამართლოში მუშაობდა, — შემდეგ — აეროპორტში, ახლა კი ბანკში მუშაობს. რა შემოიძლია გითხრათ? გმირი ქალია, ყურადღებიანი, მოსიყვარულე ცოლი და კარგი დედა. დანარჩენს თვითონ ოლია გეტყვით...

ოლია:

— როდესაც რამაზს სხვა მამაკაცებს ვადარებ, აშკარად ვგრძნობ ჩემი მუულის უპირატესობას. ის ბრძენი აღ-

ამიანია. როდესაც მეკითხებიან ხოლმე — რატომ გადაწყვიტე მასზე გათხოვება? — ვპასუხობ — ყოველთვის მინდოდა, არწივს გავყოლოდი ცოლად და სწორედ არწივზე გავთხოვდი-მეთქი!..

— როგორ გაიცანით რამაზი?

— 1983 წელს, მეგობართან ერთად თბილისში ჩამოვედი და გავიცანი ეს საოცრად კარგი და კეთილი ადამიანი. 10 წლის შემდეგ კი დაქორწინდით.

— ალბათ ბევრი იყოყმანით, ვიდრე გადაწყვეტილით, რომ ცოლად გამყოლოდით მამაკაცს, რომელიც ინვალიდის სავარძელსაა მიჯაჭვული...

— იცით, სულაც ვერ აღვიქვამ მას ინვალიდად. ინვალიდად ის ადამიანი მიმაჩნია, რომელსაც ორი ფეხი და ორი ხელი აქვს და არაფრის გაკეთება არ შეუძლია. რამაზს არ გასჭირვდება არც ოჯახის შენახვა, არც თბილისში, ავადმყოფი დედის დახმარება, რომელიც ახლახან გარდაიცვალა... არ ვიცი, ქართული წესის მიხედვით, შეიძლება თუ არა მეორე დღეს საფლავზე გასვლა, მაგრამ ვინაიდან ხვალ მივემგზავრებით და კარგა ხანს თბილისში ვეღარ ჩამოვალთ, მინდოდა, გამოვმშვიდობებოდი დედამთილს და დილით სასაფლაოზე ავედი. შუქნიშანთან მანქანა რომ გაჩერდა, მათხოვარი მოვიდა და მოწყალება მთხოვა. არასოდეს ვაძლევ ფულს მათხოვარს, რადგან ბუნებრივად მებადება კითხვა: რატომ უნდა მივცე ინვალიდი მამაკაცის ნაშრომი, ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანს? ხოლო თუ მათხოვარი ინვალიდია, ყოველთვის სიამოვნებით ვეხმარები.

— როგორი ქმარია რამაზი?

— ბავშვები რომ პატარები იყვნენ, ძალზე მეხმარებოდა მათ გაზრდაში: უცვლიდა პამპერსებს, ერთად ვაბანავდით ხოლმე, თუ მსაყვედურობს, ყოველთვის სამართლიანად. ჩვენს ოჯახში არასოდეს ხდება სკანდალი და ყოველთვის ცვდილობთ, ერთმანეთს დაეუთმოთ.

— როდესაც რამაზზე თხოვდებოდით, ოჯახის მხრიდან წინააღმდეგობას არ ნაანწყიო?

— არა. მე ისეთ ასაკში გავთხოვდი, რომ უკვე აღარავისთვის მიკითხავს ჭკუა. რომც დაეშალათ, მაინც მისი ცოლი გავხდებოდი, რადგან უზომოდ მიყვარდა.

— ახლაც ისევე გიყვართ, როგორც ადრე?

— იცით, ახლა სულ სხვაგვარი გრძნობთ მიყვარს. წინათ ჩემი გრძობა უფრო რომანტიკული და ამაღლებული იყო. შვილების შექმნასთან ერთად, ეს გრძობა უფრო მიწიერი გახდა. რამაზი კარგი მეოჯახეა, ისევე, როგორც ქართველი მამაკაცების უმეტესობა. მიდის მაღაზიაში, ყიდულობს სურსათს და კმყოფილია, როდესაც მაცივარი სავსება ყველანაირი პროდუქტით. განსაკუთრებულად უყვარს ხორციანი კერძები. თუ ხორცი არ გვაქვს, ის თვლის, რომ იმ დღეს საჭმელი არ უჭამია. რამაზს მეც ყველანაირად ხელს ვუწყობ, კმყოფილი რომ იყოს.

— ხომ არ შეშფოთდით, როდესაც შეიტყვეთ, რომ სამ შვილს ელოდით?

— მე — არა, მაგრამ ძალზე შეშინდა ჩემი ექიმი. თავდაპირველად, ვიდრე გვიანი არ იყო, შემომთავაზეს: ვინაიდან ოჯახში ასეთი მდგომარეობაა (რამაზის ფიზიკურ მდგომარეობას ვგულისხმობ), ორ ნაყოფს მოგაშორებთ და ერთს დაგიტოვებთ. სასტიკი უარი განვაცხადე. არც დავეფიქრებულვარ, გადამეგვა ასეთი ნაბიჯი თუ არა. ეს არის ღმერთის



ნინო და ოლია ქერა ბავშვები არიან, გიორგი კი შავტუხაა

საჩუქარი, მას სურდა, რომ სამი შვილი მყოლოდა და ვერავითარ შემთხვევაში უფლის წინააღმდეგ ვერ წავიდოდი... ჩვეულებრივად, ყოველგვარი გართულების გარეშე ვიმშობიარე. პატარებს ცოტა ხნით ინკუბატორში ყოფნამ მოუწიათ, შემდეგ შინ გამოვვწერეს და ჩვეულებრივად იზრდებოდნენ...

რეკაზ ლომინაძე

უძველესი ბერძნული ლეგენდები სხვადასხვაგვარად ხსნიან ოლიმპიური თამაშების დასაწყისს. ღმერთების „მამამთავარი“ ზევსი, ზღაპრული გმირი ჰერაკლე, უშიშარი მეომარი ჰელოფსი – აი, ვის მიაწერენ ლეგენდები ოლიმპიური თამაშების დასაწყისს. მაგრამ ეს მხოლოდ ლეგენდებია, მიმზიდველი თქმულებანი, რომლებითაც ასე მდიდარია ბერძნული მითოლოგია. ისტორიულ წყაროებში კი, ოლიმპიური თამაშები პირველად ჩვ.წალ-მდე 776 წელსაა ნახსენები. სწორედ მაშინ იყო პირველად ჩაწერილი ამ თამაშებში გამარჯვებული, ვინმე კორების – ელაღელი მზარეულის სახელი.

ოლიმპიური თამაშების პირველი წესების შემოღებას მიაკუთვნებენ იფიტი ელაღელსა და ლიკურგე სპარტანელს, რომლებმაც ქალაქი ოლიმპია, სადაც ეს თამაშები ეწყობოდა, ღვთაებრივ ადგილად გამოაცხადეს და სასტიკი სასჯელი დააწესეს მათთვის, ვინც გაზედადა, შეიარაღებულს გადაელახა ამ წმინდა ადგილის საზღვარი. ასე დამყარდა ოლიმპიური მშვიდობა – ეპექტრია, რომლის დროსაც ყველა მოქიშპე წვეგტდა საომარ მოქმედებას, ხოლო შეჯიბრების მონაწილეებსა და მყურებლებს შეეძლოთ, თავისუფლად წასულიყვნენ ოლიმპიაში, მტრულად განწყობილი სახელმწიფოების გავლითაც კი.

ოლიმპიური თამაშებისთვის არჩეული იყო ოლიმპიის წმინდა ადგილად აღიარებული მიდამო – ალტისი. თამაშების მოწყობა ვეგლებოდათ ელაღის მოქალაქეებს, რომლებიც ირჩევდნენ მსაჯებს – ელანოდიკებს. ელანოდიკები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. მათ შეეძლოთ, დისკვალიფიკაცია მიეცათ ათლეტისათვის და მისთვის ფიზიკური სასჯელიც განესაზღვრათ.

ოლიმპიური დღესასწაულის დაწყების დღეს, მზის ამოსვლისას, ალტისის მთავარ საკურთხეველზე დიდ მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთს – ზევსს. შემდეგ, საყვირების ხმის თანხლებით, სტადიონზე ადგილებს იკავებდნენ წითელ სამოსში გამოწყობილი ელანოდიკები. არენაზე გამოდიოდა მაცენი, რომელიც მყურებლებს წარუდგენდა და გააცნობდა ასპარეზობის მონაწილე ათლეტებს. შეჯიბრების ყველა მონაწილე დებდა ფიცს, რომ პატიოსნად დაიცავდა შეჯიბრების წესებს. შემდეგ ეწყობოდა კენჭისყრა და იწყებოდა ასპარეზობა.

თავდაპირველად ოლიმპიური თამაშების პროგრამა მხოლოდ ერთ სტადიონზე (ე.ი. 19,2,27 მეტრზე) რბენით შემოიფარგლებოდა. დროთა განმავლობაში, შე-



ათენის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით უზრიაანია გაფისენოთ ოლიმპიური მოძრაობის სათავეები, ის შორეული დრო, როცა ძველი საბერძნეთის მიწაზე სისტემატურად იმართებოდა გრანდიოზული შეჯიბრება-სანახაობა.

ოლიმპიური თამაშები

ლოგოები რა სინამრთვილო

ჯიბრების პროგრამაში შეიტანეს სპორტის ისეთი სახეობანი, როგორებიცაა: სირბილი დიდ მანძილზე, ხუთჭიდი, მუშტი-კრივი, საომარი ეტლების რბოლა, რბენა იარაღითა და სხვ. ამგვარად, ოლიმპიური შეჯიბრებები საომარი ძალების თავისებურ დათვალიერებადაც გადაიქცა.

ოლიმპიურ შეჯიბრებებში გამარჯვებული დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. მათ ღვთაებრივი ზეთისხილის ტოტებისგან დაწნული გვირგვინებითა და პალმის რტოებით აჯილდოებდნენ, რომლებსაც მათთვის ოქროს დანით ჭრიდა პატარა ბიჭი – თავისუფალი, სრულუფლებიანი მოქალაქე დედ-მამის შვილი. გამარჯვებულთა სახელები და სადაურობა საჯაროდ ცხადდებოდა. მათ პატივსაცემად იმართებოდა ნადიმი, ხოლო პოეტები საქებად ოდებს თხზავდნენ და ადიდებდნენ, როგორც ეროვნულ გმირებს.

თანდათან თამაშებში მთელი საბერძნეთის მოსახლეობა, შემდეგ კი, ეგვიპტისა და შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე კოლონიების ბერძნული წარმოშობის პირებიც ჩაებნენ. ამგვარად, ოლიმპიური თამაშები ელინურ ტომებს შორის ერთგვარ შემაერთებელ კავშირად იქცა და ხელს უწყობდა მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას. ასპარეზობის დღეებში ოლიმპიაში ჩადიოდნენ არა მარტო სპორტსმენები, არამედ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, სწავლელები, ფილოსოფოსები,

პოეტები. გარდა ამისა, თამაშების დროს, ოლიმპიაში იმართებოდა საერთო ბერძნული ბაზრობა, სადაც ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი პოლისების ვაჭრებს შეეძლოთ, ერთმანეთში სავაჭრო გარიგება დაელოთ. ოლიმპიური თამაშები ხელოვნების თავისებურ კონკურსსაც წარმოადგენდა, რომელშიც სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე, ცნობილი ორატორი დემოსთენე, ფილოსოფოსი დიოგენე და სხვები.

ალტისში იდგმებოდა ოლიმპიურ თამაშებში სამჯერ გამარჯვებულ ათლეტთა მშვენიერი ქანდაკებები. ერთ-ერთი ასეთი ქანდაკება ბადროს მტყორცნელის ცნობილი ქანდაკება, შესრულებული მირონის მიერ ჩვ.წალ-მდე V საუკუნეში. ამ ქანდაკებით მირონმა არა მარტო თამაშებში ოთხჯერ გამარჯვებული სპარტანელი პიონი, არამედ საკუთარი თავიც უკვდავყო...

საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ოლიმპიური თამაშების დროს, მუშტი-კრივში დიდმა მათემატიკოსმა პითაგორამ გაიმარჯვა. არადა, თავდაპირველად, მსაჯებს თურმე, მონაწილეთა სიაში მისი შეყვანაც არ უნდოდათ – იმის გამო, რომ მეცნიერი ტანმორჩილი გახლდათ.

თამაშების ისტორიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ათლეტად აღიარებული იყო როდოსელი დაგორასი, რომელიც ჩვ.წალ-მდე 464 წელს მუშტი-კრივში ჩატარებული ასპარეზობის ჩემპიონი გახდა. შემდეგ, მისი

3 ვაჟიშვილი და 2 შვილიშვილი რვაჯერ გახდნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. ერთხელ შეჯიბრებაზე ერთნაირ შედეგს მიაღწია ორმა ძმამ – დიაგორასის უფროსმა ვაჟიშვილებმა. მსაჯებმა ვერ გამოავლინეს, თუ რომელი იყო უფრო ძლიერი. და მათ მძებმა გამარჯვებულის გვირგვინით თავიანთი მამა შეამკეს, მხრებზე აიტაცეს იგი და მასთან ერთად გაიარეს საპატიო წრე სტადიონზე.

ოლიმპიური თამაშების ბევრი წესი მკვეთრად გამოხატავდა ძველი ბერძნული დემოკრატიის ნამდვილ სახეს. მაგალითად, მონებსა და ბარბაროსებს (ბარბაროსებს ბერძნები უწოდებდნენ ყველას, ვინც ელინური წარმოშობისა არ იყო) უფლება არ ჰქონდათ, დასწრებოდნენ ასპარეზობას მასურბლების როლშიც კი; საომარი ეტლების რბოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება, შეეძინა ეტლი და 4 ცხენი; გამარჯვებულად ამ შეჯიბრებებზე ითვლებოდა ეტლის მფლობელი იმ შემთხვევაშიც, როცა ეტლს დაქირავებული სპორტსმენი მართავდა. ოლიმპიური თამაშების ისტორიას შემორჩა ასეთი კურიოზული შემთხვევა: ერთ-ერთ თამაშებზე საომარი ეტლების რბოლაში მონაწილეობდა რომელიმე იმპერატორი ნერონი. მან ბოლომდე ვერ აასპარეზა, რადგან ეტლიდან გადმოვარდა, მაგრამ მსაჯებმა მაინც ის აღიარეს გამარჯვებულად (რას არ იზამ, დამპყრობელს რომ ასამოივნო?!).

ქალებს ძველ საბერძნეთში არ ჰქონდათ უფლება, დასწრებოდნენ ოლიმპიურ თამაშებს. ამ წესის დამრღვევთათვის დაწესებული იყო სიკვდილით დასჯა – უფსკრულში გადაგდებით. მიუხედავად ასეთი მკაცრი აკრძალვისა, მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი როდოსელი ქალი ფერონიკა დაესწრო ოლიმპიურ თამაშებს, როგორც თავისი ვაჟიშვილის მწვრთნელი. როდესაც მისმა შვილმა გაიმარჯვა, ფერონიკა გადაეხვია და გადაკოცნა იგი. ყველამ შენიშნა, რომ ის გადაცმული ქალი იყო. მაგრამ ფერონიკა მაინც არ დასაჯეს, რადგან ის ოლიმპიური ჩემპიონის, დიაგორასის ქალიშვილი აღმოჩნდა. ამ შემთხვევის შემდეგ, შემოიღეს ახალი წესი: ოლიმპიურ თამაშებზე ყველა მონაწილე და მასურბელი წელს ზემოთ შიშველი უნდა მოსულიყო.

ოლიმპიური თამაშები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, მაშინაც კი, როდესაც საბერძნეთი რომაელებმა დაიპყრეს. მაგრამ ჩვ.წლ-მდე 394 წელს, თამაშები, როგორც წარმართული ზეიმი, რომაელებმა იმპერატორმა თეოდოსიუს პირველმა აკრძალა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, ელადის მშვენიერი ქალაქი – ოლიმპია ცეცხლს მისცეს...



„ყოველი შეჯიბრების დედა... და სამართლიანობის ქალბატონი“, — ნერდა ძველი ოლიმპიის შესახებ პოეტი პინდარი, რომელსაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. ისევე როგორც ანტიკურ ეპოქაში, ოლიმპიადა დღესაც უმთავრეს სპორტულ ღონისძიებად მიჩნეული (საერთაშორისო რეზონანსით მას მხოლოდ საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატი თუ შეედრება) და რაც დრო გადის, იგი სულ უფრო გლობალურ ხასიათს იძენს. სწორედ ამის ბრწყინვალე მაგალითია ათენის ოლიმპიური თამაშები, რომლის მასშტაბებიც ყველა მოლოდინს აჭარბებს.

ოლიმპიადა სამოთხლოში დაბრუნდა

ალექსი რეხვიაშვილი

როგორც წინა წერილში აღინიშნა, ოლიმპიური თამაშები ეკეჟერიის – დროებითი დაზავების პირობებში მიმდინარეობდა. სწორედ ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოლიმპიადას ელინთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, მეოცე საუკუნეში მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. ორი მსოფლიო ომის გამო, ოლიმპიური თამაშების ჩატარების ციკლის წყვეტას ჰქონდა ადგილი. არადა, ათეულობით საუკუნის წინ, ოლიმპიადა თამაშებს შორის პერიოდს ეწოდებოდა და ამ სიტყვას ბერძნები დროის ასათვლელად იყენებდნენ. „ორი ოლიმპიადით ადრე“ — ამ გამოთქმას თურმე, ხშირად ხმარობდნენ ელინები.

როგორც ცნობილია, 394 წელს იმპერატორ თეოდოსიუს პირველის მიერ აკრძალული ოლიმპიური თამაშების განახლება პიერ დე კუბერტენის ინიციატივით ათენში მხოლოდ 1896 წელს მოხერხდა. ოლიმპიადის განახლებასთან ერთად, ადღა უძველესი ფიციც, რომელიც დღეს ასე ჟღერს: „ვიფიცავ, რომ ოლიმპიურ თამაშებში პირნათლად და წესების შესაბამისად ვიასპარეზებ, ხოლო ჩემი მონაწილეობით სამშობლოსა და სპორტს სახელს ვაგუთქვამ“.

განახლებულ ოლიმპიურ თამაშებზე, რომელშიც 13 ქვეყნის 285 სპორტსმენი მონაწილეობდა, პირველი ჩემპიონი ბერძენი სპირიდონ ლუისი გახდა. მან მართაონულ რბენაში გაიმარჯვა. ამბობენ, რომ ლუისის გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი ლოცვამ და ერთი ჭიქა ღვინის შესმამ (ესეც პირველი დოპინგი!).

წელს ოლიმპიური თამაშები თავის სამშობლოში დაბრუნდა – ქვეყანაში, სადაც ამ დიდ ტრადიციას 2700 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და ქალაქში, სადაც 1896 წელს ახალი დროის პირველი ოლიმპიადა მოეწყო. ძირითადი ოლიმპიური ღონისძიება 13-დან 29 აგვისტომდე ჩატარდება, ხოლო სექტემბერში ესტაფეტა პარალიმპიურ თამაშებს გადა-

ეცემა, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენები იასპარეზებენ. 2004 წლის ოლიმპიადის ემბლემას ზეთისხილის რტო წარმოადგენს, რომლითაც ძველ საბერძნეთში აჯილდოებდნენ ჩემპიონებს. ის აგრეთვე, ქალაქ ათენის წმინდა ხედაც ითვლება და იმ ისტორიული პერიოდის სიმბოლიზაციაა, რომელიც ბერძნული დემოკრატიის საფუძვლის ჩაყრას უკავშირდება.

2004 წლის ოლიმპიური თამაშების თილისმის შერჩევაზე ბერძნულ საზოგადოებაში ძალზე ბევრს კამათობდნენ. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ თილისმა, ორი თოჯინა ყოფილიყო – ცისფრა შემოსილი ფეხოსი (რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში აპოლონის სახელითაცაა ცნობილი) და მისი და – ნარინჯისფერი ათენა.

ათენის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტმა დაახლოებით 2 მილიარდი ევრო შეადგინა, რომლის 12% საბერძნეთის ხელისუფლებამ გაიღო, 10% ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხით, დანარჩენი ხარჯები კი, სპონსორთა მხარდაჭერით, ოლიმპიური სიმბოლიკის გამოყენების უფლების გაყიდვითა და სხვა წყაროებით დაიფარება.

ჯერ კიდევ 2001 წლის 29 მარტს, ათენის გარეუბან სპატიში ახალი საერთაშორისო აეროპორტი – „ელეფტერიოს ვენიზელოსი“ გაიხსნა. ახალი აეროპორტიდან ქალაქამდე და ოლიმპიურ ობიექტებამდე მისვლა მატარებლით, ავტობუსებითა და ტაქსით იქნება შესაძლებელი. ორგანიზატორთა გათვლით, მონაწილეთა და ტურისტთა დასაბინავებლად 23 ათასი სასტუმროს ნომერი იქნება საჭირო. მათგან 3 ათასი საზღვაო-სამოგზაურო სომალდებზეა განთავსებული. სპორტსმენები კი, ათენის ჩრდილოეთით მდებარე ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებენ.

ძირითადი სპორტული ღონისძიებები ათენის ოლიმპიურ სპორტულ კომპლექსში გაიმართება, რომლის შემადგენლობაშიცაა სტადიონი, ჩოგბურთის ცენტრი, დახურუ-

ლი სპორტული დარბაზი, საწყალონსო სახეობებისთვის განკუთვნილი ცენტრი და ველოდრომი. ეს კომპლექსი ათენის ჩრდილოეთ გარეუბან მარუსიში მდებარეობს. მეორე მსხვილი სპორტკომპლექსი კი დედაქალაქის სამხრეთით, ზღვისპირა ზონა ფალირონშია განთავსებული. იგი მშვიდობისა და მეგობრობის სტადიონისგან, ოლიმპიურ-სპორტული და პლაჟის ფრენბურთის ოლიმპიური ცენტრისგან შედგება. გარდა ამისა, ასპარეზობები გაიმართება ოლიმპიურ კომპლექს „ელინიკონსა“ და ათენის ცენტრში განთავსებულ სტადიონ „პანათინაიკოსზე“, რომელსაც „კალიმაროსაც“ (უძველესი მარმარილოს სტადიონი) უწოდებენ. სწორედ ეს მოედანი იქცევა ფინიშად მართონული რბენის მონაწილეთათვის, რომლებიც ლეგენდარული ძველი ბერძენი მემორის, ფიდიპიდისის მარშრუტს დაფარავენ. საფეხბურთო მატჩები ათენში, კრეტაზე, სალონიკსა და პატრიში შედგება. ხოლო დანარჩენი სპორტული ასპარეზობები ე.წ. „ოლიმპიური რგოლის“ ფარგლებში მოეწეობა, რომელიც ათენის ოლიმპიური ნაგებობების უმეტეს ნაწილს მოიცავს.

„ათენი-2004“-ზე უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული. უმსხვილეს ბერძნულ პორტ პირეოსში ათეულობით გემი შევა, რომლებზეც ოლიმპიადის სტუმრები იცხოვრებენ, მათ შორის – ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენელი ოფიციალური პირებიც. პირეოსს 24 საათის განმავლობაში სანაპირო დაცვის 1,2 ათასი წარმომადგენელი, სამხედრო-საზღვაო ძალების 250 წევრი და 650 პოლიციელი აკონტროლებს. ამასთან, პორტში 120 სათვალთვალო ვიდეოკამერაა დამონტაჟებული. უწყვეტ პატრულირებას განახორციელებენ ვერტმფრენები და სანაპირო დაცვის კატარღები. იმუშავებენ მყვინთავებიც, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა პორტში ტერაქტები გამოირიცხოს.

ანალოგიური უსაფრთხოების ზომებია მიღებული საბერძნეთის მთელ ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ტერიტორიის

ის შესაძლო შემოტევის თავიდან აცილებაში ბერძენ ძალოვან სტრუქტურებს ნატოს შეიარაღებული ძალებიც გაუწევენ დახმარებას.

საკუთარი ოლიმპიური დელეგაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ზომებს იღებენ ცალკეული ქვეყნების სახელისუფლებო სტრუქტურები. ცხადია, ამ მხრივ, ყველაზე მეტად აშშ-ის მთავრობა აქტიურობს. მაგალითად, ამას წინათ, ამერიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი სპორტული დელეგაციის წევრებისათვის 1000 აირწინალი შეიძინა (თითოეულში 150 დოლარი გადაიხადა). ამერიკელმა სპორტის მესვეურებმა ეს ნაბიჯი სპეცსამსახურების წარმომადგენელთა დაყინებული მოთხოვნის საფუძველზე გადადგეს, რომლებმაც აშშ-ის ოლიმპიური დელეგაციის თითოეულ წარმომადგენელს ათენში გამგზავრებამდე სპეციალური ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს. ერთ-ერთი პირობა, რომელიც ყველამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, ის განსაკუთრებით აშშ-ის ეროვნული სიმბოლიკით ოლიმპიური სოფლის გარეთ გამოჩნება.

განსაკუთრებულად იქნება დაცული ისრაელის დელეგაციის ადგილსამყოფელიც. ამ მიზნით სპეციალური „უსაფრთხოების ლობი“ კი გააკეთეს, რომელიც ებრაელებს ტერიტორიების მოსალოდნელი შეტევისგან დაცავს. სპორტის ქომაგებს კარგად მოეხსენებათ, რომ ნებისმიერ ოლიმპიადაზე ისრაელის ხელისუფლებისთვის თავისი დელეგაციის წევრების დაცვა დიდ თავსატეხს წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ ამას წინათ, „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის დელეგაციებს საბერძნეთში საკუთარი შეიარაღებული დაცვის ყოლის უფლება მიეცათ, თუმცა საბერძნეთის მთავრობამ ეს ფაქტი უარყო.

საბერძნეთის სტუმრებს 10 ათასი ტაქსი მოემსახურება. მათგან 8,5 ათასი უშუა-




ძირითადი სპორტული ღონისძიებები ათენის ოლიმპიურ სპორტულ კომპლექსში გაიმართება

ლოდ ათენში იმობრავებს, ხოლო დანარჩენები – სალონიკში, პატრიში, ვოლოსსა და ირაკლიონში, სადაც ასევე გაიმართება ასპარეზობები. საგულისხმოა ისიც, რომ ტაქსის მძღოლებს, რომლებსაც „ოლიმპიური სტატუსის“ მიღების სურვილი ჰქონდათ, საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები წაუყენეს: მათი ავტომანქანები უნაკლო უნდა იყოს, – როგორც ტექნიკური, ისე ვიზუალური თვალსაზრისით და აუცილებლად უნდა ჰქონდეს კონდიციონერი. სწორედ ამ პირობების შესრულების შემდეგ ეძლეოდათ მძღოლებს ოლიმპიური სერტიფიკატი და არაღივი ტაქსიზე მისაწვებლად, რომელიც მათ ოლიმპიურ ობიექტებთან გაჩერების უფლებას მისცემთ.

ათენის ოლიმპიადაზე 3 ათასამდე მედალი გათამაშდება, რომელთა ორიგინალებიც 15-მა საუკეთესო ბერძენმა ოსტატმა გამოჭედა. ამ ვიდეოების დასამზადებლად სულ თითო ტონა ვერცხლი და ბრინჯაო და 13 კგ ოქრო დაიხარჯა. მედლების ცალმხარეს გამარჯვების ქალღმერთი ნიკე და ის სტადიონია გამოსახული, რომელზეც 1896 წელს პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები გაიმართა. ამით ორგანიზატორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ოლიმპიადა სამშობლოში დაბრუნდა. მედლების მეორე მხარეს კი, ოლიმპიური ჩირადანია აღბეჭდილი და ამოტვიფრულია ბერძნული წარწერა: „XXVIII – ოლიმპიადა, ათენი-2004“.


დაბოლოს, ორიოდე სიტყვას ქართველ ოლიმპიელებზეც მოვასხენებთ. წელს ათენში ისპორტელოს ნაკრები 33 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი: 7 – ძიუდოში, 6-6 ათლეტი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იასპარეზებს, 3 – მძლეოსნობაში, 2-2 – მშვიდლოსნობაში, კრივისა და ძალოსნობაში, თითო-თითო – ჩოგბურთში, ცურვაში, ტყვიის სროლაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და ბატუტზე ხტომაში. ოლიმპიურ სოფელში ჩვენს გუნდს ლერი საბელოვი უხელმძღვანელებს, ხოლო სულ საბერძნეთში ქართული დელეგაციის სახელით დაახლოებით 60 კაცი გაემგზავრება.



ელდარ კურტსანიძე



გიორგი ასანიძე



მცაცვებლის იხსენიქვი

რუსულან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსალებლებთან სალაპარაკოდ ჩაიტყუებს. ანდროს თავისი თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდავეებს სვდებიან, ვიღაც უმისამართო სროლას ატეხს და ერთ ტყვიას კინალამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვროს ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე, გასაკვირი ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დააკავებენ...

ანდროს ფირმის ადვოკატი არჩილ ხომასურიძე მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. მისი რჩევით, დალი ხაჩიძე დახმარების სთვის თავის ძველ მეგობარს მეგი ლალიძეს მიმართავს. ანდროს საქმეს ადამიანების დაშანტაჟებაში დახელოვნებული გამოძიებელი სულელოკო ფვანია იძიებს, რომელთანაც, მასა და მეგისტან პირველი შეხვედრისას, გაცოფებული ანდრო ყელში სწვდება... მომხდარის შემდეგ შინ დაბრუნებულ დათრგუნვილ მეგის კარზე ყოფილი შეყვარებული კახა სუთიძე მიადგება. კახა მას, ანდრო სვანიძის საქმეზე უარის თქმას სთხოვს, მაგრამ მეგის ამის გაგონებაც კი არ სურს.

მეორე დღით, კახა მეგის კარზე დალი ხაჩიძეს მიაყენებს: აქაოდა, ადვოკატის შეცვლა თავად ანდროს აქვს გადაწყვეტილი. სიმართლის გასარკვევად, მეგი მაშინვე ანდროსთან მიდის. მაგრამ ანდრო მის ადვოკატობაზე უარს არ ამბობს. ამით კმაყოფილი ქალი, არჩილ ხომასურიძის სანახავად ბათუმში წასვლას გადაწყვეტს. ის შემთხვევით კახა სუთიძეს შეხვდება და სრულიად მოულოდნელად, მას სთხოვს, ბათუმში წამიყვანო. მაგრამ იქ ჩასულებს, მათ ადვოკატი საავადმყოფოში აღარ დახვდება. თუმცა, მის დატოვებულ საბუთებს მეგის სხვები გადასცემენ. მეგი მოუთმენლად ელოდება იმ მომენტს, როცა სასტუმროში განმარტოვდება, რათა ხომასურიძის საბუთებს გაეცნოს, მაგრამ საქალაქდში მხოლოდ ცარიელ ფურცლებს წააწყდება...

მეგი ეჭვს მაშინვე კახაზე მიიტანს, თუმცა თავადვე ხვდება, რომ ამის დამტკიცებას ვერაფრით შეძლებს. მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით, საბუთების ნაწილი მისი სანაოლის ქვეშ აღმოჩნდება. მეგი საბოლოოდ რწმუნდება, რომ ვინც მას დოკუმენტები შეუცვალა, საკმაოდ ვერაგული ჩანაფიქრი აქვს...

თბილისში დაბრუნებული მეგი ბავშვობის მეგობრის — ლიკას მეუღლის, ვახოს სანახავად გასწევს. ეს უკანასკნელი წლების მანძილზე ანდრო სვანიძესთან მუშაობდა...

ვახო, იგივე ვახტანგ ნაცყებია მეგის მეგობრის — ლიკას მეორე ქმარი იყო. პირველი ქმრისგან, რომელსაც ზუმრობით „ბედის ირონიას“ ეძახდა, ლიკას უკვე თერთმეტი წლის გოგონა ჰყავდა, ვახოსგან კი — მხოლოდ წლინახევრის ვაჟი. ვახო ლიკაზე მთელი 15 წლით უფროსი იყო და ამიტომ, მასაც და მის მეგობრებსაც პატარა ბავშვებივით ანებივრებდა. ცოლის მეგობრებს შორის ვახოს გამორჩეულად მეგი მოსწონდა და ხელიდან არ გაუშვებდა მომენტს, რომ ეს საგანგებოდ არ აღენიშნა.

ამჯერადაც, როგორც კი საკუთარ კაბინეტში შესული მეგი დაინახა, სავარძელში მისვენებული, სიცხისგან გათანგული ვახო მკვირცხლად წამოხტა ფეხზე, ქალი გულში ჩაიკრა და შემდეგ, შიშველ მხრებზე ხელები ვნებიანადაც აუსვდაუსვა:

— მაინც, რა მაგარი ნაშა ხარ, შე ოხერო!..

— აბა, აბა!.. ძალიანაც ნუ გაუტეი!.. — გახელებულ მამაკაცს ხელიდან სწრაფად დაუსხლტა მეგი. — უცბად ლიკა რომ შემოვიდეს, რას იფიქრებს?!

— იფიქრებს, თორემ, თავად მისთვის კი არ მითქვამს, რომ ძალიან მეგასები... — უკან მაინც არ დაიხია ვახომ.

— თქმა ერთია და ხელების ფართური — მეორე! — გააპროტესტა მეგიმ, მაგრამ ვახო ისევ თავისას განაგრძობდა:

— ამას წინათ ისიც კი წამომცდა — კიდეც კარგი, მეგი ჩვენს ქორწილში გამაცანი, თორემ, მანამდე რომ მენახა, ნაღდად მაგას მოვიყვანდი-მეთქი...

— მომიყვანდი და კაი ჩიტსაც დაიტყვრდი!.. — გაელიძა მეგის. — ეტყობა, შენ ჩემი ოფოფების ამბავი არ იცი! ერთხელაც, ყველას ერთად რომ აგიფრენდი, ლიკა კი არა, ნებისმიერი ქალი სანატრელი გაგიხდებოდა!..

— რა არის, იცი, ჩემო ჩიტუნი?.. — კედელთან მღვარ ფართო სავარძლამდე ხელკავით მიიყვანა მეგი ვახომ და ჩაჯლომშიც მიენმარა. — ზოგ ქალს თავში მარტო ოფოფები კი არა, ეშმაკებიც ბლომად ჰყავს!.. მთავარია, კაცმა მათი დროულად დაფრთხობა და ზოგჯერ დაყრევინება იცოდეს!.. მე კი, რა-რა და ეს საქმე ძალიან მეხერხება! თუ არ გჯერა, შენს დაქალს — ანუ ჩემს სათაყვანებელ თანამეცხედრეს თვითონ ჰკითხე...

— კი ვკითხავდი, მაგრამ ადგილზე არც ლიკა დამხვდა და არც — ანი. ხომ არ იცი, სად არიან? — საუბრის თემა მოხერხებულად შეცვალა მეგიმ.

— დილიდან ორივე, საქმეზე მყავს გაშვებული... — ძვირფას საათზე საქმი-

ანად დაიხედა ვახომ. — მხოლოდ საათ-ნახევარში დაბრუნდებიან. მანამდე კი, შენი ჟღერტულით უნდა დავტკეპ.

— საჟღერტულით ნამდვილად არ მცალია! — გააწყვეტინა მეგომ. — ასე რომ, ძალიან დამავალე, თუ ცოტათი მაინც დასერიოზულდები და ისე ამიხსნი, რა მოხდა. ლიკას და ანის ჩემი სასწრაფოდ მოძებნა რატომ დაავალე?

— იმიტომ, ჩემი მეგუნი, რომ გავიგე, ძალიან სამში საქმისთვის მოგიკიდია ხელი...

— ეგ უკვე უშენოდაც კარგად ვიცი. ასე რომ, თუ კონკრეტული ფაქტები არ გაქვს, ჩემი ზოგადი დაშინებით ნულარ დაიღლები!..

— მე დალლას არც ზოგადად ვაპირებ და არც — კონკრეტულად, — მეგის პირდაპირ მდგარ სავარძელში ნებიერად გადაწვა ვახომ, — მაგრამ სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, იქნებ, ყავა მაინც დაგველია!

— ყავაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი, — დაეთანხმა მეგი.

ვახომ თავის სამუშაო მაგიდასთან მივიდა და პირად მდივანს სელექტორით ყავის მოდულება დაავალა. მდივანმა კარზე მალევე მოაკაკუნა და ლამაზი ლანგრით ყავა და ნამცხვარი შემოიტანა.

მეგომ სურნელოვანი ყავის რამდენიმე ყლუბი მოსვა და წუთით გაირინდა.

— მაშ, ასე... — როგორც იქნა, დაიწყო ვახომ. — შენს ახალ კლიენტს, ანდრო სვანიძეს ბავშვობიდან ვიცნობ... ერთ უბანში ვცხოვრობდით... კარგი ბიჭი იყო, ზრდილი და თავაზიანი...

— ცოტა უფრო მოკლედ არ შეიძლება?... — გააწყვეტინა მეგომ.

— უფრო მოკლედ, ჩემო ლამაზო, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ანდრო სვანიძეს ციხეში ამოაღობენ, შენ კი, თუ დროზე არ გაჩერდები, შეიძლება, კარიერაც დაგისამარონ!

— მაგასაც ვნახავთ! — კბილებში ავად გამოცრა მეგომ. — საამისო ან ანდრომ რა დააშავა და ან — მე?!

— შენ ჯერჯერობით, ბევრი ვერაფერი მოასწარი, სვანიძის მთავარი დანაშაული კი, მარტივად რომ ვთქვათ, ისაა, უდროოდ დროს უადგილო ადგილზე რომ აღმოჩნდა, გასაგებია?..

— ისე, რა!.. ახლა ის მითხარი, სვანიძესთან დიდხანს მუშაობდი? — დაინტერესდა მეგი.

— მთელი შვიდი წელი...

— მაშინ მის ბიზნესს კარგად უნდა იცნობდე.

— სანამ მასთან ვიყავი, ნამდვილად კარგად ვიცნობდი, მაგრამ მერე ჩვენ შორის შავმა კატამ გაირბინა და...

— ის „შავი კატა“ შალვა ოშხერელი ხომ არ იყო?

— ისე, ბოლოს ალბათ, შალიკომაც მაგრად „მიბოღლა“, მაგრამ ანდროსთან ბევრად უფრო ადრე გამიფუჭდა ურთიერთობა...

— მიზეზს ვერ მეტყვი?

— მიზეზს — კი, მაგრამ ყველაფერს ალბათ, მაინც ვერ მოგიყვები...

— ყველაფერი არც მაინტერესებს.

— არც ანდროს საიდუმლოებები?

— თუ მის ბიზნესს არ ეხება, არც საიდუმლოებები.

— ერთი საიდუმლო სწორედაც რომ მის ბიზნესს ეხება. უფრო ზუსტად კი, ის რომ არა, შეიძლება, ანდროს ბიზნესი საერთოდაც არ ჰქონოდა.

— მაშინ აუცილებლად უნდა მომიყვე...

— თუ შემპირდები, რომ ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება...

— ხომ იცი, რომ ვერ შეგპირდები?!

— ჯანიც გავარდეს — მაინც მოგიყვები!.. ბოლოს და ბოლოს, გოგოებს ხომ სწორედ ამისთვის მოვაძებნინე შენი თავი!.. მაშ ასე, საიდუმლო პირველი: ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესი შალვა ოშხერელის ბუბის დანატოვარი ქონებით აქვს დაწყებული...

— რა-ა?! — თვალები ჭყიტა მეგომ.

— კი, მაგრამ ბუბია ერთადერთი შეილიშვილი ასე რატომ მოექცა?

— იმიტომ, რომ კარგად იცოდა საწყალმა, შალვა მთელ მის სიმწრით ნაგროვებ ფულებს და სამკაულებს ნარკოტიკებში რომ განიავებდა. ანდრო კი, წვლანაც გითხარი, ყოველთვის ზრდილი, წესიერი და საქმიანი იყო. ჰოდა, იფიქრა ტასო ბუბიამ, იფიქრა და მოიფიქრა: მთელ ჩემს დანახოვს ანდროს დაუტოვებ და ვთხოვ, რაიმე სერიოზული საქმე წამოიწყოს და შალვაც გვერდში დაიყენოსო. როგორც ხედავ, ანდრო სწორედ ასე მოიქცა.

— საინტერესოა, თავად შალვამ თუ იცის ეს ყველაფერი?

— დანამდვილებით — არა... თუმცა, მთელი ცხოვრება ეჭვი კი ღრღნიდა და ალბათ, დღემდე ღრღნის... იმიტომ, რომ შალვამ კი არა, ოშხერელების სიმდიდრის ამბავი ლამის მთელმა თბილისმა იცოდა და უცბად აღმოჩნდა, რომ ერთადერთ შთამომავალს მათგან მხოლოდ ბინა და ანტიკვარული ავეჯი დარჩა!.. იცი, შალვამ ბუბის დამარხვისთანავე რა ჩაიდინა?

— საიდან უნდა ვიცოდე?..

— ...რა და ჯერ ქალაქის ყველა ნოტარიუსს პირადად შემოურბინა — იქნებ, ბუბიანემმა სადმე ანდროდი დატოვაო?.. როცა ნოტარიუსებმა სანუგე-

შო ვერაფერი უთხრეს, სახლში ყველა სკამი, სავარძელი თუ ლიბო-ბალიშიც სათითაოდ დაფატრა, მაგრამ ერთ გახვრეტილ შაურიანსაც კი ვერსად მიაგნო და საერთოდ კინადამ გაგიჟდა, უბედური!..

— ისე, არც ანდრო ყოფილა მთლად კარგი კაცი!.. რომ ნახა, შალვა რა დღეშიც ჩავარდა, სიმართლე ვერ უთხრა?!

— სხვათა შორის, ეგ ანდროს მეც ვკითხე და იცი, რა მიპასუხა?.. ტასო ბუბიამ სიკვდილის წინ, დედ-მამის სული დამაფიცა და ამ ფიცს ვერ გავტეხდიო.

— რა მიკვირს, იცი?.. — სავარძლიდან წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა შეფიქრიანებულმა მეგომ. — ანდრომ შენ ეს ყველაფერი მაინც რა მიზნით გაიპბო?..

— დარწმუნებული ვარ, არანაირი ქვენა ან ზენა მიზანი არ ამოძრავებდა, — ფეხზე წამოდგა ვახომ. — უბრალოდ, ერთხელ, მე და ანდრო მოსკოვში მივლინებაში ერთად ვიყავით წასული და ერთ საღამოს, ნომერში არყით უგონოდ გამოვთვევით. ანდრო სასმელს საერთოდ ვერ იტანს. იმ საღამოსაც ჯერ გაითიშა, შემდეგ, ცოტათი გონს მოგო თუ არა, რატომღაც გულახდილობის ხასიათზე დადგა... ეტყობა, გულში აღარ ეტოვდა კაცს ეს ყველაფერი!.. ისე, ეს კიდევ რა არის?!. მაშინ ანდრომ ამაზე დიდი საიდუმლოც გამანდო...

— მართლა?.. მაინც რა? — პროფესიულთან ერთად, უკვე ქალურმა ცნობისმოყვარეობამაც შემოუტია მეგის.

— ნამდვილად ვერ გეტყვი!.. — თავი შორს დაიჭირა ვახომ. — ჩემგან ამის გაკეთება მართლა არაკაცობა იქნება!.. მასხოვს, ანდრო მეორე დილით როგორ იყო შეწუხებული — წუხელ, ზედმეტი ხომ არაფერი წამომცდენიაო?.. მე მაშინვე დავამშვიდე — შეიძლება, რამე კიდევ წამოგცდა, მაგრამ მე ახლა თავში ისეთი „მონტაჟი“ მაქვს, რომ გუშინ რა ვჭამე, ისიც ბუნდოვნად მასხოვს-მეთქი... დღემდე არ ვიცი, დამიჯერა თუ არა. ალბათ, უფრო — არა, იმიტომ, რომ მას შემდეგ გული აღარაფრით მიჩვენა, ნავთობის ამბის შემდეგ კი, სამსახურიდან საერთოდაც დამითხოვა. ეტყობა...

— მოიცა, მოიცა! — გააწყვეტინა უცბად მეგომ. — რა ნავთობის?.. ხომასურნიდის დატოვებულ დოკუმენტებშიც რაღაც ნავთობზე იყო ლაპარაკი, მაგრამ მე დიდი ყურადღება არ მიმიქცევია...

— ძალიანაც ცუდად მოქცეულხარ, ჩიტუნი!.. — წელზე ხელი მოხვია და ისევ სავარძელში ჩასვა ვახომ მეგი. — ქალი ბუზს აღარ ისვამ — მეორე ჩემნაირი ადვოკატი თბილისში არ და-

ისო! — და შენი კლიენტის მთელი უბედურება საიდან დაიწყო, ჯერ ისიც კი არ დავიდგენია?! — ახლა ნიკაპქემ ამოსლო ხელი მეგის, მის წინ თავდახრილმა ვახომ.

— გეხვეწები, რა!.. — მამაკაცის ხელი სწრაფად მოიშორა მეგიმ. — ახლა ლაზღანდარობის დრო არ არის!.. დაჯექი, ცოტა უფრო გასაგებად ამიხსენი ყველაფერი...

— უფრო გასაგებად, ხომ?.. — მოპირდაპირე სავარძელში სასწრაფოდ ჩავლა და ფეხი ფეხზე არხეინად გადაიღო ვახომ. — ალბათ, ის მაინც იცი, ანდრო სვანიძეს კახეთში მამაპაპისეული სახლ-კარი და კარგა მოზრდილი მიწის ნაკვეთიც რომ აქვს.

— ისე, სვანიძეები, საერთოდ, კახელები არიან თუ?.. — მოულოდნელად დაინტერესდა მეგი.

— სვანიძეები კახელები არიან თუ საერთოდაც, სვანები, ინგილოები — არ ვიცი, მაგრამ ანდროს კახეთში მიწა ნაღდად აქვს. იმ მიწის ქვეშ კი, კაი ბლომად ნავთობიც „განიხვენებს“, მამ!..

— ნავთობი?! საიდან მოიტანე?.. საბუთების მიხედვით, სვანიძეს იმ მიწაზე სხვადასხვა საკვები პროდუქტი მოჰყავს... წელს, მაგალითად, ხორბალი ჰქონდა დათესილი, მაგრამ სეტყვას გაუნადგურებია...

— მართალი ხარ... როცა მე ანდროსთან ვმუშაობდი, მაშინ, ძირითადად, საზამთრო მოგვყავდა... სწორედ საზამთრო გახდა ჩემი და ანდროს „კახეთელების ვაშლიც“... მახსოვს, იმ წელს, საზამთროს ისეთი დიდი მოსავალი მოგვივიდა, რომ მართლა აღარ ვიცოდით, სად წავგველო. ბიჭები მოკრეფას და გაყიდვას ვეღარ აუდიოდნენ... ფულიც ბლომად გავაკეთეთ... სწორედ მაშინ გავიგე პირველად, რომ იმ მიწაში ნავთობის საბადო იყო...

ეს სიტყვები ვახოს ბოლომდე წარმოთქმული არ ჰქონდა, რომ კარი ხმაურით გაიღო და ოთახში გულამოვარდნილი ლიკა და ანი შემოცვივდნენ.

— რა იყო? მოგდევდნენ?! — თვალები გადაუბრიალა ვახომ დაუპატიჟებელ სტუმრებს. — ან ასე შემოვარდნა რა წესია?! არ უნდა დააკაკუნოთ მაინც?! იქნებ, მე და მეგი ამ წუთში რას ვაკეთებდით?!

— ნეტავ, ერთი, შენ რაღაცას არ მიედ-მოედებოდე! — შეუღრინა ქმარს ლიკამ, მეგი კი გულიანად გადაკოცნა და მერე დააყოლა: — რადგან შენ გამოჩნდი, რაღას დავებდი!..

— გამოჩნდა, თორემ, ჩვენ მოვენატრეთ, აი!.. — ახლა ანი დაიხარა მეგის საკონცელად. — ვახოსთან ჰქონდა საჭუკ-

ჭუკო, თორემ, აქ ისე რა მოიყვანდა?!

— რა არის, იცით, სიცოცხლეებო?... — დაქალების თავყრილობისთვის თავის გარიდება დააპირა ვახომ. — ახლა თქვენ იჭუკჭუკეთ, მე კი საქმეზე ვარ გასასვლელი.

— არავითარი საქმე! — უკვილა უცბად ქმარს ლიკამ. — ახლავე, შენი მანქანით სამივე სადმე უნდა წავიყვანო, თორემ, არ ვიცი, რას გიზამ!..

— სადმე?.. მაინც სად, საყვარელო? — სასწრაფოდ დაუტკბა ვახო ცოლს.

— თუნდაც, ლუდის რესტორანში, თორემ, გაშრა ყელი და ეგაა!.. ხომ მართალი ვარ, გოგოებო?! — მიუბრუნდა ლიკა დაქალებს.

— მართალი ხარ, მართალი!.. წაკვდი! — უმაღ ფეხზე წამოხტა ანი და მეგიც აიყოლია. — მორჩა საქმის კეთება!.. უკვე რვა საათია!.. თანაც, მე და ლიკამ წელან გადავწყვიტეთ, რომ ვახოს სიქა უნდა გავაძროთ!

იმ საღამოს, ლიკამ და ანიმ რესტორნიდან რესტორანში და ერთი ღამის ბარიდან მეორეში ხეტიალით ვახოს მართლაც, სიქა გააძვრეს... ბოლოს, მეგის დაჟინებული თხოვნით, ქალაქის ცენტრში ერთ პატარა მყუდრო რესტორანზე შეაჩერეს არჩევანი და როგორც კი საცეკვაო მუსიკის ხმაზე ლიკა და ანი საძვიძვივოდ გაიჭრნენ, მეგი ისევ ვახოს მიუბრუნდა:

— ვახო, გეხვეწები, ნავთობის ამბავი დამიმთავრე!

— ა-აქ, გოგო?! — შეიცხადა ვახომ. — ამ ბრაგაბრუგში რა უნდა გაგაგებინო?! თუ გინდა, ხვალ მე თვითონ გნახავ და...

— არა, არა! — იუარა მეგიმ. — ხვალ დილიდან ციხეში უნდა ვიყო... მერე საოლქოში მაქვს კიდევ ერთი პროცესი...

— კარგი... — დანებდა ვახო. — გამახსენე ერთი, სად გავვაწყვეტინეს ამ ნავთობმა? — ლიკას და ანის მანჭვარეხას თვალი კიდევ ერთხელ შეავლო ვახომ და ცოლს ბრაზიანად დაუქნია თითი.

— სად და საზამთროს მოსავალზე... — ჰო, გამახსენდა!.. ერთ დღესაც, ანდრომ მე და შალვა კახეთში გავვიშვა — ბიჭებს დახედეთ, რას შვრებიან, სასმელ-საჭმელი ხომ არ შემოაკლდათო. სახლში რომ ვთქვი, კახეთში მივიღვარ-მეთქი, მამჩემი ატყდა — მეც წამოვალ, ცოტა გულს მაინც გადავაყოლებ, თორემ, შინ უქმად ჯდომამ გამაგიჟაო...

— ვახო! — გააწყვეტინა მეგიმ. — რა დროს მამაშენია?! ცოტა მოკლედ, რა!..

— ნუ ხარ მოუთმენელი!.. — თვალე-ბი დაუბრიალა ვახომ. — ცნობისთვის — მამჩემი მთელი ცხოვრება ნავთობს ეძებდა და საქართველოში არაერთი საბადოც აღმოაჩინა... იმ საბადოების უმეტესობა დღეს ყველასთვისაა ცნობილი, რამდენიმეს არსებობა კი მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრემ და მთავრობის ზედა ეშელონებში სულ რამდენიმე კაცმა თუ იცის... ერთ-ერთი ასეთი საბადო კი, სწორედ იმ მიწის ქვეშაა, რომელიც დღეს ანდრო სვანიძეს ეკუთვნის...

— ეგ ყველაფერი მხოლოდ მამაშენისგან იცი, თუ?..

— სამწუხაროდ, ამას მამჩემიც კი ვეღარ დავიდასტურებს, იმიტომ, რომ ორი წლის წინ გარდაიცვალა. მაშინ კი, კახეთში რომ ჩავიყვანე და მე და შალვა მის წინაშე თავს საზამთროს ბაღით ვიწონებდით, ორივე განზე გაგვიხმო და გვითხრა: ბიჭებო, თქვენი მთავარი სიმდიდრე ამ საზამთროების ქვეშ არისო... შალვამ მაშინვე თვალეები ჭყიტა, მე კი პირკატა მეცა და მამჩემს თვალეები გადავუბრიალე — ამასთან რა გალაპარაკებდა-მეთქი?! — მაგრამ რაღას ვუშველიდი?..

— აი, თურმე, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარსული!.. — როგორც იქნა, ამოღერდა გაოგნებულმა მეგიმ. — მე კი როგორ აღარ ვიმტვრიე თავი: ხან ომხერელის ნარკობიზნესთან კავშირში მეპარებოდა ეჭვი, ხანაც...

— ეჰ, ჩემო პატარავ! — ამჯერად მამაშვილურად მოუთათუნა მხარზე ხელი ვახომ მეგის. — შალვა ომხერელი ბევრად უფრო მასშტაბური მამაძაღლია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს...

— შალვა შალვად, მაგრამ ჩემთვის ანდროსაც რომ არაფერი უთქვამს?! დავიჯერო, ასეთი ნიჭიერი მსახიობია?.. იცი, როგორ დამაჯერებლად იმტვრია ჩემ წინაშე თავი — ნეტავ, ვიცოდე, ჩემისთანა წვრილფეხა ბიზნესმენს ვინ რას უნდა გამოჩინოს?!..

— ისე, შეიძლება, ანდრომ ეს ამბავი მართლაც, არ იცოდეს... — ჩაფიქრდა ვახო.

— კი, მაგრამ რანაირად?!

— იმნაირად, ჩემო კარგო, რომ მე იმის შემდეგ, ანდროს ერთი ერთზე სალაპარაკოდ ერთხელაც აღარ შეეხვედრივარ. საკმარისი იყო, მის კაბინეტში შევსულიყავი, რომ შალვაც მაშინვე იქ დაერჭობოდა... ერთ დღეს კი, სამსახურში მისულს, დალიმ დამახვედრა ამბავი: დღეს დილით, ანდრო მივლინებაში წავიდა და დამიბარა, ჩემს ჩამოსვლამდე ვახოს ანგარიში გაუსწორე — ჩვენთან აღარ მუშაობსო...



— ...და შენც ადექი და სამსახურიდან მართლა წამოხვედი?

— აბა, რა უნდა მექნა?.. — დამნაშავესავით აიჩეხა მხრები ვახომ. — ვიფიქრე, შალვა და ანდრო მაინც ერთმანეთის „პადელნიკები“ არიან, ეტყობა, შალვამ ნავთობის ამბავი გააგებინა და საქმიდან ჩემი სასწრაფოდ მოტეხა გადაწყვიტეს-მეთქი... მერე ანდრო რამდენჯერმე შემთხვევით შემხვდა. ბოლო შეხვედრისას, მაგარი ნასვამი იყო და აქეთ მისაყვედურა: რა იყო, შე კაცო, გველი ხომ არ შეგიწვი, მივლინებიდან ჩამოსვლაც არ მაცალე, საქმე ისე რომ მიმიტოვეო?! ასე რომ, დღესაც არ ვიცი, სინამდვილეში, სამსახურიდან ვინ „ამასმეინა“ — ანდრომ, შალვამ თუ სულაც, წაკლა დალი ხაჩიძემ...

ამ სიტყვების შემდეგ, ერთხანს, არც ერთს ხმა აღარ ამოუღია. შემდეგ დუმილი მეგობრებს დაარღვია.

— ვახო!.. — დაიწყო მან.

— ჰო, რა იყო? — ფიქრებიდან უცბად გამოერკვა ვახო.

— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, რაც ახლა მე მითხარი, სასამართლოზე გაიმეორებ?

— რა თქმა უნდა, არა! — მშვიდად მიუჯო ვახომ, თან ფეხზე წამოდგა, მისკენ ტანის გამოძვრევი რხევით მომავალ ლიკას ორივე ხელი შეაგება და ისე დასძინა: — იმაზეც მადლობა მითხარი, რომ „გაგანათლე“!..

ცეკვით დაღლილი და უცნაურად აღტაცებული ლიკა ქმრის მკლავებში წამით გაიტრუნა და სიამოვნებისგან თვალებიც კი მიღუღა. მაგრამ უცბად, დარბაზში კვლავ რიტმული მუსიკა გაისმა და ლიკაც უმაღლეს ხელსაღმარებლად დაიქცა.

ვახოს ხელიდან.

— ეი, ეი!.. შენ მართლა კი ნუ გაუტეხი! — შეურდინა მას ვახომ. — წასვლის დროა!

— კიდევ ერთი ცეკვა, რა, ჩემო სიცოცხლე! — შეეხვეწა მას ლიკა. — მართო ერთი!.. — და სანამ ვახო რაიმის თქმას მოასწრებდა, ლიკა და ანი უკვე საცეკვაო მოედნის შუაგულში ირხეოდნენ.

— არა, ძაო, გიჟი მყავს ცოლად, ნამდვილი გიჟი! — სკამზე ბრაზიანად დაეხეთქა ვახო და სიგარეტს მოუკიდა. — მაგრამ ჩემი ცოლი კიდევ — ჰო, ყველგან ჩემთან ერთად მაინც

დადის. ანისი კი, საერთოდ ვერაფერი გამოიგია: დილიდანვე რომ გაულებს კარს ქმარი და გამოუშვებს, მერე დილაზე აღარ უნდა მოიკითხოს, სად არის ან რას აკეთებს?!

— რა ტყუილად იღლები... — გაელიძა მეგის. — ვითომ, არ იცი, ვინ რა რატიპიცია!.. მაგას ოღონდ, ლაბორატორიიდან ნუ გამოიყვან, ოღონდ, თავისი საცდელი ბაჭები ჰყავდეს კარგად და გარეთ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა!.. მაგრამ ისე, ყველა დიდი სამეცნიერო აღმოჩენაც ხომ სწორედ ასეთი თავგადაკვლეულების ხარჯზე მოდის!..

— რას გეტყვი, იცი, ჩემო კარგო?! — სიგარეტი გემრიელად მოქაჩა ვახომ და შემდეგ, ბოლი ნება-ნება გამოუშვა. — მეცნიერებაზე თავგადაკვლეულებს ცოლ-შვილი საერთოდ არ უნდა ჰყავდეთ!.. ჰკითხე ერთი შენს დაქალს, ქმარმა ბოლოს ოჯახში ფული როდის მოიტანათქო?! მე რომ სამაგლოდ სამსახურში არ მიმელო, მალე ალბათ, შიმშილით ამოხდებოდათ სული!..

— ნუ იმადლები, რა! — გაღიზიანდა მეგი. — ანი იმის ქალი არ არის, შენი სიკეთე ვერ დაინახოს ან საქმეში გიღალატოს!

— ღალატით ვიცი, რომ არ მიღალატებებს, მაგრამ იმას რაღა ვუყო, რომ არც მაგას და, სხვათა შორის, არც ჩემს ნაგიჯარ ცოლს თავში არაფერი უყრიათ?! იცი, რომ მაგათ უტყვინოდ ნათარგმნ ტექსტებს მერე, საგანგებოდ დაქირავებულ მთარგმნელს ვასწორებინებ და კარგ ფულსაც ვუხედი?! თანაც, შენს დაქალებს თავმოყვარეობა რომ არ შეეღაზოთ, ამას მათგან მალულად ვაკეთებ!

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, რომ ჩემს მეგობრებს ასე უფრთხილდები!.. — „საქციელი მოუწონა“ მეგიმ. — თავიდან

ხელი უნდა შეუწყო, მერე ნელ-ნელა მართლა გაიწაფებიან და... —

— მეტი არაა ჩემი მტერი!.. — ხელი ჩაიქნია ვახომ. — ეგენი ხომ ხედავ, რაშიც იწაფებიან?! მართო ერთი ცეკვაო, მთხვეს და აგერ ნახავ, მერე და მესამეც თუ არ მიაყოლონ!..

ლიკამ და ანიმ ვახოს ვარაუდი არ გაუმტყუნეს და ერთს მერე ცეკვა მართლაც, მიაყოლეს. მეგიმ კი ამასობაში, შეპარვით დაიწყო:

— ვახო...

— შენ რაღა გინდა? — თვალები გადმოუბრიალა მას ვახომ.

— შენი სახელი ანდრო სვანიძესთანაც არ ვახსენო?

— რა თქმა უნდა, არ უნდა ახსენო!

— აბა, რა ვუთხრა — ნავთობის ამბავი საიდან გავიგე-მეთქი?

— რაც გინდა, ის უთხარი... და საერთოდაც, ვერ გამოიგია, შენ ხარ მისი ადვოკატი თუ — პირიქით?! კითხვები იმან კი არა, შენ უნდა დასვა!

— ასე ეკვიპიტანის ადვოკატები კი არა, გამოძიებლები იქცევიან, ბატონო ვახო!..

— მაშინ, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი! — გაღიზიანდა ვახო. — მე რა შუაში ვარ?! ბოლოს და ბოლოს, უთხარი, ეს ყველაფერი ხომასურიძის დანაშაუარ საბუთებში ამოვიკითხე-თქო!

— ისე, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ბატონი სულხანის დოკუმენტებში მართლა ეწერა რაღაც ამის მსგავსი... — გაახსენდა უცბად მეგის. შემდეგ ხელჩანთა გახსნა, ბათუმის სასტუმროდან წამოღებული ფურცლები ამოიღო და ფრთხილად გაშალა.

— აბა, ერთი მაჩვენე! — ფურცლები მაშინვე გამოართვა ვახომ, თვალთ სწრაფად გადაურბინა და შემდეგ, გოცებულმა შეხედა მეგის: — შენ ეს საბუთები მართლა ხომასურიძემ მოგცა?

— მართლა... უფრო სწორად — საავადმყოფოში ერთ მოხუც ქალს დაუტოვა და იმან გადმომცა. ისე, ჯერ წესიერად არც წამიკითხავს: ბათუმში ყოფნისას, კახა სუთიძე გვერდიდან წამითაც არ მომშორებია... მართლა... იცი, რომ კახამ ეგ საბუთები მომპარა?

— მოგპარა?.. აბა, ეს რაღაა? — ფურცლები ცხვირწინ აუფრიალა მეგის ვახომ. — მხოლოდ დაუმოწმებელი ასლები?

— არა, დედნებია! — ეშმაკურად გაელიძა მეგის. — უბრალოდ, მერე მეც „მოვპარე“!

— ე, გოგო, წესიერად ამიხსენი, ვინ ვის რა მოპარეთ? — შეწუხდა ვახო.

გაგრძელება იქნება



უაილ

ბოლო სამი წლის მანძილზე, არაერთ გახმაურებულ ფილმში თამაშის წყალობით, გაელ გარსია ბერნალი მსოფლიო ეკრანის ვარსკვლავად იქცა. სხვათა შორის, ეს ფილმები უჩვეულო სათაურებითაც იქცევა ყურადღებას: „და შენი დედაც“ (ამ სურათში ნათამაშები როლისათვის ბერნალიმ ვენეციის ფესტივალზე (2001) მარჩელო მასტროიანის პრიზი დაიმსახურა), „ძუენა სიყვარული“ და „პადრე ამაროს დანაშაული“ (ეს ორი ნამუშევარი ნომინირებული გახლდათ „ოსკარზე“); ამავე დროს კანის ფესტივალზე წარმოდგენილი გახლდათ ბრაზილიელი რეჟისორის ვალტერ სალესის „მოტოციკლისტის დღიური“, სადაც გაელ გარსია ახალგაზრდა ჩე გევარას როლს ასრულებდა. ჩვენი მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი ვარსკვლავის უკეთ გასაცნობად მოვიყვანთ ხუთ ფაქტს მისი ცხოვრებიდან, შემდეგ კი, უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

უაილსია უაილსი და მისი სკანდალური კინოგმირები

სუთი ფაქტი პარსკვლავის ცნობილიდან

1. ბერნალი პოლივედის 22 წლის ვარსკვლავის, ნატალი პორტმანის ექსპოზიციონერი გახლავთ. წველის დაშორების მიზეზი გახდა ის, რომ გაელ გარსიამ კანის ფესტივალზე სატრფოსთან ერთად გამეზარებას, შობილებთან ერთად წასვლა არჩია. ნატალიმ კი, მას ეს არ აპატია.

2. ბერნალის კინოსტატუსი კიდევ უფრო განმტკიცდა 2003 წლის „ოსკარებით“ დაჯილდოებით ცერემონიაზე, როდესაც ის, პოლივედის წამყვანი ვარსკვლავების გვერდით, სუთიდან ერთ-ერთი ფავორიტი ფილმის წარსადგენად მიიწვიეს.

3. ბერნალი მშობლიურ ესპანურთან ერთად, მშვენივრად ფლობს ინგლისურ (მით უმეტეს, რომ სამსახიობო ხელოვნებას ის ლონდონში ეუფლებოდა), იტალიურ და ფრანგულ ენებს.

4. 2002 წელს, ჟურნალმა *Peopl en Espanol*-მა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ესპანური წარმომოსის 25 ადამიანის სია გამოაქვეყნა, სადაც ერთ-ერთი პირველი ადგილი, სწორედ გაელ გარსია ბერნალს ეკავა.

5. მისი მშობლები მსახიობები არიან და ბერნალს მათთან ერთად პატარაობიდანვე უწევდა პროფესიონალურ სცენაზე გამოსვლა; ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში, მან „საპნის ოპერაში“ მთავარი როლი შეასრულა.

— თქვენ საოცრად მოკლე ხანში მოახერხეთ, გამხდარიყავით მოდური მსახიობი...

— ეს მართლაც ასე მოხდა. როცა 2000 წელს, პირველად ჩავედი კანის ფესტივალზე ფილმით — „ძუენა სიყვარული“, ისე მოხდა, რომ ჩვენი

გადამღები ჯგუფისათვის სასტუმრო არავის დაუჯავშნია, კინოს ბილეთებსაც კი, საკუთარი ხარჯით ვყიდულობდით. სხვათა შორის, საკუთარ თავს დიდად ცნობილ პიროვნებად არც ახლა მივიჩნევ. ყოველთვის ვცდილობ, კრიტიკული თვალთ შევაფასო საკუთარი თავი და ამას ყოველდღიურად ვაკეთებ: ეს ჩემთვის ერთგვარი ფსიქოტრენინგია. მართალია, წლებიდან კანის კინოფესტივალზე, წითელ კიბეზე ასვლისას, შესმოდა შემახილები: „გაელ, გაელ!“ მაგრამ უკვე მეორე დღეს ყველანი კიდევ უფრო ხმაძილა გაყვიროდნენ: „შრეკი! შრეკი!“

— კი, მაგრამ თქვენ ხომ სწორედ ვარსკვლავის სტატუსის წყალობით მიგიწვიათ თავად აღმოდგარმა „ცუდ ალზრდაში“ სათამაშოდ?

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს როლი ცნობილი მსახიობის სტატუსის წყალობით მერგო? ნურას უკაცრავად. მე ამის მისაღწევად ძალზე სერიოზული სინჯები გავიარე და კონკურენტიც მრავლად მყავდა.

— წარმოუდგენელია!


— სინჯები და ტესტირება რამდენიმე დღის მანძილზე გრძელდებოდა.

— თქვენი აზრით, შეიძლება იმის თქმა, რომ „ცუდი ალზრდის“ გადაღებები თქვენთვის სერიოზულ გამოწვევად იქცა?

— ამის დასტურად ისიც კი კმარა, რომ ფილმის ერთ ნაწილში გოგონას როლი უნდა მეთამაშა; უფრო სწორად — ტრანსვესტიტის. მანამდე გოგონა არასოდეს განმისახიერებია. ამას ემატებოდა ისიც, რომ ფილმის მოქმედება 1977 წლის ესპანეთში და შემდგომ 80-იანი წლების შუა ხანებში ხდებოდა. ყველაზე იოლი ამოცანა, რომლის გადაჭრაც მომიხდა, — სწორი აქცენტით მეტყველება იყო. ჩვენთან, მექსიკაში ხომ განსხვავებული აქცენტით ლაპარაკობენ. ჩემთვის კიდევ უფრო რთული გახლდათ ეპოქის სულის წვდომა. რა არის 1977 წელი? ეს არის პოსტფრანკოსეული ესპანეთი — დრო, რომელიც დღევანდელისგან საოცრად განსხვავდება.

— მიუხედავად იმისა, რომ თქვენი პერსონაჟი მამაკაცია (ამ ფილმის იმ ნაწილში, სადაც მოქმედება 80-იანი წლების შუა ხანებში გადადის), ფაქტობრივად, სიუჟეტის გასაფართოებლად ფამ ფატალის — საბუდისწერო ქალის როლის თამაში მოგიხდათ...

— რეჟისორმა შემდეგი ამოცანის წინაშე დაამყენა: მე



გაელ გარსია რეჟოლუციონერ ჩე გევარას როლში

არ უნდა განმესახიერებინა არამზადა – ალმოდოვარი ხომ საკუთარ გმირებს არასოდეს განიკითხავს. გარდა ამისა, მისი მითითებით ჩვენ ორიენტირებულნი ვიყავით ნუარის („შავი ფილმი“) ჟანრის ფილმზე, რომლის გმირებიც „ნიჭიერი მისტერ რიპლის“ პერსონაჟებს ჰგვანან და პატრისია ჰაისმიტის რომანებიდან არაერთხელ გადასულან კინოეკრანებზე.

— ამბობენ, რომ ფილმი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და რეჟისორი-მსხვერპლი, რომელთან მიახლებასაც თქვენი მზაკვარი პერსონაჟი ცდილობს, ეს თავად ალმოდოვარია 80-იანი წლების შუა ხანებში, როცა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შექმნილი თავისი შედეგები: „ქალები ნერვული შეტევის ზღვარზე“, „მალაქუსლიანი ფესსაცემლი“, „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“ და „ელაპარაჟე მას“...

— ალმოდოვარი უარყოფს ამ ვერსიას. ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, „ცუდი აღზრდის“ პერსონაჟი რეჟისორისგან განსხვავებით, ალმოდოვარს არასოდეს ჰქონია რომანები თავის მსახიობ ქალებთან გადასაღებ მოედანზე.

— თქვენ გამუდმებით თამაშობთ სკანდალურ ფილმებში. შეიძლება ითქვას, რომ ახალი ათასწლეულის რეკორდსმენიც კი ხართ ისეთ სცენებში მონაწილეობით, რომელთა ყურებაც 16 წლამდე ახალგაზრდებს ეკრძალებათ... ნუთუ, არ გეშინიათ, რომ ამით სკანდალური იმიჯის მსახიობის სახელს დაიმკვიდრებთ?

— ჩემი აზრით, მსახიობი არ უნდა იყოს მშვიდარი. არტისტიკისთვის საკუთარი იმიჯის გაფრთხილება, საშუალო დონისა და მოსაწყენ ფილმებში თამაშს ნიშნავს. ამა თუ იმ რილის შერჩევისას, ჩემთვის უმთავრესი პერსონაჟის წინააღმდეგობრივი ხასიათი გახლავთ. სწორედ ასეთი, ზღვრამდე მისული წინააღმდეგობაა ჩემთვის მნიშვნელოვანი, რაც როლზე მუშაობისას ბოლომდე დახარჯვის შესაძლებლობას მაძლევს.

— რატომღაც მგონია, რომ თქვენთვის ასევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ფილმის პოლიტიკური კონტექსტი. თქვენი როლებითა და 2003 წლის „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონიაზე თქვენსავე პაციფისტური სულისკვეთებით გამსჭვალული გამოსვლით თუ ვიმსჯელებთ, მემარცხენეებს უნდა ემხრობოდეთ. ყოველ შემთხვევაში, თქვენი ორი ფილმი — „პადრე ამაროს დანაშაული“ და „ცუდი აღზრდა“, თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ანტიკლერიკალურ სურათად.

— არა, არა, რას ბრძანებთ. მე მხოლოდ როლებს ვირჩევ და არა, იდეოლოგიას. გარდა ამისა, სულაც არ მიმაჩნია, რომ იმ ორ ფილმს, რომელზედაც თქვენ საუბრობდით, სოციალური ქვეტექსტი აქვს. ჩემი აზრით, „პადრე ამაროს დანაშაულს“ არანაირი იდეოლოგიური დატვირთვა არ გააჩნია... ეს ფილმი ბედისწერაზეა და მასში კარგად ჩანს, რომ სიყვარულის ყოვლისმომცველი გრძობისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ფაქტობრივად შეუძლებელია.

„ცუდი აღზრდაც“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ ფილმად, ეს რომ ასე იყოს, მაშინ ის ალმოდოვარის ფილმი ვერანაირად ვერ იქნებოდა. საბოლოო ჯამში, ეს სურათი ალმოდოვარის განუყოფელ თემას უკავშირდება, კონკრეტულად კი იმას, თუ საკუთარი ვნებების წყალობით როგორ ლაბირინთებში შეიძლება ამოყოს თავი ადამიანმა.

— თქვენი მეორე ახალი როლია — 22 წლის ერნესტო გევარა (იგივე ჩე გევარა) ფილმში „მოტოციკლისტის დღიური“. ნუთუ, ეს როლიც არაფრით უკავშირდება თქვენს პოლიტიკურ მიდრეკილებებს? თქვენ ხომ უკვე მეორედ შეასრულეთ ჩე გევარას როლი — პირველი 2002 წელს, ბრაზილიურ მინისერიალში — „ფიდელი“, შექმნილი სახე გახლდათ.

— მინდა გითხრათ, რომ უპირველეს ყოვლისა, ამ შემთხვევაშიც ჩემი გმირის არაორდინარულმა ხასიათმა მიმიზიდა.

— შეიძლება გკითხოთ, პირადად თქვენ, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ჩე გევარას პიროვნებაზე?



კადრი ფილმიდან „ცუდი აღზრდა“



კადრი ფილმიდან „მოტოციკლისტის დღიური“

ისადმი? მას ხომ ზოგიერთები ტერორისტად და მკვლელად მიიჩნევენ.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ის გახლდათ ადამიანი, რომელმაც შეცვალა სამყარო და განსაკუთრებით — ლათინური ამერიკა. ჩემი მშობლები, ისევე, როგორც იმ თაობის ყველა ლათინურამერიკელი, კუბის რევოლუციის შეილები არიან; მეც მათი შვილი ვარ, მეზიკომი გავიზარდე, სწორედ იმ ქალაქში, რომელიც ამ რევოლუციის შემდეგ სრულიად განსხვავებულა, უფრო ლიბერალურ ქალაქად იქცა. ვაღიარებ, რომ ჩე გევარას მითურმა, რომანტიკულმა პერსონამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ჩემს პიროვნებაზე. ამ რომანტიკულ აურას დღეს ვერავინ ვერსად წაუგვა. ამიტომ მისი სახის სრულყოფილად ხორცშესასხმელად, მე არა მარტო კარლ მარქსის ნაშრომებს გავეცანი, არამედ პაბლო ნერუდას თხზულებებიც გადავიკითხე. სულ სხვა საკითხია ის, რომ ჩე გევარას პიროვნებაზე ობიექტურად მსჯელობა პრაქტიკულად შეუძლებელია. მასზე არსებული რეალური ინფორმაცია, მხოლოდ შავ ხვრელს შემიძლია შეგადარო — ის მითად იქცა, მეორე მხრივ კი, ბრენდალ: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ მარტო მისი გამოსახულებიანი რამდენი მაისურია გამოსული!

— ე.ი. თქვენ გინდათ თქვათ, რომ „მოტოციკლისტის დღიური“ (სადაც ჩე გევარა თქვენი წყალობით ფრიად სიმპათიურად გამოიყურება) მხოლოდ მითი და სცენარისტების ფანტაზიის ნაყოფია?

— არა. ფილმი ჩე გევარას დღიურების მიხედვით არის გადაღებული და რეალურ მოვლენებს ასახავს. მისმა ოჯახ-

მა მოიწონა სურათი. რობერტ რედფორდმა, რომელიც „მოტოციკლისტის დღე-ურის“ გადაღების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ, კუბაში ფილმის სპეციალური ჩვენება მოაწყო, რომელსაც ჩე გევარას შთამომავლები და თანამებრძოლები დაესწრნენ. ყველამ აღნიშნა, რომ ფილმში ზედმიწევნით ზუსტადაა ასახული მოვლენები და ჩეც სწორედ ისეთია, როგორც სინამდვილეში იყო.

— როგორც ჩანს, თქვენ და დიეგო ლუნა (გაელ გარსიას პარტნიორი ფილმში „და შენი დედაც“) უნებლიეთ მეტოქეებად იქცეით. შენც და ისიც ხომ მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ესპანურენოვანი ახალგაზრდა მსახიობები ხართ. მაგრამ თქვენგან განსხვავებით, ლუნა პოლიფუნქციური კარიერის შექმნას ელტვის: მან ითამაშა კვინ კოსტენერის ვესტერნში — „გაშლილი სივრცე“; ამჟამად კი, მას იღებენ „ბინძური ცეკვები-2“-ში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მისგან განსხვავებით, თქვენ პოლიფუნქციურად დიდად არ უნდა ილტვოდეთ...

— არც მთლად ასეა საქმე. სხვათა შორის, ინგლისურენოვან ფილმებში მეც ვითამაშობ. გაისად გამოვა სურათი „მეფე“, სადაც მოქმედება თანამედროვე ტუნისში ვითარდება. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯერჯერობით მსოფლიოში საუკეთესო ფილმებს, სწორედ აშშ-ში იღებენ. მაგრამ პოლიფუნქციური ან ესპანელი მსახიობი მხოლოდ ლათინურამერიკელი ბიჭების როლებითვისაა განწირული. ჩვეულებრივ, ამგვარი როლები, იშვიათი გამოჩაჩაჩის გარდა, მეორეხარისხოვანია და საკმაოდ უინტერესოც. მე კი, საინტერესო როლების თამაში მსურს. თანაც, მინდა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება კინოს მიუძღვნა და აქტიურად ვიყო დაკავებული. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მსახიობს აქვს საკუთარი, მისთვის განსაკუთრებულად ახლობელი ტერიტორია. მსახიობი საკუთარ ფესვებს არ უნდა მოსწყდეს. ვფიქრობ, სამუშაო ესპანურენოვან ქვეყნებშიც მეყოფა. გაისად, ვივო მორტენსონს („ბეჭდების მბრძანებელი“) არტურო პერეს-რევერტის რომანის — „კაბიტან ალატრისის თავგადასავალი“ — ეკრანიზაცია აქვს განზრახული, სადაც ერთ-ერთი მთავარი როლი უკვე გარანტირებული მაქვს; გარდა ამისა, მექსიკაში არის კიდევ ორი ახალი პროექტი, რომელზე ლაპარაკიც ჯერ არ მინდა: მეშინია, თვალი არ მეცეს.

— პოლიფუნქციური ხომ ბევრად მეტი ანაზღაურება გექნებოდათ?!

— ანაზღაურებას არც ახლა ვუჩივი.

— მაინც რამდენს გიხდებიან? (საპასუხოდ მან მხოლოდ გაიღიმა).

აგილოტამ მიმზიდული ტალი უაბცო

პოპარსკვლავმა კრისტინა აგილოტამ ხელიდან გაუშვა კინოკარიერის შესაქმნელად მნიშვნელოვანი შანსი: მას 1967 წლის კლასიკური ფილმის — „თოჯინების ველი“ — რიმიეკში გადაღება შესთავაზეს, მაგრამ მომდერალმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, ახალ ალბომზე მუშაობის გამო. ფილმის სიუჟეტი აგებულია 3 ქალის თავგადასავალზე, რომელიც შოუბიზნესის უღმობელ სამყაროში ადგილის დამკვიდრებას ცდილობს და ამ რთული გზის გაკვლევისას დიდ დარტყმებს ღებულობს. სურათში ცნობილი მსახიობები — პატი დიუკი და შერონ ტეიტი მონაწილეობენ.



მსუქანი და მულტცი ჯატჯ კლუნი

ქალების გულთა მპყრობელი ჯორჯ კლუნი აცხადებს, რომ უარს ამბობს სექსზე, რათა... გასუქდეს(!). თუმცა, ეს დროებით მოხდება: საქმე ისაა, რომ მსახიობი ახალი როლისთვის — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტ რობერტ ბაერის სახის შესაქმნელად ემზადება. ფილმს — „სირიანა“ — საკუთარი სცენარით კინოდრამატურგი სტივენ გევანი („ტრეფიკი“, „ფორტი ალამო“) გადაიღებს. სცენარი ცსს-ს ყოფილი აგენტის მეშუარეზე დაყრდნობით დაიწერა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკელთა პოზიციების შესუსტების თემას ეხება, რაც სპეცსამსახურების ამ რეგიონისთვის გათვალისწინებული პროექტების დაფინანსების მკვეთრი შემცირების გამო მოხდა... როგორც კლუნიმ განაცხადა, ბაერის როლისთვის მას არა მარტო გასუქება, არამედ თავის გადაპარსვაც მოუწევს. მსახიობის ახლობელთა ვარაუდით, ასეთი ცვლილებები ნამდვილად არ ეჭაშნიკება კინოკარსკვლავის გელფრენდს — ტელეწამყვან ლიზა სნოულონს, რომელთანაც კლუნიმ ცოტა ხნის წინ განაახლა ურთიერთობა.



ნიმ განაცხადა, ბაერის როლისთვის მას არა მარტო გასუქება, არამედ თავის გადაპარსვაც მოუწევს. მსახიობის ახლობელთა ვარაუდით, ასეთი ცვლილებები ნამდვილად არ ეჭაშნიკება კინოკარსკვლავის გელფრენდს — ტელეწამყვან ლიზა სნოულონს, რომელთანაც კლუნიმ ცოტა ხნის წინ განაახლა ურთიერთობა.

ბალთ თაინსი „პატი პიტფრში“ გამთინდებმა



ჯადოქარი ბიჭუნას შესახებ მორიგი ფილმის — „პარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი“ — შემქმნელებმა ვოლან-დე-მორტის როლის შემსრულებლის ვინაობა დაასახელეს. აქამდე მთავარ არამზადად ცნობილი პერსონაჟი, რომელსაც მაყურებელი ეკრანზე მხოლოდ სპეცფექტის სახით და მჭახე ხმით იცნობდა, ეპოპის ახალ ნაწილში განსხეულებული მოგვევლინება. მას რაღვ ფაინსი განასახიერებს. კინემატოგრაფიულ წრეებში მიაჩნიათ, რომ ფილმის შემქმნელებმა ღირსეული არჩევანი გააკეთეს: ფაინსი ერთადერთი მსახიობია იმ თორმეტთაგან, რომლებსაც ბროდვეიზე ჰამლეტი უთამაშიათ და ამ როლისთვის პრესტიჟული პრემიით — „ტონით“ დაუჯილდოებიათ. მსოფლიო სახელი კი მან „ინგლისურ პაციენტში“ გადაღების შემდეგ მოიხვეჭა, თუმცა მანამდე, გრინუისა და სპილბერგის ფილმებში უთამაშია.

პინკი პტალიდან გაიქცა...

ამერიკელ მომღერალს წაუხდინეს შთაბეჭდილება ჩეხეთის დედაქალაქზე, სადაც ის რამდენიმე კონცერტის გამართვას აპირებდა. პირველ დღესვე, იმ სასტუმროს გვერდით შენობაში, სადაც ვარსკვლავი დააბინავეს, ვიღაცამ ხელეწყობარა ააფეთქა, რის შედეგადაც 18 ადამიანი დაშავდა. „პინკს უყვებოდნენ, რომ პრადა ძალზე ლამაზი ქალაქია და მას სურდა, 5 დღე გაეტარებინა აქ, – უთხრა ჟურნალისტებს ალისია მურის (პინკის ნამდვილი სახელი) პრომოუტერმა. – მაგრამ იმის გამო, რომ გვერდით შენობაში აფეთქება მოხდა, მან გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ჩეხეთი და დანიაში გაემგზავრა“. არადა, კონცერტზე პინკთან შესახვედრად 5500 მისი ფანი შეიკრიბა...



კაილი მინტუგი: სცენა თუ საცდობა?..

ავსტრალიელი ვარსკვლავი დროებით წყვეტს საკონცერტო საქმიანობას, რათა პირად ცხოვრებას მიხედოს – ასეთი ინფორმაცია გავრცელდა ბრიტანულ მედიაში. პრესა იუწყება, რომ მომღერალს სერიოზული კონფლიქტი მოუხდა საქმროსთან – ოლივიე მარტინესთან, რომელიც, ამბობენ, ძალზე უკმაყოფილოა სატრფოს მოუცვლელობით. ცოტა ხნის წინ, წყვილი ერთ-ერთ რესტორანში ყოფნისას მაშინ უნახავთ, როცა ცხარე კამათის შემდეგ, ატირებულმა კაილიმ გულის სწორი მიატო-



ფტმ კრუჯი ირალატი ძალის მტლტინშია



ორი განქორწინებისა და უკან მოტოვებული რამდენიმე რომანის მიუხედავად, ტომ კრუჯს მაინც სწამს სიყვარულის და თავის ცხოვრებაში ახალი, იდეალური ქალის გამოჩენას ელოდება. „არასოდეს უარვეყოფი სიყვარულს. მიყვარს ქალები და აუცილებლად კვლავ დავოჯახდები, რადგან მჯერა, რომ მომავალში ისევ შემხვდება ქალი, რომელთან სიახლოვეც დიდ სიამოვნებას მომგვრის“. კითხვაზე – თუ როგორია მისი წარმოდგენით იდეალური ქალი? – ტომ კრუჯმა უპასუხა: „ის იუმორის გრძნობით უნდა იყოს დაჯილდოებული და მშვიდად აღიქვამდეს მცირე თავგადასავლებისკენ ჩემს ლტოლვას. მაგალითად, მე მიყვარს მოტოციკლით ქროლა,

პატარა თვითმფრინავით ფრენა და მინდა, რომ ჩემ გვერდით მყოფსაც სიამოვნებას ანიჭებდეს მსგავსი გართობა“.

დიჯერსპენი კთმედიტტ ბტლომტტე ტცნტმტმს

ფილმში – „ქერთომიანი ადვოკატი“ – გადღებისა და იქ განსახიერებული პერსონაჟის წყალობით მოპოვებული პოპულარობის შემდეგ, 28 წლის მსახიობმა თმა შავად შეიღება და აცხადებს, რომ სულაც არ აპირებს, კინოვარსკვლავის ამპლუით ტტტობას და თეატრში კომედიური როლების თამაში სურს. „როცა ადამიანებს აცინებ, ამით ძალზე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებ, – ამბობს მსახიობი. – სიცილი ხომ მარადიული რამაა!..“



ვა. რამდენიმე დღეში, მარტინესი უკვე სხვა ვარსკვლავის – ასევე მომღერალ ბლუ კანტრელის გვერდით დაუფიქსირებიათ. სწორედ ამიტომ – ირწმუნებიან ჟურნალისტები – კაილიმ გადაწყვიტა, შემოქმედებითი პაუზა აიღოს და მეტი დრო გაატაროს საქმროსთან ერთად. „ის უკვე 36 წლისაა, მისი „ბიოლოგიური მალევიმარა“ აქტიურად მუშაობს, – თქვა ორანჯოუნად მინოუგის მეგობარმა, – ამიტომ შეეყვარებულთან კარგი ურთიერთობა ახლა მისთვის კარგიერაზე გაცვლებით მნიშვნელოვანია...“

ახალი ნახმომადგენლობითი Nissan

წლეულს პეკინში მოწყობილ საერთაშორისო ავტოსალონზე იაპონურმა კომპანიამ სედანი – Teana წარმოადგინა. საშობლოში ეს მანქანა დიდი პოპულარობით სარგებლობს და უკვე 40 ათასია გაყიდული.

გარეგნული კონტურებით „ტეანა“ „ნისან პრიმერას“ მოგაგონებთ, მაგრამ ზომებით მასზე დიდია და ამის წყალობით, უფრო ხალვათი სალონი აქვს. „ნისან ტეანა“ ნ-ცილინდრიანი ბენზინის ძრავითაა აღჭურვილი, რომლის საშუალო მოცულობა 3,5 ლ, სიმძლავრე კი 245 ცხ.ძ-ა. ეს აგრეგატი ავტომოცვარულთათვის, სპორტული მანქანის – Nissan Z350-ის წყალობითაა ცნობილი. „ტეანის“ სალონი, მასაჟის ფუნქციით აღჭურვილი სავარძლებითა და კლიმატკონტროლითაა აღჭურვილი. მანქანაში დამონტაჟებულია აგრეთვე უკანა ხედვის ტელეკამერა, რომელიც სადღოში გაჩერებისას მძღოლს ამოცანას უიოლებს.



შემოდგომიდან, „ნისანი“ ამ მანქანის ჩინეთში აწყობასაც გეგმავს. ევროპაში მისი ექსპორტირების საკითხი კი ჯერ-ჯერობით დიად რჩება. ამ კონტინენტზე „ნისანის“ სხვა მოდელების – სპორტული ყველაგანმავლის – Murano-ს დებიუტი შედგება. სექტემბერში ეს მანქანა პარიზის ავტოსალონზე იქნება წარმოდგენილი, შემდეგ კომპანია შეკვეთების მიღებას დაიწყებს. მომხ-

მარებლები პირველ მანქანებს 2005 წლის დამდეგს მიიღებენ. „მურანო“ ისევე, როგორც „ტეანა“, 3,5 ლ მოცულობის ძრავით – Z350 იქნება აღჭურვილი. მის საბაზო კომპლექტაციაში შედის: უსაფრთხოების 6 ბალიში, ავტომატურ გადაცემათა კოლოფი, ქსენონის მასუქები, გამათბობლით აღჭურვილი, რეგულირებადი სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, უკანა ხედვის ტელეკამერა, 18-დუიმიანი საბორბლე დისკები. პირველ 200 მყიდველს „მურანო“ 43 ათასი ევრო დაუჯდება. კომპლექტაციის მაღალი დონის გათვალისწინებით, ეს ფასი საკმაოდ მიზიდველია. ცოტა ხანში კი, იაპონური ავტოგოიგანტი ევროპაში კიდევ ერთ პრესტიჟულ მოდელს – Infinity-ს გამოიტანს, რომელიც უკვე იყიდება აშშ-ში.



Fiat-ის განახლებული მინივენი

ნ-ადგილიანი მინივენი – Fiat Multipla, რომელსაც უკვე 6 წელია აწარმოებენ, იტალიური ავტოგოიგანტის განსაკუთრებით წარმატებულ მოდელთა რიგს არ განეკუთვნება. სერიული წარმოების მთელი ხნის მანძილზე, ევროპულ ბაზარზე სულ 200 ათასი მანქანა გაიყიდა – მაშინ, როდესაც „ფოლკსვაგენმა“ თავისი მინი-ვენის – Touran-

ის ამავე რაოდენობის რეალიზაციას მხოლოდ 2 წელი მოანდომა. მდგომარეობის გამოსასწორებლად, იტალიელებმა მოდელის ახალი ვერსია – Multipla შეიმუშავეს. მისი სიგრძე 4090 მმ, სიგანე – 1870 მმ, სიმაღლე – 1720 მმ, ხოლო



« დ ე ლ ტ ა »
მეტალკოლასტმასის
ქარ-შანჯრაჰისა და
ლაპინირებული ავეჯის
დაპროექტება
ბრტყელი გადასურვები
 მის: გ.ლალიძის ქ.მ-9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

საბარგულის მოცულობა – 430 ლ-ა (უკანა სავარძლის დაკეცვისას – 1300 ლ). ძრავების თვალსაზრისით, ახალ მოდელს არაფერი შეუცვლია. მომხმარებელთა უმეტესობა, 1,9 ლ მოცულობის დიზელის ძრავს ამჯობინებს. საბაზო მოდიფიკაცია, 1,6 ლ მოცულობის, 103 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის აგრეგატით აღიჭურვება და 17.950 ევრო ეღირება. არსებობს კიდევ ე.წ. გაზ-ბენზინ ვერსია – Multipla Natural Power, რომლის ფასი 20.750 ევროა.

ეკა მინდაკე

— ბავშვობაში ყოველ ზაფხულს რაჭაში ვისვენებდი ბებიასთან და ბაბუასთან. იქ მშვენივრად ვერთობოდი, ძალიან დიდი ეზო გვაქვს და უამრავი ბავშვი მოდიოდა ჩემთან სათამაშოდ. მდინარეზეც დავდიოდი. ცოტა რომ წამოვიზარდე, ქობულეთის ხშირი სტუმარიც გავხდი. სასტუმრო „ივერიაში“ ვიმყოფებოდი და დიდიდან საღამომდე სასტუმროს ეზოში ბავშვებთან ვერთობოდი.

— საკურორტო რომანი თუ გქონია?

— საკურორტო რომანი არასოდეს მქონია. ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის გაურკვეველ ხალხს მოვწონდი, მე კი მათთან დაახლოების სურვილიც არ მქონდა.

— შენი აზრით, საზაფხულო რომანი დროებითია?

— რა თქმა უნდა, დროებითია. ზაფხულის დამთავრებასთან ერთად, სიყვარულიც მთავრდება.

— პირველად მარტო, დასასვენებლად როდის და სად გაგვიშვეს მშობლებმა?

— მარტო, 13 წლის ასაკში გამიშვეს მონაკოში, საბალეტო აკადემიაში სასწავლებლად. აი, სწორედ იქიდან დაიწყო ჩემი დამოუკიდებლად მოგზაურობა. წლებულს, აგვისტოს შუა რიცხვებიდან მივდივარ ჩემს უახლოეს მეგობრებთან ერთად. მათ შორისაა: ქეთა თოფურია და ნინი ბაღურაშვილი. გონიოში სახლის დაქირავებას ვაპირებთ და იმედია, უფროსების გარეშე უფრო კარგად გავერთობით.

— შარშან სად დაისვენე?

— ბოლო 3 წელი, დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, ვერსად ვერ დავისვენე, მაგრამ მირჩევენია, შემოქმედებითად დატვირთული ვიყო: მე ხომ სიმღერის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.

— ზღვა უფრო გიყვარს თუ მთა?

— რა თქმა უნდა, ზღვა, რადგანაც იქ უფრო მეტი საშუალებაა გართობის — მეტი დისკოთეკა, ბარი და ბუნგალოა. მთაში კი ამ სახის გასართობები არ არსებობს. ისე, რომ იყოს ბარები და ბუნგალო, აუცილებლად წაივლიდი. მთაში წასვლა მხოლოდ ზამთარში მიყვარს, კერძოდ, გუდაურსა და ბაკურიანში. ზაფხულში კი ჩემი ერთადერთი დასვენება მეგობრებთან ერთად ზღვაზე გართობაა.

— ცურვა იცი?

— დიან. ბავშვობიდან ცურვაზე დავდივარ. ცურვაზე სიარული ღელაჩემის მეგობრის შვილთან ერთად დავიწყე. ის

ქრისტინე იმედაძეს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ დაუსვენია საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაინც სამშობლოში დასვენება უყვარს, იმიტომ, რომ აქ უამრავი მეგობარი ჰყავს. წლეულს სწორედ მათთან ერთად აპირებს ზღვაზე დასვენებას გონიოში. უყვარს ზღვა და მის ტალღებში შორს გაცურვა. არ უყვარს მთა და უკომფორტობა. მისთვის ნამდვილი დასვენება მეგობრებთან ერთად სიმღერა და ცეკვაა.

ქრისტინე იმედაძე საზაფხულო რომანების არ სჯერა

ბიჭი დღეს კარგი წყალბურთელია. ცურვის დროს ყველას რეზინის ქუდი გვეხურა და ძნელი იყო ბიჭისა და გოგოს გარჩევა. მასსოვს, ერთ დღეს, მწვრთნელი მოვიდა და თვალყურს ადევნებდა ჩვენს ვარჯიშს — გუნდისთვის ბიჭებს აგროვებდა. წყალბურთის გუნდში გადასაყვანად აირჩია რამდენიმე, მათ შორის — მეც. მე გამიხარდა დიდ აუზში გადასვლა და ამიტომაც წინააღმდეგობა არ გამიწევია. ხოლო როცა ხელში ბურთი დამაჭერინეს, მივხვდი, რომ ჩემი საქმე ცუდად იყო, მაშინვე მოვიხადე ქუდი, გავიჩქე ჩემი დალაღები და ყველას დავანახვე, რომ გოგო ვიყავი...

— დასასვენებლად წასულს რაიმე კურორტი ხომ არ გადაგხდენია?

— მინდა გავისხენო ამბავი, რომელიც კურორტად მიმანია, დედას კი, „ეტრავედიება“. ერთ-ერთ ზაფხულს, როცა მე და დედა ზღვაზე ვისვენებდით, რამდენიმე დღე გადაბმულად წვიმდა, ამიტომ ზღვა ადიდებული იყო. მეხუთე დღეს, ცოტა მზემ გამოაჭყიტა, გახარებულმა, მაშინვე ხელი მოკვიდე დედას და პლაჟზე გავედი. მართალია, ზღვა ძალიან დღლაკდა, მაგრამ მაინც ვერ მოვიმთინე და სამმეტრიან ტალღებში შევცურე. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ დედამ ჩემი გაჩერება ვერ მოასწრო. ის ნაპირზე დარჩა და გაჰყვიროდა: შორს არ გახვიდე, ქრისტინე, უკან დაბრუნდი! მთელი პლაჟი მე მიყურებდა. მე, რა თქმა უნდა, დედას არ დაუჯერე და შორს გავცურე, მაგრამ ისე დამაპანიკეს, ტალღებს უკან ველარ გამოყვევი და რომ არა მამშველები,



ალბათ დავიხრჩობოდი. ნაპირზე გამოვედი თუ არა, ყველა ცალ-ცალკე გაიძახოდა: ამ ბავშვს პატრონი არ ჰყავსო?! დედა კი ჩემად გაიპარა, რომ ვინმეს არ ესაყვედურა: 14 წლის ბავშვს სამმეტრიან ტალღებში რატომ უშვებო?!

— თბილისში, მოცალოებისას, როგორ ისვენებ?

— ყოველ შაბათ-კვირას — არა, მაგრამ როცა ვახერხებთ, ახლო მეგობრები დავდივართ ღამის კლუბებსა და ბარებში. ძალიან მიყვარს ცეკვა და გართობა.

— გიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი?

— მართალი ვითხრა, სამზარეულოში ფუსფუსით მე ვერ ვისვენებ, მაგრამ კერძების მომზადება მეხერხება. შემიძლია გავაკეთო სხვადასხვა სახის სალათები, განსაკუთრებით გემრიელი გამოდის ნამცხვრები. სასმელებიდან ხშირად მიწევს ყავის, ჩაის და გასახლომი კოქტეილის მომზადება.

— კოქტეილის მომზადების წესს ხომ არ გაგვიმხელ?

— რა თქმა უნდა. აიღეთ 2 დიდი ფორთოხალი, გაწურეთ, ჩახეხეთ ერთი დიდი ბანანი, დაუმატეთ ერთი ს/კ თაფლი და ერთი დიდი ლიმონის წვენი. გამოდის ოთხი პატარა ჭიქა. კოქტეილი ორი დღე უნდა სვავთ. ორი ჭიქა ერთ დღეს მიირთვით, ორი ჭიქა კი — მეორე დღეს. ამ ორ დღეს მარტო კოქტეილზე უნდა იყოთ, სხვა არაფერი არ უნდა მიირთვათ, გარდა უმაქრო ჩაისა და ყავის. თუ ამას ზუსტად შეასრულებთ, ორ დღეში 3 კილოს დაიკლებთ.



ბოიარის ცინიდან დაბრუნებული ზურა შარია იქაურ შთაბეჭდილებებზე ჯერჯერობით კონკრეტულ კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ ყველა დანარჩენ საკითხზე გულახდილად საუბრობს.

ზურა შარიას გარშემო ცნობისმოყვარეთა მიტქმა-მოთქმა ტელეეკრანზე — „თენდება გვიან“ მისი მონაწილეობის შემდეგ ატყდა: ეროტიკულ სცენებში მსახიობის გამოჩენა მაცურებელმა არაერთგვაროვნად შეაფასა. რას ფიქრობს თავად ზურა ამის შესახებ, როგორ შეხვდა მისი მეუღლე ინტიმურ სცენებში ქმრის გადაღებას და საერთოდ, რა ხდება მის შემოქმედებით ცხოვრებაში?..

საქართველოში

შეღმსახურებულს სუჟეტი

ლევა ჭანკობაძე

— ზურა, როგორ გახდი მსახიობი?

— მამჩემი მსახიობი (ნუგზარ შარია, ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს. — ავტ.) იყო, ღელა — ექიმი. შესაბამისად, ხან მსახიობობა მინდოდა და ხან — ექიმობა. კამოს ქუჩაზე მდებარე მცირე საავადმყოფოშიც მიმუშავებდა, ოპერაციებსაც დასწავლობდა და იმ საქმიანაც, რასაც ვაკეთებდი, ძალიან დაინტერესებული გახლდით. საერთოდ, ზედაპირული დამოკიდებულება ჩემი სტილი არ არის. ნებისმიერი საქმე, რომელსაც ხელს მოგვიდებ, ბოლომდე უნდა შევისწავლო... სამედიცინო ინსტიტუტის მისაღებ გამოცდებზე ერთხელ გავედი და მაშინაც იმას ვფიქრობდი, — რომ ჩავაბარო, არ ვინანო-მეთქი. მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ვერ ჩავირიცხე.

— მშობლები არ აქტიურობდნენ? არ ცდილობდნენ, შენზე გავლენის მოხდენას?

— მამას არ უნდოდა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა. თვითონ გულგატეხილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის ასაკში უკვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. ახლაც მიაჩნია, რომ პროფესია მხოლოდ ორი არსებობს — ექიმი და ვეჟილი... ბაბუაჩემიც ცნობილი ექიმი გახლდათ, დედაჩემიც და, ცხადია, ეს ჩემზე გავლენას ახდენდა. თანაც, ძალიან მიყვარს ხალხთან ურთიერთობა, ავადმყოფებთანაც კონტაქტს იოლად ვამყარებდი, მაგრამ ჩემში მაინც მსახიობმა გაიმარჯვა. თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდები ივნისში ბარდება. ამიტომ, ვისაც მსახიობობა უნდა, მაგრამ საამისოდ საკმარისი ნიჭი არ აღმოაჩნდება,

მოასწრებს და მერე სხვა ინსტიტუტში შეიტანს საბუთებს... მეც ოჯახში გამოვაცხადე: შევიტან თეატრალურ ინსტიტუტში საბუთებს, თუ ვერ მოვეწყობი, მერე სამედიცინო ინსტიტუტში ვცდი ბელს-მეთქი. დამთანხმდნენ. გამიმართლა და ჩავაბარე.

— ვის ვგუფში მოხვდი?

— ჩემი პედაგოგი ბატონი მიშა თემანიშვილი იყო. 1992 წელს თეატრალური ინსტიტუტი რომ დაკამათა, მოზარდ მაცურებელთა თეატრში წავედი სამუშაოდ. 1993 წლიდან, რუსთაველის თეატრის დასის შემადგენლობაში ვარ. პირველი როლი ლევან წულაძემ მომცა. მას შემდეგ, თითქმის ყველა სპექტაკლში ვითამაშე, რაც კი რუსთაველის თეატრის სცენაზე ბოლო 11 წლის განმავლობაში დაიდგა. „კავკასიური ცარცის წრის“ პრემიერაზე 7 წლის ვიყავი, ახლა კი თითქმის იმავე შემადგენლობასთან ვითამაშობ სცენაზე...

— როგორც მსახიობი, შენც გულდანწყვეტილი ხომ არ ხარ — ისევე როგორც თავის დროზე, მამაშენი იყო?

— გულდანწყვეტილი ვარ იმის გამო, რომ ფილმებს აღარ იღებენ. სხვა მხრივ, საწუწუნო არაფერი მაქვს. ამ ბოლო დროს, სერიალებში გადაღება დაიწყეს. ვცდილობ, სერიალებში თამაშს თავი ავარიდო: მსახიობისთვის სერიალს სიკეთე არ მოაქვს — პირიქით, რადგან მაცურებელი მას პერსონაჟთან აიგივებს. საზოგადოებაში გამოჩენისთანავე, იმ გმირთან ასოცირდები, რომელსაც უამრავი სერიის მანძილზე ასახიერებდი... თუმცა, სერიალში მონაწილეობის დროსაც, ბოლომდე ვიზარდები და ვითამაშობ, როგორც პროფესიონალ მსახიობს შეეფერება.

— როგორ გგონია — რატომ

ვერ იღებენ ქართველი რეჟისორები კარგ სერიალებს?

— ნელ-ნელა სწავლობენ. ჩვენში სერიალის გადასაღებად საჭირო გამოცდილება არ არის. რომ დაიხვეწოს, ამისათვის დროა საჭირო. როლზე ლევან ერისთავის გამო დავთანხმდი, რადგან მიმაჩნია, რომ ძალზე კარგი და ნიჭიერი რეჟისორია. თავიდან სერიალში როლებების განაწილებაზე რომ დაიწყო საუბარი, ლევანმა მითხრა — მთავარი პერსონაჟები ძირითადად, პოლიციელები ან ქურდები არიან და არც ერთს არ ჰგავხარო. სცენარის მიხედვით, მესამე სერიაში მკლავდნენ, მაგრამ გაიჭიმა და მეოთხე სერიაში გარდავიცვალე... ჩემი საქმე მიყვარს და კამერის წინ მუშაობის უკმარისობას განვიცდი. თეატრში რემონტია; წესით, იანვარში უნდა დამთავრდეს. ჩემთვის მსოფლიოში ყველაზე კარგი და საყვარელი, რუსთაველის თეატრი რომ გაიხსნება და მსახიობები ჩვენს სცენას დაუბრუნდები, მაშინ ბევრი სამუშაო მექნება.



საქართველოში მამებს და შვილებს ხშირად აღარევენ ერთმანეთს

— ზურა, იქნებ, იმ ინტიმურ სცენებზეც გვესაუბრა, რომლის გამოც, დარწმუნებული ვარ, ბევრჯერ მოგინებდა თავის მართლებას.

— ისეთი არაფერი ყოფილა, როგორც აუცილებელი ატყდა. მე მსახიობი ვარ, როლში შევედი და ვითამაშე, როლიდან წამსვე გამოვედი და არც არაფერი მიგრძნია. ეროტიკული სცენა, რომელიც 4 სერიასზე გადაანაწილეს, სინამდვილეში, 2 წუთში გადაიღეს. ჩემს მეუღლეს ბევრი შეკითხვა დაუსვეს ამ სცენის გამო...

— იქნებ, შენი ცოლი ხშირად ეჭვიანობს და ამას მიჩვეული ხარ?

— არა. ეჭვიანი სულაც არ არის. არც მე ვაძლევ ეჭვიანობის საბაბს. თუ ადამიანი არ გჯერა, მასში ეჭვი გეპარება და გამუდმებით ეკითხები — სად ხარ? ვისთან ხარო? — მაშინ ოჯახი უნდა დაინგრეს. ოჯახში ხომ უმნიშვნელოვანესია ნდობის ფაქტორი?! მას ესმის, რომ ეს ჩემთვის ისეთივე სამუშაოა, როგორც მისთვის — საკუთარი პროფესია, ასე რომ, განსაკუთრებული რეაქცია არ ჰქონია. ჩემთვის არ უგრძობობინებია, რომ ეროტიკული კადრები ხასიათს უფუჭებდა. თანაც, გადაღების დროს, კამერა ზურგიდან მიღებდა და რაც ჩანს, სინამდვილეში იმის მეთაველსაც არ ვაკეთებდით... ჩემს სამსახურზე ოჯახში არასდროს ვსაუბრობ. გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებს ვიხილავთ, ვიდრე ჩემი თითოეული როლია. ამასთან, მე და ჩემი მეუღლე თანაკლასელები ვიყავით და ერთმანეთს მშვენივრად ვიცნობთ.

— თქვენი მოსწავლეობის წლებიდან რას გაიხსენებ?

— ია ჩემზე გაცილებით უკეთ სწავლობდა. მან სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. მე სკოლაში იშვიათად დავდიოდი, თუმცა, გაკვეთილების მოუმზადებლად არასდროს მიგესულვარ. მე და იას ერთმანეთი როლის შეგვიყვარდა, არც ვიცი. მერვე კლასის შემდეგ, პირველ საშუალო სკოლაში გადავედი. იაც იქ გავიცანი. ალბათ, სიყვარულიც მაშინვე მოვიდა. თუმცა, შედარებით გვიან დაოჯახდით. ია უკვე მეთოხე კურსის სტუდენტი იყო. მას შემდეგ ერთად ვართ. ურთიერთობაში პრობლემები არ შეგვექმნია. იას დამით მორიგეობა არ უწყვდა, სამაგიეროდ, მე ყოველთვის არანორმირებული სამუშაო დღე მქონდა. როცა ყველა ისვენებს, მსახიობები ხომ მაშინ ვმუშაობთ. გადაღებების, რეპეტიციების ან გასტროლების გამო ხშირად რჩებოდა უჩემოდ, მაგრამ არც ეს ყოფილა პრობლემა. ახლა მეუბნება ხოლმე: ბავშვები იშვიათად გხვდებიან და მინც

უფრო მეტად რატომ უყვარხარო?..

— შენს ოჯახზეც მიაბზე, მეუღლეს მსახიობია?

— ჩემი მეუღლე ია ცინცაძე პროფესიით ექიმი-კარდიოლოგია, სერგო ორჯონიკიძესთან მუშაობს და ძალიან კარგი სპეციალისტია. ჩვენი უფროსი ქალიშვილი, სოფო 13 წლისაა, უმცროსი მარიამი კი — 3-ის. სოფო კარგად სწავლობს. რამდენადაც საკუთარი თავის მიმართ ვარ მომთხოვნი, ამდენადვე მომთხოვნი გახლავართ შვილების მიმართაც. თუმცა, ისინი ჩემგან არაფრით არ არიან შეზღუდული.

— ცნობილი მამის შვილობა რაში დაგეხმარა? როგორ გგონია



ჩვენი უფროსი ქალიშვილი, სოფო 13 წლისაა, უმცროსი მარიამი კი — 3-ის

— რა გავლენა შეიძლება მოახდინოს სოფოს ცხოვრებაში მამის პოპულარობამ?

— როცა ცნობილი მამა გყავს, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან იტყვიან — ამა და ამ კაცის შვილიაო. მე ამას სხვებზე მეტადაც ვგრძობდი, რადგან მამა ჩემი პირველი კაცი იყო, ვინც კომუნისტურ რეჟიმს გაექცა. თუ ბევრი კარი ჩემთვის, ნუგზარ შარიას შვილობის გამო, იოლად იღებოდა, ბევრ რამეში თავს შებოჭილად ვგრძობდი. სულ მობილიზებული ვიყავი, რომ რაიმე არ შემშლოდა... სოფოზეც ალბათ, ყოველთვის იტყვიან — ზურა შარიას შვილიაო. მაგრამ ეს



მე სკოლაში იშვიათად დავდიოდი, თუმცა, გაკვეთილების მოუმზადებლად არასდროს მიგესულვარ. მე და იას ერთმანეთი როლის შეგვიყვარდა, არც ვიცი

ხელის შემშლელი არ უნდა გახდეს. საქართველოში მამებსა და შვილებს ხშირად ადარებენ ერთმანეთს, არადა, სიამის ტყუპიც კი განსხვავდება ერთიმეორისგან, არათუ მამა-შვილი.

— შენ რთ განსხვავდები მამიგან?

— ძალიან ვგავარ. ალბათ, ძლიერი გენი გვაქვს... 2 წლის ვიყავი, მამაჩემი რომ წავიდა, მხოლოდ ტელეფონით ვესაუბრებოდი და სურათებით ვნახულობდი. პირისპირ რომ შეგხვდით, უკვე 22 წლის გახლდით. მაგრამ ერთმანეთს საოცრად ვგავართ. ხასიათითაც კი მას დავემსგავსე. ბოლშინი არ ვარ. მაგრამ ადამიანმა ძალიან თუ მაწყენინა, ძნელად დავივიწყებ. ეს თვისება მამისგან გამომყვა. ჩვენმა განზორებამ ის გამოიწვია, რომ ძალიან დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოვყალიბდი.

— „რუსთავი 2“-ში როგორ მოხვდი?

— შარშან სექტემბერში დამირეკეს და მითხრეს, რომ დილის გადაცემისთვის ახალი სახე სჭირდებოდათ. გამოცდილება მქონდა: რამდენიმე წლის წინ, ნინო შუბლაძესთან ერთად პროგრამა „ალიონი“ მიმეყავა. მსახიობობა და ტელეწამყვანობა ერთმანეთისგან იმდენად განსხვავდება, რომ თავიდან, მინც დაძაბული ვიყავი... ახლა, „სამზარეულო“ მაბარია. შემძლია კამერის წინ ვითამაშო და გადაცემა უფრო სახალისო გავხადო, ცნობილი ადამიანები განსხვავებული კუთხით წარმოვანიხო. როცა საინფორმაციო გადაცემა მიმყავდა, მაშინაც ცდილობდი, რომ მაყურებელი დადებითი ემოციებით დამეპოუსტა, კერანს მიღმა ყოფი თითოეული ადამიანი დამერწმუნებინა, რომ სწორედ მას ველაპარაკებოდი. მაყურებელთან უშუალო კონტაქტი უფრო რთულია. როცა სცენაზე ვითამაშობ, ვგრძობ მაყურებლის რეაქციას. ტელევიზიის შემთხვევაში, ეს გამოირიცხვია. ასე რომ, ეს ორი პროფესია დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან.

— კულინარიაში რამდენად გაიწაფე?

— გურმანი ვარ. თუმცა ამჟამად დიეტას ვიცავ. შინ, გაზქურასთან ვერასდროს მნახავთ, მაგრამ კერძს რაღა არ არ დაუმატო, არ შემიძლია. ასევე ვიქცევი ტელესამზარეულოშიც. მიუხედავად იმისა, რომ იქ პროფესიონალი შეფ-მზარეულები გყავს, ჩვენი სტუმრის გაკეთებული კერძი უფრო გემრიელი გამოდის ხოლმე. ალბათ, იმიტომ, რომ ყველანი ვვულშემატკივრობთ. ბევრი ისე მოდის, არც იცის, რა უნდა გააკეთოს. ჩვენი დილის პროდიუსერს აქვს ორიგინალური რეცეპტები და სტუმარს სთავაზობს, აირჩიოს რომელიმე მათგანი. ზოგი წინასწარ შინ მეცადინეობს ხოლმე.

— ალბათ ძნელია, ყოველ დილით ძალზე ადრე გაღვიძება და ტელეეთერში მუშაობა, არა?

— როცა დილის საინფორმაციო მიმყავდა, 4 საათზე ვღებოდი, რომ 5-თვის სამსახურში ვყოფილიყავი. მოგეხსენებათ, სპექტაკლები გვიან მთავრდება, ღამის პირველ-ორ საათამდე ვერ ვიძინებ. გვიან დაძინებას ვარ მიჩვეული, მაგრამ მაინც ვახერხებდი, რომ არ დამეგვიანა. ახლა, მარტო სამზარეულო მიმყავს. ამიტომ დილის 7 საათამდე გაღვიძება აღარ მიწევს. პარალელურად გადაცემისთვის სიუჟეტებსაც ვამზადებ. ჟურნალისტობა ძალზე რთული და სერიოზული პროფესია აღმოჩნდა. სიამოვნებით ვმუშაობ პროფესიონალი ჟურნალისტების გვერდით. საკუთარ სიუჟეტებს ყოველთვის კრიტიკული თვალთ ვუყურებ. ჩემი გაკეთებული არასოდეს არაფერი მომწონებია. ყველაზე მომთხოვნი სწორედ საკუთარი თავის მიმართ ვარ.

ნინო იოსელიანი ისევ თბილისშია. ზაფხულის სიცხეს არ შეუშინდა და მიუღწეველ დროს შარდენის ქუჩაზე ატარებს, სადაც ცოტა ხნის წინ, ულამაზესი კაფე-ბარი გახსნა. ნინოს სწორედ იქ ვესტუმრეთ და ირმა შარიქაძის ფოტოგამოფენაც დავათვალიერეთ.



მ დ მ რ რ რ ს მ დ რ ზ მ რ დ მ ბ ზ მ უ ფ რ რ ჭ რ მ ვ მ უ დ რ ზ მ რ მ მ მ მ მ

დღეი წავედი: საკუთარ ბარში საკუთარი ფოტოების გამოფენა მეუხერხულა. მომავალშიც, „შარდენ-ბარში“ ბევრ საინტერესო ღონისძიებას გავმართავთ და ყველა ახალ წამოწყებას ვუმასპინძლებთ, რასაც კი მოდასთან შეხება ექნება.

— შენთან უცხოელებიც სტუმრობენ?

— ინგრიდი რომ იყო თბილისში ჩამოსული, არაჩვეულებრივი ეგვიპტური საღამო გავმართეთ. „შარდენ-კაფე“ წინ მისი უზარმაზარი პლაკატი ჩამოვკიდეთ; რომ ნახა, გაოცდა: ჩემი ამხელა პლაკატი არასდროს მინახავსო. ვეთხოვა, მაჩუქეთო. ჯერ პლაკატთან ფოტოები გადაიღო, მერე კი გვითხრა: ახალ სახლში გადავდივარ, ამ პლაკატს აუცილებლად იქ გავაკრავო. არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ, მოვილხინეთ, ვიცეკვეთ... გვინდოდა, სადმე რესტორანში წავგვეყვანა, მაგრამ აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, — თქვა. ჩვენს ბარში სამი დაუვიწყარი დღე გაატარა მაიკლ ფრენკსმა და მისმა ჯგუფმა. მისმა მეწეჯგურმა მითხრა — ეს ქუჩა „ბევერლიჰილზს“ მაგონებსო.


— ეი. მტკიცედ დაადექ ბიზნესის სფეროში დამკვიდრების გზას...

— დიახ. მომავალში, მეორე კაფესაც გავხსნი. ამ საქმეში კარგად გავერკვიე. მომეწონა და ვთვლი, რომ ბიზნესმენისთვის საჭირო ალლო და მონაცემები მაქვს. ჩემს კაფეში უზარმაზარი ჭაღის დაკიდების სურვილი მქონდა... მინდოდა ისეთი დიდი, როგორც თბილისში არსად არ არის, არც ერთ კაფეში არ კიდა. მართლაც, ვიშოვე დიდი ჭაღი. კაფეს გახსნაზე ყველა გოცნებული დარჩა. ამხელა ჭაღი მხოლოდ ოპერაში და „შარდენ-კაფეში“ კიდაო, — ერთხმად ამბობდნენ. სავარძლები ეგვიპტიდან ჩამოვიტანე. იმაზე იაფი დამიჯდა, ვიდრე მეგონა.

— კაფე საკუთარი დანაზოგით გახსენ?

ლელა ჭანკოტაძე

— როგორც იცით, ჩემი პიარსააგენტო მაქვს, სადაც საქმეები კარგად მიდის. მაგრამ ამით არ დავკმაყოფილდი და უკვე თვე-ნახევარია, რაც „შარდენ-ბარი“ გავხსენი. როცა პირველად მოხვედი შარდენის ქუჩაზე, ძალიან მომეწონა. მიხვდი, რომ ეს ქუჩა მომავალში თბილისის გული გახდებოდა, მეიდან კი — კულტურული ცენტრი. ყველა ქვეყანაში არსებობს ჩაკეტილი ქუჩები, სადაც მხოლოდ ქვეითად მოსიარულები დადიან. მე პარიზში ვცხოვრობდი და ასეთი ჩაკეტილი ქუჩების „გემო“ კარგად გავიგე. ამიტომ გადავწყვიტე, აქ ბარი გამეხსნა, რომელსაც კულტურულ ცენტრად გადავაქცეე. გახსნის დღეს, თამუნა ინგოროყვამ აქ ჩვენება გამართა. მოსკოვიდან მოვიწვიეთ ფოტოგრაფი და „მანეკენშიცა“. სხვადასხვა სააგენტოს მოდელეებმა მიიღეს ჩვენებაში მონაწილეობა. 400 ადამიანი მოვიდა, ამიტომ ქუჩა გადავკეტეთ. ერთი სიტყვით, ნამდვილი დღესასწაული მოვაწყვეთ. ქუჩა მეორედაც გადავკეტეთ. ეს ირმა შარიქაძის ფოტოების გამოფენის გახსნისას მოხდა. ულამაზესი საღამო გამოვიდა. ირმამ თვითონ შემოთავაზა ჩემს ბარში ამ გამოფენის მოწყობა. მითხრა: შენ გადაგიღებ და შენს ფოტოსურათებს გამოვფენო. მაგრამ კატეგორიული წინააღმ-



სოფოზე ალბათ, ყოველთვის იცყვიან — მურა შარიას შვილიაო. მაგრამ ეს ხელის შემშლელი არ უნდა გახდეს

— არა, კრედიტი ავიღე და პარტნიორებიც ვიპოვე. იმდენი დანაზოგი ნამდვილად არ მქონდა, რომ საკუთარი ბიზნესი დამეწყო... ბევრი ვიმუშავე და მიხარია, უცხოელებისთვის და არა მართლ მათთვის, საყვარელი ადგილი რომ შევქმენი.

— ე.ი. მთელი ზაფხულის თბილისში გატარებას აპირებ?

— ბოლო პერიოდში, ძალიან ბევრი საქმე დამიგროვდა, ამიტომ ჯერჯერობით, თბილისში ვარ. მაგრამ ვაპირებ, აგვისტოს ბოლოს, ერთი კვირით ვავემზავრო და დავისვენო სადმე. ზაფხულში კარგად დასვენებას სტუდენტობის პერიოდში მივეჩვიე. არდადეგების 3 თვეს დასვენებას ვუთმობდი ხოლმე.

— უკვე დაგეგმილი გაქვს, სად წახვალ დასასვენებლად?

— ჩემი საყვარელი დასასვენებელი ადგილია ზღვა. მიყვარს მზე, წყალი და სანაპირო. ალბათ, ესპანეთში წავალ ან თურქეთში — ზუსტად ჯერ არ ვიცი.

— უკვე გარუჯული ხარ. ნამუშაური სად მიიღე?

— ცურვა ძალიან მიყვარს და თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად აუზზე დავდივარ ხოლმე. „ზაგარიც“ იქ მივიღე. ჩემი მეგობრების უმეტესობა, უკვე ქალაქგარეთაა, მაგრამ მოწყენილი მაინც არ ვარ: სადამოლობით, ჩემს ბარში უამრავი ხალხია. აქ ბევრ ნაცნობსაც ვხვდები. კარგად ვერთობი. ეს პირველი ზაფხულია, როცა თბილისიდან ვერ გავალწიე. როცა პარიზში ვსწავლობდი, საქართველო სულ მენატრებოდა, ამიტომ ყოველ წელს, ქობულეთში ან ჩაქში ვისვენებდი, ოჯახთან ერთად. საერთოდ, დასასვენებლად ყოველთვის დებთან ერთად მივდივარ ხოლმე. წყლის თხილამურებზე დღეობა მიყვარს, ზამთარში თხილამურებზე სრიალით ვირთობ თავს. ზაფხულობით მთაში წასვლას ვერ ვიტან. ორ დღეზე მეტხანს სოფელში



საყვარძლები ეგვიპტიდან ჩამოვიტანე. იმაზე იაფი ღირებულება, ვიდრე მეგონა

ვერ ჩერდები, რადგან სიცივეს ვერ ვიტან.

— შენს პირად ცხოვრებაში ხომ არაფერია ახალი?

— არა, რადგან ძალიან მოუცლელი ვარ და პირადი ცხოვრების მოსაწყობად დრო არ მრჩება. ჩემი დები ადრე და უპრობლემოდ გათხოვდნენ. მე უფრო ჭირვეული აღმოვჩნდი.

— ისევ მშობლებთან ერთად ცხოვრობ?

— დიახ. რადგან ერთად ვცხოვრობთ, მათ სურვილებსა და რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ. ადრე მაკონტროლებდნენ, ახლა უფრო თავისუფალი ვარ. თუმცა, გამუდმებით ვეკონტაქტებით ერთმანეთს. იციან, სად ვარ, რას ვაკეთებ და სახლში რომელ საათზე დავბრუნდები.

— ძალიან ლამაზი ვარცხნილობა გაქვს. სად გაიკეთე? ახალი ტანსაცმელიც ხომ არ შეგიძინია?

— კი, ჩემი გარდერობი გადავახალისე. შიფონის კაბა ვიყიდე, ღია საცურაო კოსტიუმები — ფოსფორისფერი, ჭრელი და სტაფილოსფერი შევარჩიე, რადგან „ზაგარს“ ეს ფერები უხდება. რაც შეეხება ვარცხნილობას, სხვადასხვა სალონში დავდივარ. არც კი მახსოვს, ვარცხნილობა რომელმა სტილისტმა გამიკეთა. თუმცა, ძალიან მომწონს. ნატურალური ფერია და მიხდება კიდეც.



ჩემი საყვარელი დასასვენებელი ადგილია ზღვა. მიყვარს მზე, წყალი და სანაპირო

ერთგული პიტიხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. 1867 წელს, პარიზის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ორთქლის მემანისი, რომელიც თანამედროვე ლიფტების „წინაპრად“ ითვლება. რა უნოდეს გახივს გამოფენაზე წარმოდგენილ მემანისებს?



- ა) „ელევატორი ხალხისათვის“;
- ბ) ვერტიკალური ბილიკი“;
- გ) „საქანელა დიდებისთვის“.

2. რა პრემია დოღო აბაშიძეს სინამდვილეში?



- ა) დორიანი;
- ბ) დავითი;
- გ) ღურმიშხანი.

3. რომელი ძველიდან შიტიანა პეტრე პირველმა ციხურები რუსეთში?



- ა) ჰოლანდიიდან;
- ბ) გერმანიიდან;
- გ) ფინეთიდან.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



მერი კობიაშვილი

ერთხელ, საბავშვო ბაღიდან შინ რომ მივსულვარ, განმაცხადებია — ერთ ბიჭს მოვწონვარ-მეთქი. ყველა დაინტერესებულა. ასეთ დასკვნამდე როგორ მიხვედი? — უკითხავთ. მეც თავმოძწონედ ამიხსენია: სადაც მე ვვადები, ისიც იქ მოდის და ცდილობს, ჩემ გვერდით დაჯდეს-მეთქი... იმ დროიდან იწყება ჩემი, თავყვანისმცემლებთან დაკავშირებული ამბები. პირველ სკოლაში ვსწავლობდი. როგორც ყველა სხვა გოგოს, მეც მკითხავდნენ სხვა სკოლელი ბიჭები. ერთ-ერთი თავყვანისმცემელი ძალზე ბევრ ყვავილს მწუქნიდა. მე რატომღაც ისინი სახლში ვერ ამქონდა და ვყრიდი ხოლმე. ერთმა მეზობელმა მითხრა კიდევ: რატომ ყრი მაგ ყვავილებს? თუ არ გინდა, მე მომეციო... ერთხელ მასსოვს, ერთი თავყვანისმცემელი კლასის კართან მულოდებოდა. ჩემი მეგობრები — ქეთი კეკელია და ანი მაკალათია მივიდნენ და უთხრეს: ტყუილად ელოდები, თათია არ გამოვაო. იმ ბიჭმა ტელეფონის ნომერი მისცა — იქნებ, დამირეკოს მაინცო. მაგრამ მე ამაზე გაგებრაზდი. დავხიე ფურცელი, რომელზეც ტელეფონის ნომერი ეწერა და მივაყარე. რატომღაც ასეთ ბავშვურ სისულელეებს ჩავდიოდი ხოლმე.

შეყვარებული, რჩევებს ვის ეკითხებოდი ხოლმე?

— მართალია, მეგობრებიც მყავდა, რომლებსაც ყველაფერს ვუყვებოდი, მაგრამ რჩევებს დედაჩემს ვეკითხებოდი. ჩემი მეგობრები ხომ ჩემზელები იყვნენ და ისევე ფიქრობდნენ, როგორც მე, ამიტომ შეიძლება, ისევე, როგორც მე, რამეში ვერ გარკვეულიყვნენ. ძალიან მინდა, დედაჩემის მსგავსად, მეც ჩემი შვილების მესაილუმლე გავხდე.

პირველ პაემანზე სასაუბროდ ამჯერად თათია თოვშირას ვესტუმრე. ამ ცხელ ზაფხულში, ტელენამყვანს საკმაოდ დატვირთულ რეჟიმში მუშაობა უწევს. თუმცა, დრო მაინც გამოწახა და ყოველსაათიანი საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკის“ გამოშვებებს შორის შესვენებისას შემხვდა. საუბარო, რაღა თქმა უნდა, ბავშვობის დროინდელი გატაცებებით დავიწყეთ.

„მთელი საღამო ძველ თბილისში, მეიდანზე ვისეირნეთ...“

— შენი და გიორგი თარგამაძის ურთიერთობა როგორ დაიწყო?

— გიორგი და დედაჩემი ბათუმში ასლან აბაშიძის პრესცენტრში ერთად მუშაობდნენ. სამსახურთან დაკავშირებით ჩვენთან ხშირად რეკავდა. ერთხელ კი, შინ გვეწვია სტუმრად. იმ დღის შემდეგ დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

— პირველმა პაემანმა როგორ ჩაიარა?

— მასსოვს, პირველ პაემანზე, იმის მაგივრად, რომ საღამე წავსულიყავით, მთელი საღამო ძველ თბილისში, მეიდანზე ვისეირნეთ ფეხით. ის დღე კარგად მახსენდება, ძალიან კარგად ვვრძობდი თავს...

— როგორც ვიცო, გიორგის ადრე სხვა ოჯახი ჰყავდა. ამ ფაქტს თქვენ ურთიერთობისთვის ხელი ხომ არ შეუშლია?

— არანაირად. მე თვითონ, 5 წლიდან მამინაცვალი მყავს. მას ვინმემ რომ უთხრას, თათია შენი შვილი არ არისო, ალბათ ვერ გადაიტანს. მეც ასეთივე დამოკიდებულება მაქვს მის მიმართ. უკვე 11 წელი გავიდა, რაც მამა გარდამეცვალა. თუმცა მანამდე, მამა და მამინაცვალი ერთმანეთთან მეგობრობდნენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ორივე ცივილიზებული ადამიანი იყო, მეორე — ცდილობდნენ, ასეთ ოჯახურ მდგომარეობას ჩემთვის რაიმე პრობლემა არ შეექმნა. გიორგისთვის ოჯახი არ დამინერგვია, ამიტომ არც მისი ოჯახის მხრიდან შეგვექმნია რაიმე პრობლემა.

— გიორგი ყურადღებიანი მუულებია? მოულოდნელად საჩუქრებს თუ გიძღვნი ხოლმე?

— გიორგის სიურპრიზების მოწყობა უყვარს. ერთხელ, მაგალითად, პირველი შვილი რომ შეგვეძინა, მანქანა მარუქა — „ფოლკსვაგენი“... სიმართლე გითხრათ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, საყვარელი ადამიანი უბრალო ყვავილს მომიტანს საჩუქრად თუ ძვირფას სამკაულს. მთავარია, რომ მას მნიშვნელოვანი დღეები არ დაავიწყდეს.

— რომელი გიორგი უფრო მოგწონს — პოლიტიკოსი თუ ჟურნალისტი?

— ცოლად ჟურნალისტ გიორგის გავყევი. მაშინ ასლან აბაშიძის პრესმდი-

ვანიც არ იყო. ასე რომ, ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რა თანამდებობაზე იქნება. ყოველთვის ვეცდები, ხელი შევეწყვი, რომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოს.

— მუულები ეჭვიანები ხართ?

— ვაღიარებ, რომ პირველი ორსულობის დროს ეს სენი მეც მჭირდა. ოღონდ, კონკრეტულად ვინმეზე არ მიეჭვიანია. ეს ალბათ ორსულობის ბრალი იყო — მაშინ ხომ ქალი უფრო პრეტენზიული ხდება. რაც შეეხება გიორგის — ის არასდროს ყოფილა ეჭვიანი.

— იმ გოგონებს რას ურჩევდით, რომლებიც პირველად მიდიან პაემანზე და ნერვოზობენ — თუ ამ საღამომ ცუდად ჩაიარა, ცხოვრება დამთავრდებაო?..

— მართლაც, ძალიან მეცოდებიან ის გოგონები, რომლებიც მსგავსი რაღაცების გამო დეპრესიაში ვარდებიან. მთავარი, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი კარგისკენ იცვლება და ამიტომ ნურაფერზე იდარდებენ. დაბოლოს, ყველა ქალს, მინდა, ქალური ბედნიერება ვუსურვო.



ვაღიარებ, რომ პირველი ორსულობის დროს ეს სენი მეც მჭირდა. ოღონდ, კონკრეტულად ვინმეზე არ მიეჭვიანია

ცოტა ხნის წინ, გმირთა მოედანზე, აფხაზეთში დაღუპულთა სსოვნის მემორიალი გაიხსნა. მოგვიანებით კი, იქ ცეცხლი და საპატიო ყარაულიც გაჩნდა. ზოგს ალბათ, იქ გაუნძრევლად მოდგომი ბიჭები ცვილის ქანდაკებებიც კი ჰგონია. ბევრი გაოცებულიცაა, რადგან არ ეგონა, თუ ესოდენ კარგად განჭრთილი ჯარისკაცები გვყავდა... მემორიალის უკან ერთი პატარა მოსასვენებელი ოთახია. ინტერვიუსთვის სწორედ იქ ვწვდით და ვესაუბრე საყარაულო რაზმის იმ წევრებს, რომლებსაც იმ დროს შესვენება ჰქონდათ.

ხსოვნის კედელთან ვდგომ ჯარისკაცს მხოლოდ სუნთქვის უფლება აქვს



ნათია ქვიციანი

აპაპი ზამზანიძე:

ჩვენი ნაწილი კუეიაზეა განლაგებული. საპატიო ყარაულის რაზმი 1996 წელს ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, გვევალებოდა ქვეყნის საპატიო სტუმრების დახვედრა, გაცილება და სხვა ცერემონიალები. ჯარიც გამოვლილი გვაქვს. ახლა კი საქართველოს ჯარი სამხედრო ხელშეკრულებაზე გადავიდა. პირადად ჩვენ, სამწლიანი ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული.

ივზანი გოლოკინი:

ჩვენ ამ საქმეში უკვე გარკვეული გამოცდილება გვაქვს და ახლა აქ ამიტომ ვართ, თორემ, სხვა აქ არ დადგებოდა, რადგან ამ ყველაფერს ვერ გაუძლებდა. ძალიან რთული პირობებია. თბილისში ეს ერთადერთი მემორიალია, რომელსაც საპატიო ყარაული ჰყავს. დილის 9-დან საღამოს 9 საათამდე ვმორიგეობთ, სამი დღე ვმორიგეობთ, სამი დღე ვისვენებთ. ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი სამსახურია. მორიგეობისას საათში ერთხელ, სამხედრო მარშით ვცვლით ერთმანეთს.

შოთიკო სისხარულიძე:

ჩვენი პირობები ასეთია: გაშეშებული უნდა ვიდგეთ მთელი საათის მანძილზე. მხოლოდ სუნთქვისა და თვალებით აქეთ-იქით გახედვის უფლება გვაქვს. ძალზე სქელი ფორმა გვაცვია,

თუმცა ეს სამხედრო ფორმა და მას უკვე მიჩვეულები ვართ. ხშირად მოდიან უფროსები და ვამოწმებენ – პირობებს ხომ არ ვარღვევთ, შესაძლოა, ჩუმადაც გვითვალთვალებენ, არ ვიცით...

— თუ საიდუმლო არ არის, ხელფასი რამდენი გავქვთ?

— რა ვიცი, 380 ლარს გვპირდებიან...

აპაპი:

— ალბათ, 400 ლარამდე იქნება.

— რას ნიშნავს – გვპირდებიან?

ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც აქ მუშაობთ?

შოთიკო:

— მეორე თვეა, რაც აქ ვართ. გვეუბნებიან, 380 ლარს მოგცემთო, და არ ვიცი, რას იზამენ.

— აქ დგომის დროს რაზე ფიქრობთ ხოლმე?

ივზანი:

— ვფიქრობ, რომ ჩემი სამსახურით დაღუპულთა ხსოვნას მივაგებ პატივს..

— რაიმე კურიოზი ხომ არ შეგმთხვევიათ მორიგეობის დროს?

აპაპი:

— რამდენჯერმე იყო შემთხვევა, რომ ვიღაცები ჩვენს ოთახში შემოსულან და უკითხავთ – გარეთ „ჩუჩელები“ დგანანო?.. გავიყვან და ვაჩვენებ ხოლმე: აი, თვალებს ამოძრავებენ, ე.ი. ჩვეულებრივი ადამიანები არიან-მეთქი. გუშინ ერთი ბავშვი მოვიდა. დედასთან ერთად იყო, მაგრამ თვითონ წინ გამოიქცა და მემორიალთან მიიბრინა. ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა,

რომელიც იმ დროს მორიგეობდა, ისე, რომ არ განძრეულა, დაუყვირა – წაღიო. ეს ბავშვი ტირილით გავარდა დედასთან, რომელმაც, რა თქმა უნდა, ტირილის მიზეზი ჰკითხა. ბავშვმა უპასუხა: მკვდრები მელაპარაკებიანო.

ივზანი:

— ზოგი მოდის და ხელით გვსინჯავს: აინტერესებს, ნამდვილი ადამიანები ვართ თუ „ჩუჩელები“...

— უსიამოვნო ინციდენტი ხომ არ გქონიათ?

აპაპი:

— ჩვენთვის ცუდი ჯერ არავის არაფერი უკადრებია და თუ გვაკადრებს, კარგ პასუხსაც მიიღებს.

— როგორ? თქვენ ხომ მორიგეობის დროს გატოკების უფლება არ გავქვთ?

— არა, მაგრამ ვინც ამ დროს პოსტზე არ დგას, მას ხომ შეუძლია, დამნაშავეს პასუხი მოსთხოვოს? თითქმის ყოველ 5 წუთში ერთხელ გავდივართ და სიტუაციას ვამოწმებთ, რომ ყველაფერი რიგზე იყოს.

ივზანი:

— სხვათა შორის, მემორიალის სანახავად ძალიან ბევრი ადამიანი მოდის. ლტოლვილებს თუ ქორწილი აქვთ, მთელი მყარით აქ მოდიან და პატივს მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას. სხვებსაც უამრავი ყვავილი მოაქვთ.



უმალესი ტექნოლოგიების ხანაში, როდესაც მობილური კავშირგაბმულობა ადამიანებისთვის თითქმის გადაუდებელ აუცილებლობად ქცეულა, ძალიან ცოტას თუ ახსენდება, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ჩვენი წინაპრები შორ მანძილზე საურთიერთოდ, წერილებს ან გზად მიმავალ შუამავალს იყენებდნენ. როგორც ირკვევა, საქართველოს ტელეფონიზაცია საუკუნოვანი ისტორიას ითვლის, ხოლო ამ ისტორიის საუკეთესოდ ამსახველი — კავშირგაბმულობის მუზეუმი სულ რაღაც 3 წლის წინ, უმოწყალოდ გაუჩანაგებიათ. ნახევარსაუკუნოვანი მუზეუმის უნიკალური ექსპონატები მავანთ მიუთვისებიათ. ხოლო ის, რაც ნაკლებად მიმზიდველად მოსჩვენებიათ, „ელექტროკავშირის“ შენობის ერთ-ერთ ბნელ ოთახში შეუფრიათ. 3 წლის წინ დაკვტილი კარი მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა, 80 წელს მიღწეულმა ბოდიერი ტალახსაძიმ ჩვენი თხოვნით გააღო და გულმოდგინედ ცდილობდა, თითოეული დამტყვერილი ექსპონატის სიბლი აეხსნა.

პირველი სატელეფონო ცნობაში, პირველი ახი აბონენტი და... ფიროსმანი

ივანე ტუხიაშვილი

— კავშირგაბმულობის პირველი მუზეუმი თბილისში დაახლოებით 40 წლის წინ, საკმაოდ ენერგიული ადამიანის მიხედვით სულხანიშვილის (იმ დროს კავშირგაბმულობის მინისტრის თანამემწე მუშაობდა) ინიციატივით შეიქმნა. ექსპონატების შესაგროვებლად მასთან ერთად მეც დავდიოდი საქართველოსა თუ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში და ძველ საკომუნიკაციო სისტემებს ვეძებდით. მუზეუმში გვექონდა მორზე პირველი აპარატი თავისი გადამცემით, პირველი დინამიკები, ხმის გამამდიერებლები, რომლებსაც ხის ძელზე ამკვებდნენ და ასე იჭერდნენ რადიოსიგნალებს. მაგრამ კავშირგაბმულობის სახლს ხანძარი გაუჩნდა და მუზეუმიც მასთან ერთად ჩაიფერფლა. ექსპონატებიდან თითქმის ვერაფერი გადავარჩინეთ. მუზეუმის ადგილზე ხელახლა დავიწყეთ და არანაკლებ საინტერესო საკომუნიკაციო სისტემებს მივაგენით. მუზეუმში გვექონდა ტელეგრაფის უძველესი აპარატი, „სიმენსის“ ფირმის პირველი წარმოების ტელეფონის აპარატი, რომელიც ერთ-ერთმა მეკავშირემა საჩუქრად გადმოგვცა, პირველი რადიომიმღები, რომელიც ერთ-ერთ თბილისელ სტახანოველს მოსკოვში აჩუქეს. სამუზეუმო ექსპონატებს შორის იყო აგრეთვე საბჭოთა წარმოების ომამდე-

ლი რადიო და პირველი სინქრონული აპარატი.

— როგორც ვიცი, ყველა ეს ექსპონატი მუზეუმიდან მოიპარეს...


— 3 წლის წინ, ხელმძღვანელობამ მუზეუმი დახურა, მე პენსიაზე გამიშვეს და ექსპონატებიც დაიკარგა. მაგალითად, პირველი ტელეგრაფის აპარატი სპილენძისგან იყო დამზადებული და ხუთ კილოგრამს იწონიდა, ამიტომ სარფიანად შეიძლებოდა მისი გაყიდვა. სხვა უნიკალური ექსპონატები კი ანტიკვარებად შეფასდებოდა... ამას გარდა, მუზეუმში მარკების დიდი კოლექცია გვექონდა, მათ შორის იყო იშვიათი ეგზემპლარებიც. სხვათა შორის, მუზეუმში გვექონდა საფოსტო მარკა, რომელიც 1880-იან წლებში კოჯორში იყო დაბეჭდილი, რაც მეტყველებდა იმაზე, რომ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე პირველი საფოსტო მარკა სწორედ კოჯორში დაიბეჭდა. ამის თაობაზე ვაცნობთ

საბჭოთა ხელმძღვანელობას, შესაბამისი შემოწმების შემდეგ. კოჯორში დაბეჭდილი მარკა სპეციალურ კატალოგში შეიტანეს. ერთადერთი ღირებული ექსპონატი, რომელიც მუზეუმს დღემდე შემორჩა, 1930 წელს ქარხანა „კრასნაია ზარიას“ მიერ წამოებული ტელეფონის აპარატი. სწორედ ასეთი ტელეფონები ჰქონდა იმ დროს საბჭოთა ხელმძღვანელობას („ელექტროკავშირში“ ერთადერთ ღირებულ ექსპონატს მართლაც გულმოდგინედ უფრთხილდებიან და მაცვივარში ინახავენ, ალბათ იმიტომ, რომ მავანთათვის ნაკლებად თვალში საცემი იყოს. — ავტ.)


— ბატონო გოდერძი, პირველი ტელეფონის აპარატი რომლის გაჩნდა თბილისში?

— მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში ფაქტები არასწორად არის მითითებული, მაგრამ არსებობს ისტორიული წყარო, რომელიც გვაუწყებს, რომ თბილისში პირველი სატელეფონო სადგური ვაჭრებმა შემოიტანეს. როგორც ამბობენ, თბილისელი ვაჭრები საქონლის ჩამოსატანად საფრანგეთში ყოფილან. ერთ-ერთ მაღაზიაში შესულან და რაღაც

არსებობს ისტორიული წყარო, რომელიც გვაუწყებს, რომ თბილისში პირველი სატელეფონო სადგური ვაჭრებმა შემოიტანეს



თავის ბიოგრაფიაში ის ჰყვება, რომ 1893 წელს მუშაობდა თბილისში საპარო სატელეფონო სამების მონტაჟზე, ყარაჩოხელი კაცი იყო...



...ავტომატური და სპეციალური ტელეფონებიც ჰქონდათ, რათა მათი საუბრის მოსმენა არავის შესძლებოდა

ნივთი მოუკითხავთ, რაზედაც გამყიდველს უთქვამს – ახლავა გაგირკვევით, – დახლიდან ყურმილი აუღია, საწყობში დაურეკავს და ვაჭრებისთვის საჭირო ინფორმაციაც მიუწოდებია. ემოციური შოკი ვაჭრებს თბილისამდე გამოჰყოლიათ და მტკიცედ გადაუწყვეტიათ, რომ ფული შეეგროვებინათ და სატელეფონო სადგური შეეძინათ. ასე გაჩნდა თბილისში პირველი 10-ნომრიანი სატელეფონო სადგური. ცნობილია, რომ ამ სადგურის აბონენტი, რამდენიმე ოჯახი, საქონლის საწყობი და სამხედრო ჟანდარმერია იყო. მუზეუმის შექმნის პროცესში, ბევრ საინტერესო ისტორიულ წყაროს მივაკვლიე. მაგალითად, ცნობილია, რომ პირველი ავტომატური სატელეფონო სადგური ამერიკაში გამოიგონეს და ერთ-ერთ გამოგონებლად ალექსანდრე ბელი ითვლება. ასეთი ტელეფონის საშუალებით, აბონენტი უკავშირდებოდა კომუტატორს, ხოლო ის საჭირო ნომერზე აერთებდა მას. ერთი ამბის თანახმად, ახალგაზრდა კაცს მამისგან მემკვიდრეობით დამკრძალავი ბიურო დარჩა, მაგრამ კონკურენტები მის ბიზნესს განვითარების საშუალებას არ აძლევდნენ. მემკვიდრეს ვერაფრით გაეგო, რატომ იქცა მამის წარმატებული ბიზნესი მის ხელში არასარფიან საქმედ. აღმოჩნდა, რომ კონკურენტებს კომუტატორის ერთ-ერთი თანამშრომელი ქალბატონი მოუსყიდიათ და ის კლიენტებს ხსენებული ბიუროს ნაცვლად, მის კონკურენტებთან აკავშირებდა. სწორედ ამ ფაქტმა უბიძგა ახალგაზრდა ამერიკელს, რომ ავტომატური სატელეფონო სადგურის გამ-

ოგონებაზე ეზრუნა, რათა კლიენტებთან უშუალოდ ჰქონოდა სატელეფონო კავშირი. საინტერესო ამბავი უკავშირდება აგრეთვე პირველ ტელეგრაფს. ცნობილია, რომ ნაპოლეონის ბოლო ბრძოლის შედეგი ინგლისს ტელეგრაფით აცნობეს, ოღონდ – შებრუნებით: მისი მარცხი გამარჯვებად „უქცევიათ“. ინგლისელები სთვს კი, რომლებსაც საწარმოების დიდი ნაწილი კონტინენტურ ევროპაში ჰქონდათ, ამ ფაქტს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ როკფელერის აგენტებს ტელეგრაფის ოპერატორი მოუსყიდიათ, ინგლისელების დაბნეულობით უსარგებლიათ და ჩალის ფასად შეუძენიათ მათი აქციები. სხვათა შორის, თბილისში ტელეგრაფების პირველი მაღაზია სადგურის ქუ-

ჩაზე (დღევანდელი თამარ მეფის გამზირი. – ავტ.) იყო და ერქვა „მორზე ვაჭრობს“. მივლი ამიერკავკასია იქიდან მარადებოდა ტელეგრაფის აპარატებით.

— ქართველებს თუ ჰქონდათ ამ სფეროში გამოგონებები?

– უნიკალური ექსპონატების გარდა, მინტერესებდა აგრეთვე იმ ადამიანების ბიოგრაფია, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის განვითარებაში. ხელნაწერთა ინსტიტუტში მივაკვლიე ე.წ. მონტიორის სანდრო მანუჩარაშვილის ჩანაწერებს. თავის ბიოგრაფიაში ის ჰყვება, რომ 1893 წელს მუშაობდა თბილისში საჰაერო სატელეფონო ხაზების მონტაჟზე, ყარაჩოხელი კაცი იყო წერდა ლექსებს, ფიროსმანთანაც მეგობრობდა და ფიროსმანს დაუხატავს კიდევ იგი. იქვე სანდრო მანუჩარაშვილი იხსენებდა, რომ ფიროსმანის მიერ შესრულებული მისი პორტრეტი დიმიტრი შევარდნაძემ წაართვა და მუზეუმში წაიღო. ფიროსმანის მუზეუმში მართლაც მივაკვლიე „მონტიორი“ სანდროს სურათს. რომელსაც მეორე მხრიდან აწერია: „ჩაბარა დიმიტრი შევარდნაძემ“. ამგვარი კვლევა-ძიებისას კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინე. მაგალითად, 1922 წელს პირველი პატენტი ვიდელმაგნიტოფონზე და ტელევიზორზე საფრანგეთთან, გერმანიასთან და ინგლისთან თბილისელმა ბიჭმა ბორის რჩეულმა გააფორმა. მოგვიანებით, მან პირველმა გადაიყვანა ტელევიზორები ნიკოპოლის მექანიკური სისტემიდან ელექტრონულ სისტემაზე. სხვათა შორის, პირვე-

ლად ეს ინფორმაცია ამერიკელმა მკვლევარებმა გაავრცელეს. თავად ბორის რჩეულს კი საინტერესო წარმომავლობა ჰქონდა. მისი დაბადების თარიღი რეგისტრირებული იყო თბილისში, პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში, ხოლო ნათლიად მოხსენიებული იყო ფეოლორ ივანეს ძე შალიაპინი. ცნობილია, რომ ბორის რჩეულის მამა პოლკოვნიკი გახლდათ, მაგრამ საოცარი ტენორი ჰქონდა და არაერთხელ უმღერია შალიაპინთან ერთად მუსიკის მოყვარულთა საზოგადოებაში.

— ალბათ ისიც არის ცნობილი, თუ ვინ იყვნენ თბილისში პირველი სატელეფონო აბონენტები?

– მუზეუმში უნიკალური წიგნი მქონდა – პირველი სატელეფონო ცნობარი, სადაც პირველი ასი აბონენტის ვინაობა იყო ჩამოთვლილი, რა თქმა უნდა, მათ შორის იყვნენ იმ დროს მაღალი თანამდებობის პირები, რომლებსაც აგრეთვე ავტომატური და სპეციალური ტელეფონებიც ჰქონდათ, რათა მათი საუბრის მოსმენა არავის შესძლებოდა, თუმცა აბონენტთა 75%-ს თბილისში მცხოვრები სომეხი, რუსი და ებრაელი მოქალაქეები შეადგენდნენ. როგორც ჩანს, ქართველებს მაშინ მატერიალურად უჭირდათ.

— მობილური სატელეფონო კავშირის ძველ სახეობებზე რა შეგიძლიათ ვთქვათ?

– საველე სატელეფონო აპარატები, რომლებსაც უკვე სამამულო (მეორე მსოფლიო) ომში იყენებდნენ, შეიძლება ითქვას, თანამედროვე მობილური ტელეფონის „დიდი წინაპარია“. ეს იყო ბრტყელი ყუთი, რომელსაც ჰქონდა კვების წყარო, ანტენა და მოქმედებდა 25 კილომეტრის ან მეტ რადიუსზე, იმის მიხედვით, თუ რა სიძლიერის იყო. ასეთი საველე აპარატები აუცილებლად ორ ადამიანს უნდა ეტარებინა, რომლებიც ასევე სატელეფონო კაბელით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული.

— ამ დარჩენილ ექსპონატებს რა ბედნიერ ელით? მუზეუმის აღდგენა ხომ ფაქტობრივად შეუძლებელია?

– ძალიან საინტერესო ანალოგიური მუზეუმი არსებობს ამერიკაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი სანქტ-პეტერბურგში, ფოსტის მუზეუმი. წლების წინ, ჩვენ აქტიური მიმოწერა გვქონდა, ექსპონატებსაც კი ვუგზავნიდით ერთმანეთს. ვნახოთ, მპირდებიან, რომ მცირე დარბაზს გამომიყოფენ მომავალში მუზეუმისთვის, ხოლო ექსპონატების მოძიება კიდევ შესაძლებელია.

პირის (16 - 22 აგვისტო)

სსპროლოგიური პროგნოზი

პირი - 21/III-20/IV

ქალი: კარგს იზამთ, თუ სასიყვარულო ურთიერთობებში ეჭვებისა და აგრესიისგან გათავისუფლებით და უფრო სერიოზული საქმისთვის მოემზადებით: ფინანსურ საკითხებში ან მემკვიდრეობის ნიადაგზე, რაღაც გართულებები მოსალოდნელი.

მამაკაცი: ამ კვირაში საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას უპირატესობა პატიოსნებას უნდა მიანიჭოთ. სანდო მოკავშირე წარმატების გარანტიაა. იყავით მანდილოსნების მიმართ ყურადღებიანი.

პირი - 21/IV-21/V

ქალი: ფინანსურ მდგომარეობას ნამდვილად არ უჩივით. ახლობლებს თქვენი იმედი აქვთ და ნუ გაუცრუებთ მას. მშვიდი და საქმიანი კვირა გაქვთ, ყველაფერს ადვილად აკვარებთ. გამოსასვლელი დღე შეეცადეთ, ბუნების წიაღში გაატაროთ.

მამაკაცი: თუ ბიზნესში ხართ ჩართული, წინასწარ შეიძლიათ დატკბეთ წარმატებით. თქვენი ახლობლების მომავალი სიმყუდროვე და ბედნიერება თითქოს თქვენს ხელთაა. თუ ასე გავრძელდა, საახალწლოდ სანტა-კლაუსის როლსაც სიაშობებით შეასრულებთ.

პირი - 22/V-21/VI

ქალი: მძიმე დღეები გელით. ძალიან მოუცლელი იქნებით. მაგრამ თუ ორგანიზებულად გამოიჩინებთ, საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს და შექებასაც დაიმსახურებთ. შეეცადეთ, საყვარელი ადამიანისთვის მაინც გამოიხატოთ ღრ.

მამაკაცი: ძალიან გჭირდებათ ოჯახის წევრების თანადგომა. შეგიძლიათ, ის ხმამაღლა არ მოითხოვოთ, რადგან თქვენი ახლობლები კარნახის გარეშე მისხვდებიან, რომ მათი დახმარება გჭირდებათ.

პირი - 22/VI-22/VII

ქალი: საქმიან პარტნიორებთან იყავით ერთდროულად თბილი და ოფიციალური. შეძელით ეს, რადგან მათ თქვენდამი კეთილგანწყობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. შეეხიანეთ ძველ მეგობრებს.

მამაკაცი: მოუხმეთ ტაქტს. შეეცადეთ, სათქმელს დელიკატური ფორმა მოუძებნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენდა უნებურად მოგაგონდებათ ანდაზა: „თავგამთხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“.

ლომი - 23/VII-23/VIII

ქალი: სასიყვარულო ფრონტზე სიფრთხილე გმართებთ. შესაძლოა მეტოქე გამოვიჩნდეთ, მაგრამ ნუ შეშინდებით — ის ხომ ჩვეულებრივი ქალია და არა ლომი! გაუკეთეთ ხელკავი თქვენს რჩეულს და იყავით მის მიმართ განსაკუთრებით ნაზი.

მამაკაცი: მიუღი კვირას ღოკუმენტების მოწესრიგებას მოუნდებით და საკმაოდ გადაიღლებით კიდეც. ეცადეთ, ახლობლებს უნებურად გული არ ატკინოთ, გახსოვდეთ: სიფიცხე ცუდი მეგობარია.

ქალი - 24/VIII-23/IX

ქალი: ნუ გადადებთ სამოგზაუროდ წასვლას, რადგან მას შეიძლება თან რომანტიკული თავგადასავალიც დაერთოს. სასიამოვნო ფლირტის შესახებ მოგონებები დიდხანს გაკვებვით და ცხოვრებას გაგიღამაზებთ.

მამაკაცი: კარგი კვირა გელით. თქვენი ამდღეული განწყობილება ოჯახში ამ ბოლო დროს დაძაბულ სიტუაციას განმუხტავს და ახლობლებთან სრულ ჰარმონიას შეგიქმნით.

სასწორი - 24/IX-23/X

ქალი: გახსოვდეთ, სულიერი სიმშვიდის მოპოვებას მხოლოდ ფულის ხარჯვით ვერ მოახერხებთ — ჯობს, უსარგებლო ხარჯებს თავი აარიდოთ. ოჯახის წევრებს შორის მედიატორის როლს მშვენივრად გაართმევთ თავს.

მამაკაცი: გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. შეეცადეთ, მოვლენების განვითარებას მშვიდად მიაღვენოთ თვალი. ემოციური დაძაბულობა და კონფლიქტური სიტუაცია თქვენ გარშემო თითქმის ყოველდღე მწიფდება.

ღრინაპალი - 24/X-22/XI

ქალი: მოემზადეთ, შეიძლება სხვების მიერ დაშვებული შეცდომები თქვენი გამოსასწორებელი გახდეს. ჩაუკვირდით საკუთარ თავს: ხომ არ გეჩვენებათ, რომ სასიყვარულო ურთიერთობაში მატისმეტად ეგოისტურად იქცევით?

მამაკაცი: რაღაც ძველ პროექტს ახლებურად დაინახავთ და მის შესრულებას ახალი ენთუზიაზმით შეუდგებით. იყავით უფრო დაკვირვებული, რადგან შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის. თანამშრომელი ქალები ქათინაურებით შეამკეთ.

მეზოლონა - 23/XI-21/XII

ქალი: წინ მშვენიერი კვირა გელით. წარმატებით გაართმევთ თავს ბიზნესსა და ფინანსურ ოპერაციებს. თქვენი ამდღეული განწყობილება საქმესაც დაუტყობა და პირად ურთიერთობებშიც აისახება.

მამაკაცი: იფიქრეთ დასვენებაზე — ის თქვენ ნამდვილად გჭირდებათ, მაგრამ აზარტული თამაშები ზედმეტად ნუ გავიტაცებთ. იფიქრეთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებაზე.

თხის რქა - 22/XII-20/I

ქალი: თქვენ მიერ დაწყებული გეგმები, შესაძლოა, დიდის ნისლივით გაიფანტოს. ნუ იქნებით რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში, მაგრამ ნურც მოწყვნილობისგან მოქნარებას მოჰყვებით. იმოქმედეთ მოვლენების შესაბამისად.

მამაკაცი: საქმეს კვირის დასაწყისშივე უნდა მიხედოთ. ერთდღე იმპულსურობისა და არაორდინარულობის გამოვლინებას. შუა კვირაში სამსახურში პატარა დაბრკოლება შეგხვდებათ, მაგრამ ადვილად მოაგვარებთ.

პირი - 21/I-19/II


ქალი: წინასწარ შეგეუეთ, რომ ფინანსური პრობლემა შეგექმნებათ, მაგრამ სასოწარკვეთილებისთვის მიზეზი ნამდვილად არ გაქვთ. მალე გულმოწყალე სპონსორი გამოვიჩნდებათ და ხელს, უფრო სწორად — მსხვილ კუბიურებს გამოვიწვდით.

მამაკაცი: კვირის ბოლოს ოჯახის წევრები პრეტენზიებს წაგიყენებენ, მაგრამ ნუ შედრკებით — ბოლომდე დაცავით თქვენი პოზიცია და აიძულებთ ახლობლები, გაგებით მოეკიდონ თქვენს მდგომარეობას. წინასწარ მოიფიქრეთ არგუმენტები და შეინარჩუნეთ სიმშვიდე.



თიხე - 20/II-20/III

ქალი: ახალი, რომანტიკული ფლირტისთვის მოემზადეთ. იქნებ არც ღირს, ყველაფერს ყოველთვის სერიოზულად შეხედოთ? ზოგჯერ ღამის ეპიზოდები უფრო გვიხალისებს ცხოვრებას, ვიდრე ხანგრძლივი და ერთფეროვანი ურთიერთობა.

მამაკაცი: შუა კვირაში, სამსახურში რაღაც პრობლემა ან კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნება, მაგრამ თქვენი დიპლომატიურობა სასწაულს მოახდენს — კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ „ზოგი ჭირი მარგებელია“.



ჭადრა- კის წინამო- რბედი		წალკო- ტი უღაბნო		საჯარი- მო შაიბა ჰოკეიში	ხვეული გულიანი ნამცხ- ვარი		უანლარმი იტა- ლიაში
სამხ. აფრიკის რესპ. მკვიდრი							კანონის გაუქმება
ძალღის ჯიში							როუნ ატკინსო- ნის პერსონაჟი
						თანაბარ- ზომიერი პერიოდ. მონაცვ- ლეობა	დღეღალი ცხვარი
ალბანე- თის ღელა- ქალაქი	↓		ანალზე- ლანდიური უფრო ფრინველი	რისამე მოსპობა, გაუქმება			
				ფრანგი მომღე- რალი ქალი	წყალ- ქვეშა კლდე		
				ქართუ- ლი ტელეკო- მპანია			
		ბუსუ- სები ქსო- ვილზე	მწვანი- ლი				
				ქალაქი გერმა- ნიაში	ძვ. ფრა- ნგული სივრძის საზომი	პიტლერის სსრკ-ზე თავდასხ- მის გეგმა	ნახევრადი ფრანგული ცხვრის ჯიში
ზღვის მოლუსკი	ნამდ- ვილად არსებუ- ლი ნივთი		სესტრადი ან თუზრა- ლური წარმოდგენა	რამაზ ჩხიკვაძის სასცენო როლი	ხმოვანი სიგნალის გამომცემი მოწყობი- ლობა		
კურო- რტი საქართვე- ლოში							
აშშ-ის შტატი	დროის ათღიანი მონაკვე- თი						
ვენესუ- ელის ფულის ერთეული						კარგი ამინდი	
შიშველი სხეული ხელოვ- ნებაში				კორე- ული ავტომო- ბილი			

55-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.

გაგონიერი აკადემიკოსი მუსიკალური გაგონათუხუფი



ხმა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს

„ჯამბაზების“ წარმოდგენაზე, რომელსაც იტალიის „მაღალი საზოგადოება“ ესწრებოდა, მოულოდნელად არლენის პარტიის შემსრულებელი ტენორი არ გამოცხადდა – ავად გამხდარა.

დარბაზში მყოფ კარუზოს დიდხანს არ უფიქრია, სცენის უკან დაიკავა ადგილი (როგორც მოქმედების მსვლელობით არის გათვალისწინებული) და ბრწყინვალედ შეასრულა არლენის სერენადა. ჩვეულებრივ, სცენაზე კარუზოს გამოჩენას ყოველთვის მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ, მაგრამ ამჯერად დარბაზი ღუმდა.

სპექტაკლის შემდეგ, კარუზომ მწარე ღიმილით უთხრა ტიტა რუფოს – სპექტაკლში ტონიოს პარტიის შემსრულებელს: – ხედავ, რას ნიშნავს განათლებული ხალხი?! ის აფასებს მხოლოდ იმ სახელებს, რომლებსაც აფიშებზე შავით თეთრზე დაწერილს კითხულობს.

დიდი იმედები

რამდენიმე ათეული წლის წინ, პარიზში ცნობილი იყო ერთი მუსიკათმცოდნე, რომელიც კეთილმოსურნე რეცენზიები-

სთვის არტისტებს ფულს სძალავდა. ერთხელ ოპერის სოლისტმა ბატელმა სთხოვა მას, დაეწერა კეთილგანწყობილი რეცენზია მის მიერ უახლოეს პრემიერაში ახალი როლის შესრულების შესახებ, ოღონდ ხაზი გაუსვა იმ ამბავს, რომ ამჟამად გაჭირვებულ მღვდლობაშია და ანგარიშს ვერ გაუსწორებს, სამაგიეროდ, შემდეგ თვეში ასწილად გადაუხდის.

რეცენზენტმა დიდსულოვნად დაარწმუნა არტისტი, რომ შეუძლია, მისი იმედი იქონიოს. რამდენიმე დღეში, გამოქვეყნდა დიდი სტატია, მაგრამ ბატელი სულ ბოლოს იყო მოხსენიებული. მუსიკათმცოდნე წერდა: „ბატონი ბატელი დიდი იმედების მომცემი არტისტია. მალე ვნახავთ, გაამართლებს იგი ჩვენს იმედებს თუ არა!“

საშობაო ნამცხვარი


სახელგანთქმულ იტალიელ კომპოზიტორს ჯაკომო პუჩინის ჩვევად ჰქონდა, ყოველი საშობაო დღესასწაულის წინ, ყველა მეგობრისთვის საყოველთაოდ ცნობილი იტალიური ღვეხელი – პანეტონე გაეგზავნა. მათ შორის, არტურო ტოსკანინისაც გაუგზავნა და მერეა გაასხენდა, გამოჩენილ ღირიყორთან წაჩხუბებული რომ იყო. არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა ისეთი შთაბეჭდილება შექმნილიყო, თითქოს მან გადაღვა პირველი ნაბიჯი შესარიგებლად და უღებუმა:

„პანეტონე შეცდომით გამოიგზავნა“.
მეორე დღეს, საპასუხო ღებუმა მიიღო:
„პანეტონე შეცდომით შეიჭამა“.

ანეკდოტები

კაცი ყვავილების სალონში გამყიდველს სთხოვს:
– ასი ვარდი ამირჩიეთ... ცოლისთვის.
– ვაა... კი, მაგრამ ასეთი რა დააშავეთ?..

ექიმის ბინის კარზე ზარის ხმა გაისმა. ექიმი კარს აღებს და ხედავს, მის წინ ჩონჩხი ღვას.
– ყოველთვის ასე ხდება, – ლულულულებს ექიმი.
– ბოლო წუთამდე, სანამ თავს არ მოიკლავენ, ექიმს არ მიმართავენ.



შეწუხებული მასწავლებელი მოსწავლის მშობელს ეუბნება:
– თქვენი შვილი ძალიან სუსტია გეოგრაფიაში!
– არა უშავს რა, ქალბატონო ეთერ, ჩვენი შემოსავალი მოგზაურობას მაინც არ ჰყოფნის...

ფაქტი რეალური ცხოვრებიდან: ექიმს შეეშალა და გრაფაში –

„სიკვდილის მიზეზი“ – თავისი სახელი და გვარი ჩაწერა...

– რიგითო ხაჭაპურიძე, – მკაცრად მიმართავს ჯარისკაცს სერჟანტი, – მართლა თქვენ თქვით – კაპიტანი მამალაძე ბრიყვიაო?!

– რას ამბობთ?! მე უკვე დაღებული მაქვს ფიცი და ვიცი, რომ სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნება არ შეიძლება.

კახელი მიტუა შვილს ჭკუას არიგებს:
– ყველაფერი უნდა დამიჯერო, თორემა... თუ გამაბრაზებ, ვინერვიულებ, მოკვდები და შავი მანქანით წამიღებენ სასაფლაოზე!..

– მამი, მამი... შოფრი გვერდით რომ დავედღე, შაიძლება?..

მთვრალი მიხო გვიან დაბრუნდა შინ, ოთახის კარი გააღო, ცოტა ხნით შეყოვნდა და დაიძახა:



– მარო, ახლავე დაიწვე ლანძღვა, თორემა სიბნელეში ლოგინს ვერ ვაგნებ!..

მასწავლებელი:
– სანდრო, ხვალ სკოლაში მშობლების გარეშე არ მოხვიდე!
– ზეგ შეიძლება, მასწ?..

ქმარი ნადირობიდან ბრუნდება. ცოლი ეკითხება:
– როგორ ინადირე, ძვირფასო?
– ნორმალურად. ერთი თვე ხორცის ყიდვა არ მოგვიწევს.
– მართლა? აბა, სად არის?
– რა?
– ჯიხვი მოკალი, ხომ?

– არა. ხელფასი ღვინოში დამეხარჯა.

პ ა ც ი ე ნ ტ ი ექიმს ეკითხება:
– რას ნიშნავს ჩემს ღიაგნოში ჩაწერილი „ე.უ.“?
– ეშმაკმა უწყის...



როგორი იშვიათის ბრძანება გაქვთ?

თუკი ამის გაგება გსურთ, მოცემულ ტესტში სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი — თქვენთვის მეტ-ნაკლებად მისაღები პასუხი აღნიშნეთ (ხოლო თუკი თქვენთვის სამივე ვარიანტი მიუღებელი აღმოჩნდება, ნურც ერთს ნუ აღნიშნავთ). პასუხის ყოველ „ა“ ვარიანტში დაინერეთ 3 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2; „გ“ ვარიანტში კი — 1; თუკი არც ერთმა ვარიანტმა არ დაგაკმაყოფილათ, ნურაფერს დაინერეთ.



1. თუკი ვინმე ტყეში სოკოს საკრეფად ორთველებზე ამხედრებული მიდის, თქვენი აზრით, ის ასე იქცევა იმიტომ, რომ:

- ა) ასე უფრო საინტერესოა;
- ბ) გველების ეშინია;
- გ) ზემოდან უკეთ დაინახოს სოკოები.

2. თუკი ჩამოსასხმელი ლუდის გამყიდველი, სთხოვს ერთ-ერთ რიგში მდგომ კლიენტს, რომ მას ლიმონათი მოუტანოს, ის ასე იქცევა იმიტომ, რომ:

- ა) თავისი ფულით რაიმე უკეთესი სასმლის დაღვევა სურს;
- ბ) გაამხიარულოს რიგში მდგომნი;
- გ) გამოსწორების გზას დაადგას.

3. თქვენს კოლეგას სამსახურში ჩაეძინა. თქვენ:

- ა) მის გასალკვიმებლად უფროსს დაუძახებთ;
- ბ) ვიდრე მას სძინავს, ყავის დასალკვად გახვალთ;
- გ) ენერგიულად გაიჯახუნებთ კარს.

4. საზოგადოებრივ ტრანსპორტში სიმპათიური გოგონა გაიცანით. ის კი პაემანზე არ გათანმდებათ. თქვენ ეუბნებით:

- ა) „სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა“;

- ბ) „კარგი, შეხვედრა სხვა დროისთვის გადავლოთ“;

- გ) „კი, მაგრამ, რატომ?“

5. გამვლელი ქუჩაში გაჩერებთ და 50 თეთრს გთხოვთ, თქვენ ეუბნებით:

- ა) „შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ჩემს აზრებს კითხულობთ“;
- ბ) „სამწუხაროდ, ხელფასს მხოლოდ ათი დღის შემდეგ ვიღებ“;
- გ) „მაინც რისთვის გჭირდებათ ფული?“

6. შემთხვევით ნაიკითხეთ განცხადება: „გცვლი „ნივას“ სულერთია რაზე“. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ ადამიანი, ვინც ეს განცხადება გამოაკრავს:

- ა) ვინმეს ანკესზე წამოგებას ცდილობს;
- ბ) ალბათ არ იცის, სად წაიღოს ფული;
- გ) ალბათ გარეკა!

7. მგზავრებით საცხე მეტროს ვაგონში ვიღაცამ ფეხი დაგადგათ და ატყობთ, რომ აღებასაც არ აპირებს. თქვენ მას ეუბნებით:

- ა) იცით, ფეხი, რომელზედაც თქვენ დგახართ, ჩემია;
- ბ) ადგილები ხომ არ გაგვეცვალა?
- გ) იქნებ, ცოტათი მაინც გაწუელიყავით!

8. სატელევიზიო დეტექტიური ფილმის კულმინაციურ მომენტში, მოულოდნელად ეკრანი აციმციმდა. თქვენ მიგაჩნიათ, რომ:

- ა) ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა, ფილმის ფინალის საკუთარი ვერსიის მოსაფიქრებლად;
- ბ) ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა;
- გ) ეს სატელევიზიო არხის ტექნიკური პერსონალის ცუდი მუშაობის შედეგია.

9. ლატარიის ბილეთის გაგზავნა დაგავინწყდათ, მაგრამ იმ რიცხვებმა, რომელიც თქვენ გადახაზეთ, მოიგო. თქვენ ამას მიიჩნევთ:

- ა) ხელიდან გაშვებულ შანსად;
- ბ) საკუთარ უიღბლობად;
- გ) ეს ცხოვრება ხომ თქვენთვის დედინაცვალაია.

10. სტუმრად მისულს, დასასახლისი იმ კერძით გიმასპინძლებთ, რომელიც თვალის დასანახავად გაშლთ. თქვენ კი:

- ა) ღიმილით მიირთმევთ და იტყვით, რომ ეს კულინარიული შედეგია;
- ბ) ისეთი გამომეტყველებით მიირთმევთ, ყველა მიხვდება, რომ თქვენ ამას ძალისხმავად აკეთებთ.
- გ) კერძს საერთოდ არ გაეკარებით.

დააჯამეთ ქულები

21-30 ქულა: იუმორის გრძნობა კი გაქვთ, მაგრამ ზოგჯერ მეტისმეტი მოგდით. უმჯობესი იქნება, თუ უფრო თავშეკავებულად მოიქცევით, რადგან შესაძლოა, თქვენი იუმორი ისე ვერ გაიგონ, როგორც თქვენ გინდათ; ამან კი შესაძლოა, უსიამოვნება მოგიტანოს.

11-20 ქულა: თქვენ საოცრად ჯანსაღი იუმორის გრძნობით გამოირჩევით; სუმრობისას არასოდეს ამაღლებთ ხოლმე. თქვენი გონებამახვილური გამონათქვამებით არც არავის შეურაცხყოფთ და არც არავის ღლით, პირიქით, ყველას ამხიარულებთ.

6-10 ქულა: კარგ ხასიათზე მყოფიც კი, ზედმინენით პრაქტიკულ და საღ მოსაზრებებს აფრქვევთ ხოლმე; ასე ხომ ვერავის გაამხიარულებთ, პირიქით, გარშემო მყოფებს შესაძლოა თავიც კი მოაზებროთ.

0-5 ქულა: მეტისმეტად მკაცრი და პირქუში ადამიანი ხართ. როცა სხვები ხარხარებენ, თქვენ შესაძლოა, ოდნავ გაიღიმიოთ; სხვების გამხიარულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ გარშემო მყოფები თქვენთან ურთიერთობას თავს არიდებენ.

ინდოელი მოსწავლეები „ხატებად გადაიქცნენ“

ინდოეთის შტატ ორისის სოფელ დოლაგობინდის ქალთა სკოლის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, სასწავლო დაწესებულება დაესწრა, მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს იდუმალმა ავადმყოფობამ დარია ხელი. როგორც მასწავლებლები ამბობენ, ავადმყოფობა 8-დან 12 წლამდე ასაკის 20 მოსწავლეს გამოუვლინდა. თავდაპირველად გოგონებს ძლიერი სისუსტე ეუფლებოდა, შემდეგ გონებას კარგავდნენ, ხოლო გონს მოსულები უცნაურად იქცეოდნენ – კატეხივით კნაოდნენ, ბოროტად სისინებდნენ და სახეს იკაწრავდნენ. ადმინისტრაციამ სკოლაში ჯადოქარიც კი მიიყვანა, რათა შენობის კვლებიდან ბოროტი სული განედევნა, მაგრამ უცნაურობა კვლავ გრძელდებოდა და სკოლის ხელმძღვანელობას სასწავლო პროცესის დროებით შეწყვეტის გარდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა. „ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ სამ გოგონას გული წაუვიდა. გვეგონა, მშვირები იყვნენ და დავაპურეთ. უცებ, გოგონები ატირდნენ, მერე ძირს დაეცნენ და კატეხივით აკნავდნენ. მერე დღეს მათი ხვედრი კიდევ შვიდმა გოგონამ გაიზიარა“, – ჰყვება სკოლის დირექტორი მანჯუბალა პანდე.

სოფლის საბჭომ გადაწყვიტა, მოსწავლეები, რომელთაც დაავადების ანალოგიური სიმპტომები აღმოაჩნდათ, ადგილობრივი რელიგიური საზოგადოებისთვის მიეგვარათ, სადაც ბოროტი სულის გამოსადევნად, ცეცხლოვან რიტუალს ჩაუტარებდნენ. მშობლების თქმით, ბავშვების მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ ისინი მომხდარს ვერანაირად ვერ იხსენებენ.



16 წლის წინ დაჯახედი გასაღები ფეხში აღმოაჩინა

ირანელი მამაკაცის გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც 16 წლის წინ დაკარგული გასაღები საკუთარ ფეხში აღმოაჩინა. ამ ცოტა ხნის წინ 50 წლის ირანელი დაეცა და ფეხის აუტანელი ტკივილები დაეწყო. რენტგენოლოგიურმა გამოკვლევამ მამაკაცის ფეხში რაღაც უცხო სხეული დააფიქსირა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს სწორედ ის უგზო-უკვლოდ დაკარგული გასაღები იყო.

მამინ ირანელმა თავს ძალა დაატანა და გაიხსენა, თუ როგორ შეიძლებოდა გასაღები „დაეკარგა“: 16 წლის წინ მას შემთხვევით ფეხში ტყვია დაუხლია და შესაძლებელია, ფეხში გასაღები სწორედ მამინ ჩაერჭო. დაჭრილს ტყვია დაუყოვნებლივ ამოუღეს, გასაღები კი ან გადაავიწყდათ, ან უბრალოდ ვერ შეამჩნიეს.

ღედი – მხოლოდ სტუდენტებისათვის




ერთ-ერთი რუმინული უნივერსიტეტი სტუდენტებს სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებს: სპეციალურად მათთვის ახალი მარკის ლუდს გამოუშვებენ. ეს მათობელა სასმელი აგრარული უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დამზადდება და იქვე ჩამოისხმება. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ ახალი მარკის ლუდის რეცეპტი საკმაოდ ორიგინალური იქნება და მის შემადგენლობაში მხოლოდ ნატურალური ინგრედიენტები შევა. ამგვარი მეთოდით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სტუდენტების კარიერისთვის საფუძვლის ჩაყრას აპირებს და იმედოვნებს, რომ მათი წამოწყება წარმატებული იქნება. უნივერსიტეტის ლექტორი ლივინ მარგიტასი ამბობს: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩვენი კურსდამთავრებულები, იმის ნაცვლად, რომ უცხოურ კომპანიაში სამუშაო ადგილს გულხელდაკრეფილები ელოდონ, დროს არ დაკარგავენ და საკუთარ ბიზნესს წამოიწყებენ.“

ახალი ლუდი – სახელწოდებით „სტუდენტი“, მხოლოდ საუნივერსიტეტო ქალაქ კლუბში გაიყიდება.

სტიჰტიზი საფეხბურთო მოედანზე



გერმანელ პოლიტიკოს ქალებს საფეხბურთო მოედანზე მითამაშეთა „სტრიპტიზის“ ხილვა სურთ: მათი მოთხოვნა ასეთია – „ფეხბურთელებს, გატანილი გოლის შემდეგ მისურების გახდის გამო, ყვითელი ბარათით ნულარ დასჯიან!“. გერმანული პარლამენტის მწევანეთა პარტიის წევრებმა – ეველინ შონსუტ-კაილმა და მარგარეტ ვოლფმა ქალთა უფლებების დამცველი კამპანია ჩამოაყალიბეს. პარტიის წევრებს სურვილი აქვთ, საფეხბურთო მოედანზე მამაკაცის ღამაში სხეული იხილონ. პოლიტიკოსთა ამ აქციაზე აქტუალურად განიხილეს პორტუგალიური ფეხბურთის ვარსკვლავთან – კრისტინ რონალდოსთან დაკავშირებული ინციდენტი: „ეგრო-2004“-ზე გატანილი გოლის გამო გამოწვეული ეიფორიის შედეგად, რონალდომ მისური გაიხადა, რის გამოც მაშინვე ყვითელი ბარათი მიიღო.



პეტიციას, რომელიც საფეხბურთო წესების შეცვლას და კარგი აღნაგობის ფეხბურთელთათვის სხეულის დემონსტრირების ნებართვას ითხოვს, უკვე ათასმა ქალმა მოაწერა ხელი. საფეხბურთო ასოციაციის მიწვევით ღია წერილში აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს: „გააუქმეთ ყვითელი ბარათები და მითამაშეებს ათლექტური ტორსების დემონსტრირების საშუალება მიეცით“.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით, ფეხბურთელებს თამაშის დროს მისურის გახდა ეკრძალებათ. ის კი, ვინც ამ წესს არ ემორჩილება, ჯარიმდება. ფიფას თავაკაცების თქმით, მატჩის დროს „სტრიპტიზის“ აკრძალვის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ამის გამო ძალიან ბევრი დრო იკარგება.

ფოტოკუჩიონები



671/30

№16(76) 5.VIII-18.VIII 2004

ოჯახის

მეურნატი

სამაღიხინო შერნალი

ფასი 70 თეთრი

რა იწვევს
ნაადრავ
ჭაღარას?

კიბოს
მკურნალობა
- მითი თუ
რეალობა?

მთავარი თემა:
თავის
ტკივილი

როგორ
შავინარჩუნოთ
მეხსიერება

ნუშურა
ჯირკვლები და
აღენოიდავი

ნაღვლის
გუზების
ამოკვეთის
შემდგომი
სინდრომი

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის